ამირან არაბული

(ისევ) სულუჭცევრად საჯითხავნი

ჩანაწერები

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ამირან არაბული

(ისევ) სულუქცევრად საკითხავნი

პროექტის ავტორი
ზვიად კვარაცხელია

რედაქტორი
მაკა ჯოხაძე

დამკაბადონებელი
ვიოლა ტულუში

გარეკანის დიზაინერი
თეონა ჭანიშვილი

ISBN 978-9941-470-22-6

© ამირან არაბული, 2016.
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2016.

წინათქმა

მწერლების, მკვლევრებისა და უტიტულო, „უბრალო“ ადამიანების წრფელმა, გულითადმა გამოხმაურებებმა, ჩემი ჩანაწერების 300-გვერდიან წიგნს „სულუქცევრად საკითხავნი“ (ინტელექტი, 2013) რომ მოჰყვა, ქმედითი ინსპირატორის კეთილშობილური მისია შეასრულა და დაახლოებით ორი წლის განმავლობაში შეიქმნა ფოტოსურათებით გამდიდრებული თითქმის იმავე სახელწოდების მომდევნო წიგნი, რომელშიაც წინა წიგნიდან არც ერთი ჩანაწერი არ შესულა.

თითებზე დასათვლელი ჭეშმარიტი მკითხველიც (და არა „გადამკითხველი“!) რომ გყავდეს, შეგიძლია ჩათვალო, რომ ღირს, ნამდვილად ღირს სუფთა, ფარატინა ქაღალდთან ინტენსიურად „ინტიმური“ ურთიერთობა. და თუკი ხანდახან ბედი გიგანებს, ხელი მოგეცარება და გაწბილებული დარჩები, ეგეც არაფერი: ყოველდღე ხომ არც კოკას მოაქვს გრილი, გემოწმინდა წყალი!..

ფუჭია პროგნოზი და ვარაუდი, ვისთვის რა სარგებლისა თუ სიამოვნების მომტანი და მიმნიჭებელი იქნება ჩანაწერების ეს კრებული; ვინ გადაფურცვლისთანავე დახურავს და ვის კიდევ შუა თუ სამესამედო გზაზე ჩაუქრება კითხვის გაგრძელების სურვილი... ხოლო ის, ვინც მოთმინებით აღიჭურვება და „სულუქცევრად“ ანუ სულმოუთქმელად თუ არა, სვენებ-სვენებით მაინც მიაღწევს წიგნის ბოლო გვერდამდე, იმ ძვირფას მკითხველთა რიცხვს შეემატება, ვისი აზრი და შთაბეჭდილებაც, გამოთქმული წინა წიგნთან დაკავშირებით, ახალი შემოქმედებითი ბიძგისა და სტიმულის აღმძვრელია ავტორისათვის.

* * *

„როცა ეს წიგნი ავიღე ხელში, ისეთი განცდა დამეუფლა, რომ მკვლევარს, რომელსაც სიტყვის ასეთი მარაგი აქვს, ასეთი მიდგომა აქვს სიტყვისადმი და მოდის საქართველოს მთიდან, სრულიად სხვაგვარად ესმის ვაჟა. ამის კარგი მაგალითია ვაჟას სტრიქონის „დაწუხებულმა, არაგვო" შესახებ გაკეთებული ჩანაწერი: ერთ ვაი-ფილოლოგში როგორ გამოიწვია გაუგებრობა ამ სტრიქონმა და ერთმანეთში აერია „დანუხებული" და „დამწუხრებული".

ნონა კუპრეიშვილი

„რაც ამირან არაბულს ერთი შეხედვით ამ პატარა წიგნში აქვს მოქცეული, ეს არის მთელი საქართველო, ის საქართველო, რომელიც, სამწუხაროდ, თვალსა და ხელს შუა ქრება... შეგახსენებთ ჩანაწერს „მოხუცთა სოფელი". ეს ნოველაა, სულისშემძვრელი ნოველა, რომელსაც აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ. მინდა მოვუწოდო ახალგაზრდობას: წაიკითხეთ ეს წიგნი, კარგად გაიაზრეთ, რაც ამ წიგნშია... ასეთ წიგნებს უნდა დავეყრდნოთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ფესვები მყარად იდგეს მშობლიურ მიწაში..."

სერგო ვარდოსანიძე

„სულუცქცევრად კი წაიკითხავ ამ წიგნს, მაგრამ მერე ძალიან ღრმა ფიქრებში გადადიხარ: ეს არის კარგი კი არა, არაჩვეულებრივი წიგნი; ეს არის სიმართლით და სიყვარულით გაჯერებული წიგნი"...

მზექალა ჭინჭარაული

„როდესაც ამირანზე ვფიქრობ, და ვფიქრობ ხშირად, მახსენდება ნაზი კილასონიას ერთი ლექსი: „ვაი, რა დიდი ბრალია, იყო პოეტის ქმარი, ეს იმას ნიშნავს, გიყვარდეს მინდვრების დიდი ქარი“... ამირანი არის უაღრესად ფაქიზი, ძალზე შინაგანი ცხოვრების ადამიანი. ეს ჩანს ამ წიგნშიც, ნებისმიერ გვერდს რომ ჩაკრათ თვალი, თქვენ დაინახავთ გემოვნებიან ლიტერატორს, დიდ ფოლკლორისტს...

გიორგი ლობჟანიძე

„ჩანაწერებში ლაკონიურად და გაუჭიანურებლად მიედინება თხრობა. სათქმელი მოზომილია, ნათქვამი-დოზირებული, მხოლოდ უმთავრესი, ძვლამდე დასული განცდები, მკაფიო, შთამბეჭდავი შტრიხები. სმენამდე და ყნოსვამდე მოღწეული „დარკეთილი დილები“, „ამოჟოჟინებული ბალახი“...

მზეო გოგოჭური

„თქვენი ნიჭი, თქვენი სიგულწრფელე წიგნის ყოველ გვერდზე ჩანს, ღმერთმა გაახაროს თქვენი საქმე, ჩვენი სამშობლო...“

ელდარ ნადირაძე

.

„გაოგნებული ვზივარ შატილში, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ ნანაისძის შვილები... სულისშემძვრელმა ტკივილმა იფეთქა, ჩემს ცრემლებს ცრემლები აღარ ჰქვია. ეს სულის ტკივილია. ერთხელ ნანახ და შეხვედრილ ჩემს ძმას ასე თუ ვინმე გამიცოცხლებდა და შეაფასებდა, ასეთი გულის შუქიანი სიტყვებით თუ გაიხსენებდა, რას ვიფიქრებდი! ეს ის შემთხვევაა, როცა მოკვდავისგან სამადლობელო სიტყვა არ მოიძებნება (თუნდაც დისგან). მადლობა უფლის სახელით ჩემი ძმის ლამაზად

გახსენებისთვის, დალოცვილი იყოს ჩვენი სამშობლოს ის კუთხე – ხევსურეთი, სადაც ასეთი ვაჟკაცები იზრდებით... და ბოლოს, უბრალოდ: გმადლობთ!“

თამია ჭინჭარაული
შატილი. 6.X.2013

„სულუქცევრად ვერ წავიკითხე, თუმცა ძალიან მინდოდა. ეს არ არის ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი და ადვილად გასააზრებელი წიგნი. ერთი პერსონაჟის თქმისა არ იყოს, სიამოვნება, რომელიც მელოდა, მალე დასამთავრებლად მენანებოდა. ამიტომაც კითხვის პროცესი დროში „გავწელე“. ეს არის მადლიანი ქართულით(!) მოყოლილი ამბები ნათელ ადამიანებზე; სუფთა, ზნეობრივად ამაღლებულ და ალალ კაცებსა და ქალებზე, რომლებსაც ღმერთმა ადგილსამყოფელად და სამოღვაწეოდ ასეთივე მადლიანი და ლამაზი მთა არგუნა...

ბ-ნო ამირან, თურმე რამხელა სევდაგარეულ სიყვარულს დაატარებთ, ალბათ ნოსტალგიასაც. ეს საოცარი სამყარო თქვენია, თქვენეული, თქვენნაირი. ამიტომაც არ არის ბანალურად ჩვეულებრივი „ჰობი“ ფოტოხელოვნებით თქვენი გატაცება და, ალბათ, იმ მონატრების გამოა ასეთი მნიშვნელოვანი, რომ კადრებად შეინახოთ, რაც თვალსა და გულში ჩაგებეჭდათ და თან იქონიოთ მუდამ“.

თათია დოლიძე

„მადლობა, ამირან, ამ წიგნის დაწერისათვის. მართლაც რომ სულუქცევრად საკითხავია... სიბერის დადგომის ჟამს შენმა წიგნმა, მასში აღწერილმა ნამდვილმა ამბებმა და სიღრმისეულმა ანალიზმა კიდევ ერთხელ (და ძალზე შთამბეჭდავად) შემახსენა: რატომ და როგორ უნდა ვიყოთ კარგები...“

გოგი ჭინჭარაული
ბარისახო. 27.XI.2014.

„...ამირან არაბულის „სულუქცევრად საკითხავნი“ ვინც წაიკითხა, დამეთანხმება, რომ მსგავსი მაგალითი ენის ქმნადობისა იშვიათია. ეს მხოლოდ „მუხლადი“ ქართული არაა. ეს ერთი ინდივიდის სულ-გულ-გონებაში ენის გამოტარების, გაფერვის საოცარი ნიმუშია. რა კომპოზიტებია ნაწარმოები, რა სიტყვები, რა ენობრივი პლასტებია ამეტყველებული ამ ჩანაწერებში. მწერლის ენა თავადაა კვლევის ობიექტი. ესაა ღირებულებათა ენა, აზროვნების ენა, სულის ენა. გახევებული ტოტი რომ განედლდება, აი, ეგეთია ამირანის ნასიტყვარი. მართლაც, ენის საამირანო ძალას რომ გაგრძნობინებს!“.

მარიამ წიკლაური

* * *

მოხმობილ აზრებსა და შთაბეჭდილებებს ნაწილობრივ ვეთანხმები. საკუთარი ნაწერების მიმართ, მერწმუნეთ, მკაცრი და დაუნდობელი ვარ. ვიცი, რა ზადი და ხარვეზი სჭირს თვითეულ ტექსტს. მაგრამ ახლა ვეღარაფერს შევცვლი. დარჩეს ისე, როგორც დაიწერა (ვარლამ შალამოვი: „უჩვეულოდ მნიშვნელოვანია პირველი ვარიანტის შენარჩუნება. დაუშვებელია სწორება“)... ნაკლთან ერთად ხომ აქა-იქ ღირსების ცოტაო-

დენი ნამცვრევებიც ურევია. სუსტი, საშუალო და შედარებით შნოიანი ჩანაწერები ერთმანეთს ავსებენ და აწონასწორებენ. და რაკი ასეა, მომნდობ მკითხველს კიდევ ერთხელ ვეპატიჟები ჩემი ხსოვნისა და მოგონებების, მთიელთა ფრაგმენტული პორტრეტების, სიტუაციური ასოციაციების, სულიერი სილამაზის წამიერი გამოვლინებებისა თუ, საერთოდ, მარადიული ღირებულებების მომცველი მხატვრულ-დოკუმენტური ამბების ფერადოვან, სახილებელ სამყაროში...

ავტორი

3.04.2016




დილა დანოში. თუშეთი

„ჩვენ ვიტყვით...“

„სიცოცხლეს ჰგმობდა, სიკვდილსა
ნატრობდა ნამუსიანსა...“
შოთა

ლეკების ლაშქარი მიადგა ჰელოს. მიქელი, სურას გაზრდილი (ვარ.: მიქელა, ზურაბის ძე; მიქელა, რუსას გაზრდილი; მიქელა ურაზიშვილი), გვარად ბულრიძე, დასთან და ცოლ-შვილთან ერთად საგვარეულო ციხე-კოშკში გამაგრდა. ტყვია-წამალი რომ შემოელია, მაშინ დაიბუბუნა: – **კარს გავაღებ, გავალ, ხმლით უნდა ვიბრძოლოო!..** ამ დროს და (ვარ.: ორი ქალიშვილი) მუხლებზე შემოეხვია და შეემუდარა: – **ლეკების ხელში ნუ ჩამაგდებ, ნუ გამაწბილებ, ჯერ მე მომკალი და მერე გადიო!..** მიქელმა დას წადილი აუსრულა... ამასობაში ცოლმა ქვაბოძი იფარა. თვალი ჰკიდა და ისიც გამოასალმა სიცოცხლეს. შვილს, რვა წლის გიორგის, ხელი არ ახლო: – **ტყვედ წაგიყვანენ, გაიზრდები, ვინმე ღვთისნიერი მოვა და დაგიხსნის, სამშობლოს დაუბრუნდები და კერას გააღვივებო...** ხოლო რაც ამის მერე მოხდა, „ბაკურის“ ფინალში სამაგალითო მხატვრული ოსტატობით ასახა ვაჟამ: **„...გაუხტა ხმალმოღერებით, ფრანგულმა გაიცინაო, თორმეტი მოკლა ციხის კარს, ერთურთზე დააწვინაო... ვეფხვსა დააცვდა კლანჭები, ბაკურმაც დაიძინაო“** (პოეტმა ხალხური ლექსებისა და გადმოცემების მიქელი ბაკურად წარმოგვიდგინა)...



ჰელო

არაერთგვაროვანია (უფრო ზუსტად: ამბივალენტური) ხალხური მელექსის დამოკიდებულება მიქელის საქციელის მიმართ – თან **„თავის მოწყენასა“** და **„სულეთის წახდენაში“** სდებს ბრალს, თანაც ანალოგიურ ჭირსახდელსა და ღვთის რისხვას უსურვებს ყველას, ვისაც ზურაბის ძის გადაწყვეტილებასა და მოქმედებაზე გასცინებს გული...

მსგავსი ამბავი ხდება ძველ დიკლოში, 1837 წლის 4 იანვარს, მაშინ, როცა შამილის დიდძალი ჯარი გადმოდის ლეკეთიდან და თავს ესხმის დიკლო-შენაქოს მშვიდობიან, საახალწლო გუნება-განწყობაზე მყოფ მოსახლეობას... დიკლოს ტრაგიკული დღეების მთავარ გმირად ღვთისო ოსორაიძე (ვარ.: ღვთისოს იჩუა) ფიგურირებს. ღვთისოს დის ნებაყოფლობითი არჩევანი და სათხოვარიც ზუსტად იგივეა, რაც მიქე-

ლის დისა: ურჯულოთა კერაზე ჯდომას ისიც ღვიძლი ძმის ხელით სიკვდილს ამჯობინებს. ღვთისოც, სხვა გამოსავალს რომ ვერ ხედავს, იმავეს სჩადის, რასაც ჰელოელი მიქელი: განგმირავს დას, ცოლს და სიმაგრიდან გარეთ გავარდნილს მტრის ტყვია წამოეწევა...

ეს ორი უპრეცედენტო, ძარღვებში სისხლის გამყინავი და გულის გამფლეთი ამბავი დასდებია საფანლად ივ. ბუქურაულის მხატვრულ-დოკუმენტურ მოთხრობას „ზურაბის კოშკი“ და ივ. ცისკარიშვილის პროზაულ ქმნილებას „დიკლო-შენაქო“...

ოღონდ სახელი არ შელახვოდათ, სამზეოზე სირცხვილიანი პირით არ ევლოთ, **„რჯულიანთა ხელუკადრებთ“** მოსისხლეთა ჭერქვეშ არ ეთენ-ეღამებინათ და მზად იყვნენ უყოყმანოდ, უშიშრად, წარბშეუხრელად შეგებებოდნენ მწარე, **„არმოცინარ“** სიკვდილს...

აქვე, ამ კონტექსტში დიკლოდან ტყვედ წაყვანილი ულამაზესი თუშის ქალი სადარაც (ვარ.: ნინოს ეთერი) უნდა ვახსენოთ; სადარა, რომელიც ერთ ნაიბს საცოლედ მოეწონა და მთის ვიწრო ბილიკებზე გვერდიდან არ იცილებდა... ყინულით ჩალესილ ფერდობს რომ მიადგნენ, სადარამ უთხრა: – **მე ამ მოლიპულზე ვერ გავივლი, ხელი მაგრად მომკიდე, დამეხმარეო...** გაბრიყვებული ლეკი ქალის ნებას დაჰყვა, ამ უკანასკნელმა ღონივრად დასწია, უბიძგა და ორივე ყორნების ჩანაყეფ ხევში ჩაიჩეხა...

ჩიღოს წისქვილიდან ლეკეთში გატაცებულმა ნანა თორღვაის ქალმა, ფეხშიშველს რომ გადაალახვინეს თვირთვილიანი მთები, იმ იმედით, რომ მამეულნი მის კვალზე დადგებოდნენ, დანაყილი საყურ-ბეჭდით **„ჩანიშნა გზანი“** და თანაც თავის საქმროს შეუთვალა: **„...თუ მალე არ მომეშველე, უნდა მოვიკლა თავია...“**

მომხვდურთა ძალადობას საკადრისად პასუხობდნენ ქართველი მთიელები. გვარ-სახელს ლაფში არვის ამოასვრევინებდნენ. ქადილის ძალა შესწევდათ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იუნჯებდ-

ნენ თავმოყვარეობას. საწადელს მაინც აისრულებდნენ, თუნდაც ეს ღვთისგან ერთგზის ნაწყალობევი საკუთარი სიცოცხლის ფასად დაჯდომოდათ; ზეპირ მუქარას არ სჯერდებოდნენ და სათქმელს შორიდან ლექსად უთვლიდნენ, თავს ამეტებდნენ, ეპაექრებოდნენ: **„რაც გინდა ცამა იჭექოს, ღრუბელმა იბუქიროსა, ლეკებს არ წაგაყვანინებ, თავ არ მოუკვდეს ილოსა, მაინც გაგიყვან, ქალაო, საჩვენო სანაპიროსა“.**

...

ოთარ ჭილაძის რომანის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ განხილვისადმი მიძღვნილ თავის ვრცელ წერილში გურამ ასათიანი შენიშნავს: **„ფილიპინებზე ყოფნის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა სიტყვამ, რომელსაც აქ განსაკუთრებით ხშირად ხმარობენ. ეს სიტყვა ერთდროულად ნიშნავს ღირსებას, სინდისს და თავმოყვარეობას (ეთნოგრაფები აღნიშნავენ ფილიპინელების განსაკუთრებულ, ავადმყოფურობამდე გამძაფრებულ თავმოყვარეობას). ხალხურ აფორისტიკაში ეს თვისება ამგვარად გამოიხატა: „უკეთესია მოკვდე, ვიდრე თავმოყვარეობაშელახულმა იცოცხლო“.**

მკვლევარმა და კრიტიკოსმა ის „ერთი სიტყვა“ სხვაგან გაგვაცნო და განგვიმარტა. მისსავე წერილში „ფორტ სანტ-იაგოდან ხატინამდე“ ვკითხულობთ:

„როდესაც ფილიპინელი ისეთ დღეში ჩავარდება, რომელიც მის ადამიანურ ღირსებას შეურაცხყოფს (სიღატაკე მისთვის ჩვეულებრივი მდგომარეობაა, ის დამცირებას ვერ იტანს) და როცა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად სხვა გზა აღარ არის, ის შოულობს იარაღს, კლავს ჯერ შვილებს (თითო ფილიპინურ ოჯახში საშუალოდ 4-5 ბავშვი იზრდება), მერე – ცოლს, მერე ყველას (განურჩევლად), ვინც ამ ამბავს შეესწრება და უკანასკნელი ტყვიით (თუ მანამდე სხვებმა არ მოუღეს ბოლო) თვითონ იკლავს თავს.

აი, რას ნიშნავს ფილიპინურად სიტყვა „ამოკ“.

...

სულიერ ღირებულებათა დევალვაციის, კაცობის „ხარისხის“ კლების, კაი ყმათა ცხოვრების დაუწერელი კოდექსის რღვევისა და სინმინდეთა პროფანაციის შეუქცევადი პროცესების მოწმენი და მონაწილენი ძნელადღა თუ ვირწმუნებთ ასეთი ამბებისა და ხდომილებების ნამდვილობას, რეალურობას. არადა, დაეჯერებათ როგორც ქართველ, ისე ფილიპინელ (და, რომელიც გნებავთ, იმ ეროვნების) ნარატორებს, მეანდრეზეებს, მართალ, მიუკერძოებელ მემატიანეებს...

და რომ მეგონა, მხოლოდ ჩვენთან, ჩვენს მთაში იმართებოდა **„სისასტიკის თავბრუდამხვევი დღესასწაულები“** (გ. ასათიანი), თურმე სხვაგანაც, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმაც არანაკლებ სცოდნიათ ყადრი და წონა ღვთიურკურთხეული ადამიანური ღირსებისა, შინაგანი თავისუფლებისა, პირადი პრესტიჟის დაცვისა და ბოლომდე გაუბზარავად შენარჩუნებისა.

ტიპობრივი ტექსტების მოსმენისას და კითხვისას კვლავ ვაჟას მზიანი სიტყვა, ვაჟას ტოლერანტული სტრიქონები გაგახსენდება, ბებერი უშიშასთვის რომ ათქმევინებს დავლათიან ალუდა ქეთელაურს: **„...ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი...“**

საფერი დობილ-ძმობილნი

ელენა ქიბიშაური, ცოლი ქორძო ნაროზაულისა და დობილი (დადნაფიცი) ნოდარ ანდღულაძისა, არხოტულ ამბებს იხსენებს და კვირვობს „ქალაქელი“ კაცის, ახლა უკვე მსოფლიო საოპერო ხელოვნების აღიარებული მაესტროს, უნაკლო, უბერებელ მეხსიერებას: **„საჴევსურეთონივ, სათავრივლენივ, საწყევარანივ, წყალშუანივ... ნეტა ერთხან კიდე ფეჴით მამავლივნავ – აუ, დედო, რა მაჴსოვრობა ხქონივ!.. ხან თაოდ ჴევსურებ ვეღარ მაიგონებენ თავის სოფლის ადგილების სახელებს...“**



ეს ხდება 1999 წლის 2 თებერვალს (რუსთავის) გამარჯვებაში, გურამ ნაროზაულის ოჯახში, სადაც და-ძმად გაფიცვიდან (ორივეს კარგად ახსოვს, 1958 წლის ზაფხულში, ათენგენობას, გარსია ოჩიაურმა ხატ-ღმერთი რომ ახსენა, სასმისში ვერცხლი ჩაფხიკა და ყველა წესის დაცვით აღასრულა მათი „გაძმობილების“ ტრადიციული რიტუალი) ამდენი წლის შემდგომ ერთმანეთს ხვდებიან ქ-ნი ელენა და ბ-ნი ნოდარი.

საუბარში, არხოტის განუმეორებელი ხიბლისა და განსაკუთრებული ფენომენის ცოცხალი განცდით რომ არის გაჯერებული, ელენას მული ნათელა ნაროზაული ერთვება: **„ნოდარ არხოტ რო მავიდის, სოფელთ შუაშიით აგვძრახდის: – სად ხართავ?! ჩემ კაცის** (იგულისხმება ჩუა ოჩიაური – ა. ა.) **ჴევსურულ პერანგ ჩაიცვის. რაჴლა უჴდებოდის!.. მემრ აბიკაის დამ, ჭოლიკაურთ ძიმარმ, შაუკერ საკუთრეულად... ბევრა მძივ მამიღის. მიხაროდის ნიადე. კა ვაჟ, კათაში კიდე გამარჩეულ იყვის... ეხლა სერ აღარ ღვარდების, რაჴე შაცვლილი! იმოდნა დიდ არ ას, როგორც მე ორ...“**

დროდადრო სიჭარმაგის ნაღველნარევი ღიმილით სახეგახსნილი მაესტროც არხოტის ხეობისკენ „განმარტოვდება“ და თავის იქაურ მეგობრებზე (გარსია, ხირჩლა და გოგი ოჩიაურები, მაისტელ წიკლაური, აბიკა და გიორგი („უბედური“ – ნოდარის ძმადნაფიცი) ჭოლიკაურები, გოგი და გრანჯა ქიბიშაურები, გაბრიელ ნაროზაული, ხვთისო ცისკა-

რაული, ციცქა და ლეო ჯაბუშანურები...) საუბრისას ხევსურულ დიალექტზე უქცევს...

არც ელენას ელევა მოსაგონარი, თვალსა და გულში ღრმად ამოჭდეული სურათები, ხან მზიანი, იდილიური, სიმშვიდით აღსავსე და ხანაც აღვართქაფებული, ავად აღროფებული დილა-საღამოები: **„ერთხან არაგვის წყალა** (ასე ეძახიან ნეთხიჩოდან ახიელის გვერდზე მომსრბოლ მდინარეს – ა. ა.) **ადიდდ. სახლის სიმაღლე მადიოდ. რო დაიელნის, კარგა გამაჩინდის. დიდიდ ქვებს მააგორებდის. ე კაც** (მეუღლე, ქორძო ნაროზაული – ა. ა.) **შინ არ მყვანდ. ველთ სადამ იყვა, სასტუმროსა – აღარ მაჯსონს... მეშინოდის, წყალ ბალღებს გამტაცებსავ... ნოდარი გვყვანდ მაში სტუმრად. ლოგინზე იყვ გულაღმ შამაწოლილ... დაირთხნის აი ლაშნ, ბალღებსავ მჯრებზე შავისხამავ, ინგუშეთში**



ახიელის ციხე. არხოტი

გადავიყვანავ... გარეთიით არაგვის წყალაის ჩქეფა მადიოდის... ნოდარ სიმღერით მეძახდის: ელენავ, ნუ დაშინდებივ, ბალღებსავ მე გადავარჩენავ... მემრ შანყვიტ სიმღერაი და ჩვენაც გავიხიზნეთ...“

* * *

კიდევ ერთი ნადობ-ნაძმობის სამუდამო სამყოფელის კარი გახსნა **„სულეთის ღმერთმა მადლიანმა“**.

მათ ახლა შინაურთაგან ალალად გაქჩერებული შენდობა და ღვთის ულუფა მიუდით ამ ცოდვა-ბრალიანი წამისოფლიდან.

ხოლო აქ ყველაფერი ძველებურადაა: მძივ-ძვალისღილათი დაჭრელებულ სამოსსაც ისევ კერავენ ქიბიშაურებისა და ნაროზაულების მოხელსაქმე შთამომავალნი; **„საჴევსურეთონი“** თუ **„საწყევარანიც“** იქვე, თავთავიანთ ალაგას არიან და, ალბათ, ბროიანი არაგვის წყალაც კიდევ ბევრჯერ ადიდდება და გამოღვარავს ახიელის რიყეს...

კუჭისთავის კიდური

ღალანგურის სალოცავს, რომელიც ხევში, სოფელ ახალციხის უკან აღმართული მაღალი მთის თავზე მდებარეობს, რიტუალურ სადიდებელში ჯვარ-ხატთა ხუცესი ამგვარად მიმართავს: **„ღალანგურის წმინდაო გიორგიო, ცით სვეტად ჩამასულო, ჴმლითა-დ ლახტით შაკაზმულო, დევ-დედაბერთად მეომარო...“**

ხოლო მისი პირველჩენისა და სხვაგან წაბრძანების ანდრეზი შემდეგს გვაუწყებს: **„ღალანგურ წინ-წინ კუჭისთავ დაარსებულ, კიდურზე ქვებ რო ას, იმაში. საქონის სადგომ, უწმინდურ ადგილ ყოფილ. აბძანებულა-დ საცა ეხლა ას, იქ წასულ“...**

კუჭისთავი ჯუთის, ჩემი მშობლიური სოფლის, ერთი სულფონი, მშვიდი და მშვენიერი ადგილია, სადაც ადრე, ზაფხულობით, ბერწი საქონელი და ხარავანი იყრიდა ხოლმე თავს და ათეგრებულ დავაკებაზე ათენებდა ხან წვიმისგან წალეკილ, ხანაც ვარსკვლავიან ღამეებს.

სოფლის დღევანდელ მკვიდრთაგან საკულტო ნაგებობისა თუ უბრალო, პრიმიტიული ნიშის იქ არსებობას არავინ მოსწრებია. რამდენიმე მრგვალი, დიდრონი ქვა კი ახლაც ისევ დევს **„კიდურზე“** – ანდრეზში მინიშნებულ ალაგას... და აქედან ვრცელი, გულის გამლაღებელი პანორამა და პეიზაჟები იშლება თვალსაწიერში: **„ღმერთის სახლივით მშვიდი“** (ოთარ ჭილაძე) ჭიუხი და დეკის მუქ ქობამოვლებული ღორღიანჭალა, ბრმაჩდილა და ნახიზნარალი, გარსის მთა და საქუხარა, დიდრუ და პირდპირა, სათბილოვანა და ყანათავი, შავქარაფი და ჭერხოწვერა, თეთრკლდენი და ციხეკლდია, ნაღორა და შარვნის ხორხი...

ამ რამდენიმე წლის წინათ ჯუთაში მყოფმა მამა პეტრემ (კურტანიძე), როცა ტურისტულ ბანაკ „ზეთას“ სტუმრობდა, სწორედ კუჭისთავის კიდური დაიგულა და დაასახელა ქრისტიანული ჯვრის აღმართვისთვის ყველაზე საჩინო, ყველაზე შესაფერის, შორიდანაც ადვილად შესამჩნევ ხელსაყრელ ადგილად.

რატომ მაინცდამაინც ის და არა რომელიმე სხვა მთა თუ გორაკი, მაღლობი თუ ზეგანი, თხემი თუ კიდური?

ამის თაობაზე ვერაფერს ვიტყვი.

რა შეიძლება დავარქვათ ადამიანის (ამ შემთხვევაში – სასულიერო პირის, ეკლესიის მსახურის) ასეთ ხედვასა და არჩევანს – ნათელხილვა, სულიწმიდის სურვილის „ამოკითხვის“ ზეგარდმო უნარი თუ, უბრალოდ, ღვთისა და კაცისძის ნებათა ერთიანობის მორიგი მანიფესტაცია?!.

არც ამ კითხვის ერთნიშნა პასუხი მომეძევება.

ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ იმ ადგილას, ადრე თუ გვიან, ჯვარი აუცილებლად აღიმართება!

თუშეთის მთებში

„ცოდვიან ხევსა“ და **„ციმბირად“** სახელდებულ ცერს შორის ხალვათად მიფენილი, ჯერაც ხამი ბალახით წანაბდული, ალაგ-ალაგ ქვიშით დაზოლილი ფერადი ფერდობები...

თორღვას აბანოს ხეობის სულწუხ სიღრმეში სიზმარეულ ჩვენებასავით გამკრთალი, ელქეში ნისლის სახვიელისგან გაქცეული ოკრობოკრო, წინდის ბაწრის ნაშალივით მყიფე და მორღვეული გზა...

მკვეთრი და მოულოდნელი მოსახვევის ყუვთან გაჩერებული, თუშეთისკენ გეზაღებული მიკროავტობუსი... უცნობი კოლეგისადმი ჩვენი მძღოლისა და მეგზურის ილო უშიშაიძის მიერ დასმული შეკითხვა და ალალი, არამანერული შეთავაზება: ხომ არაფერი გიჭირთ, რითი დაგეხმაროთ?..

და ხედავ მიკროავტობუსსა და თანამგზავრებს მოშორებულ, ასიოდ ნაბიჯით გამანძილებულ, აღმა მიმავალ ელგუჯა თავბერიძეს, ბარელი კაცის შეუნიღბავი ცნობისწადილით რომ გაჰყურებს საცხვრე ხორხის ველურ, ჩამოჭმეხილ სახილველს... ზეალპიური ზონის სახრინავზე მიმდგარი ზვავის ნადნობებისა და კამკამა ნაკადულების ერთობლიობა თითქოს იმის გამო შეუქმნია სამყაროს გამჩენს, სოდომგომორული ცოდვით დამძიმებულსა და გაჭუჭყიანებულ კაცობრიობას პირველშობილი სიწმინდეების კვლავ არსებობა რომ შეახსენოს და დაუნამდვილოს...

ახლადამშრალ ხევისპირებზე – მყოვანი დიყი და კენკეშა... ნაწიდარში – გამყავრებული ღოლო და ჭინჭარი... მუქმწვანე დეკიანები, სადაც ეს-ესაა მწიფს შემრეშილი შალშავი...

შუა ზაფხულშიც კი გვარიანად გრილი უღელტეხილი, სადაც ეკლესიის ასაშენებლად მგზავრთა მიერ დაბლობიდან ატანილი ქვების დიდი გროვაა...


სამდღიანი საზაფხულო სკოლის მონაწილეები წირწამულში გაუჩინარებული კახეთისკენ მოვდივართ. ზრდილი იმერლები თუშეთის ქორბუდა სოფლებისკენ მიიჩქარიან...

გული გწყდება.

გკაწრავს მთაში ყოფნით დაუკმაყოფილებლობის მრავალჯერ გადატანილი ნოსტალგიური გრძნობა.

ისევ შენაქოს, დიკლოს, დართლოსა და ფარსმის ხურხევაებში ხეტიალით დაღლა და კაკო ბუქვაიძის შინაში ღამეების თენება ჯობდა...

თანაც გიხარია, ელგუჯა თავბერიძეს – ცნობილ ქუთაისელ მწერალსა და წარმატებულ გამომცემელს, ღირსეულ კაცსა და ჩინებულ მოღვაწეს – საცხვრე ხორხზე ბევრად უფრო მომნუსხველი სურათებით აღფრთოვანება და გახარება რომ ელოდება წინ!..



პანტო თათარაშვილი („თუშ მეცხვარეში" – თანდგილა)


„ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა...“

„ლექს სხვაზე გადავაქციე, რო თოვიანჩი ქარიო...“ „ლექს უნდა გადავაქცივა, როგორც ლესვაჩი ქასური...“ „ლექს სხვაზე გადავაქციოთ, ბან მამე საჟიჟინაო...“ „ლექსს სხვაზე შამავაბრუნებ, როგორც ბორბალსა წყლისასა...“

ლექსის „**სხვაზე გადაქცევა**“ („**შამაბრუნება**“) რითმის შეცვლას, სხვა წყობის სარითმო სიტყვებზე გადასვლას, ერთი პოეტური ტექსტის ფარგალში გარკვეული ცვლილების შეტანას გულისხმობს.

მხატვრული შედარების კომპონენტად ეთნოკულტურული რეალიების (ქასური, საჟიჟინა, წყლის ბორბალი) მოხმობა შემოქმედებითი პროცესის პროფესიული სპეციფიკის შიდა შრეს ათვალსაჩინოებს: მელექსე – „**რა მისჭირდეს საუბარი**“ – მსმენელს (მკითხველს) აუწყებს,

ალექსი ჭინჭარაული



რომ შეგნებულად ცვლის სიტყვის **„ყუვს“** და, ამასთან, ამ უწყებაში მისი პირადი პოეტური დახელოვნების აქცენტირებაც ხდება...

ქარნარევ თოვასა და ქასურის ანუ სალესის წინაუკმო მოძრაობასთან ლექსის **„გადაქცევის“** (რითმის შეცვლის, შესხვაფერების) შედარება უჩვეულო სახისმეტყველებით ეფექტს ქმნის. ლექსის სტრუქტურული ელემენტების ინტერპრეტირება იმავე ლექსის საზღვრებში მწიგნობრული, წერილობითი პოეზიისთვის უცხოა... ხალხური პოეტური ტრადიციის თავისებურებათა კვლევისას ეს მომენტიც ყურადსაღები და გასათვალისწინებელია.

ბესარიონ გაბური

არხოტში შავი ჭირი მძვინვარებს. სამარის გორზე მაცილი და მიწრიელი ხარობენ. დაცლილა და დანაღვლიანებულა ჩქამჩაკრეფილი ბან-კარი, ბილიკები, შარა-უბნები. აღარც ვინმე თუნგით ხელში წყაროზე მიმავალი ჩანს. ზმუის დამშეული, მიუხედავი, გომურებში გამომწყვდეული საქონელი. გაბმულად ყეფენ და ყმუიან ნაყრუნახავი ძაღლები...

სამგზავროობიდან თემ-სოფელში დაბრუნებული ბესარიონ გაბური თავის ძმასთან ადუასთან ერთად კარასტიანად ჩამოიღებს მეზობლის – მანგია გიგაურის მიწური სახლის კარს, შესძახებს, შეეხმიანება, დაუნდობელ ავადობას არ შეუშინდება და უღონკრო, სულთახდის მომლოდინე სნეულებს პურ-წყალს მიაწოდებს (პირველი მსოფლიო ომის ჯოჯოხეთი გამოიარა, ტყვიის წვიმაშიც არაერთხელ მოხვდა, დაიჭრა, სიკვდილს სასწაულით გადაურჩა და ეპიდემიას შეეპუებოდა?!).

გიგაურები ეხვეწებიან: ნუ შემოდიხარ, დავიხოცებით და ერთურთს აქვე დავმარხავთ, ჩვენი გულისთვის თავს ხიფათში ნუ ჩაიგდებ, მოგვშორდი, ახლოს არ მოხვიდე!



ბესარიონ და ნათელა გაბურები

მანგია, გიგაურების ოჯახის უფროსი, მალევე გარდაიცვლება, ხოლო მის ორ მცირეწლოვან ქალიშვილს ბესარიონი თავისთან წაიყვანს და ამ გზით დაიხსნის სიკვდილისაგან...

ესეც ერთი ფასდაუდებელი და საუკუნოდ დასამახსოვრებელი შტრიხი ბესარიონ გაბურის – ამ მადლიანი კაცის, მოღვაწისა და უნიჭიერესი შემოქმედის – შფოთიანი ბიოგრაფიისა; საქციელი ადამიანისა, ვინც „ხევსურული მასალების“ სახით ჩინებული ფოლკლორულ-სამართლებრივი ტექსტები შემატა ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ნათავედ სიტყვიერ საგანძურს...

ბესარიონს იმის უფლებაც ჰქონდა, პირად მიმოწერაში სანახევროდ სახუმარო მეგობრული შეთამამებით მიემართა აკაკი შანიძისთვის: **„რა-ჴელი ას, რო კაცმ ქართულ ენა ვერ დაისწავლას? ორ წელი გასწავლ, შენ ვერა მაგადინ!“**... ჰქონდა უფლება, ვინაიდან თვითონაც გახლდათ მათქვამი იმ რანგისა და მხატვრული ღირსების ლექსებისა (სახნავში მყოფი კვალში ჩაჯდებოდა და მოულოდნელი შთაგონების შედეგს, რომ არ დავიწყებოდა, სიპის მწვეტი ქვით ხელის ბრტყელ ზურგზე ამოიკაწრავდა), რომელთა მოსაძიებლად ჩვენი ენათმეცნიერული სკოლის პატრიარქს მთა და ბარი ჰქონდა შეჯერებული...

მანანა გაბურის მონოგრაფია „ბესარიონ გაბურის ცხოვრება, შემკრებლობითი მუშაობა და შემოქმედება" (2009) გაჯერებულია ისეთი ამბებით, ხევსურეთის – **„საქართველოს წარმართული წარსულის ღია მუზეუმის"** (ოთარ ჭილაძე) – განუმეორებელ სულიერ სამყაროს რომ გაზიარებს, გაგაცნობს და განგაცდევინებს.

ფერთამეტყველებისა

„ბილიკი სიყვარულისა ხან მწვანე, ხანაც სისვია..."

ეს სტრიქონები ეკუთვნის ვაჟა ხორნაულს – კარგ პოეტს, მშვიდ, ალალ, ფიქრიან პიროვნებას. ხალხური ხმოვანებით წელმაგარი მისი ლექსი მკითხველს გადამდები ლირიზმით, სათქმელის სიღრმით, მხატვრულ სახეთა მოულოდნელობითა და იაპონური ტანკასთვის ნიშანდობლივი უკიდურესი ლაკონიზმით ხიბლავს, იზიდავს, აკითხებს თავს, ამახსოვრდება... და ამახსოვრდება ის ლექსიკური შეუსაბამობაც, მისებრ მახვილი სმენისა და პასუხისმგებლობის მქონე შემოქმედსაც რომ შეიძლება დაემართოს... **„სისვი"** ცნება **„მწვანის"** დიალექტური (ხევსურული) შესატყვისია და მათ შორის თითქმის არანაირი ნიუანსობრივი სხვაობა არ არსებობს. გამოდის, რომ სიყვარულის ბილიკი ხან მწვანე, ხანაც მწვანეა... ეს თითქოსდა უწყინარი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ზადი თუ ხარვეზი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, როგორი სიფრთხილეა საჭირო, როცა რომელიმე კუთხის ლექსიკური სალაროთი ვსარგებლობთ და ლიტერატურისკენ ვუკვალავთ ბილიკს სემანტიკური ანდა ესთეტიკური თვალსაზრისით ღირებულ ენობრივ ერთეულებს (**„სისვის"** სულხან-საბასეული განმარტება – **„თეთრშავ არეული ბალანი"** – ამ შემთხვევაში საპირისპირო თვალსაზრისის არგუმენტად ვერ გამოდგება, ვინაიდან იგი სულ სხვა საგნობრივ სინამდვილეს გულისხმობს).

ანდრეზი

„სწავლულად ისტორიაი. ჩვენებურად – გლეხურად, ანდრეზი“, – მიხსნის ადუათ უნცრუა. **„ანდრეზ ძველის, წინანდელის სახსოვარი“**, – განმარტავს იქვე და მეტი მკაფიოობისთვის ამასაც დასძენს: **„ვიღაცას კა რაიმ რო ეთქვ, ის დარჩებოდ ანდრეზად...“**

საღომლიაში ჩვენს საუბარს დედაჩემი ისმენს (თან კეცეულებს აცხობს) და ასეთი ხალხური ლექსი ახსენდება: **„ანდრეზად არ მადენილა ემაგვდენ ხრიალ-გრიალი, ქალების მიდენ-მადენა, ღამე არ არცხვნის ტიალი“**...

1982 წლის 5 ივლისია.

გარეთ შუადღის ალმური ტრიალებს. ის დროა, მზე რომ ზენიტში დგას და ხეები ჩრდილებს კარგავენ...

უნცრუა გაზაფხულზე მომხდარ და სამ თვეს გაგრძელებულ ანდრეზულ ამბავს მიამბობს: **„ზეისტეჩოელ კაც იყვ, თემროზაულთ მამიშვილობისა, ვაჩე ექვივნ. სამგზავროობით უკენ რო ბრუნდებოდ, ჩხუბაის და ბაცალიგოს შუაში, ჴევში, ზვავმ ჩამააგდა და ძირს მაიმწყვდივ. ცოცხალ გადაშჩ. ზვავისგან დალეულ დათვიც იმის ახლოს მახვდ. დაიწყ ვაჩემ იმ დათვის ჭამა. დაიწყა და შაჭამ მთლიანად... ზვავ რო დათხელდა და ჩატყდ სამის თვის მემრ, ვაჩე მაღლა ამაჴდ. წავიდ შინ... ფერშაცვლილ იქნებოდ, ნიადე. დახვდ დედა... კედელზე ფანდურნ ეკიდნეს. იმას მიეწვად ვაჩე. დედამ ვერ იცნა და უთხრ: – ნუ ჩამახჴდივ, ჩემ შვილის დაკიდებულ ფანდურნიავ!.. ჩამახჴად ვაჩემა და დაამღერნ: „სამი თვე ზვავში დავლიე: მარტი, აპრილი, მაისი, დათვი ტყავ-ჴორცით შავჭამე, ნეტავ რას მიზამს მე ისი...“ ეს რო გაიგონ დედამ, გონ ახჴდ. მემრ გაიგ, რო იმის შვილ დაბრუნდ. ვაჩეს ნასახლკრალ, ყორეები და ჴოლ იქავ ას ზეისტეჩოს. ეგი სინამდვილე, ზეპირა იცის იქ მცხოვრებ ხალხმ...“

მე და უნცრუას, ჩემ დაბადებამდე ზეისტეჩოდან ჯუთაში გადმოსახლებულ მაცოდარ კაცს, ქაზდარში ტაბლა გვიდგას და უპრეცედენტო ამბის ამსახველი ანდრეზის გმირად ქცეული ვაჩეს შესანდობარს ვამბობთ.

ტანჯვის ღამე

1907 წლის 31 აგვისტო.

ილიას ვერაგული მკვლელობის მომდევნო დღე. ატკრეცილი კარ-მიდამო; დამგლოვიარებული ხალხი; დაბნეული მსახურები; ზედაზნის ფერგაცრეცილი მიდამოები...

გაზეთ „ისრის" რედაქციიდან საგურამოში მიდის მიხეილ ჯავახიშვილი...

დაღამდება და დამრჩომნი წასაფარებლებს ჩამოირიგებენ (დედაქალაქიდან თუ ახლო-მახლო სოფლებიდან ჩასულთაგან, როგორც ჩანს, ყველა ვერ ახერხებს შინ დაბრუნებას და ღამისთევა იქვე, საგურამოში უწევთ). მიხეილ ჯავახიშვილს ილიას სისხლით შეღებილი ბალიში შეხვდება; ბალიში, რომელზეც მგზავრობის დროს ბეჭებს ასვენებდა ხოლმე ეტლში მჯდომი ერის უგვირგვინო მეფე...

მიხეილი წყაროსთან, დიდი კაკლის ქვეშ მოათავსებს ბალიშს, ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებს, გადააფარებს, დადებს თავს და... **„ფსიქიურად დატანჯულსა"** და **„ფიზიკურად დაქანცულს"** მამლის ყივილის ხანს ჩაეძინება..

უმძიმესი ოჯახური ტრაგედიის – დისა და დედის, სონას და ელენეს, არაადამიანური სისასტიკით ამოხოცვის – მერე პირადი ცხოვრების ეს ეპიზოდიც, ალბათ, ხშირად შეახსენებდა თავს...



და, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, სულ რამდენიმე წინადადებით რომ შემოიფარგლა და თავისი იმღამინდელი სულიერი მდგომარეობის შესახებ ვრცლად არაფერი დაუწერია.

დამთრგუნველი შემთხვევა იყო და მკითხველი დაინდო? თუ სისხლის ხსენება კიდევ უფრო გაახელებდა ცარისტული რუსეთის სულით ნათესავ ქართველ „მამულიშვილებს“ და ამის გამო იკმარა ფაქტის კონსტატირება?!

ეს ის შემთხვევაა, როცა კომენტარი ვარაუდების სფეროს დიდად ვერ შორდება.

არხოტელების საუბრიდან

(ამღა – 15.08.1981)

ციცქა ჯაბუშანური: **„უხალხობამ გაგვჯად იძულებულებ, რო აქით გადავსახლებულიყავით. აღარც ლხინის პატრონ იყვ, აღარც ჭირისა. მთიბელნ ვერ შავყარნიდით, ოთხ-ხუთნ ძლივ მაგროვდიან, თუ წასულ-მასულ ვინ შამაგვაწყდებოდ. რო ვინ მამკვდარიყვ, დამმარხავ არავინ იყვ. საფლავის ამამთხრელს, მკვდრის წამღებს ვერ მახჯელევდ“.**


გაბრიელ ოჩიაური: „ჯვართ შაუჴდენავ ალიათ მგელა ბარუქის კუჭ. ერთან ქოჩან გადმამაფარნესავ ტიტველსავ, – ნუ გეშინისავ, არც შაგცივდებისავ, არც მაგშივდებისავ... ჩამამახენებიესავ: საირმესავ ნადირნ დადიოდესავ, ამღას ხე-ჭერნ იყვნესავ ჩაყუდებულნივ, ახიელ ჯინჭარ ილასტებოდავ...“

ობოლა წიკლაური: „რკენა (პეტრე ნაღვრისპირისა) ქარჩათ მამიშვილობის სალოცავი, ლაღ იაჴსარ-ჭოლიკაურებისა... გაგა ბერდიშვილ ყოფილ ყისმათიან, ნაწილიან კაც. არც მტრის ტყვია ხვდებოდა-დ რაც გინდ საქმე ყოფილიყვ, იმისად წაღმ შამაბრუნდებოდ...“

ხვთისო ჯაბუშანური: „ზამთრის აქ ჯოჯოხეთი, ზაფხულის კარგი. მამავალს წელს ვაპირებდ მლაშეში ჩასახლებას. აღარ წაოლ, რაკი



მარცხნიდან: ობოლა წიკლაური, უნცრუა წიკლაური, ამირან არაბული, ქირქო წიკლაური, კაკო ჯაბუშანური, ციცქა ჯაბუშანური. აძღა. 1981



საბეკური. ხოგის მინდის ნასახლარი

არხოტ ხალხ დაბრუნდ... კაცს რო ხიზან არ მახყავ, ის დიდხან არ იქნების მთაში, ადგებისა და იქავ წავ...“

ბეწინა წიკლაური: „არხოტის სიყვარულმ წამამიყვან ბარშიით. აქ ცოცხალ კი არა, მკვდარიც გაიღვიძებს. ვის არ უყვარს აქაურ ბილიკებ, წყლებ, წისქვილებ...“

ბადა თეთრაული: „ძალით გაგვასახლეს მლაშეში. ერთ კალმის მასმით გავნადგურდით... ატაბიონ ზეზიათ ბაბომა და ქმოსტელ სულთანათ ბერდიამ თავებ დაიჭოცეს – არც ერთს არ ეთმობოდ თავის მთა...“

უნცრუა წიკლაური: „თას რო ვის ეღვრებოდის, თას გეშლებისავ, – უთხრიან... ანდრეზ დროს მიაქვ: ავს კარგადია მააქცევენ,

ტყუილს მართლად მაგაჩვენებენ... მლაშეში ჩვენ არა გვეკუთვნის. ერთ მტკაველ მიწაიც არ გვაქვ იქ. ბეჩავებ ვიქნებითა თუ ბედიანებ, აქ მაინც არხოტივნებ ვიქნებით...“

* * *

ამღაში, ჴირჩლათ ბერდიას ნაბინავარ მიწურში, სამფეხა ტაბლის გარშემო ვსხედვართ და ვსვამთ – ბარიდან წინა დღეს მთიბლებისთვის ცხენის საპალნით ამოტანილ შუმ კახურს ვანაკლულებთ. უგზოობის გამო იხტიბარს არ იტეხენ ბუნებით ლაღი, უდარდელი, ენაგზიანი არხოტელები. კრძალვით სახსენებელ წინაპართა ფხიანი ხმლებივით უჭრით სიტყვა... ვემშვიდობები დამხვდურებს: ჯუთამდე მე და ჩემ წითლას ნახევარი დღის ღორღიანი გზა გვიდევს და ვჩქარობ...


ვგრძნობ: ასას დინების საპირისპიროდ მიმავალს მოწყალე თვალგულით მიმაცილებს იახსრის კალთას უდროობისგან დაღლილი და დანაღვლიანებული ყარიბივით შეფარებული **საბეკური** – ნასახლარი სულიერთა და უსულოთა გულთამხილავ ხოგაის მინდისა.

„ვერ ვნახე, დაკარგულიყო“

მენატრება: ის კარგი, დაკარგული ჯუთა. ღალიანი, ღონიერი, თავისი სამდღევრო საქმისა და საღონისის აბლაბუდაში გაბმული, ჯაფასა და ჭაპანწყვეტაში ჩაყუდებული, ჩამყუდროებული.

შავი ფანქრის რბილ მონასმებში სულჩადგმული და ამეტყველებული.

მიწური სახლები; მილაგებული კალოები და საკარმიდამოები; კოხტად აკვალთული ბანის სანაპიროები; ქვის კიბეები; სიპით და რიყის



„ჯუთავ, ნაპირის ადგილო...“

ქვით ნაგები ყორეები; საჩადლებში წინა წლის სერკვები და თივის ზვინები; ზეთა და ქვეთა გზა – ორივე ვიწრო, ღორღიანი, სამარხილე... ორღობეებში – კენტი კაცები; აღმართს შეკიდებული ბალღები და საკუსნაღბის წინკარში მიმსხდარი დიაცები; გლუმთაში დაბმული ცხენები; დიდი ლოდების ჩეროებს შეფარებული ხბოები; კუჭისთავის გასწვრივ საძოვარზე გაფანტული ცხვრის ნოტო; მდინარის პირას ჩადგმული წისქვილები; ხის ღარები და სარუეები; შუადღის მზეს მიფიცხებული, შრატდაღვრილი ზღავიანი ეზოები; სანაგაბრეები, აშამბებული ბექები და ნაღობები, სწორ მწკრივებად დაზოლილი საკარტოხეები...

მამაჩემის ნახატი – ზედმიწევნით ნატურალისტური და, ამასთან, რაღაცნაირად იდუმალი, მრავალწახნაგოვანი, ხაზგასმულად არქაული იერით აღბეჭდილი...

ერგასის წინ მზისპირიდან რეალისტური მანერით შესრულებული, ჯერჯერობით უკვალოდ დაკარგული ნამუშევარი...

დღეს ჯუთაში, ალპური ზონის სამსაუკუნოვან სოფელში, არც ერთი ბანიანი სახლი აღარაა...

ილო ფხოველის ნაამბობიდან

„რომ არ ვწერო ის, რაც შეიძლება სამუდამოდ დაიკარგოს, ჩემთვის შეუძლებელია; თითოეული ჩაუწერელი ამბავი ცრემლებამდე მეცოდება“.

გურამ რჩეულიშვილი

ენკენისთვის 28.

წელი – 2002.

ბარისახო. სკოლა-ინტერნატის სამასწავლებლო ოთახი.

გოგი ოჩიაური და ილო ფხოველი ძველი ფშავ-ხევსურეთის ამბებს იხსენებენ; დროთა დენაში გაცრეცილ სიუჟეტებს ნაპირ-ყუვს უმთელებენ, ჰყვებიან... იქ ეგულებათ თანადროულთა მჯობნი ქართველები. დანაწევრებული სულების სალბუნსა და მალამოსაც იქვე, ცხოვრების იმ „მარტივ“, უბრალო წესებში ეძებენ, უახლოვდებიან, პოულობენ...

ანკესზე წამოგებული არაგვის კალმახივით აფართხალდება მორიგი მოგონება; აფართხალდება და ისევ დავიწყების მდინარეში რომ არ გასხლტეს და გაუჩინარდეს, სეფისკვერივით ჩამორიგდება **„ყურთით მაყურებელთა“** შორის...



გოგი ოჩიაური, ეთერ თათარაიძე, ილო ფხოველი

ახლა, როგორც იტყვიან, ძია ილოს წისქვილის ჯერია:

– ამ ბოლო წლებში ხახაბოში დავდიოდი. იქვეა ხონისჭალა, სადაც ერთი მოხუცი კაცი – როსტომ შეთეკაური ცხოვრობდა... ერთხელაც შატილიდან გამგზავრებული შუაღამისას მივედი. ძაღლებმა ატეხეს ყეფა. გაიღო მიწურის კარი. გამოვიდა მასპინძელი: – ღმერთო, დამწერევ ჯვარივ, ფშავლის ჴმაიავ ეეგივ!.. გაიხარა ჩემი მოულოდნელი მისვლით... მაშინ თქვა: – ერთხელ კურდღელაურში შავი ღვინო დავლიე. პირიდან იმის გემო დღემდე არ გამნელებიაო... ქერის შინნახადი ბლომად ჰქონდა, მაგრამ ღვინო ენატრებოდა... სხვას წელს რომ ავედი, ჩემი ხელით დაწურული ყურძნის წვენი ავუტანე. დავსხედით და ვიქეიფეთ. გამოიტანა ჭიანური... დაუკრა და რა დაუკრა, სულ ცხარე ცრემლით ატირა სიმები!.. ყველაფერი

იცოდა იმ კაცმა: სტუმრის ღირსეულად მიღება, მოფერება, სასიამოვნო მასპინძლობა, სიდარბაისლე... არ ვიცი, ახლა სად არის. იმედია, კიდევ შევხვდებით...

.....

ახლა ხახაბოში და ხონისჭალაში მიღმახევის ცივი ქარები დათარეშობენ.

როსტომ შეთეკაურისა და ილო ფხოველის წილი საწუთროც მდუმარების ნავლისფერმა ნისლმა დაფარა...

.....

და ზნეობრივი საქციელის ეს პატარა ამბავიც იმ დღეს გვიამბო ძია ილომ:

– ახადელი ბოიგარი რაღაც საჩქარო, გადაუდებელ საქმეზე საზვავეში წავიდა სოფლიდან. მეზობლები გააფრთხილა: თქვენ უკან, შორიახლოს მომყევით, ხევს თუ გადავურჩი და სამშვიდობოს გავაღწიე, მერე წამოდითო... გატყდა მთა. იქუხა ზვავმა... ბოიგარმა ქუდი მოიხადა და ხელი დაიქნია: – აბა, კარგად იყავითო!.. წამში წაშალა თოვლის სითეთრემ. სამ თვეს ეძებეს. იპოვეს და მიაბარეს მიწას. აი, ეგეთი ხალხი იყო წინათ!..

.....

თვითონაც **„ეგეთი“**, მუდამ ღია, უღრუბლო ღიმილის მჩენი კაცი იყო ილო ფხოველი – ჩვენი რჩეული, საყვარელი პოეტის **„ლურჯთვალა შალანი“**.

შარუმათ გაბრიელი

ორთავ თვალით უშტარი გაბრიელ ჭინჭარაული – თანამიწაწყლელთა და ახლობელთათვის – **„შარუმათ გაბრიელი“**.

ღირსების მაღმერთებელი ძველი დროის ადეპტი და გამოცდილი მოწესე ხანთუხნიერესი ხევსურული სადღეობო რიტუალებისა და რჯულ-სამართლისა.

მართალ-მაგარი, პირდაპირი, გულის ხმის, გონების რჩევისა და მკაცრი ზნეობრივი იმპერატივების მოყურიადე და მიმყოლი მელექსე: **„ახლანდელ კა ვაჟს სჯობია, მაშინ ვინც იყო ჯაბანი“**.

წარმოშობით ჭეჭყეთიონი (ნასოფლარი ჭეჭყეთი შატილისკენ მიმავალი გზის მარცხნივ, კისტნის მიდამოებში მდებარეობს) კაცი დღეს ჯუგაანში ცხოვრობს და ვერაფრისდიდებით შერიგებია თავის დიდ, ნედლ, გაუნელებელ ტკივილს: **„სამშობლოს დავემშვიდობე, ჯვარი დამწერეს კლდეებმა, ტირილით გამამისტუმრეს მამ-პაპათ სიმაგრეებმა“**.

საათენგენოდ ისევ მიდის მთაში, რათა საგვარეულო ჯვარ-სალოცავში ხევისბრობის უმძიმესი და, იმავდროულად, ულამაზესი საღვთო მისია აღასრულოს; დალოცოს და დაამწყალობნოს მეზღვნე-მეხვეწური.

გარს მუდამ ახვევიან გონიერნი და გამგონნი – დროვნილნიც და ახალგაზრდანიც...

ხმის გამცემს დანატრებული და საკუთარ კარ-მიდამოში „მწყვდეული“ ხანდახან თავის უბედობაზე დაიჩივლებს: **„დღეს მხურავ შავი ნაბადი, თვალებში ჩადგა ჩრდილია, რა უგემურად თავდება ჩემი სიცოცხლის წილია...“**

მერე კვლავ ნამუსიანი წარსული წამოაგონდება და აჭრილი დღევანდელობით გაწბილებული უსაფეროთა გასაგონად აძრახდება: **„მაშინ კაი ყმას აქებდეს, მტრის მეხსა, სისხლის მდინესა, შორად გზა-კვალის გამტანსა, არწივთან მესადილესა“**.

შარუმათ გაბრიელი – გარდასულ გმირთა და პირისწყლიანობით გამორჩეულ რიგით ადამიანთა საამქვეყნო ღვაწლის დამნახავი, შემცნობი, დამფასებელი და **„სამზეოს დაკლებულთა“** ლექსად დამტირებელი: **„არა ვთქვა, გული ღონდება, თქმა მიჭირს, არ მწადიანო“**.

შარუმათ გაბრიელი – მთიდან კახეთში გულსძალად ჩასახლებული ნიშატუცვლელი ხევსური, უთვალისჩინობისდა მიუხედავად უაღრესად მაღალ პოეტურ რეგისტრში რომ ჭვრეტს და წარმოსახავს კისტან-ლებაისკარისა თუ მიღმახევის თვალგულ მისავალ, სახილებელ სანახებს: **„ლამაზი ბროლით ნასევდი მხარ-ბეჭი კლდისა სალისა, ამღერებულებ ჴევები, ქოთი არღუნის ჭალისა“**.

შარუმათ გაბრიელი – ზედმიწევნით მცოდნე ხევსურული დიალექტური მეტყველების ყველა საქცევისა, დეტალისა, ნიუანსისა: **„...ნატყვივრიანის წუხილი, თავშარის ბობოქარია...“**

შარუმათ გაბრიელი – უფროსი თაობის ხევსურ მელექსეთა ერთ-ერთი უღონიერესი წარმომადგენელი!..

ცხადი და იდუმალი

„ქუდზე გალალეს სალდათი, ყანას დედანი მკიანო, შვილების მოლოდინი აქვ, ულოებს ცრემლით სვრიანო...“

დასრულებული, ახსნილი, უქვეტექსტო სურათია: მძიმე, ავბედითი დღეები დგას ქვეყანაში, სადაც გაორმაგებული სიმძაფრით განიცდება უმამრობა (გავიხსენოთ „ბახტრიონის“ სანათას გაკვირვება ობოლ კვირიას დანახვაზე: **„აღარ მეგონა, თუ მამრი კიდევ მიწაზე დადისა...“**)... და ამ დროს პოტენციურ გმირთა გამზრდელი დედები, ჩიქილაში თავპირ შემალულთ ქუდოსანთა სამეურნეო მოვალეობაც რომ შეუთავსებიათ და შვილების (ცოცხლად გადარჩენილებისა თუ ბრძოლის ველზე დაცემულების) მოლოდინში მდუღარე ცრემლად იღვრებიან...



არსენათ დედუა
(მზექალ ნიკლაური)

„ენკენიისთვე გამწარდა, თვირთვილ გააბა მთასაო, კარგა გაგლესავ, ნამგალო, ცრემლით ჩაგირეცხ ფხასაო...“

ისევ სიმწარე და ცხელი, მჩქეფარე ცრემლი. ოღონდ არ ჩანს, რა მიზეზით. თითქოს ჩვენს თვალსაწიერს წვიმანარევი ნისლის სქელი ფარდა აფარია. ვდგავართ ბანზე ანდა წინგარდაზე და გავიყურებით... და ვერ ვხედავთ, რა ხდება; რამ მოქსოვა უფსკერო და უნაპირო სევდით გაჟიებული ეს მომენტალური სამგლოვიარო სიტუაცია...

აქ, – მისტიკის ელემენტიც რომ უსათუოდ ურევია, – შეუცნობლობის მუხტი და იდუმალება მეტია. და (კეთილ) მკითხველს ანონიმი ავტორის ანუ ლექსის ლირიკული გმირის წრფელი თანამოსატკივრეობის ქვეცნობიერი წადილი უჩნდება: სურს გაიგოს, რა მოხდა და, თუკი მოუხერხდა, შეძლებისამებრ დაეხმაროს კიდეც...

მეორე ნიმუშში (როგორც ახლა იტყვიან – „ტექსტში“) უფრო ჭარბია პოეზია, გნებავთ – დუენდე, ვიდრე პირველში. ბოლომდე გაუმხელელი თუ გაუშიფრავი ტკივილის ნახმევი გაცილებით ახლოსაა სიტყვიერი ჯადოქრობის უჩინარ, უკონფიგურაციო მწვერვალებთან.

ისე, გალაკტიონზე უკეთ ვინ იცოდა ლოგიკურ განსჯას დაუქვემდებარებელი ეს არცთუ ისე მიამიტურად მარტივი კანონზომიერება: **„...სანამ წვიმა გადივლიდეს, გზები გამშრალდებოდეს, ნუ მოაცლიციურ რიდეს, რომ ბურუსში ჩნდებოდეს...“**

აუღებელი სიმაღლე

ვიდრე სტრიქონებში მოყვრებიდან გვიან ღამით შინისკენ მომავალი მამაჩემის ცხენის ნალების წკრიალს არ ავახმიანებ, მგონია, რომ სათქმელი ბოლომდე არ მითქვამს, მთავარი ლექსი ჯერ არ დამიწერია, მწვერვალისთვის არ მიმიღწევია...

ლექსიკურ თუ ფრაზეოლოგიურ სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ, შინაარსი კი ზედმიწევნით ასეთი გახლდათ მშობლიურ ყაზბეგში თავის საიუბილეო საღამოზე ალექსი გომიაშვილის გამოსვლის დამამთავრებელი, ფინალური ნაწილისა.

ნაპირყუვამდე ხალხით სავსე კინოდარბაზში, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ადგილობრივი და თბილისიდან წვეული მწერლები და ორატორები; თანამიწაწყლელი კაცისა და შემოქმედის წარმატებული დღით ხარობდნენ მოხევეები...

ყაზბეგის სკოლა-ინტერნატის მოწაფე ვიყავი და ვესწრებოდი გასული საუკუნის 70-იან წლებში გამართულ ამ მართლაცდა სოლიდურ, კარგად ორგანიზებულ, რაიონის კვალობაზე დიახაც რომ გრანდიოზულ ღონისძიებას.

და მოკიდებული იმ დღიდან, ვიდრე პოეტის გარდაცვალებამდე, სულ მქონდა რაღაცნაირად იმედიანი მოლოდინი იმისა, რომ მისთვის ესოდენ საოცნებო, სანიაზო, სანარჩევო ლექსს სადმე უსათუოდ წავაწყდებოდი და წავიკითხავდი.

შეიძლება შექმნა კიდეც და ახლა მის პირად არქივში ინახება? იქნებ გამოქვეყნებულიც არის და მე არ მინახავს, არ შემხვედრია?

რა გითხრათ...

წუთით წარმოვიდგენ ხოლმე წყალათხიდის მიდამოებს, ქაცვიან ჭალებს, თერგის ნაპირებს, ყაზბეგის (ახლა უკვე სტეფანწმინდის) ყანა-სათიბებს, მთვარის შუქით ლიბრად განათებულ ყუროს ჩამოფხავებულ კლდეებს, რიყის ბასრ ქვებზე ნაურვალი ცხენის ნალთა

წკრიალს, ამ სანუკვარ, შორით მომდინარ ხმაზე ხარბად მიყურადებულ ყმაწვილს და...

მგონია, რომ ამგვარი ჩანაფიქრი სხვა არაფერია, თუ არა აუღებელი სიმაღლის მკრთალი კონტური: ამოუთქმელი, დაუფიქსირებელი, ნერილობითი სახით გაუფორმებელი კონვენციური ლექსის ბალავარი, უქმად დებისგან ხავსი რომ აჰკვრია და უკვალოდ გაქრობის საფრთხე დამუქრებია.

ხევსურის მუძარა

(გოგი ქეთელაურის ნაამბობი)

„კომერციული" ინტერესით თბილისში ჩასულსა და ერთ-ერთ ბაზარში მოხვედრილ ხევსურს, ჭრელ პერანგზე მხარიღლივ რომ გადაუკიდებია მამაპაპეული ფარ-ხმალი და თავზეც ხაზგასმულად ნაციონალური ნამუსის ქუდი ახურავს, უბადო და უწვართი წვრილფეხა ბაცაცები საუბარში შეიყოლიებენ, გაართობენ, გააბრუებენ და დახლზე შემოდებულ, გასაყიდი ყველ-ერბოთი სავსე ხურჯინს თვალსადახელსშუა ააცლიან. მიმოიხედავს და... ლიტაო ხესავით ცარიელ-ტარიელი დგას ფუტკრის სკასავით მოზუზუნე, უზნეობის, ტყუილისა და უსინდისობის არენად ქცეული ბაზრის შუაგულში.

ბრაზი და ბოღმა სახეს აუწვავს, გათელილი თავმოყვარეობა შეაწუხებს, მზერაში რისხვის ნაპერწკლები აეშლება, სირცხვილის ალი წაეკიდება, აღელდება, აბობოქრდება და სეირის საყურებლად ირგვლივ შემოხვეულ ხალხს მიმართავს:

– თუ ხურჯინს ახლავე უკან არ დამიბრუნებთ, მეც იმას ვიზამ, რაც ჩემს დღეში ჩავარდნილმა ჩემმა დიდმა წინაპარმა ქნა!

ყალბად მოჭირხმიადენი, ცოტა არ იყოს, შეცბებიან, შეშინდებიან და მდგომარეობის დაძაბვის მოლოდინში თავიანთ ცნობისწადილს მარტივი შეკითხვით გამოხატავენ:

– რა ქნა შენმა დიდმა წინაპარმა?

– რა ქნა და... ის ქნა, რო ადგა და შინ წავიდა!..

დიდი კულტურის ნაკვალევი

ხაზხვეულების, ორნამენტებისა და იეროგლიფების იდუმალ ენაში ჩაშიფრული, აწ უკვე სამუდამოდ დავიწყებული სავარაუდო საკრალური ცოდნა და დადუმებული, გაქვავებული, გაყინული ისტორია ჭეჭყეთისა და კისტანის, შატილისა და ლებაისკარის, არდოტისა და ხახაბოს, მუცოსა და უკანხადუს, ბისოსა და ხახმატის, ჰეღოსა და გირევის, წაროსა და ინდურთის, ჭეშოსა და ჭონთიოს, ფარსმისა და დართლოს, დანოსა და კვავლოს, ახადისა და ხოშარის... ჩამობერებულ, ჟამთადენაში ლამის ჩამონაგაბრებულ ციხე-სიმაგრეთა და ჯვარ-ხატთა ჟანგიან კედლებში ჩაშენებულ ქვებზე, საცხოვრებელი სახლების ყორეებზე, კიდობნებზე, საფლავის ლოდებზე...

პიქტოგრამიანი ქვებიდან ზოგიერთი კაჟივით ურჩი და მტკიცეა, ზოგი – ჩეთი, დამყოლი და იოლად შლადი, მთლად შირიმის ქვასავით რბილიც არა, მაგრამ ისეთი, ასწლეულებს რომ ვეღარ გაუძლებს...

როდის გაჩნდა და საიდან შემოვიდა დაშიფრული დამწერლობის ძველთუძველესი ტრადიცია საქართველოს მთიანეთში, ბოლომდე ახსნილი და არგუმენტირებული დღემდე არაა.

გრძელდება ძიება, მიგნება, დაფიქსირება და, შეძლებისდაგვარად, შესწავლა.



პიქტოგრამიანი ქვა ლიქოკის ხეობაში

და გასაგებია ბეჯითი დებულებების წამოყენებისგან თავშეკავებაც: საამისოდ კომპლექსური კვლევა და მყარი, წყალგაუვალი არგუმენტებია საჭირო...

არმაზ ჭოლიკაურის და დათო ლიქოკელის კეთილი ნებისა და მეგზურობის წყალობით მეც მივაკვლიე ერთ ასეთ ქვა-განძს ლიქოკის ხეობაში. ოღონდ ის არც ქავ-ციხეშია „ჩაწერილი“ და არც სახლისა თუ ქვითკირის ულამკირო, მშრალად ნაგებ ყორეში: საგვარეულო სამლოცველოს სახურავგადახდილ, აშამბებულ „დარბაზში“ დევს და თავისი მრავლისმეტყველი ფიგურებითა და სიმბოლური ნიშნებით აზრთა საჭიდაო მოედანზე იწვევს სწავლულებს, მეცნიერებს, ინტელექტუალებს...

მივაკვლიე და პუბლიკაცია ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ ამგვარად დავასათაურე: „მინანის საფლავი?..“ გავიდა დრო და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (15.XI.2013) დაიბეჭდა ხელოვნებათმცოდ-

ნე-სკიპტოგრაფის (ამ ტიტულებით წარმოგვიდგენს თავს) გიორგი გიგაურის წერილი „ქართული და ლაზური პიქტოგრამები“. ახლავს ქვესათაურიც: „წერაქვული დამწერლობა“. ავტორი ჩემ მიერ მითითებულ (იმედია, ემახსოვრება და ვერ უარყოფს) ქვას საკუთარ აღმოჩენად ასაღებს: **„...2011 წლის ზაფხულში ჩვენს მიერ პირაქეთა ხევსურეთში მიკვლეულია და დაფიქსირებული კიდევ რამდენიმე ნიშნიანი ქვა, მათ შორის ე.წ. „მინანის ქვა“, რომელიც „კარატის“ ჯვარ-სალოცავებს შიგნით ინახებოდა“...**

როგორც ხედავთ, ქვისთვის ჩემგან შერქმეული სახელი ნაწილობრივ შეუცვლია და ამითი ცდილა პლაგიატის გადაფარვას.

ასე რომ, ჯერაც არსებობს კატეგორია „სწავლულთა“, რომელთაც შეუძლიათ უბოდიშოდ ნაშალონ წინამორბედთა წვლილი, „გააქრონ“ მათი ვინაობა და თავიანთ დამსახურებად ჩათვალონ ის, რაშიც მათ ერთობ კნინი, უმნიშვნელო გარჯა მიუძღვით.

საერთოდაც, კრიტიკული თვალით გადასახედია გიორგი გიგაურის მოსაზრებები და თამამი, ბეჯითი მტკიცების ტონით წამოყენებული დებულებები სკიპტოგრამულ და პიქტოგრამულ სისტემათა კითხვის ნიშნებით აღსავსე სფეროში.

ძილსა და ღვიძილს შორის

„ცხოვრების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სიკვდილის შემდეგაც არ მოკვდე“.

მუსა ჯალილი

გვეკარგება (მოგვწონს, გვენიაზება, კარგად გვიჩნს, არ გვეთმობა) და გვეძვირფასება ის, რასაც უკანმოუბრუნებლად ვკარგავთ. ვთქვათ: ჯანმრთელობა. ჯეროვნად ვერ ვაფასებთ იმას, რაც გვაქვს, გვაბადია

და ცხოვრებას გვილამაზებს. ვთქვათ: სიყრმე, სიჭაბუკე, ახალგაზრდობა.

წლების მატებას და, შესაბამისად, ჯან-ღონის კლებას ვერაფერს ვუხერხებთ; ნინ ვერ აღვუდგებით, ვერ შევაყოვნებთ.

ხოლო სულისა თუ სხეულის სისაღის შენარჩუნება დიდწილად ჩვენზე, ინდივიდებზე, ბედის ხელში სათამაშო არსებებად დაბადებულ მოკვდავთა მონდომებასა და ნებისყოფაზეა დამოკიდებული...

ვიცნობ (თქვენც იცნობთ) უბიოგრაფიო, უთავგადასავლო, სტერილურ პირობებში დღენაკლულად მცხოვრებ პერსონებს, გაციების შიშით მშობლიურ ნიავსაც რომ ემალებიან (ბევრ მათგანს, ალბათ, მოეხსენება, რომ **„მაიკო ორბელიანი მარაოს ნიავზე გაცივდა“** და, გამომდინარე აქედან, საგანგებოდ ფრთხილობენ!); **„ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი“** რომ არასდროს გაუვლიათ და არც ვარსკვლავებით მოოჭვილი ღია ცის ქვეშ უთენებიათ მთვარის შუქით გალიცლიცებული კაეშნიანი ღამე...

ხშირად სოფლის წარმავალი სიამეებით ტკბობის სურვილი სიფხიზლეს, წინდახედულებას, საკუთარი ნაბიჯების კონტროლს გვაკარგვინებს. გადავეშვებით თავდავიწყების ზღვასა თუ მდინარეში და მომყოლ, მომდევნო დღეებში უწესო, უზნეო, უნორმო ქცევისა და ცხოვრების მწკლარტე ნაყოფს ვიცოხნით.

გვიჭირს ზომიერების დაცვა და შენარჩუნება.

მუდამდღე უკიდურესობათა ყრუ ჯებირებს ვანყდებით, ვეცხებით...

ისე, კაცმა რომ თქვას, არც სამანებმორღვეული ყოფა ვარგა და არც მარჩბივებივით ერთურთს მიმსგავსებული ულიგმოტო დღეების მონობა. დღეთა ბუნებრივი დინების ერთგულ თანამგზავრობაშია მიმალული **„ლამაზი არსი ჩვენის კაცობისა“**... ჰედონიზმიც ისევე მიუღებელია ცოდვითდაცემული კაცობრიობის გონიერი ნაწილისთვის, როგორც ასკეტური თვითგვემისკენ ფანატიკური მიდრეკილება... ამიტომაც უწევთ ხანჯლის ალესილ ფხაზე სიარული ჭარბი ამქვეყნიური საცთურებისგან

გაქცევის მოსურნე, სიავისა და უკეთურების წინააღმდეგ ამხედრებულ ზნესრულ პიროვნებებს...

და მაინც: არაფერია საპირწონე მკივანი, მკვნესარე ტკივილისა, დროთასვლის უაღრესად აჩქარებული ტემპი რომ აღძრავს ადამიანში.


მარადისობის სახიერი სურათები

„საფლავიც კვდება, თუ დაივიწყებ და აღარ მოუვლი“.

ოთარ ჭილაძე

სევდიანი სიჩუმით აღსავსე ძველი ქართული სამაროვნების ხილვა, საუკუნო სასუფეველში დამკვიდრებულ ქუდოსან-მანდილოსანთა სანდომიანი სახეებისთვის თვალის შევლება და ირგვლივ ჩამომდგარი აზრიანი უბრალოება ერთიათად ამძაფრებს და მარილმოყრილი ღია ჭრილობის სიმხურვალით მსჭვალავს უაღრესად ტკივილიან, ნოსტალგიის უღრმესი წიაღიდან აღმოცენებულ, ჩვენი ჟამკარარეული ყოფისთვის სრულიად განსაკუთრებული დატვირთვის დამტევ კითხვას: **„რანი ვიყავით და რანი ვართ?!.“**

საუკუნის თუ ორი ამდენი ხნის წინანდელ სადა საფლავის ქვათა ნატიფი ორნამენტები, თანდაყოლილი მხატვრული ალღოთი და უტყუარი გემოვნებით შესრულებული ბარელიეფები, ბუნებრიობასთან მაქსიმალურად მიახლოებული ყოველი ნაყში, ნაოჭი, მასიური ლოდების გვერდებსა თუ ზედაპირზე ამოკვეთილი ეპიტაფია – ლაკონიური სამგლოვიარო ლექსი ანდა ორსიტყვიანი უბრალო წარწერა – საგნობრივი დასტური და არაორაზროვანი დოკუმენტია ჩვენი წინაპრების უდავო ნიჭიერებისა, ზეგარდმო მადლით გამშვენებული შემოქმედებითი შრომისა, სიბრძნისა და სიდარბაისლისა.



ძველი საფლავის ქვა დიდ კლდეისაში

ნაივური ხალხური შემოქმედება მის შემქმნელთა მოდგმა-მოდენილობის, მსოფლმხედველობის, ბუნების, ზნე-ხასიათის, საერთოდ, მათი სულიერი სამყაროს ხელშესახები ხატია... სინამდვილის ალალად, მიუკიბ-მოუკიბავად, შეულამაზებლად ასახვა „უბირ“ მელექსეთა, მეზღაპრეთა, მეანდრეზეთა თუ ქვითხუროთა ხელწერის თანმდევი ნიშანია...

ამ ბოლო წლებში მე და ეთერ თათარაიძეს საქართველოს ბევრი კუთხისა თუ რეგიონის შემოვლა მოგვიწია. მოვინახულეთ ძველი, ტრადიციული სოფლები და ქალაქები, ანუ ის პირწმინდად ქართული დასახლებები, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება შუმ (და არა ჩუმ!) წარსულთან პირისპირ შეხვედრა, დღევანდელობის სამან-საზღვრებიდან კაი ხნის გარდასული ყოფით – ეთნოგრაფიული რეალიების ხელახალი აღმოჩენით გაბარება და თავის გამხნევება, ნამდვილ სამშობლოში დაბრუნება და სულის სალბუნის მოხელვა, მოხელთება...

და აი, ერთხელაც, წვიმიანი მაისის ერთ უჩვეულოდ დარიან დღეს, მანგლისის უმშვენიერეს გზას დავადექით და წინდაწინ შეგულებული სოფლებისა თუ ნასოფლარების (ასეთია ულმობელი რეალობა!) ფერმიხდილ სასაფლაოთა მორღვეული ნაპირ-ყურენი მოვათვალიერეთ...

დაუპატიჟებელი სტუმრის „სტატუსით“ უცხო ძვალშესალაგთა მოღობილში მოხვედრა უნებლიე რიდისა და უტყვ დამხვდურებთან კრძალული დამოკიდებულების აღმძვრელია: შენი მამა-პაპანი ხომ აქედან შორს, ნისლიანი მთების გადაღმა, სხვა ქვეყნის სამოთხეზე ბევრად ძვირფასი კლდე-ჭიუხების მყუდრო კალთაში განისვენებენ და თუკი მათი ცხოვრებისეული გზის რამდენიმე მნიშვნელოვანი საბრუნ-საქცევი, ასე თუ ისე, იცი, სამაგიეროდ, აქაურობის ბევრი არაფერი გაგეგება. შესაძლოა ზოგჯერ სოფლის ცნობისმოყვარე (რა განზრახვით მოხვედი და რას აკეთებ!) მოსახლეც გამოჩნდეს, გაგეცნოს, მეგზურობაც შემოგთავაზოს და ისიც გიამბოს, რაც **„საფლავსა ამას შინა მდებარე“** ქალისა თუ კაცის შესახებ სმენია. მაგრამ ეს ხომ მაინც ზღვაში წვეთია, ძალზე ცოტა და უკმარია სურათის გასამთლიანებლად, ანუ, როგორც თუშები უწოდებენ, **„მიწისფერდებულთა“** მართალი ბიოგრაფიების აღსადგენად და ასამეტყველებლად...

დიდგორის გადასახვევს რომ გაცდები და შეუმჩნეველი დამრეციდან ცოტას გაივაკებ, გადახუნებული საგზაო წარწერა ხელმარჯვნივ შებრუნებას გკარნახობს: სამიოდე კილომეტრში მოხისია (ამავე სახელწოდების სხვა სოფელიც არსებობს საქართველოში, კონკრეტულად, გორსა და ხაშურს შორის).

თუ იმარჯვე და მუხლამდე ტალახში ავტომანქანიანად არ ჩარჩი, ტიპური ქართული სოფლის სადაგი დილის საამურ სიგრილესაც „დააგემოვნებ“ და ნამიან ფერდობზე საბალახოდ შეფენილი ლოხი ნახირის ცქერითაც დატკბები... სოფლის ბოლოში მდებარე რამდენიმე კრამიტისსახურავიანი სახლიდან ამოსული ლურჯი კვამლი გეუბნება, რომ

აქაურობა, სხვა ბევრის დარად, მხოლოდ ღვთის ანაბარა არაა დარჩენილი და არიან ადამიანები, დღესაც რომ ღონივრად ეწევიან სოფლის ღირსეული შვილობის ძნელსა და მძიმე ჭაპანს.

მომცრო გორაკზე, ზედ გზის პირას, მყარი, სადა საყდარი დგას, აღმოსავლეთის სარკმლით, რომლის კამარას მოყვითალო ფერის ძველი ქართული ასოებით დამშვენებული ქვა კრავს. წარწერა იმ ზომამდეა გალეული და გადაგლუებული, თითქმის აღარცკი იკითხება.

საყდრის გარშემო ხელმარჯვედ დაწერაქვებული საფლავის ლოდებია.

დროვნილნიც არიან აქ და ყმაწვილნიც.

„მოიხსენე უფალო ზაქრო წიკლაური გიგოლას ძე ამ უბედურმა სიკვდილმა რა უდროოდ მიგდო მახე მამაშორა წუთისოფელს ავი კარგი ვერა ვნახე სახლი დამრჩა მწუხარებით ცხარე ცრემლით დავიმარხე დამრჩა დედა მამა ძმები ღმერთო კარგათ შემინახე მხილველნო თითო პირი შენდობა მაღირსეთ“

ეს არის და ეს.

მეტს არას გვამცნობს განსვენებულის შესახებ ოთხკუთხა ქვის სწორ გვერდზე საჭრეთლით ღრმად ამოღარული უსასვენნიშნებო წარწერა.

საყდრის დაბლა, დაფერდებაზე, ხელხვეწილი ხაზებით უნაკლოდ გამოქანდაკებული ბავშვის საფლავის ცალ მხარე ოვალურად გამოყვანილი ქვა დევს, ძალზე მოკლე, თითქმის არაფრისმთქმელი წარწერით: **„გარდავიცვალე ექვსი წლისა 1818-სა წელსა შენდობა მითხარით“**.

მეცხვარის სამარის ქვას ყოჩისა და დუქარდის გამოსახულება ამკობს. დასახელებულია სიკვდილის მიზეზიც. რამდენიმე სიტყვაში ნოველის სათქმელია ჩაწნეხილი. გამჟღავნებულია უსაშველოდ დიდი გულისტკივილიც სამზეოზე დარჩენილთა გამო: **„მტრის ტყვიამ მომიღო ბოლო მშვიდობით ჩემგნით დამწვრებო ობლებო გაუხარელნო შენდობა მაღირსეთ ყველა მოყვრებო“**.

სხვა ქვაზე უარესი ტრაგედიის მაუწყებელი სიტყვებია გამოყვანილი: **„...მიმიპატიჟეს და მემრეთ ეკლესიასთან მომკლეს ხანჯლით“**.

საფლავის აფორეჯებულ ქვებზე აცოცებული, წვივს მწვდომი ველური ბალახი, ღიჭი და ჭინჭარი სანახევროდ ისედაც წაშლილი წარწერის წაკითხვას აძნელებს, თუმცა კონტექსტის გათვალისწინებით ნაწილობრივ მაინც ხერხდება დაქარაგმებული სიტყვების გაშიფრვა...

გადის დრო.

მკრთალდება და იკარგება უსახელო ოსტატთა უსაზღვრო სიყვარულით, მონდომებით, პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით ცივ ქვაში ჩაწერილი ლაპიდარული ისტორიები, ამა ქვეყნიდან გარდასულთა ცხოვრების დეტალები და პერიპეტიები, გულუბრყვილო ხალხური მხატვრობის გენიალური ნიმუშები, მწუხარე გულიდან გლოვის ხმასა და ინტონაციაზე ამოთქმული ცრემლშეუმშრალი ეპიტაფიები...

მოხისსა და მანგლისს შორის დიდი თონეთია, კაცრიელი სოფელი, მაღალ გორაზე მკვიდრად ჩადგმული ეკლესიით და მშვენიერი გარეშემოთი. იქვეა მესერშემოვლებული სასაფლაო, მართლაც რომ უნიკალური ქვებით. ბევრი მიწაშია დაფლული, ბევრისა მცირე ნაწილი, თავ-ბოლო ანდა მხოლოდ კუთხე ჩანს... გრძნობ, რომ ახალ „აღმოჩენასთან“ ახლო ხარ. ქვის ზედაპირზე ჩამკვდარ ბელტს ცალ პირს აუღიავებ, ასწევ, ააგლეჯ და ბალახის ფესვებით ნაქსოვი სველი მიწის შიდა მხარეს ცხვრის, ცხენის, ქამარ-ხანჯლის ანდა ქალის წარწერებიანი კაბის კალთის ანაბეჭდი აჰყვება...

სამი მტკაველის სიგრძის ბასრ ქვებზე ფაქიზად დახატული ყმაწვილების მოღუშული სახეებისა და ტან-ფეხის დანახვაზე ვაჟას ლექსის სტრიქონები გაგახსენდება: **„ღმერთო, ნუ მოჰკლავ პატარას, ნუ აუტირებ მშობელსა“**. და მემუარებიდან ცნობილი მისი პედაგოგიური მოღვაწეობის დიდთონეთური პერიოდიც (ურთიერთობა ბოქაულებთან თუ ხალხის მყვლეფელ სხვა მოხელეებთან) ბუნებრივად ჩაეხლართება



გომარეთი

აღმოსავლეთის სულფონ ფერდობზე ერთურთისაგან შორი-შორს დალაგებულ სამარის ქვათა ქვეშ მწოლიარე ქალ-კაცთა თავგადასავლებს... და წამიერად მურმან ლებანიძის ტაეპებიც აგეკვიატება, ღირსეულ წინაპრებთან თუ სახელიან მამულიშვილებთან წასვლის დაჩქარებას რომ ითხოვს ამქვეყნიური ყოფით და თანამედროვეთა უსახურობით შეწუხებული ლირიკული გმირი: **„...ყველა კა იქით ყოფილა, ცხენი მომგვარეთ, წავედი...“**

რამდენი ასეთი საძვალმალეა ქართულ მიწაზე, ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში, ასწლეულებს რომ ითვლიან და მკვდრული მდუმარებით უძლებენ ჟამთასვლის უნდობრობას, სენსა და სიავეს; რამდენი გულჩათუთქული ქალი თუ ვაჟი განისვენებს ამ ქვათა ქვეშ, რომელთაც საწუთრომ წარუხოცელი წყენა და ტკივილი აგემა, აწვნევინა და ისე გაუყენა მარადისობის ნისლიან გზას, ათასფერი ქვეყნისთვის წესიერად თვალის შევლებაც არ ადროვა.

კულტურულ ფასეულობათა მოულოდნელი გამონათებებითაა გაჯერებული ქართული ყოფა. უნაკლოდ, უდანაკარგოდ მათ აღნუსხვას მოკვდავის თვალი ვერ ახერხებს. შეჩვეული და, ამდენად, „ჩვეულებრივი“ გარემო სპობს იმის შესაძლებლობას, რომ სრულად აღვიქვათ და გავითავისოთ ნაივური შემოქმედების ჭეშმარიტი მნიშვნელობა; სადაგსა და „სერიულში“ ხელუქმნელი განძი აღმოვაჩინოთ; შევიცნოთ ნიჭიერებით აღბეჭდილი არაორდინარული ნამუშაკევის წარუვალი ისტორიული ღირებულება.

პესიმისტური

მშობლიურ დიალექტზე რომ მოვუქციო (პოეტური ტექნიკის საიდუმლოებათა ფლობის მელექსისეული თვითდახასიათება: **„ლექს სხვაზე გადავაქციე, რომ თოვიანში ქარიო“**), **„კაის მენდომედ“** მაჩვენებდა თავს და მეც ვენდობოდი. წამითაც არ შემპარვია ეჭვი მის სიალნეში, სიმართლეში, სიალალეში... ტოლს არვის უდებდა მჭევრმეტყველებაში: ვარსკვლავებს აეძრახებოდა და მიწაზე ჩამოსხამდა; ნაკადულს პირალმა შეაბრუნებდა; ახალმოსული თოვლის სიშავეში დაგაჯერებდა... მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა... თანამოსაუბრის გულის უკიდურეს კუნჭულებში შეაღწევდა და საჭიროებისამებრ შეცვლიდა ოქროპირობის ყუვსა და კილოს... სულ მუდამ ცხოვრების ალეგორიად აღქმული და დამკვიდრებული მდინარის ზედაპირზე ტივტივებდა. მეჩეჩებს დიდოსტატურად უვლიდა გვერდს. არც არასდროს წყალვარდნილებისა თუ ჩამთრევი, ქვედამზიდავი კუდიანი მორევის პირისპირ დგომის საშიშროება დამუქრებია. ლავირებდა. ნემსის ყუნწში ძვრებოდა... საქმეს მწვავე კონფლიქტამდე არ მიიყვანდა. უხერხული სიტუაციებიდან „სუფთა“ და „უცოდველი“ გამოდიოდა... სხვათა დასანახად იწერდა

პირჯვარს. გვერდში მყოფთა გასაგონად ლოცულობდა. შეანელებდა გაჩქარებულ ნაბიჯს და უსახურ შენობებს შორის ამომღერებულ ტაძარს – სახლს ღვთისას – ნაფიცი მორჩილის მიამიტური მზერით მიაჩერდებოდა, მიაკვდებოდა...

და ერთხელაც, ღვინოს რომ მიეძალა და ჭკუის გასაღები დაკარგა, სიტყვის მუხრუჭებმომცვდარმა გაამხილა ის, რასაც, ალბათ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ფიქრობდა ჩემზე... **„მთვრალი გულის სიტყვას ამბობს“**. ხალხური ანდაზის სიბრძნემ ათასმეერთედ დაამოწმა თავისი უზადობა, უმცდარობა, უთუმცაობა... ვერ მივხვდი და ბოლომდე დღესაც არ ვიცი, რა მქონდა (ანდა ახლა რა მაშავია) მისი შესაშური, მოთმინებიდან გამომყვანი, ადამიანობის ლარიდან და კალაპოტიდან ამომგდები...

იმ დღიდან სათოფეზე (უფრო სწორად: საისრეზე) აღარ გამკარებია. თურმე ვირტუოზულად ფლობდა გზის აქცევისა და „ნევიჟუ“-ს ხელოვნებას... სხვა მერიდიანებზე გადაინაცვლა; სხვა ურთიერთობების ძებნა ამჯობინა. და გამიჩინა საწუხარი: იქაც რომ გაიცნობენ და მიხვდებიან, რა ზნის კაცია, გამოფხიზლდებიან და განიხიბლებიან, მაშინ სადღა წავა, ვისი კიბის მოაჯირსა თუ სახლის ყორეს მიეყრდნობა; ვის სახელსა და პიროვნულ პრესტიჟს მიექადლება?!.

ღმერთო, დაგვიფარე ორსახოვან ორფეხთაგან, შუბლზე ვითომ მირონი რომ გადასდით, ხოლო ღორღიან, ამოღამებულ გულში ბოღმა და ბოროტება უდუღთ!

საზომი სიცხის... საზომი წნევის...

სინრფოების საზომი აპარატი, სამწუხაროდ, კაცობრიობას ჯერჯერობით არ გამოუგონებია.

არხოტის ხეობაში

ცირცლოვანი (ამ ხეობაში ჭნავის, ანუ, ხევსურულად, **„ცირცლის“** ერთი ხეც არსად დგას და როდის და რატომ შეარქვეს **„ცირცლოვანი“**, ძნელი სათქმელია).

ჭიმღის კლდეთ ძირში, ქვანაყარ ფერდობზე, ერთი ხავსიანი ლოდის დაბლა, ელპიდე კურელას საფლავი. ლოდზე მიმაგრებულ გრანიტის ფილაზე გერმანულენოვანი წარწერა:

ICH ABER WILL DEM KAUKASUS
ZU... F. HOLDERLIN
ELFRIDE KURELLA
GEBOREN 11 3 1909
HIR GESTORBEN 25 7 1957

არხოტში მიმავალმა ადგილობრივმა მგზავრმა თუ არაქაურმა მოგზაურმა ამ სამარის სიახლოვეს უნდა გაიაროს.

(სამი ათეული წლის წინათ არხოტიდან ჯუთისკენ გამობრუნებულებმა – ეთერ თათარაიძემ, ლელუა არაბულმა და მე – ველური ყვავილების დიდი თაიგული დავდეთ ელპიდეს საფლავზე)...

დამზაფრველი ტრაგედია აქ 1957 წლის ივლისში დატრიალდა. უზანგში ფეხჩარჩენილი გერმანელი ქალი მისი წითელი კომბინიზონის დანახვაზე დამფრთხალმა ცხენმა, სახელად „ალიმ“, ქვა-ლოდებს ახალა და, როცა განწირული მხედრის უსულო სხეულის სიმძიმე იგრძნო, მაშინღა შეჩერდა საბედისწერო დაღმართში.

ალფრედმა არხვატელების – **„ღვთის რისხვის ნაწინწელთა“** შთამომავლების – დახმარებით იქვე დამარხა საყვარელი მეუღლის ცხედარი (ცოლ-ქმარს ასეთი პირობა ჰქონდათ: თუკი რომელიმე მათგანი კავკასიის მთებში დაიღუპებოდა, იქვე დაკრძალულიყო).

შემორჩენილია ალფრედის მიერ გადაღებული ფოტოსურათი: ახალგათხრილი სამარის გარშემო მოძრაობენ გურამ რჩეულიშვილი, ვაჟა

გიგაშვილი და ახიელელი ხევისბერი და უბადლო მხედარი ბაიჭაურთ ხვთისო (ცისკარაული). იქვე ჩანან გზირიშვილის ექსპედიციის დადარდიანებული წევრები...

ათენგენობის – საუფლო ჟამის – წინა დღეა.

მომხდარით აფორიაქებული, უცხოელი სტუმრების გამყოლი გიგლა არაბული ოჩიაურების კარზე მიაგდებს ოფლად გაღვრილ ალის და ბანზე მშვიდად მსხდომთ, **„ლუდით სიმთვრალეს არაყით რომ იშუშებდნენ“**, სამწუხარო ამბავს შეატყობინებს. გურამი ბანიდან მარჯვე ნახტომით მოევლება ცხენს და ცირცლოვანისკენ გააჭენებს...

სხვები ქვეითად გაჰყვებიან უკან...

დასრულდება დაკრძალვის უჩვეულო რიტუალი. ჭირისუფალნი (კურელებს ვაჟიშვილი შტეფანიც თან ჰყავდათ) და მათი მოსატკივრენი არხოტს მიაშურებენ... და იმ ღამეს ერთი „ნახელიტრა“ ჟიპიტაურითა



გიგლა და თამაზ არაბულები

და პურ-სატნით გაწყობილ ტაბლასთან სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ საუბარში გაათენებენ ალფრედ კურელა და გურამ რჩეულიშვილი...

.....

საუკუნის ნახევარზე მეტია მას მერე გასული.

აწვიმს და ათოვს საქართველოზე და ქართველებზე ფატალურად შეყვარებული გერმანელი მოგზაურის სამუდამო „სავანეს“, რომლის უკან, ჭიმღის პირქუშ კლდეებში, რქაჯანგიანი ჯიხვები და თვალფრთხილი შურთხები ბინადრობენ...

და ხანდახან, როცა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის წადილი მოვლენათა „ფილოსოფიური“ განსჯისკენ გიბიძგებს, ნება-უნებლიეთ მოგეძალება სულხარბი, რამდენადმე ეგოისტური, შესაძლოა არაეთიკურიც კი, ფიქრი: რომ არა ეს უბედური შემთხვევა, გურამ რჩეულიშვილის „სიკვდილი მთებში“-ც ხომ არ შეიქმნებოდა, ქართული მხატვრული პროზის დიადი ნიმუში!..

ნარიყალადან

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის მონასტერს ჩაეყარა საფუძველი. ტაძარი ქართველი ხალხის, ერისა და ბერის, მქონებელთა და უპოვართა ნებაყოფლობითი შემოწირულობით შენდება. ცის ტატნობზე, მთის დავაკებულ თხემზე, გრანდიოზული ნაგებობის პირველი საგნობრივი ნიშნები გაჩნდა: ნარიყალადან, ჩემი სახლის ეზოდან და აივნიდან, მიუხედავად საკმაო სიშორისა, გარკვევით გამოიკვეთა შენობის ფასადის კანთიელი კონტური. თითქოს მიწის მიუწვდომელ სიღრმეში, ღვთიური სიწმინდით მხარგაპოხილი მაღლობის იდუმალ წიაღში, ქვესკნელის უკიდეგანო

სივრცეში იღებს სათავეს და დღითიდღე მატულობს, იზრდება; ივსება ზეციური მადლითა და უმრუმო სინათლით...

უფლის უშურველ წყალობად ვთვლი, რომ გამხადა ღირსი დღენიადაგ თუ ყოველ დილა-საღამოს ამ მშვიდი, დიდებული, აღმატებული, ჭეშმარიტად სინერგიული პროცესის ცქერისა. მალე ცად აღმყვანი კიდევ ერთი ნასიკეთვარი კიბე შეემატება და დაამშვენებს პირწმინდად ქართულ, განუმეორებლად თავისთავად თბილისურ ლანდშაფტს!..

სიმძიმე

ქია, ქარქვეტა, ქარში მოფარფატე ხმელი ფოთოლივით მჩატე, ნაჩხატსა და ნაბეჩხარ მიწასავით უღალო და უნაყოფო, უშნოდ, უშვერად, უშინაარსოდ მოუბარი ქალისა თუ კაცის გასაგონად და გასათავისნინებლად ახლაც ამგვარად ფიქრობენ და „დიდაქტიკოსობენ“ ადამიანურ ღირსებათა „ნუსხისა“ და ნაირსახეობის ზედმიწევნით მცოდნე, წლების სიმრავლით დამძიმებული და დაბრძენებული თუში ბერდიაცები: **„სიმძიმე ქვასაც უჭდებ!“**

მეამა და მემშობლიურა, როცა ზომიერი მხატვრული „ესენციის“ შემცველი ამ სამსიტყვიანი სენტენციის პოეტურ ანალოგს მივაკვლიე ჩვენი მუდამჟამს მყოვანი, ხავერდის ხაოსავით ნედლი და ხასხასა ხალხური პოეზიის ჯერაც ბოლომდე აუთვისებელ და ამოუცნობ დიდ საბადოში: **„სიმძიმე ქვათაც უჭდების, ვერ ზიდვენ დილის ნიავნი...“**

ასე თვლიან კოლოსალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ნაზიარები თუში ქალები! ამასვე ანამდვილებს აკვნიდან ვიდრე კუბოს კარამდე გონიერ ახლობელთა გარემოცვაში ნებაყოფლობით „გამომწყვდეული“ ანონიმი ხევსური მელექსე!..

არჩევანი ჩვენზეა. თუმცა... ჩვენ რა უნდა ვქნათ, რა უნდა ვიღონოთ, **„თუ ბუნებამც არ უშველა!..“**

ზვიადი

ღილღოს აულები: **„კახეთს მოჭრილი“** ისარივით ტანსწორი, წელში გასხვეტილი წოწოლა ციხეები; ჩამოშლილი ქავები და მქრქალი ქვითკირები; მდუმარე აკლდამები... და ცის ნატეხივით კამკამა წყაროები, რომელთაც რახანია აღარ სმენიათ თავმთხილი და ავკარგიანი ქისტი ქალების ნიავივით მსუბუქი ნაბიჯების სანატრელი ხმა...

მერე გზა ასას კალმახიან ხეობას მიუყვება.

ქავისკარი –

არხოტში მისვლამდე ცოტახნით შესვენების, თავს წამოყუდებული საჯიხვეების ცქერით ტკბობისა და სახელდახელო წახემსებისთვის შესაფერისი ადგილი.

შალვა კაზალიკაშვილის მიერ ყაზბეგიდან გამოტანებული სამწვადე – ბრტყელ სიპზე. შამფურები. ნაღვერდალი... პლასტმასის ათლიტრიანი „ბაჩონკა“ – ყინვრიან მდინარეში. აჩხოტის საცხობის მოხეური „ბუხანკა“ – წყლისფერი ქვის მრგვალ „ტაბლაზე“. გუდის ყველი და ქაშა, შემრეშილი პომიდორი...

ზვიადი ამ დრომდე არხოტში არ ყოფილა და ახლა შალიკო-ვალიკო წიკლაურის შეწევნით ისრულებს დიდი ხნის სურვილს. აშკარად ნასიამოვნები ჩანს, გაბრიელ ჯაბუშანურის სამშობლოს ახლოით მოხილვის შესაძლებლობა რომ ეძლევა...

მწვადს პირს არ აკარებს. პურის ნატეხს იღებს და ნებ-ნება, აუჩქარებლად, დაგემოვნებით, პატიმრობიდან თავისუფალ სივრცეში მოხვედრილი კაცისთვის ჩვეული ფიქრის თანმიტანებით მიირთმევს... და საფუვრისგან ოდნავ მომჟავო პური მის ხელში ბევრად მეტ დატვირთვასა და მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ეს ადამიანთა კვების სადაგ, აუცილებელ, ყოველდღიურ რაციონში იგულისხმება.

ჩვენს ასასპირულ სერობას შემომატებული, ახიელიდან ამჟორიტში მიმავალი ხევსური ბიჭები იარაღიდან ნიშანში სროლას სთავაზობენ და



ქავისკარ. არხოტის ხეობა. 1990

ნყალგაღმა აზეზევებულ ქვამარილისფერ ქარაფში მუშტისტოლა ბროლზე უთითებენ. ფეხს წინ დგამს, ეგრევე, წამოუქადლებლად უმიზნებს და... ქათქათა, მზეზე მდღვინავ ნატყვიარ ბროლს ბოლი ასდის.

– **მახვდ!** – ეს არსენ არაბულია, ერთ სიტყვაში რომ ატევს და გამოხატავს ზვიადის მარჯვე ნასროლზე თავის ადეკვატურ, ემოციურ რეაქციას...

არხოტი.

ფეხთ თეთრი წინდების (ხევსურული **„თათების“**) ამარა ახიელის ეკლესიის ნანგრევთან ჩვენ შესახვედრად მომავალი ციცქა ჯაბუშანური – ნადღეობარი და მაინც დინჯად, აზრიანად, დალაგებულად მოუბარი (ციცქა, ვინც შეუწონარ სიღარიბესა და მიწურის უკიდურეს სივიწროვეში თერთმეტი შვილი იყოლია და ვის გამოც სწორუპოვარი მელექსე

ივანე წიკლაური იტყვის: **„ციცქასა ჯაბუშანურსა ქერს არ უთოვდეს ცანია, გაზარდის მაგის დიაცმა ცხრა ვაჟი, ორი ქალია...“);** სოფლის ზემოუბანში განაპირებულ ფარღიატ ფინურში ციცქათ ხვთისოსთან ზვიადის „დაუგეგმავი“ სტუმრობა: ხის გრძელ მაგიდაზე ჩამოდგმული ღვინიანი ბოთლი, ერთჯერადი ჭიქები, პური, ყველი და მწვანილი; ქორძო ნაროზაულის სახლის წინ თეთრ ცხენზე ამხედრება (ვნანობ, ეს კადრი რომ არ გადავიღე!); ორღობეში შესვლისას მოსმენილი, მანამდე ჩემთვის უცნობი საზნეობო ხალხური ლექსი (რომელიც, როგორც ვხვდები, მთვრალ ციცქასთან შეხვედრამ გაახსენა ზვიადს): **„ბერიკაცი თვრესო, ვაჟკაცს ერთი ხვდესო. ყმაწვილს სუნი მიუვიდეს, ღმერთს თაყვანი სცესო...“**

1989 წლის დარავდრიანი აგვისტოს იმ წყნარ, პოზიტიური ენერგიით დამუხტულ მოუწყინარ დღეს ჩამაგესა და ჩორეხის ფრიალოებს მიფენილი ლილისფერი ნისლივით მშვიდი იყო ზვიად გამსახურდიას წუთისოფელი.

გამოსარჩლება

დასაწყისი ვაჟა-ფშაველას ზე-უცნაური პოემისა **„გველის მჭამელი“: „სასტუმროს იყვნენ ხევსურნი, ლუდი ედუღა წიქასა“...** ხალხური პოეზიაც გავიხსენოთ: **„მე ლუდოვეთით გამავედ, აქ უფრო ბევრი მდგარაო, უკეთ-უკეთი სტუმარი ყველა თქვენს სკამზე მსხდარაო...“**

ლუდს ჯვარ-სალოცავთა საიდუმლო, საკრალურ ენაზე „კოდ-ბადაგი“ ჰქვია, ხოლო სულხან-საბას განმარტებით – **„ქერის თაფლუჭი“.**

ამ სახელდებებში ბადაგთან და თაფლთან ლუდის თანაზიარობა, წილდებულობა, დასაბამიერი სიახლოვეა ხაზგასმული და აქცენტირებული.

ამიერ საქართველოს მთაში, მაშინ, როცა ყოფითობის რუტინულ ველსაც მისტიკური იდუმალება მსჭვალავდა, ლუდით სავსე თასით ანდა ჯიხვის რქით წარმოითქმოდა ციდან მიწაზე ნათლის სვეტად ჩამოსულ ღვთისშვილთა სადიდებლები, განსვენებულთა შესანდობარი, ახალშობილთა თუ ომში მიმავალ კაი ყმათა სადღეგრძელო. ლუდი იყო მოსისხლეთა შერიგებისა თუ სამხიარულო-საქორწილო ცერემონიალის მიუცილებელი ატრიბუტი... ერთი სიტყვით, მთიელთათვის ლუდით იხსნებოდა **„ღვთაებრივი სამყაროს კარიბჭე“** (ელდარ ნადირაძე), რასაც წინ უძღვოდა ყველა რელიგიური დღესასწაულისა თუ სამეურნეო საქმიანობის დაწყება სვიანი ლუდის დუღებით...

ლუდის სამშობლოდ ძველი ცივილიზაციის აკვანი, ეთნოკულტურულ განასერში ჩვენი მონათესავე შუამდინარეთი ითვლება, საიდანაც ამ კეთილშობილმა სასმელმა ურარტუში, ხოლო შემდგომ კავკასიაშიც შემოაღწია.

უნიკალური არქეოლოგიური მონაპოვრის – თრიალეთური თასის – სიუჟეტური კომპოზიცია მოწმობს, რაოდენ მკვიდრი და საჩინო ადგილი ეკავა საუკუნეთა სარბიელზე ლუდს ქართულ ყოფაში.

ტრადიციულ საზოგადოებაში ლუდის დუღება, სვიით კაზმვა, საფუვრის მიცემა და დამზადება სულით და სხეულით მოწმიდარ ადამიანებს ჰქონდათ მინდობილი. სალუდე მარცვლის შესანახადაც ურიოშო, სუფთა ადგილები – სახლის ჭერხო, ხატის ბეღელი – იყო გამოყოფილი. ნმინდად უნდა ყოფილიყო დაცული და შენახული ლუდის დუღებასთან, **„შეყრასთან“**, დავარგებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული საჯვარხატო ჭურჭელი და ინვენტარი: სპილენძის სალუდე ქვაბი, კოდი, ჩხუტი, კოში, ლათბა, საწდე და, რაც მთავარია, ვერცხლის შიბსამკაულით ლამაზად მორთული ბარძიმი ანუ სახუცო კოჭობი. და ეს ყოველივე ხევისბრის – ღვთისშვილებთან ხალხის შუამავლის – უშუალო მეთვალყურეობით მიმდინარეობდა.

ლუდის პატივისა და „უფლებრივი“ უპირატესობის თვალსაჩინო მაგალითია მისი ფალსიფიცირებისთვის დადგენილი და გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმა „ხამურაბის კანონებში“ – მსოფლიოს ამ უუძველეს საკანონმდებლო ძეგლში...

ლუდმა საქართველოს ბარსა და დედაქალაქში კაი ხნის წინათ განიცადა დესაკრალიზაცია; დაკარგა რიტუალური დატვირთვა და დანიშნულება; და თავისი მნიშვნელობით ღამის ბანის ნარეცხს გაუთანაბრდა.

ლუდით უჯიშოთა, უსაფეროთა, უსაქციელოთა, ჭუჭყსა და ჭაობში წელამდე ჩაფლულთა სადღეგრძელოს სვამდნენ...

და კარგია, რომ თავის ოდინდელ ღირსებას იბრუნებს ეს ამოგემო, მარგებელი სასმელი; იბრუნებს და კუთვნილ ადგილსაც იმკვიდრებს ჭირისა თუ ლხინის ქართულ სუფრაზე.

თვალმოშიშობის მიზეზი

„ვინცა ხართ კაი ვაჟკაცი,
ნადირთ უძიეთ კვალია,
შახყევით სიმაგრეშია, –
რა ძნელი გასავალია!“

ხალხური

შავანა.

შავი, შიშველი კლდეები.

ხეობის ქვემოწელში – წვივმაგარი ქისტური ცხენები და საძოვარს მონცხრეული ცხვარ-ძროხა.

დურბინდში – მხრებზე საწვიმარმოსხმული ქისტი მწყემსი: ცქაფი და დაცქვეტილი, საეჭვო ჩქამზე მალი-მალ რომ ჩერდება და მიდამოს აყურადებს; არკვევს, რომელი მხრიდან ისმის ქვიშის ჩხრიალი...



მე – ცოდვილი

უცხო, ცქიოტი, რაღაცით ხაზგასმულად არამშობლიური გარემო.

წელან, ნისლი რომ აიყარა და თვალსაწიერში ლეგა საჯიხვეები ჩამოლაგდნენ, ყაფარ კლდეებზე, ფიფქსაც რომ გაუჭირდება ფეხის მოკიდება, აღმა მიმავალი ჯოგი შევნიშნეთ...

სამნი ვართ, მე და ორი ჩემი ბიძაშვილი.

მთავარია, ისეთი მიმართულება ავირჩიოთ, ჩვენი მხრიდან ნიავი არ იკრან და ჩიხში, სადმე **„იწრო ყურეში“,** ადვილად მივიმწყვდიოთ.

დროდადრო ხედვის არედან ქრებიან, უჩინარდებიან და მერე ისევ ჩნდებიან შერიშხნული ტინების ფხასა თუ ცის ტატნობზე.

მიმიხვდება, ვისაც მონადირული აზარტი გამოუცდია: წინ და მაღლა ისე მივიწევთ, უკან აღარ ვიხედებით. თანდათან ძნელდება შვერილებზე მობღაუჭება, ბზარებში მოჭიდება... წამისწამიერი განსაცდელი მშიერი აფთარივით ჩაგვსაფრებია. კლდის გამოქარული შიბები, თანაც ისეთი ვიწრო, ვერც ჩაიჩოქებ და ვერც ჩამოჯდები... ბედისწე-

რასავით გვეშორიშორებიან და კვალზე მიგვიდევნებენ. ნახევარბრუნის შესაძლებლობაც არ გვაქვს, ერთურთს რომ თვალი ვადევნოთ და, მაინც, შიშსა და დაღლილობას დაუძლეველი სურვილი ფარავს: სასროლ მანძილზე, სათოფეზე მიგვიშვან... და როცა ცხვირწინ რკინისფრად აელვარებული პიტალო აგვეყუდა, გადაგველობა და სავალი ჩაგვიჭრა, მაშინღა მივხვდით, სიბრიყვისა და წინდაუხედაობის რა სახიფათო ხაფანგში ვებმებოდით...

დაბლიდან იორწიო ამოდიოდა.

აღარ ხერხდებოდა ნაბიჯის წინ წადგმა.

ცხროჩამდგარი მუხლებით ჩამოვბრუნდით უკან. ბღუნვით ჩამოვათავეთ ფიცარკლდის მკერდს ირიბად მიკერებული საცალფეხო შიბი. ჩამოვათავეთ და გადავრჩით. გამჩენმა აგვაშორა აშკარა მარცხი. ღვთის ძალამ გვიხსნა და გვიშველა.

იმ დღიდან დამჩემდა თვალმოშიშობა.

და მივხვდი, რომ ნადირობა და ალპინიზმი ჩემი საქმე არაა.

რამ უნდა მაიძულოს, **„არაის ძალის ტანებას“** ოდესმე კიდევ ავებღატო **„ეშმათ საქონის“** სალაღობო ქარნიავიან ქარაფებს!..

„ღვინჯუა“ და სხვა

23.01.2000.

მონაცვლეობით ვკითხულობთ გიორგი ლეონიძის „ღვინჯუას“ და გვეჩვენება, რომ შუაგული ზამთრის გამჭოლ, გამბირძგლავ სუსხს ექსპრესიული თხრობის ენერგიული ნაკადი ამსხვრევს, ანახევრებს... თითოეულ სიტყვას, ფრაზას, სიტყვათქმნადობის თითოეულ ნიმუშს ხედვამადლიანი მწერლის გამორჩეული ხელწერის ღონიერი დამღა აზის. ამ არაორდინარულ მხატვრულ გარემოსთან გაშინაურება გარკვეულ



თენგიზ მირზაშვილი და ამირან არაბული

მზაობას საჭიროებს მკითხველის მხრიდან. ბოლომდე რომ ჩაწვდე გმირთა ხასიათებსა თუ პეიზაჟურ წიაღსვლებს, მოთხრობებში განვითარებული ამბების თანამონაწილეობის ცოცხალი განცდა უნდა გქონდეს. უამისოდ სრულფასოვანი ვერ იქნება შემოქმედის მიერ რუდუნებით ნაძერწი ცხოვრების ხატის შენეული აღქმა, გაგება, გათავისება...

ვამთავრებთ კითხვას.

ყველაფერი ფსკერმოკენჭილი მდინარის დაწმენდილ ტალღასავით გამჭვირვალეა. არც რაიმე საკმათოა და, მითუფრო, არც გაუგებარი. „ღვინჯუას“ კითხვისას არ ჩნდება კითხვის ნიშნები. ხოლო საუბრისა და მკითხველზე ნაწარმოების ემოციური ზეგავლენის საიდუმლოს ამოხსნის სურვილს ძალდაუტანებლად მოიყოლიებს წუთებისწინა პროცესში უშუალო მონაწილეობა. და ფიქრი იმაზე, რა და როგორი ურთიერთმიმართებაა ჩვენს პირად გამოცდილებასა და სიტყვაკაზმული მწერლობის რჩეულ ძეგლებში ასახულ ვირტუალურ სინამდვილეს შორის...

დროებით დუმილს ვამჯობინებ და ფურცელზე მოსწრებისამებრ ვიწერ თენგიზ მირზაშვილის აღსარებისნაირ რეფლექსიას, გნებავთ – მონოლოგს:

„ღვინჯუას“ რო ვკითხულობ, რაც არის შიგნით, ჩემთვის ყველაფერი ნაცნობია. ეს ჩემი სამყაროა. თითქოს ღვინჯუაც მე ვარ, იმდენად ახლოა ჩემთან. ლეონიძე ხომ ამ საუკუნის დასაწყისის კაცია. მე – ამ დროის. მაგ მხრივ მეც მაგათ – მამაჩემის და გოგლას – თანამედროვედ ვთვლი თავს. იმ სამყაროსთან გაუცხოების გრძნობა ერთი ნაბიჯითაც კი არა მაქვს... დროის ფაქტორი წაშლილია, არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ქალაქში ვარ გაზრდილი. შეიძლება ათასი გამოთქმა, რაც „ღვინჯუაში“ მოვისმინე, ისედაც ვიცოდი. ასეთი შეგრძნება მაქვს... არც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან მიგრძვნია გაუცხოება. ბარიერი არ მქონია... ჩემთვის ასევე ძალიან ახლობელია გულქანი, მისი სამეტყველო ენა, თხრობის სტილი... ამითაც იყო განპირობებული ჩემი მეგობრობა რეზო ინანიშვილთან. საერთო სამყაროში ვცხოვრობდით... ძნელია სიტყვით გამოთქმა, სხვა რაღაცა გამოდის, მაგრამ ასეთივე დამოკიდებულება მაქვს შენთან, ეთერთან... რაც გამიკეთებია, დამიხატია – ამას ხომ შერჩევით ვაკეთებდი. ამაშიც გამოიხატება, რა არის ჩემთვის მისაღები, მნიშვნელოვანი... დიდი სიხარული იყო ივანე წიკლაურის, იოსებ ბაიაშვილის გაცნობა... თანდათანობითი გადასვლა ახალ რეალობაში. ისეთი ახირება კი არა, ვთქვათ, მონადირეებს რომ აქვთ ხოლმე. არა!.. მე ჩემი ბუნებით უფრო სოფლისა, უფრო მთისა ვარ. რთულია საკითხის დაყენებაც კი. რახან მთამ ამდენი რამე შეინარჩუნა: სიტყვა, პოეზია... – ბუნებრივია, უფრო გიზიდავს, თავისი მიზეზი აქვს ყველაფერს...“

და ჩვენი წინდაწინ დაუგეგმავი, სრულიად სპონტანური კითხვითი „სეანსის“ სრულუფლებიან მონაწილეებად მოსჩანან თენგიზის ნახატების დიდ-პატარა პერსონაჟებიც, გაკვირვებულნი რომ იყურებიან სახელოსნოს შეუღებავი, მიმქრალი, თითქოსდა მართლაც ხელისგულებით ნალესი სადა კედლებიდან.

„ბარტერი“

– ხიზანათ გაბრიელმა მაჩუქა აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზია“. მერე ეს წიგნი, რაკი ზეპირად ვიცოდი იქ დაბეჭდილი ბევრი ლექსი, გრანჯა ქიბიშაურს გავუცვალე „ვეფხისტყაოსანში“.

ეს ნისლაურ წიკლაურია, ბერდიშვილთ მამიშვილობის ენაგზიანი წარმომადგენელი, დედოფლისწყაროს ერთ-ერთ განაპირა უბანში უწადინო ცხოვრების ვარამს ძველი დროის სადაგი თუ საკრალური ამბების თხრობით რომ იქარვებს.

ნისლაური (შესაძლოა, სწორედ მას გულისხმობდეს ანას ლექსი: **„ნისლაურო, ნისლი ხარო, გამიქრები: მზისი ხარო...“**) ახლაც (2009 წლის 12 ოქტომბერს), სიბერის საგრძნობი უღონობის მიუხედავად, არხოტელების ცხოვრების საკვირველებებით გაცამცმულ ისეთ ისტორიებს იხსენებს...

მაგრამ ამაზე სხვა დროს.

სულის მაწიერი საგზალივით სულ თან დაატარებს მელექსეობის ნიჭით გამორჩეულ მამა-ბიძათაგან მემკვიდრეობით გადმოცემულ ზეპირპოეტურ რეპერტუარს და, ალბათ, ამიტომ გაიმეტა ასე ადვილად ხევსურული ხალხური პოეზიის სწორუპოვარი კრებული არანაკლებ სასურველ „ვეფხისტყაოსანში“ გასაცვლელად!..

ორიოდ სიტყვა ბიოლოგ გრანჯა ქიბიშაურზე (ახლახან გამოვიდა მისი მშვენიერი წიგნი „არხოტული მოგონებები და ლექს-ანდრეზები“).

ნოდარ ანდღულაძე არხოტში პირველი სტუმრობის (1947 წლის ივლისი) პერიპეტიებზე საუბრისას ერთ ასეთ შემთხვევასაც იხსენებს: **„...გოგი ოჩიაური, „სახელოში“ ჩადგომამდე, ორი კვირის განმავლობაში მაწმიდრობდა თავის საგვარეულო ჯვარში... დამთავრდა ათენგენა და წამოვედით. მაშინ გავიცანი კალოთანელი ქიბიშაურები. გრანჯა იყო ცამეტი წლის. დამთავრებული ჰქონდა ოთხი კლასი და მშობლები სწავლის გასაგრძელებლად ბარისახოში აღარ უშვებდ-**



დედიკა ოჩიაური, გაბრიელ ჯაბუშანური, მზექალა ნაროზაული,
ხიზანათ გაბრიელი. ღილღო

ნენ... დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა. დაიწყო და აღარ დაამთავრა. ზეპირად იცოდა, როგორც მახსოვს, ქაჯეთის ციხის აღებამდე... გოგიმ ჰკითხა, მეტი რატომ არ იციო და... მეტი წიგნი არ იყოო! – აბა, გვაჩვენეო! გვაჩვენა და მართლა ნაკლული, ფურცლებამოხეული იყო წიგნი...“

ნისლაურმა აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზია“ იცის (თითქმის) ზეპირად, გრანჯამ – „ვეფხისტყაოსანი“ და პოეტური სიტყვით აღუვსებლობის სასიამოვნოდ მტანჯველ განცდას ერთურთში ამ წიგნების გაცვლით აცხრობენ.

ესეც შენი უწინდელი ხევსურული „ბარტერი“!..

მადლი

„მადლი ესე არს, რომელმან არცა ნაცვლის გებისათვის, არცა მოყუარობისათვის, არცა შიშისათვის... კეთილი და ქველის საქმე ქნას".

სულხან-საბა

ჯემალ აჯიაშვილი რეკავს და მეკითხება, სად შეიძლება ალექსი ჭინჭარაულის „ხევსურული ლექსიკონის" შოვნა ანდა შეძენა.

შეკითხვა, წამიერი ჩაკვირვების შემდგომ, ირიბ თხოვნად „ვთარგმნე".

ჯემალი უაღრესად უბრალო, მორიდებული კაცი გახლდათ და როცა სხვა გზა და საღონისი აღარ რჩებოდა, მაშინღა თუ შეანუხებდა ახლობლებს (შუა საუკუნეების ებრაელი პოეტების მისეულ თარგმანებზე სათაურით **„სიტყვითა ოქრო – ნექტარითა"** სტუდენტობის დროს რეცენზია გამოვაქვეყნე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში". მოკიდებული აქედან ვიდრე მის გარდაცვალებამდე ჩვენ შორის მეგობრობა და კეთილადამიანური ურთიერთობა არ შეწყვეტილა)...

შევეხმიანე ნათელა ჭინჭარაულს.

დამპირდა, მოვიკითხავო...

ენათმეცნიერ მაია მანჯგალაძესთანაც მოვსინჯე ნიადაგი.

დამაიმედა...

ხოლო მეორე დღეს შემატყობინა, რომ გასაყიდი ეგზემპლარი აღარ არსებობს. სამაგიეროდ, ვირტუოზი მთარგმნელისა და ჩინებული სონეტების ავტორისთვის საკუთარი ბიბლიოთეკიდან გაიმეტებს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ ალექსი ჭინჭარაულის სანიმუშო ლექსიკოლოგიურ ნაშრომს.

საღამოა.

– ამირან, არ ვიცი, რითი ვუპასუხო შენს ყურადღებასა და პატივისცემას. მადლობას იმიტომაც გეუბნები, ასეთი კარგი მეგობრები რომ გყავს. ვალში ვარ მაიასთან. ეგეთი ადამიანები რომ არ გვეგულებოდეს, ცხოვრება გაუფასურდებოდა...

მეც ვმადლობ შეჭირვებულთა საშველად ყოველთვის მზადმყოფ მაია მანჯგალაძეს, აღსასრულისწინა დღეები რომ გაუმყარა და გაულამაზა ჩვენს დიდ ებრაელ მეგობარს და დამიხსნა მოსალოდნელი სინდისის ქენჯნისაგან, გულით სამუდამო ხინჯისა და ტკივილის ტარებისაგან...

სტუმარ-მასპინძლობისა

არშაში გაბმული სტუმრიანობის უნაღვლო დღეები უდგას გოდერძი მარსაგიშვილს: წითელი აგურის ერთსართულიან შენობაში რიგისა შედის, რიგისა – გამოდის.

ხალვათი სახლის კარი დღე და ღამ ღიაა – არც იხურება და, მითუფრო, არც იკეტება... საუბარი აღარაა გოდერძი ჩოხელზე, ილო ფალავანდიშვილზე, ჯანო ხელაშვილზე, დემურ ქავთარაშვილზე, შალიკო-ვალიკო ნიკლაურზე: ისინი ამ ოჯახის წევრებად თვლიან თავს და, როცა მასპინძელს ცოტა ხნით შინიდან გასვლა უწევს, დამხვდურის მოვალეობასაც მოხდენილად ირგებენ და იფერებენ...

შინაურნი თუ შორეულნი სულის საფონსა და სიმშვიდეს პოულობენ მარსაგიშვილების ჭერქვეშ. დაღლას არც მარინე შადური – გამრჯე და გულიანი დიასახლისი – იმჩნევს... ცხვება მაწიერი ხაბიზგინა და იხარშება ოცდაათნაოჭიანი ხინკალი; იწვება სნოსწყლის კალმახი და შიშხინებს ცვრიანი მწვადი...

სტუმარ-მასპინძლის ჟამიერ განწყობაში ბუნებრივად ჯდება და ეწერება თერგის გაღმა მხარის ორი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი; ორი მატერიალური ნიშანსვეტი: არშის რთულ თავგადასავლიანი ციხე-სიმაგრე და გაიბოტენი – ლელთ ღუნიას ჩქამჩაკრეფილი სოფელი...

მწვანედ აქოჩრილი ეზოს განაპირას, ზედ ღობის ძირში, ჯიშიანი, ხვადი მგლის გამგლეჯი კავკასიური ნაგაზი აბია. სხვა დროს, სტუმარძვირობისას, ავად აღრენილმა ლამის ჯაჭვიც დაანაკუწოს, ხოლო ახლა განაბული წევს უხვად მსხმოიარე ცირცლის (მოხევეები „წოროს“ რომ ეძახიან) ჩეროში და თვალს არ აშორებს საყვარელი პატრონის ძველსა თუ ახალ „ასარ-ბასარაებს“... არ ყეფს: ვაითუ შეცდეს და კეთილი, უღარღილო გულით მის საყარაულო ეზოკარში მიმსვლელი ორგულსა და ქვებუდანში აერიოს...

ვანო პაპას, ღრმა სიბერეში ფეხშედგმულ ოჯახის უფროსს, კითხულ, სამართლიან მოხევეს, კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც გულზე არ ეხატება თავისი ვაჟიშვილისა და მისი ამფსონების უწყვეტი მიდენ-მოდენა, გადღეღამისებული ქეიფი, სამანებმოშლილი დროსტარება და დაუსრულებელი ხმაურით გაბეზრებული სულ სხვა მიმართულებით ურუებს წვეთი-წვეთ ნაგროვები უკმაყოფილების მღელვარე ნიაღვარს:

– რაი ამბოვია, კაცმა ზომა-წონა ვეღარ უნდა გაიგას?! ემ ძაღლისაღა მცხვენია, ვეღარა გაუგია-რა, ვის დაუყეფას და ვის – არა!..

სიტუაციის ისეთი ზუსტი შეფასებაა, თუნდაც ერთი სიტყვით შევსებასა და გამყარებასაც რომ აღარ საჭიროებს!

აკაკი შანიძე

ხევსურულ დიალექტში ორობითი რიცხვის საკითხის რკვევისადმი განკუთვნილ მომცრო მოცულობის გამოკვლევაში, რომელიც ისევე ექსპრესიულად იკითხება, როგორც ესეისტური ანდა მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტი, აკაკი შანიძე 1965 წლის 26 ივნისს უნივერსიტეტის ჭანდრებთან (ასე უწერია!) სამუკა ფაშქოშის (თუ არ ვცდები, ეს ის ფაშქოშაა, ტრეპანაციების ხევსურ დიდოსტატთა შორის რომ იხსენიება) ძე ზვიადაურთან შეხვედრისა და შინ მისი წაყვანის შემთხვევას იხსენებს; გვაცნობს არდოტელი მიღმახეველის პიროვნებას და პირადი ვარაუდის სისწორეს დასმულ კითხვებზე მის მიერ გაცემული პასუხებით ამოწმებს. შემდგომ ამისა თავისი ყოფილი სტუდენტის ლევან ბოძაშვილის მიერ ყრუვ გიორგის კაფიებზე დართული სიტყვების ახსნას ახსენებს და **„პატარა სასაგძლე ხურჯინად“** განმარტებულ ცნება **„აბგანზე“** აჩერებს ყურადღებას... ხევსურული მიმართვის ფორმის „ოჟნო“



ამირან არაბული და აკაკი შანიძე. მურმან ჩაჩუას ფოტო. 16.I.1978

და ფშაური **„აბგანი“**-ს მნიშვნელობები სიმყარესა და დამაჯერებლობას სძენს მის მოსაზრებას, რომ მთის კილოებში **„ნართანიანი ფორმები ორობითი რიცხვისთვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული“.**

ლოგიკურ დასკვნამდე რომ მიხვიდე და რაციონალური, მწყობრად არგუმენტირებული კონცეფცია შეიმუშავო, ათასჯერ უნდა გასინჯო და გადაამოწმო შენი ესა თუ ის მოსაზრება, მიგნება, ვარაუდი...

ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ, როცა უნივერსიტეტის გაზეთის სარედაქციო დავალებით ან გარდაცვლილ ფოტოჟურნალისტ მურმან ჩაჩუასთან ერთად მომინია ბ-ნი აკაკის შეწუხება, საუბარში, სხვასთან ერთად, ისიც ბრძანა, „ჭინჭარი“ ხევსურულად „ჯინჭარია“ და ჭინჭარაულები ჯინჭარაულებად რატომ არ ეწერებიანო...

1949 წლის 17 ოქტომბერს თბილისის იპოდრომზე გამართულ დოღში (მთიდან ცხენებით სწრაფდაშვებაში) მამაჩემიც (მაშინ ის 24-ის იყო, მე შვიდი წლის შემდეგ მოვევლინე ქვეყნიერებას) მონაწილეობდა. უცნობი ფოტოგრაფის მიერ გადაღებულ ფოტოსურათზე აღბეჭდილია რვა ხევსური ცხენ-მხედარი, მათგან ერთი ქალია – ვეტერინარი მარო სისაური. იქვეა ნათლიაჩემი – ხუტათ ბაჭყია... მამა იგონებდა ხოლმე, სპორტული ასპარეზობის დამთავრებისთანავე როგორ მივიდა მათთან აკაკი შანიძე, გაეცნო, გამოელაპარაკა, ორი-სამი კაცი საკუთარ სახლში მიინვია და კახური ღვინით გაუმასპინძლდა... მისაღებ ოთახში გახელისაული კატა ნებივრობდა, რომელსაც, სუფრისგან რომ მოეშორებინა, **„თხაციო!“** – ხევსურულად გაუჯავრდა...

1913 წლის 3 აგვისტოს, როგორც „ხევსური პოეზიის“ (ტფ., 1931) შენიშვნებიდან და ვარიანტებიდან ჩანს, აკაკი შანიძე ჯუთაში, ჩემ სოფელში, იმყოფება და ბაბუკ არაბულის „ნაამბობის“ მიხედვით იწერს ორ ხალხურ ლექსს: „ჩაგვირილა“ და „ღილღველთ დაცემა ჯუთაზე“...

მაშინდელი მგზავრობისა თუ ღამისთევის შესახებაც ჰქონია მამაჩემთან საუბარი და გუშინდელივით ხსომებია იმ პირთა ვინაობა, ვისაც აგვისტოს სულნუხ **„საქმისდღეთ“** შეხვედრია არაბულების სოფელში...



იპოდრომზე. მარცხნიდან: ქაქუცა ოჩიაური, (?), ბაჭყია არაბული, მაია სისაური, დავით არაბული, (?), ივანე არაბული, (?). 17.X.1949

ჭეშმარიტი მკვლევარის გონება გამუდმებულად მჩხრეკელისა და მაძიებლის მდგომარეობაშია; ირჯება და შრომობს დღეღამის ნებისმიერ დროს, თვით ძილშიაც კი! ეძებს, აანალიზებს და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგებს ლაკონიური ოპუსებისა თუ ფუნდამენტური მეცნიერული მონოგრაფიების სახით აქვეყნებს...

ეს – ზოგადად.

ხოლო აკაკი შანიძე იმ მხრივაც გახლდათ სრულიად არარიგითი მოღვაწე და მამულიშვილი, დიდი მკვლევარი და სამაგალითო პიროვნება, რომ სიჭაბუკიდან ვიდრე ღრმა მხცოვანებამდე „სოფლელ“ ხალხთან, ერის ღირსების განმსაზღვრელ და განმასახიერებელ „უბრალო“ ადამიანებთან სიახლოვე და ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობა არ შეუწყვეტია.

პარალელი

კადრი რეზო ჩხეიძის დიდებული კინოფილმიდან „ჯარისკაცის მამა“: ომის ალმურისგან გამურული, შვილის მაძებარი სერგო ზაქარიაძე, საარაყე ქვაბის ძირივით რომ უპრიალებს პირისახე და ნაბდის ქუდიც კახურ კოლორიტს მატებს, მყარ, „წყალგაუვალ“ არგუმენტს იშველიებს მორიგ შემხვედრთან ნერვიულ, მოთმინებანაკლულ საუბარში: **„...პეშკომ ეხალ, მაშინოი ეხალ, ა ონ გავარიტ, შტო მოი სინ ზდეს ნეტუ!..“**

და ამ კადრმა მეხსიერების შრეებიდან ნებაუნებლიედ გამოიხმო რამდენიმე წლის წინანდელი საღიმილო ამბავი: გურჯაანში ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატთა გამოსავლენი სამდღიანი ტური ტარდება. ლექსი, სიმღერა, ცეკვა, იუმორი... გამოჩენისა და თვითდამკვიდრების მსურველთა რიგს ბოლო არ უჩანს. ვიწონებთ. ვიწუნებთ... ზოგს ვაგებინებთ, ზოგის თავზე ამაოდ ვკითხულობთ სახარებას – ვერაფრით ვარწმუნებთ, რომ მათ ლექსებს არაფერი აქვს საერთო ხალხურ პოეზიასთან, აზროვნების ხალხურ წესსა და ყაიდასთან... ერთი ქალბატონი ლამის პირველიდან ბოლო ფურცლამდე გვიკითხავს საერთო რვეულს და მთელი თავისი გონებრივი ავლადიდების მოშველიებით ცდილობს ჟიურის დარწმუნებას იმაში, რომ საეჭვო და საეგებიო არაფერია, ის ხალხური მელექსეა და, ამდენად, ღირსი ფესტივალის ლაურეატობისა...

– შინ კიდევ მაქვს რვეულები, წავალ, მოვიტან!..

ენერგიული ნაბიჯებით ტოვებს დარბაზს და ველისციხეში მიემგზავრება. ნახევარ საათში იღება კარი და რვეულების დასტით ხელში შემოდის დარბაზში.

აგრძელებს კითხვას.

ვისმენთ. ვაფასებთ.

დასკვნა ისევ უარყოფითია: ერთი ტაეპი რაა, წამლად ისიც არ ჩანს, ფოლკლორთან რამენაირ სიახლოვეს რომ ამჟღავნებდეს.

მოხალისე მელექსე, რაკი ატყობს, რომ ფუჭია მისი მცდელობა, სუფთა ღვინოდ გაასაღოს ჭაობის წყალი, ხმას იმაღლებს და დარბაზში მყოფთა გასაგონად აცხადებს:

– სოფელში წავსულვარ, ლექსები მომიტანია, ტაქსის შოფრისთვის ათი ლარი გადამიხდია, ესენი კიდევ მეუბნებიან, შენი პოეზია ხალხური არააო!..

გურჯაანის ჯერაც ხასხასა ფერდობიდან მარადისობას ესიტყვება ჯარისკაცის მამის (მახარაშვილის) უკვდავი ძეგლი.

გიგი

თვალისჩინი დაკარგა გიგი ხორნაულმა.

მახსოვრობა, ღვთის წყალობით, საღსალამათი შერჩა.

ზაფხულის სრული ორი თვე კვლავ კაწალხევში იჟამკრა: ავარვარებულ დედაქალაქში რა გააჩერებდა, როცა არაგვი და სახევსურეთო გზის ძირში გამოგუბებული ვეძა (მჟავე, მინერალური წყალი), დადგება თუ არა მაისი, თავიანთკენ უხმობენ.

არაერთი ღირსი სტუმრის მომსწრე და მიმღები ერთსართულიანი სახლის აივანზე რომ გამოვა, ხელით მოაჯირს მოიანდევებს, წამით კაწალხეურას შხუილს მიაყურადებს და სადათვე მთებიდან (სადაც ბევრჯერ წარმატებით უნადირია ღვთისშვილთაგან ხელმომართულს) ჩამოქვექვევებულ დილის ნიავს აიაზმასავით ისხურებს ტკივილწაცხებულ შუბლსა და სახეზე...

დღე ისე მიილევა, ბედის სამდურავი თუ სოფლის საგმობი სიტყვა არავისთან დასცდება. მოსწონთ მეზობლებს მისი სიკერპე, შეუპოვრობა, მედგარი ბუნება და ცივი წყლისა თუ თონედან ახალამოყრილი ცხელ-ცხელი პურის მიწოდება-მიწილადებას როგორ დაამადლიან!..

დღესა და ღამეს უერთფერებენ **„მოგონებანი გარდასულ დღეთა“.**

ბევრი მოასწრო – დაწერა და გამოაქვეყნა.

დარჩენილთ ახლა უკაფავს გზას – წვალებით, მაგრამ მაინც ახერხებს ფურცელზე ნაფიქრის გადატანას.

ისევ პრინციპული, პირდაპირი, შინაგანად შემართული და უკომპრომისო პოლემისტია. და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ნონა კუპრეიშვილის წერილების კრებულის – „სიტყვის დეგუსტაცია“ – წარდგინებაზე, რომელიც ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა ოქროსფერი ოქტომბრის ერთ მშვიდ, დარიან საღამოს...

ვაჟა-ფშაველას და მიხა ხელაშვილის ღვთისნიერი სულების ანათალს, მათი ცხოვრებისა და შემოქმედების ამაგდარ მკვლევარსა და ჭირისუფალს ასე იოლად ვერ მოერევა და დაიმორჩილებს (მითუფრო, ვერ დააჩოლფოტებს) მართალთა მიმართ მუდამ ჯიბრიანი და დაუნდობელი ნუთისოფელი!..

სიმწრის ცრემლი

სხვის ნათქვამს, ალბათ, ადვილად არც მე დავიჯერებდი. პირადად ნანახს, განცდილსა და გადატანილს სად წაუხვალ, სად დაემალები?!! ის ცოდვიანი დღე ფეხდაფეხ მომდევს და ხშირად მახსენებს თავს... არაფერს ვცვლი: არც ვაკლებ და არც ვამატებ. ვყვები იმას და ისე, რაც და როგორც იყო...

ეხისთავის სანადიროები ხდის ხეობაში.

ამ ჯერზე ბაჭყიათ კობა მახლავს და მწინამძღვრობს. გამოცდილი, თანაც იღბლიანი მონადირეა. თვალიც უჭრის და მუხლიც. იშვიათად რომ ხელმოცარული დაბრუნდეს სანადიროდან...


იძრა ცის კიდე (როგორც მიხა ოჩიაური იტყოდა: **„ცისპირი შამაბედენდა, კარი გააღა ცამაო“**). წითს აღმოსავლეთი. ლოპრიანი ქარაფებიდან შურთხების საგათენებო ზარი და გნიასი ისმის.

ორ მაღალ, ქანჩახიან, ფოლადისფერ სიმაგრეს (**„ჯიხვნი ჰყვან სიმაგრეშია, არ აძინებენ ძილსაო...“**) შუა მშრალი ხევია.

დურბინდებს ვიმარჯვებთ, ვათვალიერებთ, ვეძებთ წილკერძს.

მზე რომ მიადგა გაღმა მხარეს და უთვალავი ჩრდილი გააჩინა მრავალჯერ ნამეხარ სიმაღლეებში, ერთი წამოეხებული კლდის ძირში, ნაბდის გაშლა ბალახიან ბაქანზე, მარტოდმარტო ხარჯიხვი შევნიშნეთ. არ იჩუჩება. ვინ იცის, როგორ სიამოვნებს დილის ნიავი! ნებიერად წევს და **„ყამი არა აქვს მტრისაო...“**

შუადღემდე მოვუნდით დაბლა ჩამოსვლას, ხევის მალვით, უჩუმრად გადაჭრას, ქაცაბანის შეუმჩნევლად ავლას და სათოფეზე მისვლას, მიპარებას...



ხდისხეობელი ჯიხვი

ჩვენი მხრიდან ნიავი რომ იკრა და წინა ფეხებით ფიცარკლდეს აეტოტა, ბეჭებში გავლილმა ტყვიამ უკანვე გადმოაგდო. ვიდრე ბიჯის მოსაკიდს დაკარგავდა და ძირუჩინარ ფრიალოს აეძალებოდა, ნამით ნაიჩოქა და მძიმე თავ-რქა რაღაცნაირი შეყოვნებით ჩვენკენ შემოატრიალა... და მაშინ დავინახე ველური არსების დიდ, მეტყველ, სიცოცხლის ნიშატმილეულ თვალებში აბრჭყვიალებული ცრემლის ორი ალალი, კამკამა მორევი, ულიბრო სარკეებივით რომ ირეკლავდნენ აბარბაცებულ მთებს, ლიხიან ქედებს, წყაროებს, ყინულიან მწვერვალებს... სამდურავის, საყვედურის, სამზეოსთან გაყრის მკვნესარე ტკივილის ნაკადი მოდიოდა მისი ლამაზი, მართალი, უმარჩხო თვალებიდან...

და წააფარა სიკვდილმა თავისი შავი ფრთა.

შუნის ცრემლიანი თვალების დანახვა, ახლა რომ ვფიქრობ, ბევრად იოლი ასატანი იქნებოდა: ცრემლი ხომ დედროვანთა სამკაულია!

გამოუვალობის სიმწრით აგმინებული კაი ყმის უფონო მდგომარეობის დასადარი ყოფილა მისულფერებული, უღონკრო, დღეგათაული ხარჯიხვის სულ მუდამ ხიფათიანი სიცოცხლის ბოლო წამები!

მონატრება

– ვინ გვაკლია?! – „გამომცდელი" კაცის კილოთი და ინტონაციით მოგვმართა ელდარ შენგელაიამ მე და ეთერს, როცა ერთმანეთს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის საზეიმო მიღებაზე შევხვდით სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში".

– ჩუბჩიკა!

– ჰოო...

და დაუკითხავად მოსული სევდით მონისლულ თვალებში ცრემლის ობოლი სხივი აუციმციმდა...



თენგიზ მირზაშვილი და ელდარ შენგელაია

მივხვდი, თითქოს მთელი არსებით, სულიან-სხეულიანად ვიგრძენი და გავისიგრძეგანე, როგორ აკლდა და ენატრებოდა თავისი ძველი, შეუდარებელი მეგობარი...

თენგიზ მირზაშვილი გცნობოდა და არ გენატრებოდეს, არ გესაკლისებოდეს ოჯახის წევრებსა თუ სისხლით ნათესავებზე არანაკლებად (შესაძლოა, მეტადაც!), ჩემთვის ეს ისევე წარმოუდგენელია, როგორც დაღლილი დღის დაუღამებობა!..

გაგვშორდა და მოზეიმე ხალხის ტალღას მხარში დაჭრილი მანძილა ხარივით შეერია „ცისფერი მთების“ რეჟისორი...

სიკვდილიც ბედენაა

ხევსურს უთქვამს:

„ხარით მისაგებებიავ, სახლში რო მავავ სიკვდილივ!“

მამრთაგან ბევრი ველზე (ლაშქრობა, ნადირობა, მგზავრობა, მდინარის გაჩქვეფა, მწყემსობა თუ ზამთრობით საზვავეში მთიდან თივის ჩამოტანა) რომ აღესრულებოდა, ზოგი მტრის ხელით, ზოგიც მოულოდნელი მარცხ-ფათერაკით ანდა, სულაც, თავისი **„დღე-წერით“** და ჭირდა მათი ძებნა და სახლში მისვენება, ამიტომ დასდებია ესოდენ მაღალი „მაზანდა“ (მადლიერების ნიშნად ხარის შესახელება და შენირვა!) შინ ნვეულ მის უდიდებულესობას – პირტუქს სიკვდილს.

შესაძლოა **„ველთ გასული“** კაცი ისეთ თარს, უფრიან ადგილასა და გაურკვეველ ვითარებაში დაღუპულიყო, მისი კვალისა და ცხედრისთვის ველარც-კი მიეგნოთ და სამუდამოდ დაკარგულიყო.

შინ **„მაკვდომის“** შემთხვევაში ხომ ასეთი რამ გამორიცხულია!

და თუმცა სახლის თუ სოფლის გარეთ (როცა მიქელ-გაბრიელის გამოჩენის წამი ჩამორეკავდა) ვაჟკაცის სიკვდილი ბევრად უფრო საპატიოდ, სახელოვნად, აღმატებულად ითვლებოდა, მაინც სულის საკუთარ ჭერქვეშ ამოსვლას ნატრობდნენ და ამჯობინებდნენ...

ხატიონი და თამარი

მეორე სამამულო (?!) ომში ქმრის გამგზავრების წინა საღამოს თამარი ტომრიდან (თუ თიკრუნიდან) სერი ფქვილის ნარჩენს წამობერტყავს, ცომს ვარცლში მოზელს, ხმელი ბართის ცეცხლს დააგზებს და სამ სიფრიფანა საფართხელას (მრგვალ პურებს) გამოაცხობს... ერთს მაშინვე, ვახშმად მიირთმევს ჯალაბობა, ხოლო დანარჩენ ორს

საგზლად გაატანენ სამშობლოდან შორს, შორს, სისხლიან სისასტიკესა და გაურკვევლობაში მიმავალ ხატიონს (თავისი ერთადერთობით დასამახსოვრებელი სახელი ჯუთელი კაცისა!)...

ძალიან რომ შეაჭირვებთ შიმშილი, ბაბალათ მიხიელი საპურე გოდორში გადანახულ სვილს უწილადებს ხატიონის უქონელ, უხელკაცო ოჯახს... და გაზაფხულზე, როცა სვილის ჯერიც შემოელევათ, თამარი ერაწაში ახალმოსულ ჭინჭარს მოთუთქავს, ერბოს ჩაადებს, ჩაადნობს, მაწივრობას მისცემს და... პურის ნაგრამ უქონელნი ასე, მხალეულით გადიან იოლას...

....

ხატიონი შინ აღარ დაბრუნებულა – ომში დაიკარგა. და დამწუხრებულ ცოლ-შვილს გვიანობამდე ჰქონდა მისი გამოჩენის იმედიანი მოლოდინი.

ხშირად მახსენდება ერთადერთი ვაჟიშვილის (იმასაც რა კაი სახელი ერქვა – ნათელისძე!) ტრაგიკული სიკვდილისგან გაშეშებული თამარის ქვისფერი სახე და სოფლის სამდურავით სავსე ცრემლგამშრალი თვალები...



ხატიონთ ნათელისძე

ძვრა

„ისე სწეწავდეს კაცის გონს
თავუჩინარი ძალიო,
ხან ნისლს რო ააწიოკებს
მთაზე ღემადის ქარიო“.

ხალხური

პირისქარი. ხუცობა. ქადაგობა. ჟამისწირვა. კურთხევანი. სადიდებელნი...

მთიელთა ყოფის საკრალური სფეროს რიტუალური ტექსტები.

ამ ტექსტებს ბეჩავი, ეული (//უუფლო), დასაბამიერთან წილუქონელი კაცი ვერ გაახმიანებს; საყმოს ერთიანობის და მფარველ ღვთისშვილებთან მისი სულიერი სიახლოვის ხელშემწყობი ფაქტორის რანგში ვერ აიყვანს, ვერ აამაღლებს.

„მაგას კაც თავისით ვერ იტყვის, თუ რაღაცა არ სძრავს“.

მოსმენისთანავე მენიშნა ბერდიშვილთ ნისლაურის მიერ წარმოთქმული ამ ფრაზის დამამთავრებელი სიტყვა, რომელშიც, ზოგადად, შემოქმედებითი აქტის ძირისძირეული საიდუმლოა მარტივი ენით ახსნილი, გადმოცემული, გაცხადებული: იმისათვის, რომ ღირებული რამ ამოთქვას (შექმნას, მოიმოქმედოს...), მეორე, დროებით გაუჩინარებულმა და მიჩუმებულმა „მემ“ უნდა გაიღვიძოს ადამიანში... ვულკანურმა ბიძგმა თუ არ შეძრა მთელი მისი არსება, ფარსაგი არაფერი გამოვა, ღვთის კართან (და კარავთან) მისტიკური კავშირის დამყარება ვერ მოხერხდება...

„რაღაცა სძრავს“ განაცრებული სახის მეჭეშმარიტე კულტის მსახურებს და ამ ძვრის წყალობით აღავლენენ უზენაეს ძალთა ღირსების საკადრის სადიდებლებს...



გიგოლე ჭინჭარაული, იურა ჯაფარიძე, ბაბუა ჭინჭარაული. გუდანი. 1976

„რაღაცა სძრავს“ მესიტყვეს (ასევე: მხატვარს, მომღერალს, მქარგველს, ოქრომჭედელს...) და ამ ძვრის მეოხებით ქმნის (ქმნიან) შედევრებს. ორივე – ღვთის **„გამძღოც“** და შემოქმედიც – ღაბუშია (სხვაგვარად: შეპყრობილი, **„დაჭერილი“,** უფლის ხელდებული).

და მათი ამ არაორდინარული შინაგანი მდგომარეობის, ანუ, პერიოდული **ძვრის** შედეგია ის, რომ ჩვენი სულიერი ცხოვრება ჯერჯერობით ბოლომდე არ გაუდაბნოებულა; არ დაშრეტილა იმ მადლისგან, რომელიც გვინარჩუნებს უფლებას, პირმეტყველ არსებებად, ბუნების ნაშობთა და ნაშიერთა გვირგვინად ვთვლიდეთ თავს.

რჩევა ბარათის ადრესატს

ივანე წიკლაური (მამუკათ ივანე) ერთი პირადი ბარათის ბოლოში ასე მიმართავს როშკივნების სიძეს, ბარისახოელ გაგა არაბულს (მამუკათ გაგას): **„სასვენი ნიშნები არ ვიცი, შენ, საცა გინდა, იქ დაისვენე“.**



ივანე წიკლაური

გულისხმობს ბარათში ჩართულ საკუთარ ლექსს, რომელშიაც მართლა შეინიშნება უმნიშვნელო პუნქტუაციური უზუსტობანი (მე თუ მკითხავთ, „რამ დამაბერა“-ს ავტორს დიდ ცოდვად არც უნდა ჩავუთვალოთ პოეზიისთვის მესამეხარისხოვანი რამე-რუმეების არცოდნა!)...

ახლაღა „დავაწმინდავე“, მივხვდი და დავრწმუნდი, რომ ტექსტში დასმული მძიმე თუ წერტილი მკითხველს ყოვნისთვის, სულის მოთქმისთვის, წამიერი დასვენებისთვის ესაჭროება... ცნება „სასვენი“ სემანტიკურად „დასვენებასთანაა“ დაკავშირებული. გავიხსენოთ ტოპონიმებიც: **„სასვენება“** (ჯუთა; სიონი); **„სასვენგორი“** (ბოჭორმა); **„სასვენება ქედი“** (გაიბოტენი); **„სასვენაანთ ხევი“** (მენესო); **„სვენთა ქედი“** (ჩოხი).

მომწონს გრამატიკული წესების, ნორმებისა თუ კატეგორიების ასეთი მარტივი, მკაფიო, ადამიანური განმარტებანი!..

ხადელა

ხადელა ცისკარაული (ღერენათ ხადელა) – მიქაელ მთავარანგელოზის მოსახელე არხოტის ჯვარის უწინდელი ხუცესი.

სხვათაშორის, ჰქონია ორი წყვილი წინდა (ხევს. **„თათნი“**): ერთი შინ, უსუფთაო ეზო-კარსა და **„მირეულ“** სოფელში საცმელი, ხოლო მეორე – **„საკარჩიგო“,** ე. ი. საგანგებოდ შენახული, მოვლილი, მოსაფრთხილებელი, მხოლოდ დღეობაში, ღვთისშვილთა წმინდა, ურიოშო საბრძანისში მისულს რომ უნდა სცმოდა.

ეს ისე, როგორც იტყვიან, „ცნობისთვის“...

არხოტიდან უკუქცეული ქისტების ლაშქარი ქავისკარ, მდინარე ასაზე გადებულ საცალფეხო ხიდს აშლის და „ჩააგდებს“.

პირველი, ვინც ორფა საფრთხეს (მტერი და სტიქია) არ შეუშინდება და წყალში **„გაფრინდება“,** ხადელა ცისკარაულია.

და ამ დროს ხედავს: ხიდის ყურს ნაწნავებით ჰკიდია ნათელა – ბერდიშვილთ გაგას შინში; გულზე ხანჯალი აქვს დაცემული და სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა...

შედგება ხუცესი, შემობრუნდება, ჩოხის კალთას აიჭრის და, **„უსაკადრეოდ გაჴდილი“** (სიშიშვლე გამოჩენილი) რომ არავინ ნახოს, ჩახსნილ ფარაგაზე გადააფარებს ვაჟების მხარდამხარ მეომარი ქალის უსულო სხეულს...

P. S. ***„არხოტო,სამშობლო,***
ჯიხვ-არწივების ბინაო,
შენ მტერსამც შამაკლა,
შენ მკერდზე დამაძინაო!“

ხალხური

კაცური საუბრის ფორმა

თუ რატომ, მიჭირს ახსნა, მაგრამ რაღაცნაირად მეთავისება და ამიტომაც ვეთანხმები რევაზ ინანიშვილის ორიგინალურ თვალსაზრისს, გამოთქმულს ურითმო ლექსთან მიმართებაში: **„მეჩვენება, რომ თანამედროვე კაცური საუბრის ყველაზე ღირსეული ფორმა ურითმო ლექსია“...**

იმედია, გამოჩნდება კომპეტენტური, კვალიფიციური მკვლევარი, ვინც არგუმენტირებულად, სათანადო საილუსტრაციო მასალის მოხმობით, მაგალითების დამოწმებითა და სიღრმისეული ანალიზით დაგვარწმუნებს ყველასთვის საყვარელი მწერლის ამ არაკატეგორიული **(„მეჩვენება...“)** შეხედულების სისწორეში.



ჭაბუა ამირეჯიბი და რევაზ ინანიშვილი თსუ-ს ბაღში. 1976

უპრიმიტიულესად თუ ვიმსჯელებთ, კლასიკური, კონვენციური ლექსი, თავისი სარითმო სიტყვებითა და სხვა მხატვრული დეტალებით (ფაქტობრივად, სამკაულებით) უფრო ქალური ფენომენია, ვიდრე მამაკაცური...

ხოლო **„კაცური საუბარი“** რაღაც მწვავე, საარდარაო, სადავიდარაბო საკითხის გარჩევასა და გადაწყვეტასაც უსათუოდ გულისხმობს. დინჯი განსჯის

გარეშე რთული ვითარების ადეკვატური შეფასება შეუძლებელია. ლამაზი სიტყვა საქმეს ვერ შველის. ემოციის ნაცვლად საჭიროა გონების კარნახით მოქმედება და მეტი რაციონალიზმი, რათა მოპაექრე თუ სულაც იდეური მოწინააღმდეგე შენს სიმართლეში, შენი ნაბიჯის მართებულობაში დააჯეროო...

მაინტერესებს ეს თემა და გავიხარებ, თუკი ამ კნინ, უპრეტენზიო ოპუსში მონიშნულ ხაზს განმვრცობი და გამგრძელებელი გამოუჩნდება.

პროექტ „ნიჭიერის“ მესვეურთა საყურადღებოდ

დაბეჯითებით, ალბათ, ვერავინ იტყვის, შეჯიბრის რამდენნაირი სახეობა არსებობს მსოფლიოში; ვერც იმას, სპორტული ასპარეზობისა თუ გონებრივი ვარჯიშის (გარჯის, მემჯობინეობის...) რა და რა კატეგორიები იყო და არის ყველაზე მეტად პოპულარული საქართველოში... ის კი ცნობილია, რომ სპორტმასობრივი ღონისძიებანი ხანდახან სოციუმის ემპირიულ საზღვრებს სცდებოდა და ირეალურ სივრცეში, ზეყოფით განზომილებაში, მითისა და ზღაპრის ფერადოვან სფეროში გადადიოდა: ხალხურ სიტყვიერებაში გვხვდება სიუჟეტები, რომლებშიაც სიმძიმის აწევასა თუ ქვის სროლაში **„ნახორციელარი“** ღვთისშვილებისა და ბრიყვი დევების უკომპრომისო ცილობაა გადმოცემული... სახელდებითი საჯილდაო (საფალავნო) ქვები ახლაც ძევს ხახმატის ხატისკარ, კოპალას სალოცავში (მაღაროსკარის ზემოთ), თრანის სათიბების ბოლოში (ერწო), კავთისხევში... ამათგან ორი ვაჟა-ფშაველას სახელთან და მის განსაკუთრებულ ფიზიკურ შემძლეობასთანაა დაკავშირებული..

მთაში, სადაც მწირი რაციონის პრიორიტეტულ „წევრს“ უხსოვარი დროიდან ხინკალი წარმოადგენდა (ნაწილობრივ დღესაც ასეა), შეჯიბრი



ამირან არაბული, ნოდარ ანდღულაძე, ეთერ თათარაიძე

სამხიარულოდ თავშეყრილ ილეთიან ახალგაზრდებს შორის მდუღარე ქვაბიდან უქაფქიროდ ამოღებული ხინკლის შთანთქმაში იმართებოდა (ნუ ვიდავებთ, რამდენად შეესაბამება ასეთი ქმედება ყოფაქცევის ესთეტიკისა თუ სუფრის ეტიკეტის ელემენტარულ ნორმებს).

მეტოქის უყოლობის შემთხვევაშიც შეეძლოთ ჯუღურა თუ **„ლამაზი დახედულობის“** შეუპოვარ ვაჟკაცებს თავიანთი „სიმაგრისა“ და უპირატესობის საჯაროდ დემონსტრირება...

ამონარიდი „ქართულ დიალექტოლოგიაში“ (თბ., 1961) გამოქვეყნებული ფშაური ჩანაწერიდან: **„...აისეთა საკანთიელო ახადს კიდევ იყო ერთი კაცი, იმას ნადირას ძახნილან. ის თურმე მდუღარეს ქვაბშიით ცხელ ხინკალს ამაიღებდა და ლაშჩი იკრავდა, აისრივ მთელას გააქანებდა, არც კი დასცოხნიდა თურმე...“**

გამბედაობისა თუ, ასე ვთქვათ, გულმუცელზე ხელაღებულობის ამგვარი შემთხვევა აღსასრულის წუთამდე სურათოვნად ახსოვდა დიდ მაესტროს ნოდარ ანდღულაძეს: 1952 წლის ზაფხული. ჯუთა. ბარიდან ასული ხევსურებისა და დამხვდურების ქეიფი ერთ-ერთი გაღმაუბნელის ოჯახში. უცაბედად ატეხილი შუღლი. შუამავლებად – ბასრი ღაჯია და შავხლის ხანჯალი... ნოდარის **„ოროველა“**. მერე – **„თავო ჩემო“** და **„მეხრისა მიყვარს ძახილი“**... და, ასე, გათენებამდე... მოშუღართა გაშველება და დაშოშმინება... უცხო სიმღერებით აღფრთოვანებული ერთი „კახელი“ ხევსურის წასვლა მაესტროსკენ და სიჩქარეში ტაბლაზე დაბიჯება... და იმ საღამოს, ვიდრე „მონასტერი აირეოდა“, თანატოლებთან კოხტას (გიგიტათ მინდიას) შეჯიბრი ქვაბიდან ამოღებული ცხელი ხინკლის გადაყლაპვაში...

რა დაშავდება, პროექტ „ნიჭიერის“ ორგანიზატორთა თვალსაწიერში სპორტის ეს (კატეგორიის დადგენაზე ნანუკა ჟორჟოლიანის რანგის კომპეტენტურმა მსაჯებმა იმსჯელონ!) უსამართლოდ მივიწყებული სახეობაც რომ მოხვდეს... თუკი კბილებით ანდა ყურებით რამდენიმეტონიანი მანქანის ადგილიდან დაძვრა და გამანძილება ითვლება ნიჭიერებად, რა გვაწყენინეს უაღრესად ნაციონალური დამღისა და „მენტალობის“ მატარებელმა ხინკალმა და მისმა მყლაპველებმა (რომელნიც, იმედია, უეჭველად გამოჩნდებიან!), ასპარეზს მიღმა რომ ვტოვებთ და ამით ჩვენს კიდევ ერთ უთვალსაჩინოეს „ღირსებას“ ვჩქმალავთ ჩრდილში!..

ქალი და შვილი

ჯავახი რესპოდენტი სარა ველიჯანაშვილი აწერინებს დიალექტოლოგიური მასალის შემკრებს არამ მარტიროსოვს: **„ოთხმოცდაცხრა წლისა ვარ. თეთრმეტი შული მყამ: ორი ქალი და ცხრა შული“.**

ჯერ „აურია“, მერე – დაალაგა: ორი ქალი „შეცდომით“ მიათვალა შვილების საერთო რაოდენობას და წინადადების მეორე ნაწილში ისევ გამოაკლო, – „გამოასწორა“ უნებლიე შეცდომა...

მტრიანი საქართველოს რიგ კუთხეებში ყოველთვის აშკარა იყო ქალებთან შედარებით ვაჟების უფლებრივი უპირატესობა და პრივილეგირებული მდგომარეობა. **„ლეკვი ლომისა სწორია“**-ს პრინციპსა თუ მსოფლმხედველობრივ თვალსაზრისს არც ხევსურეთში ჰქონდა გასავალი.

1913 წელს ხევსურებსა და არხოტში ზეპირსიტყვიერების შესაკრებად გადასულ აკაკი შანიძეს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

– რამდენ შვილი გყავ?

– **ორი**, – პასუხობს სტუმარი.

– რა გიქვიან?

– ლელა და მზექალა.

– ეგენ ქალები, ჩვენ შვილებ გკითხეთ!..

„ყარყატი“

2013 წლის 7 დეკემბერი.

ბარისახოდან ვბრუნდებით.

„ყარყატზე“ (თიკუნი გიორგი სესიაშვილისა) ვსაუბრობთ და (როგორი დამთხვევაა!) აი, ისიც: გზის პირ-პირს მოსდევს მაღაროსკარში.



ყარყატი – გიორგი სესიაშვილი

ვჩერდებით, რათა ავეძრახოთ, მოვიკითხოთ, ახალი ლექსები (თუ აქვს) მოვისმინოთ და მოახლოებული ხალხური პოეზიის საღამოში მონაწილეობაზე დავითანხმოთ...

– თვალთ დამაკლდა, ლანდადღა ვხედავ, წლეულს იალაღებზეც ვეღარ ავედი, მამაგონდება ჩემი საზაფხულო ქოხ-ბინა და სიმწრისგან ვგმინავ, გული დამიღონდება, აღმართებში სიარულის ფილფო რო აღარ მამდევს...

პოლიტიკურ პამფლეტს კითხულობს. ფშაურად „ამკობს“ წინა მთავრობასა და ხელისუფლებას. რაღაც ავიწყდება და ყოვნდება. იხსენებს. აგრძელებს და გადის ბოლოში...

იმ ცეცხლისა და ცინცხალი იუმორისა, წლების წინათ რომ ჰქონდა, ნასამალიღა თუ შერჩენია. სასტიკი ქარების ქროლვას მასზეც უქნია **„რიალი“.**

– აღარც-რა ვინ მაღაროსკარის ახლომახლოა, შაირ-კაფიისა რო რამე გაეგებოდეს. ფშაური შამღერნებაც იშვიათია. მივდივართ. მივიკრიფებით...

მოპაექრეებმა გრძელი, კეხიანი ცხვირის გამო შეარქვეს „ყარყატი“.

მის პოეტურ ნიჭს დიდად აფასებდნენ თენგიზ მირზაშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ალექსი ჭინჭარაული; აფასებდნენ და იწვევდნენ ფოლკლორულ თავყრილობებზე. გიორგი სესიაშვილიც უთავპატიჟოდ ჩადიოდა ხოლმე არაგვის ხეობიდან დედაქალაქში. ჩადიოდა და მართალ, უბრალო, უქვეტექსტო სიტყვას დანატრებული მსმენელის გულში სიკეთისა და კაიკაცობის მარცვალს თესავდა...

„დაუდეგარნი პოეტის სულნ!“ – გამახსენდა ერთი დროვნილი ხევსურის ნათქვამი, ზამთრის გაკაპასება-გამკსინვარების მოლოდინში საეჭვოდ მიყუჩებული მაღაროსკარის უკაცისძეო გზაზე ჩვენი დაუვიწყარი ფოლკლორული საღამოების ერთ-ერთი უკანასკნელი ფალავანი რომ დავინახე: ფშავის ადმინისტრაციული ცენტრის შარაგზა – მოღობილებში, გარდა „ყარყატისა“, იმ დღეს არავინ შეგვხვედრია...

ასეც ხდება

– ოცი წელი იქნება, რაც ეს სურათი უბეში მაქვს, – გვეუბნება 90 წლის ყანობელი მოხევე ვასილ ითონიშვილი და გვაჩვენებს ფოტოსურათს, რომელზედაც ვაჟა-ფშაველა თავის ცოლ-შვილთან ერთად არის აღბეჭდილი (ლევანი, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეგობარი, თანამზრახველი და, ამდენად, ხელისუფლებისთვის საშიში პიროვნება, ოჯახის შემადგენლობიდან „ამოღებულია“ და იმ ადგილას, სადაც ის უნდა იდგეს, საომარი ფარი ჰკიდია).

ფოტოსურათის თვალიერება ჩვენი მხცოვანი მთხრობელის მამის გიორგი ითონიშვილის მოგონებასაც ძალდაუტანებლად მოიყოლიებს: **– მამაჩემსა ანანურში ტაჭკით ჩეეტანა ფქვილი. ამ დროს ვაჟაი ჩარგალჩიგათ გადმასულიყო ჯორაკებითა. მედუქნეს ეთქო მამაჩე-**



მისთვი: – აქ ერთი დიდი კაცია, იმას უნდა მიჰყიდა ფქვილიო! – ვინ არისო? – ვაჟა-ფშაველაიო... ცალი თოლი აღარ ჰქონდაო, – იამბის მამამა. ინტერესით გააბა ჩემთან საუბარიო. მეკითხებოდა ხევზეო, ჩვენ ცხოვრებაზეო. თან ქაღალდზე რაღაცას სწერდაო. იყიდა ფქვილიო, ჯორაკებს აჰკიდა და წაიღოო...

– ეს გონჯაი კაცაიც შავინახე, – შეცვლის საუბრის გეზს პაპა ვასილი და რუხი კოსტიუმის უბის ჯიბიდან გამხდარი, გალეული ხელით სტალინის სურათს ამოაცურებს...

...

ყვავილიან სათიბებში ჩაკარგულ ყანობს 1986 წლის 10 ივლისის მცხუნვარე მზე დაჰნათის გაბაცებული ციდან.

გრძელდება ხევში ფოლკლორული ექსპედიციის მუშაობა.

დანოს შემონათვალი

ნუცუბიძის ფერდობის მესამე მიკრორაიონის მეოთხე კვარტლის მეორე კორპუსის მეცამეტე სართულზე სტუმრობისას ალექსი ჭინჭარაულმა დანი თათარაიძენი (დანო მათი საგვარეულო სოფელია თუშეთში!) **„გამოალექსნა“.**

ახლაღა ვაღიარებ ამ საქმეში ჩემს „ბრალეულობას“: ღვინო რომ არ მომრეოდა, მეტი ყურადღება გამომეჩინა და დროულად მიმერთმია მუდამ საპატიო, სასურველი სტუმრისთვის განსხვავებული საკართანო სასმისი, ალბათ არც ეს ოდნავ ეკლიანი და უწყინრად უკომპრომისო (ლ)ექსპრომტი შეიქმნებოდა: **„სულ ჩემთან მოდის ამბები, მთამ რაიც უნდა ბრძანოსა, იმის სურვილი ნიავმა მე უნდა მომიტანოსა. ახლადაც ნიავ-წანწალა გადმოსცემს მთების „დანოსსა“: – დანო,**



ეთერ თათარაიძე და ალექსი ჭინჭარაული თენგიზ მირზაშვილის სახელოსნოში

სად დამეკარგენით?! – შემოუთვლია დანოსა, – რატომ არ ასმევთ სტუმარსა ბოლო თასს – საკართანოსა?..“

ლეკოთ წიქას, თუკი ამას დაისაჭიროებდა, სრული უფლება ჰქონდა, თავის დევიზად თუ მოწოდებად გამოეცხადებინა ერთი ცნობილი მელექსის ესთეტიკურ სინატიფესა და ელიტარულ ელეგანტურობას რამდენადმე მოკლებული პოეტური თვითდახასიათება: **„ეგრე ამოვხყრი ლექსებსა, რო წვიმიანში ღანძილი“.**

მისთვის უჯერო, შემზღუდავი თუ ხელის შემშლელი ადგილი და დრო არ არსებობდა: ყველგან და ყოველთვის მარჯვენა მხარზე და კალმის წვერზე ეჯდა გამკილავ-გამკენწლავი ზნისა და უშრეტი შთაგონების მზიდავი უცხო, უწვართი ფრინველი...

სად არის ის რქები?

ახლაც, წერას რომ ვიწყებ, წელანდელივით ცხადხილულია თიბათვის ის ყუჩი და სადაგი წუხრიხანი...

წინა საუკუნის 60-იანი წლებია.

შემგლისფერებულზე მთრეხის მხრიდან შემოდიან ჯუთაში. ორი ჯიშიანი, ჯანმაგარი ცხენი ჯიხვის რქათა ჯღრდეებში არ ჩანს. საფერხეებს ჩამოქვეითებული მხედრები მოუძღვებიან. შეღმა უბანში უნცრუათ გორზე ფეხვნობენ სათიბ-საკრეფიდან დაბრუნებული **„ეკალდამივნები“**... თოფ-იარაღში სხედან უცხო მგზავრები. მხარიღლივ „პატრონტაშები“ ჰკიდიათ. უკრძალავად მოაბიჯებენ. ცოტა ხნით ყოვნდებიან საფეხვნოზე. ჯუთლები ვინაობა-სადაურობას ეკითხებიან. ერთ-ერთს უბიდან შუაზე გაკეცილი ფურცელი ამოაქვს და მამაჩემს აწვდის... როგორც ახლა ვხვდები, ნებართვის წერილობითი დასტურია, ალბათ ისეთი ცნობადი კაცის ხელმოწერილი, ბასრ ქვასაც რომ გაბზარავს... საიდან მოდიან? არხოტიდან? იქნებ ბუდე ხევსურეთის სოფლებიდან?..



არხოტის ჯვარში

ახალი დროის „კოლექციონერები“ (ჯვარ-ხატთა ზღვენისა და ზინათის მძარცველები!) დამხვდურებს ემშვიდობებიან და არხეინად აგრძელებენ ღამის გზას ხევის მიმართულებით.

ასაბია

„ასაბია – მტერზედ მიმყოლი შემწე“.

სულხან-საბა

საიქიო ცოცხალთაგან მოუხილავი, მიუწვდომელი, ტრანსცენდენტური სამყაროა. და მაინც: ცხადლივ წარმოვიდგენ ხოლმე, რომ დედაჩემი ჩემს ძმიშვილს იქაც ისევე აშველებს ხელს, როგორც აქ, ამ ცოდვიან მიწაზე აშველებდა ახალფეხადგმულ ყმაწვილს.

დღეს ორივე, სულხან-საბასეული სინტაგმა რომ მოვიხმო, **„მერმის სოფლის“** ბინადარია: ჯუთის გორ გვერდი-გვერდ განისვენებენ ძილა და კვირია...

– ვასაბიაებ!..

ახლახან ვიპოვე: დედის მიერ წარმოთქმული ეს, ცოტა არ იყოს, არაქართულად მჟღერი სიტყვა უბის წიგნაკში ჩამიწერია და მნიშვნელობაც იქვე ამიხსნია: ხელს ვაშველებ, ტანი რომ გაიმაგროს, რომ არ წაბარგანავდეს.

ამ სამი ათეული წლის წინათ სიარულის გასარვაში, ფეხის ადგმაში ხელის მსუბუქი შევლებით შველოდა ბებია შვილიშვილს.

რაკი ისევ ერთად არიან, ისეთი განცდა მაქვს, ეს მოძრაობა, ეს პროცესი, ფეხის ადგმის ეს გაკვეთილი ჯერ არ დასრულებულა. სიცოცხლე სულეთში, სხვა განზომილების უკარსარკმლო, უზეცო, შეცნობელ სივრცეში გრძელდება....

ქვის კაცები

ჩემი სოფლის მთებზე (პირდაპირაში, ჭერხოწვერაზე, შარვნის თავ...), **„ცის ტატანთ“,** წელსწორად წამომართული **ქვაკაცები** – შორიდან მართლაც ერთ ალაგას გაშეშებულ, დასაყდრებულ, ქვადქცეულ კაცებს რომ ჰგვანან.. მეცხვარეების მიერ მეტწილად მოცალეობის ჟამს (როცა დასიცხული სამწყსო თეგრზე დაეყრება და დამურავდება) სიპით ნაგები, ძირით წვერამდე ყრუ, უღრუო, ადამიანის სიმაღლის პრიმიტიული სვეტები... დროთა დენაში, თაობების თვალწინ საწუთროსეულ ჭირსა და ჭაობში შეუმჩნევლად რომ ბერდებიან, იშლებიან, ირღვევიან და, ალბათ, მალე სულაც გავლენ, გადაიკარგებიან თვალსაკიდიდან...

ნისლსა და წვიმაში, მთისთვის ჩვეულ უამინდობაში ეს საგნობრივი ორიენტირები საჩინო სამსახურს უწევენ მგზავრებს, მწყემსებს, მეწვერეებს, მონადირეებს... ნაცნობი ქვაკაცების წყალობით ხერხდება და იოლდება სწორი გეზის აღება; ნაკლებსახიფათო გზითა თუ ბილიკით სვლა სწორი, სასურველი მიმართულებით...

(გაბრიელ ჯაბუშანურის „ბალადა ქვაკაცაზე“ ქისტი ახალგაზრდების დრამატული სიყვარულის ამბავს გვიყვება, სადაც ქვაკაცა ახმედის – გარდაცვლილი ჯიგიტის – სამარეზე, აკლდამის მხარმარცხნივ აღიმართება და იმ შემთხვევაში, თუკი აღსრულდა შურისძიება, მაჰმადიანთა წესისამებრ, ქვის ეს ძეგლი უნდა წაიქცეს)...

ქვასვეტის ფუნქციური თუ დანიშნულებრივი სიფართოვის მანიშნებელია მის სინონიმურ სახელდებათა საკმაო სიმრავლე. ხევსურეთში ქვაკაცას სხვა სახელებითაც მოიხსენიებენ: **ლიგანა, ციხია, საწყევარა...**

თუშეთშიც (ისევე, როგორ ჩვენი ქვეყნის სხვა მთიან კუთხეებში), მის ცერებსა და იალაღებზე, განსაკუთრებით ნაყაიჩოზე, – პირიქითისა და გომეწრის ხეობების გამყოფ ზეგანზე და სხვაგანაც, – მრავლადაა ანალოგიური ქვასვეტები, რომელთაც ადგილობრივნი **„მილიონაებს“** ეძახიან...

შემოწმებაზე

(გულნაზ ხუციშვილის ნაამბობი)

ძაიანთ იასონი ლარსის სასოფლო საბჭოს საქმიანობის შესამოწმებლადაა მივლინებული ყაზბეგის რაიკომიდან. ზუსტად დილის ათ საათზე ცხადდება დანიშნულების ადგილზე.

საბჭოს თავმჯდომარე, სამუკეეთ კოტა, ჯერჯერობით არ ჩანს.

იასონი დგას და ელოდება.

კაი მოდღევებულზე გამოჩნდება უდარდო, გულარხეინი კოტა. დინჯად, მოზომილად მოაბიჯებს, თითქოს ერთსართულიანი შენობის შესასვლელთან სოფლის მოსახლეობის ნაცვლად ცხვრის ნოტო ანდა ნახირი უცდიდეს...

იასონს მოთმინება უთავდება და ზემდგომი კაცის უფლებრივი აღმატებულობის შეგნებიდან მომდინარე სიმკაცრით ეკითხება: – **როდის აღებ? – როცა მზე ამოვა!** – არ იბნევა თავმჯდომარე. **– მზე თუ არ ამოვიდა? – მთლად უკეთესი!** – ღიმილს ვერ მალავს **„დამნაშავე". ვინ დაგნიშნა თავმჯდომარედა?!** – ლამისაა ცეცხლად აბრიალდეს იასონი. **– ჩემმა ძმამ ბათაკამა!..**

მოდი და ნუ გაგეცინება ხორცშესხმული იუმორის აღედ მოარული მოხევის კეთილშობილ უდისციპლინობაზე!

დილა იყო უმზეო, ავდრიანი

ლესია თავაძეს, ზაზა აბზიანიძეს და უნივერსიტეტელ ფილოლოგებს ზეთა „მიედანზე" გაუშლიათ ხაკისფერი, მზისგან გახუნებული კარვები. იქვეა იურა ჯაფარიძე – ზამთრისა თუ ზაფხულის ფოლკლორული ექსპედიციების თითქმის უცვლელი (და უბადლო!) ხელმძღვანელი...

ნამგზავრებს წუხელ გვიანობამდე მოუწიათ კოცონთან ყოფნა (კოცონის ხსენებაზე, მთის კონტექსტში, ბევრს, ალბათ, შაბურას ლექსიც გაახსენდება: **„დევების ქვაბში გვენთო კოცონი და ნაქალაქარ გულებს ვითბობდით და მას, რაც გვწამდა ანდა მოგვწონდა, ვადღეგრძელებდით ყანწით თითოთი..."**); ფხის ფხაწალი ხევიდან ქშენით ამომდინარ ნისლებთან ბაასი და ახლა, როგორც ვატყობ, სულაც არ ჩქარობენ გაღვიძებას...

ვეხმიანები და ველოდები, ვინ გამოიხედავს წინწინ ნაწვიმარი კარვიდან... პიტნის ჩაი (ჟიპიტაურის თანხლებით) და ცხელი ზისცვარი მართლაც რომ მისწრება იქნება მათთვის. დედაჩემმა მხლოვნებისა და ხორც-შიბუიანი კეცეულების თადარიგიც რახანია დაიჭირა და მინდა შინ გადავიპატიჟო სასურველი სტუმრები, ჩემი უფროსი და უმცროსი მეგობრები, თანამოსაქმეები...

ბურუსში შემალული ჭიუხის მხრიდან თქორის თეთრი ფარდები მოიჩქარიან ჯურხამთისაკენ. ცრის სოფელში და სოფლისთავ. ივლისის დილაა და ამ დრო-ჟამის კვალობაზე გვარიანად გრილა. უამინდობა ღელისპირის ყვავილებსაც დამჩნევიათ: მოუწყენიათ და ფერებმოღუშულნი საბრალობლად ბაბანებენ...

კარვის ელვა იხსნება და ზაზა აბზიანიძე პირსახოცით ხელში გამოდის გარეთ. ერთმანეთს ვესალმებით. ათიოდე ნაბიჯში უძინარი ნაკადული (რომლის სილამაზეს, სხვათა შორის, ამგვარად ხედავს თემურ ჩალაბაშვილი: **„შენი ბედი ენატრება ოკეანეს, ეხარბება შენი სიპატარავე...“**) მორაკრაკებს და ხელ-პირის დასაბანად იქითკენ ეშურება. წვიმის ცივი, წვრილი წვეთები ეცემა სახეზე. ჩერდება და ცისკენ იცქირება. დაბლა დაწეულ, დამძიმებულ ღრუბელს აკრეფისა და აკარების პირი არ უჩანს.

– პირობითია პირის დაბანა! – იტყვის ჩვეული ჩაღიმილებით და უკანვე, კარვისკენ გაბრუნდება.

სადაგი ყოფის თანმდევი სავალდებულო სადილაო რიტუალის მახვილგონივრული სიტყვიერი ფორმულირებით იწყება ჯერ კიდევ წელმაგარი ჯუთის ეს მხნე, პერსპექტიული დილა...

ბეთლეემი

დავლათიანი დილა. იღბლიანი დღე. – სხვა რა შეიძლება დაერქვას ასეთ გათენებას!

ტოლებში გამორჩეული მეკლდეური და მონადირე ლევან სუჯაშვილი მყინვარწვერის მისადგომებისკენ მიმავალ უბალახო ქედს მიჰქადლებია და ათასფრად აფორეჯებულ საჯიხვეებს ზვერავს. თანდათან იპყრობს და იმორჩილებს მონადირული აზარტი. მთელ ტან-იოგში უცნაური ცხრო და უჩვეულო მღელვარება ჩაღვრია. ისეთი განცდა დაუფლებია, თითქოს აქ პირველად იყოს და ხამად ხედავდეს ამ ველურ, არაამქვეყნიურის სადარ გარემოს... დარწმუნებულია, მისთვის ოჩოპინტე დღესაც გამოიმეტებს არჩივს... და, აგერ, ისიც! წაბლისფერი ბერხენი ციდან ჩამოსულივით მოულოდნელად გაილანდება რუხი კლდის შიბზე და გეზს ალმაცერად, მონადირის მხრიდან ხელმარცხნივ აიღებს. დურბინდის რკალში „მომწყვდეული“ ჯიხვი ოდნავ წინწამოწეულ ბაქანზე შედგება. უტყუარი ცხოველური ინსტინქტით გრძნობს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება... და მონადირის გაკვირვება, ჯიხვის დანახვით გამოწვეული სიხარული რომ უსწრებდა წინ, მართლაც რომ ენით გამოუთქმელია: იმ ბაქნიდან, სადაც ქარიანი ქარაფების ნებიერი ბინადარი მუხლს ასვენებს, მსხვილი ჯაჭვი ეშვება დაბლა... ბერხენი ბილიკს გაუყვება და თვალს მიეფარება... ლევან სუჯაშვილი შეუსვენებლად აათავებს ღონიერ აღმართს. მიადგება შვეულ კლდეს. ფეხთ გაიხდის და წინდების ამარა, ჯაჭვზე მოჭიდებით და დიდი რისკის ფასად, უკანმოუხედავად აცოცდება ფრიალოზე... ააღწევს გამოქვაბულამდე, რომლის კარს ლურჯი ყინულის სქელი ფენა შემოსალტვია. სარკმელში შეიხედავს და შიგნით, სანახევრო სიბნელეში, ადამიანთა ყოფნის კვალსა და საგნობრივ ნიშნებს დაინამდვილებს...

ეს ამბავი 1947 წლის შემოდგომაზე ხდება; ამბავი, რომელიც ფარნავაზ მეფის მიერ დევნილი ირმის წყალობით განძის სახიზრად ქცეული გამოქვაბულის მიკვლევის „ქართლის ცხოვრებისეულ“ ვერსიას ნააგავს... და მეორდება ეტალონური მნიშვნელობის ღირებულებათა პოვნის პარადიგმა როგორც მითოსში, ისე რეალურ ყოფაში.

გასთველხმელებული ნოემბრის იმ დღეებში, როგორც გერგეტის მკვიდრი გენო სუჯაშვილი იგონებს, სიზმარეული ქვეყნიდან დაბრუნებულს ჰგავდა მამამისი – ბეთლემის გამოქვაბულის პირველმიმგნები სახელოვანი მოხევე.

მომდევნო წელს ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით შედგება მცირე ექსპედიცია, რომელსაც, რასაკვირველია, ლევან სუჯაშვილი მეგზურობს. ექსპედიციის წევრები შეძლებენ გამოქვაბულში შეღწევას და იქ არსებული ნივთების (მათ შორის ჭედური ხატისა და ბრინჯაოს შანდლის) დათვალიერებას...

ილიას „განდეგილიდან“ მკითხველთათვის ნაცნობი მონასტრის (**„გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი...“**) აღმოჩენა ზედროული შინაარსით აღავსებს მყინვარის ამ წმინდა, ლეგენდარულ შემოგარენს...

P. S. ბეთლემი მყინვარწვერისა და ბეთლემი ბაგინეთისა, სადაც ნინო კაპადოკიელის მხურვალე ლოცვის ძალამ არმაზის კერპები შემუსრა და იქაურობა ღვთიური სხივით შემოსა... საქართველოს საკრალური გეოგრაფიის ორი უმნიშვნელოვანესი პუნქტი – კრძალვით სახსენებელი და ჩოქით მისაახლებელი ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის!

„ნეტავი შენა, წერილო...“

„ვერა, მაინც ვერ ანაცვლებს
მონატრებას მონიტორი...“

ნუგზარ ზაზანაშვილი

ერთი მხრივ, ლექსად ნატვიფრი პირადი მიმოწერა: **„გაფრინდი, ჩემო წერილო, როგორც მერცხალი დილისა...“ „უნდა დაგწერა, წერილო, მარკა დაგაკრა ჭრელია...“ „ფოსტა არ არის? – წერილი არწივებს გამოატანე“... „ნეტავი შენა, წერილო, მიებარები ნინოსა, უთხრიდი-ღ ჩემსა მაგივრად შენთანაღ დაიძინოსა, გადაგიკითხოს მალი-მალ, თან უბეს ჩაგიძვრინოსა...“ „დავჯე, დაგწერე, წერილო, გზა შორი მიგიდისაო, არხოტში უნდა გაგგზავნა, სადაც ხალხია მთისაო...“**

მეორე მხრივ, ულტრათანამედროვე მესიჯები: **„როგორ ხარ, მენატრები“. „გკოცნი, მიყვარხარ!..“ „მომწერე, პაკა...“ „დამილაიქე, გელოდები...“**

პოეზიად ამეტყველებული პირადი ბარათებისთვის თანმდევ უბოდიშო ინტიმსა და სულის აღმავალ მღელვარებას სანახევროდაც ვერ შეწვდება სატელეფონო მესიჯების ცივი, რაღაცით ოფიციალური, უაკუსტიკო ტონალობა და ვერც ინტერნეტსივრცის შეუზღუდავი შესაძლებლობანი ააშრობენ აცა-ბაცა ასოებისა და სიტყვების სასრულ მწკრივში ცის მანანად მცვრეულ წუხილისა თუ სიხარულის ცრემლს...

ნანდობისა თუ ნათესავის, მეგობრისა თუ ოჯახის წევრის ხელით ნაგვირისტები წერილების დღეობით და კვირეობით გაგრძელებულ მოლოდინს და ამ მოლოდინის ემოციურ შინაარსს ვერაფრისდიდებით გაუტოლდება წამებსა და წუთებში განხორციელებული ტექნიკური ოპერაციების „მშრალი“, მექანიკური პროცესი!

გაცრეცილ, გადახუნებულ ფურცლებზე შერჩენილ და დღემდე შემონახულ გულების ფართქალსა და ფორიაქს, შვებასა და ხვაშიადს, აბა, რანაირად შეედრება მობილურის ეკრანზე ანდა სხვადასხვა საიტზე მანქანური ოპერატიულობით აკრეფილი ტექსტის „სითბო“, უშუალობა და კომუნიკაბელობის ხარისხი!

უბრალო მოკითხვის, მბობის, სხვისი ტკივილის მომტკივნებისა თუ სიხარულით გახარების დინჯი, დაუძაბავი, ეპიკური სტილი ახალი ამბისა და ინფორმაციის მიწოდების სავალდებულოობამ შეცვალა, ხოლო წრფელი მწუხარება – მოჩვენებითმა თანაგრძნობამ.

დრო, რასაც პირადი წერილი ადრესატამდე მიღწევას ანდომებდა, დღეს თვალის დახამხამებით განიზომება; ფიზიკური მანძილი, რის დაფარვისთვისაც ფარატინა ფურცელზე დატანილ ტექსტს, ხშირ შემთხვევაში, ერთი თვეც არ ჰყოფნიდა, ახლა აღარ არსებობს, „ანულირებულია“...

სასწაულებსა და ზებუნებრივ მოვლენებს უთანაბრდება ტექნიკური ცივილიზაციის მიღწევები! შესაბამისად, მცირდება ადამიანობის ადგილი და ხვედრითი წილი სტრესებითა და მოულოდნელი კატაკლიზმებით დაღდასმულ თანამედროვე სამყაროში...

და, კი არ ნელდება, დღითი-დღე ღრმავდება და ძლიერდება უფროსი თაობების ნოსტალგია იისფერი მელნით ნაწერი სამკუთხა ბარათებისა თუ „კანვერდში გამოკრული“ წერილების მიმართ...

კოსმიური სივრცეების დაუფლებისა და „ათვისებისკენ“ კაცობრიობის დაუდგრომელ სწრაფვაში კაცად-კაცობის პოსტულატებიდან თანდათანობითი უკუსვლის საშიში ტენდენციები იკვეთება...

თავკიდური

დაწყებითების ოთხი კლასისთვის დაუგვიანებლად გაღებული კარი ჯუთის სკოლისა. სულ ათამდე მოწაფე. ოთხივე კლასი ერთ პატარა ოთახში და მასწავლებელიც საერთო (ყველა საგნისა და ყველა კლასისა!) – ვანო ჩაბაიძე. ზომიერად მკაცრი, პირტუქსი... და მაინც: კეთილმოსურნე, მოძღვრისა და დამკვალიანებლის უხილავი სხივით გარემოსილი...

ის წინაპირველი დღე: მზიანი, თბილი, იისებრი (ალბათ, მელნის ფერის ასოციაციით!); წიგნის ჯერ შეუცნობელ სამყაროში შეჭვრეტის დასაბამი. დაუვიწყარი „აი ია“ ნახატებიან „დედა ენაში“ – უყოყმანოდ სანდო ბილიკი ცოდნის დაუფლების ვრცელ ასპარეზზე გასასვლელად...

და სწორედ იმ დღეს, 1963 წლის 1 სექტემბერს, გორელი „მეხილეების“ მიერ ყველსა და ერბოზე გასაცვლელად ამოტანილი ვაშლი, მსხალი და ატამი – სამივე ფეროვანი, წვნიანი, არომატული; ნანატრი ხილი ალპიურ სოფელში მოცვის, ჟოლოსა და მოცხარის შემხედვარე ყმაწვილებისთვის...

ირიბ გრაფებად დაყოფილ თხელი რვეულის ფურცელზე სანიმუშოდ „გამოწერილი“ ქართული ასო-ნიშნები. და ჩვენი (პირველკლასელების) უმწიფარი, უწურთნი, გაუწაფავი ხელით მასწავლებლის კალიგრაფიისთვის ნაწერის მიმსგავსების მონდომებული ცდა; უცნაური ორნატის (იგივე კვალის) გავლებისა და ბოლომდე, რვეულის მინდვრამდე მიტანის მოუწყინარი რიტუალი...

გაკვეთილების დასასრულს: სკოლის უკან, „მინდორაზე“, სადაც დედა დილიდან ქერის დაპურებულ, დათავთავებულ ყანას მკის...

ნათიბ-ნამკალით ერთიანად აჭრელებული მზვარე.

ცელის სივილისა და ნამგლის წკრიალის განუმეორებელი სიმფონია.

ძალნაქნარი, სულწუხი **„საქმისდღენი“**... და იქვე, ჩვენი ყანის მომიჯნავედ: შიშიათ გიორგის ცოლი ძიმარი და მარიემი – ქორიათ ზურაბის დედა. ისინიც, რასაკვირველია, სამკალზე...

უგემრიელესი სადილი წერილაის (ჯვარსახოვნად აგებული ძნების) ჩრდილში: პურ-სატანი, მწვანილი, მდნარ ერბოში არეული ჯალი ანუ ქუმელი და თავხშირ ბალახში თიხის ჭურჭლით გრილად შენახული წყაროს წყალი...

შესვენების მერე ისევ სამელნე, კალამი, წიგნი და რვეული.

აცა-ბაცა დაწალიკებულ ასოთა მწკრივი.

და ამასობაში დიდრუს ხევსა და სათბილოვანაზე დაღმა დახრილი, ჩამოგრძელებული ნაგრილები...

თავკიდური დღე ცოდნასთან ზიარების დიდი, დაუსრულებელი პროცესისა...

მოლოდინის რეჟიმი

უსაშველოდ ბევრი იწერება და იბეჭდება. აქედან ძალზე ცოტა გვამახსოვრდება. და ეს ცოტა „მოურიდებლად“, უბოდიშოდ შემოდის ჩვენში: გვამღვრევს, გვაფორიაქებს, სულს გვიმღელვარებს, გვიკარგავს მოსვენებას, გვატკბობს ანდა „გვამწარებს“... ერთი სიტყვით, მიზანს აღწევს და წარმატებით ასრულებს თავის უმთავრეს დანიშნულებას – მიმდინარეობს კათარზისის ჩუმი, უჩინარი პროცესი...

არ არსებობს უნაკლო, ზუსტი და უნივერსალური კრიტერიუმი, ცალ-ცალკე რომ დაალაგოს და გამიჯნოს ხანგამძლე და უდღეური, სარგო და უსაფერო ლიტერატურული „ტექსტები“; განარჩიოს და იერარქიული კიბის კუთვნილ საფეხურებზე მიუჩინოს თავთავიანთი ადგილი მოდილეტანტო მწერალსა და ნამდვილ, უტყუარ შემოქმედს...

ვინმე სანდო და ჭკუისსაკითხი, კეთილმოსურნე და მიუმხრობელი კაცი რომ მეტყოდეს, რომელ კატეგორიას განვეკუთვნები და დამაჯე-

რებლად დამისაბუთებდეს თავისი თვალსაზრისის საფუძვლიანობასა და სისწორეს, ალბათ მივიღებდი ჩემთვისაც და, გარკვეულწილად, დაბნეული, დეზორიენტირებული მკითხველისთვისაც უმჯობეს გადაწყვეტილებას: დავდუმდებოდი და დავდებდი კალამს ანდა კვლავინდებურად გავაგრძელებდი დანის ფხაზე ფეხაკრეფით სიარულს...

ასე რომ, ვაგრძელებ პირუთვნელი მსჯავრისა და განაჩენის პერსპექტიული მოლოდინის ჯერჯერობით უძრავ, უმღელვარო რეჟიმში ყოფნას!..

ესეც ხომ საკითხავია

არწივი **„ხთის ქათამია“** (ასე მითხრა როშკიონმა კაგათ ჯურხამ).

ამიტომაც, ჩვენი წინაპრების რწმენით, მისი მოკვლა არ **„ჯამდა“**, არ შეიძლებოდა.

ვინც აკრძალვას არად ჩააგდებდა, გადალახავდა და სათოფედ გაიმეტებდა ცის **„გიდელ-გიდელთ“** მავალ მხარკვერიანს, ვერ გაიხარებდა – ოჯახის წევრები ამოუწყდებოდა და, შესაძლოა, საერთოდაც გადაშენებულიყო..

ჩვენს ძველებს ამგვარივე დამოკიდებულება ჰქონდათ ვეფხვთან. ისიც ტოტემად, წმინდა ცხოველად ითვლებოდა (გავიხსენოთ ბალადა „ვეფხვი და მოყმე“: **„...გზას ვეფხვი წამამიფრინდა, თვალნი მარისხნა ხთისანი“**) და, თუკი მაინც მოინადირებდი, სვანური წარმოდგენით, იმდენჯერ უნდა დაგეტირებინა, რამდენი ზოლიც ტანზე ჰქონდა.

„თამბი“, „ვეფხვი და მოყმე“ – ხალხური პოეზიის ორი მშვენება და თავიაგუნდი, მითოსური პლასტების სიუხვით რომ იქცევენ ყურადღებას და საცხად ადასტურებენ ვეფხვისადმი კრძალული, მორიდებული დამოკიდებულების არსებობას საქართველოში.

არწივი – ფრთოსანთა ღირსეული, „ლეგიტიმური“ მეფე და წინამძღოლი!

და, კაცმა რომ თქვას, რითია ნაკლები ვეფხვი ლომზე, ამ უკანასკნელისთვის რომ უბოძებიათ და მიუსაკუთრებიათ ველურ ცხოველთა მეფობის საპატიო ტიტული და არა ვეფხვისთვის, რომელიც მტრობაშიაც სამაგალითო „კაი ყმაა“ და, თუკი შემთხვევა მოიტანს, არც თავის დამნდობ მონადირესთან მეგობრობაში შეირცხვენს თავს!

ხედვის სუბიექტური რაკურსი?

სად განიმქრა და გადაიხაფრა ის კაიყმური შემართება, გულის ძგერა და სულისკვეთება, გრილ ქვასაც რომ შეძრავს, შეაჟრჟოლებს და ადგილს მოაცვლევინებს?!

როდის დასრულდა თავის საცდელად მუდამ მზადმყოფი სვილისფერი ვაჟების ეპოქა და რომელი საუკუნის რომელ ათწლეულში ჩამოდგა **„ჩოთქის და არშინის“** კნინი, უგემური, უდავლათო დროება?!..

რა ბობოქარი ღონე უღვიოდათ მკლავსა და მუხლებში, ელვასავით რომ ანათებდნენ საომარ ველსა თუ მწარე საფიქრალის აბლაბუდაში გაბმულ წარბშეკრულ მთას.

საკუთარ სიცოცხლეს რომ არაფრად თვლიდნენ, ოღონდაც ნამუსიანი პირით ევლოთ ამ **„ტიალსა“** და, იმავდროულად, მადლიან მიწაზე...

ერთხელაც მივაპყროთ ყური და კარგად გავსინჯოთ, გავითავისოთ:

ლეგა ჰყოფილხარ, ითირო,
გოშტიკაურო, მგელიო,
გასცვითე წინხადუსთავი,
ომობას – დიდი ველიო...

შამოგხვდეს თავ-მესისხლენი,
ვერ შეგიცვალეს ფერიო.

და ვის, თუ არა ატაბიონ პეტრე გოგოჭურს, უნდა ხსომებოდა და ეკარნახა ეს მცირე საგმირო საგა ფოლკლორისტ ტრისტან მახაურისთვის.

მოზარე

ღილღოში, აულ ლეიმეში, რუს ჯარისკაცებს ცეცხლი წაუკიდებიათ ურჩ კავკასიელთა სამკვდრო აკლდამებისთვის. მკვიდრთაგან დაცლილი სამოსახლოს თავზე ავპირი ქარისგან გაფანტული აბოჟირებული ბოლი ბრუნავს. იწვის და ინაცრება ქალთა და კაცთა, ბერთა და ახალ-



გაბრიელ ჯაბუშანური თავის ძმიშვილებთან.
აული ჯართა. ღილღო. 1961

თა გაფითრებული, გაანგრილებული ძვლები, ჩონჩხებს შემოხვეული ძვირფასი ატლასი; ღამისფერი ედება ხელის ფალანგებს შერჩენილ სევადიან სამკაულს...

შორიახლოს, მოტიტვლებულ სერზე ზის გაბრიელ ჯაბუშანური და მუხლზე გადაშლილ რვეულში ერთ ღამეში დეპორტირებული მამაცი ქისტების სევდიან საგას წერს... სიმწრის ცრემლი უღარავს გამხდარ, განაცრებულ ღაწვებს. მეზობელი ტომის მძიმე ბედის მოზარეობა და ჭირისუფლობა ერთდროულად ურგუნებიათ მისთვის ქრისტეს და ალაჰს... არაფერი ეყურება, გარდა საბჭოთა იმპერიის მიერ უცხოობისთვის გამეტებული ამაყი ერის უსაზღვრო და უსაშველო ცოდვა-ბრალისა...

შეუმჩნევლად უახლოვდება ხუთი-ექვსი წლის ბაბუტათ აშექალი; უკვირს ვაჟკაცის „ქალური" საქციელი; თავგზას მაინც არ კარგავს და მიამიტური ინტერესით ეკითხება:

– თვალებზე ხახვ რუსებმ დაგაჭრესა?

– ჰო, რუსებმ დამაჭრეს! – პასუხობს თანასოფლელის ბავშვს წარმოსახვისმიერი სამყაროდან დღის სიცხადეში დაბრუნებული პოეტი...

– დედამ წამამლალ, ჩამაიარასავ, კეცეულებ დავაცხვივ, მკვდართ შანდობა ვუთხრათავ! – ეპატიჟება გაბრიელს სტუმარ-მასპინძლობის წესებში უკვე კარგად გარკვეული და გაწაფული პატარა მანევარი...

გრილი გაზაფხულის იმ შავნაღვლიან ღამეს ქვემო ჯართას დროებით დასახლებულ ბერდიშვილთ ბაბუტას ოჯახში დარჩება და გაათენებს აბრეკებისა და ჯიგიტების უმწარესი ხვედრის მოზარე გაბრიელ ჯაბუშანური.

„ქალი თუ გინდა ლამაზი...“

სახალხო-რელიგიური დღეობა (და საერო დღესასწაულიც) რეალობას მეტნაკლებად შეცვლილი, შესხვაფერებული, ხელოვნურად გალამაზებული და მორთულ-მოკაზმული სახით წარმოაჩენს, მით უფრო საქართველოში, ვინაიდან ჩვენ (და ამაში შეუძლებელია არ დაეთანხმო გურამ ასათიანს) ბევრი რამის თეატრალიზება, გასცენიურება და არტისტულ ასპექტში გარდათქმა გვჩვევია...

რუტინული ყოფითობის ფარგლებიდან გასული, გართობისა და სულიერი „აღმაფრენის“ მერიდიანებზე მოხვედრილი ადამიანი ნაკლებად სანდო და საყრდენად უსარგებლოა, ანუ: ის არაა ის, ვინც სინამდვილეშია! ვერც ზოგადად ერისა თუ სახელდებითი ეთნიკური ერთეულის ღირსების საზომად გამოდგება თავის გამოჩენისა და გამჩვენეობის ასპარეზად გადაქცეული რიტუალური მოვლენა თუ თავის პირველსაწყისებს მოწყვეტილი და კატასტროფულად დაშორებული,უცხოეთიდან უბოდიშოდ შემოჭრილი მასკულტურის მავნე ზეგავლენით ერთობ დამდარებული და საღვთო მადლისგან განძარცვული რომელიმე „პოპულარული“ ეროვნული დღესასწაული...

ღირსება ხომ არა ჩაცმა-დახურვით, არამედ გარჯით, ხელმარჯვეობითა და ტოლ-სწორების მჯობნობით უნდა იცნობოდეს და ისაზღვრებოდეს. და ამაში ცის მიღმამდე მართალია „მიამიტი“ ხალხური მელექსე:

ქალს ნუ ჰკვლევ ჯარობაშია –
ტანთ ნათხოვარი აცვია,
ქალი თუ გინდა ლამაზი,
დაჰკვლიე ქერის მკაშია!

ასე ფიქრობდნენ, ასე მიიჩნევდნენ, ასე სწამდათ ძველ საქართველოში. გამოხდა ხანი და შეიცვალა კრიტერიუმები...



მზექალა ჭინჭარაული

და რაოდენ ნიშანდობლივია, რომ ქალის პიროვნული ღირსების განსჯისა და შეფასების თითქმის მსგავსი საზომი არსებობდა შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში. დიდაქტიკოსი ავტორის ქეიქაუსის ქმნილებაში „ყაბუს-ნამე“, რომლის ფრაგმენტები ჯერ კიდევ ვახტანგ VI-მ თარგმნა (მთლიანი თარგმანი ამირან ლომთაძეს ეკუთვნის), მოხუცი მშობელი თავის მემკვიდრეს ამგვარ რჩევა-დარიგებას უტოვებს: **„... ქალი საქმეში ნახე და მისი ლამაზი სახის მონა ნუ გახდები. ლამაზი ქალი მხოლოდ საყვარლად გამოდგება. კარგი ქალი ღვთის მოშიში, გამრჯე, დიასახლისი, ქმრის მოყვარული, მორიდებული, კდემამოსილი, ჩუმი, მომჭირნე და ქონების ყურისმგდებელი უნდა იყოს“.**

წარსულის ხედვიდან, პრაქტიკიდან და ტკბილ-მწარე გამოცდილებიდან ზოგი რამის გახსენება და გათვალისწინება (როგორც იტყვიან, რაციონალური მარცვლების ამოკრეფა) ცის მაცოცხლებელი ცვარივით წაადგებოდა ჩვენს გაქსუებულ, გაუკუღმართებულ, ევროპული ყოფა-ცხოვრების ყაიდაზე გადასვლის მოსურნე დღევანდელობას.


სამხსნელო

გალაკტიონის უბის წიგნაკიდან: **„უფერო წყალში დამხრჩვალის სულს დაეპატრონნენ ავი სულები, დამხრჩვალის სული მოითხოვს შველას“.**

ადამიანის სულდანალევში, მდინარესთან ანდა ზვავთან, შავ თიკანს მიიყვანდნენ, დაკლავდნენ, იქაურობას ზვარაკის სისხლს „უწევდნენ“, ავსულთაგან სამხსნელო – **„სულთმოსხმის“** – სიტყვებს წართქვამდნენ და დარწმუნებულნი იმაში, რომ განსვენებულის სული მიწრიელთა ტყვეობიდან გაათავისუფლეს, **„სულთმოსასხმელი“** დროშის ჟრიალით გამობრუნდებოდნენ უკან...

მახსოვს ლიქოკის ხეობიდან ხევში – ართხმოს წყალზე ჩასული ლიქოკის ჯვრის ასაკოვანი ხუცესი და მისი თანმხლები ორი ახალგაზრდა, რომელთაც მიხიელთ ზურაბის სული „დაიხსნეს“ ავად სახსენებელი ეშმაური ძალებისაგან...

ხევიდან ჯუთაში ამობრუნებულებმა, როგორც ჯვარ-ხატთა „მაწმიდარმა“ მსახურებმა, უარი თქვეს მასპინძელთა ჭერქვეშ სტუმრობაზე და საძელის უღელტეხილით მათი გაცილების („გასტუმრების“) რიტუალი შეღმა წისქვილებთან,



ბაბალათ დავითი

„დროშასაბძანა“ კლდესთან ჩატარდა გიგიტას, შალვას, ნათელისძისა და მამაჩემის მონაწილეობით...

და ისევ გალაკტიონის შესახებ: მის არათუ რომელიმე ლექსში, არაერთ პწკარსა თუ წინადადებაშიც კი იმ რიგისა და ოდენობის ხალხური ცოდნა და ენიგმური შინაარსის ინფორმაციაა „აკუმულირებული“, ბარე ერთი სერიოზული სადოქტორო დისერტაციის თემად რომ იკმარებს!

მზადება

მზადება მთაში გასამგზავრებლად.
მზადება სწორფერთან შესახვედრად...
მზადება ხვნა-თესვისთვის.
მერე – თიბვისთვის, მკისთვის, ჭირნახულის დაჟამკრებისთვის.
მზადება დღეობისთვის; რთველისთვის; გიორგობისთვის...
მზადება საწელწდო (საახალწლო) და სააღდგომო...
მზადება ნიშნობისთვის, ქორწილისთვის, ძეობისთვის.
მზადება გამოცდებისთვის.
მზადება დოღისთვის და წლისთავისთვის...

და შემკრები (თუ შესაკრებელი) ყოველგვარი სამზადისისა: **„ჩვენი უზენაესი დანიშნულება – მზადება სიკვდილისთვის“** (მარკუს ავრელიუსი).

ცოდვიანნი

ზურაბ არაგვის ერისთავს, თავი რომ დავანებოთ და თვალი მოვუხუჭოთ თრუსოს ხეობაში სამოცი რჩეული ხმლოსანი ხევსური ვაჟკაცის მიმართ მის მიერ ჩადენილ უპრეცედენტო მოღალატეობრივ დანაშაულსა და არაგველთა თემ-სოფლებში მუხანათურ, თუმცაღა წარუმატებელ ლაშქრობებს, საუკუნო ცოდვად და ჯოჯოხეთში მოსახვედრად ისიც ეყოფოდა, რაც გიორგის – ღვიძლ ძმას და სვიმონ მეფეს (სიმონ-ხანს) უყო: პირველი შეიპყრო და **„აღმოხადნა თვალნი“**, ხოლო მეორე მძინარე მოკლა – ყველაზე კნინკაცური და დამამცირებელი ქმედება მეომართა ქცევის ნორმების ზეპირ კოდექსში (XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში მომხდარი მსგავსი შემთხვევის შესახებ წერს ვახუშტი ბატონიშვილი: **„და მოკლა მამა თვისი მამია გურიელი ძემან თვისმან სვიმონ, მწოლარე სარეცელსა ზედა ძილად...“**).

ბარძიმ ამილახვარი

დიმიტრი ყიფიანს თავის მემუარებში შეუტანია **„ერთი ფრიად სამწუხარო შემთხვევა“**, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მას მერე ორმოცდაათი წელი გასულა, **„შემაძრწუნებელი შთაბეჭდილებით ახლაც აღმოუფხვრელია“** მისი მეხსიერებიდან.

ავლაბრის ყაზარმის ერთ კამერაში იმყოფებიან დიმიტრი ყიფიანი და მისი სასწავლებლისა და სამსახურის ამხანაგი, ვინმე ავთანდილოვი.

ერთ დილას იღება მათი კამერის კარი და შეჰყავთ **„შესახედავად ფრიად საინტერესო“** მოხუცებული კაცი: ტანმაღალი, თავდაჭერილი, წელში ოდნავ მოხრილი და, ერთი შეხედვით, კეთილი, ძალიან კეთილი...

დამხვდურთა კითხვაზე, ვინ ბრძანდება, ახალმისული პასუხობს:

– ბარძიმ ამილახვარი გახლავართ!

1832 წლის შეთქმულებაში ბრალდებული თავადი არგაგონილ სიტყვაძუნწობას იჩენს და აღარც დიმიტრი და ავთანდილოვი აწუხებენ ზედმეტი კითხვებით: მხოლოდ დილის სალამს აძლევენ, სადილობისას ერთ-ორ სიტყვას ეუბნებიან და როცა ძილის დრო მოვა, თავაზიანად ემშვიდობებიან. უჭირთ უცნაურ ბერიკაცთან სამუსაიფო სიტყვის გამონახვა, მის გულთან მიმსვლელი გზის მიგნება...

საპიორის ბატალიონის ერთ-ერთ უნტერ-ოფიცერს, რომელიც ლმობიერად ეპყრობა ტუსაღებს და თავთავიანთ ოჯახებთან ურთიერთობაშიც ყოველნაირად ეხმარება, ბარძიმ ამილახვარი გენერალთან შეხვედრის ორგანიზებას სთხოვს, იმ გენერალთან, რომელიც შეთქმულთა საქმეების გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარეა.

თავადი იმ დღიდან კამერიდან გაჰყავთ და დიმიტრისა და ავთანდილოვსაც ერთურთს აშორებენ...

გადის ექვსი თვე.

კამერაში, სადაც დიმიტრი ყიფიანთან ერთად ახლა უკვე თეკლე ბატონიშვილის ძენი – ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები სხედან, შედის **„მეტის-მეტად გამხდარი, მიხრწნილი და პატივაყრილი ეფრეიტორი“**, რომელშიაც გულკეთილი უნტერ-ოფიცრის პიროვნებას ამოიცნობს დიმიტრი.

აღმოჩნდება, რომ „დარბაისელ“ ამილახვარს გენერალთან დაუბეზღებია უბედური უნტერ-ოფიცერი, თითქოს იგი გაპარვაში შემწეობას პირდებოდა დიმიტრის და ერეკლე მეფის შვილიშვილებს.

მოგონებაში ნათქვამია, რომ ამილახვარმა ერთი ღერი რუსულიც არ იცოდა და რანაირად უნდა გაეგო, რა თემაზე საუბრობდნენ ქართველი პატიმრები რუს უნტერ-ოფიცერთან!..

დაიჯერებენ „დარბაისელი“ მოხუცებულის ცარიელ სიტყვას, უნტერ-ოფიცერს დამნაშავედ ცნობენ, პატივს აჰყრიან და უმოწყალოდ

გაროზგილს ნახევარი წლის განმავლობაში სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ამყოფებენ...

...

დიმიტრი ყიფიანი მოგონებისთვის დართულ სქოლიოში პატიებას ითხოვს **„ღრმად პატივცემულ“** ივანე გივის ძე ამილახვრისგან იმის გამო, რომ **„მისდამი პატივისცემიდან ერთ ბეწვის ოდენასაც ვერ გაუნაწილებს იმისი პაპის, თავადი ბარძიმის ხსოვნას...“**

ბარძიმ ამილახვარი!

რა მჭექარე გვარ-სახელია, თითქოსდა რაღაც საკრალური იდუმალების შემცველიც, და რა კარგი იქნებოდა, მის ბიოგრაფიას ეს სამარცხვინო ეპიზოდი არ „ამშვენებდეს“.

ვაჟას კუბოს ფიცარი

ვაჟა-ფშაველას ნეშტს, დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე რომ გადაასვენეს 1935 წლის ოქტომბრის თვეში, „ჭურჭელიც“ შეუცვალეს და ძველი სათავსოს (არ მინდა ამ წყეული „კუბოს“ განმეორებით ხსენება და რა ვქნა!) დაბზარულ, დაჩოლფოტებულ ფიცრებს, ვინ იცის, რა ბედი ეწიათ... საბედნიეროდ, გადარჩა „სასახლის“ ერთი საკმაოდ მსხვილი გვერდითა ფიცარი, ბრინჯაოს ორი მოხარატებული სახელურით. დღეს ეს ძვირფასი, სრულ ოც წელიწადს გენიის ალში ნამყოფი ნივთი სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების საცავში, ხისავე ბუდეშია მოთავსებული...

ხელით ეხები და გრძნობ სიწმინდის სიმხურვალეს...

და მადლიერებით ივსები სამუზეუმო საქმის ზედმიწევნით მცოდნისა და სიძველეთა ამაგდარი მეურვის, აწ გარდაცვლილი სტეფანე

ალიბეგაშვილის მიმართ. როგორც არაერთი უნიკალური მოხეური სამოსი, სამეურნეო იარაღი თუ ექსპონატი, ვაჟას განსასვენებლის ეს ფრაგმენტიც (მემუარების თანახმად, ფიროსმანის მხარშენახები!) მის მიერაა მოპოვებული და ჩატანილი ხევში...

ცოდვაა, ჩვენი დიდი სულიერი პაპისა და წინაპრის კუბოს ფიცარი ორფა „დილეგში" იყოს გამომწყვდეული და უებრო შემოქმედების თაყვანისმცემლებს არ ჰქონდეთ შესაძლებლობა მისი ხილვისა.

და თუკი კადნიერებაში არ ჩამეთვლება, ბარემ ამასაც ვიტყვი: უფრო სწორი და სამართლიანი კი ამ ფიცრის ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში გადატანა იქნებოდა...

შეუმცდარი შემფასებელი

„ეხ, რა ცუდ სამსახურს უწევს ის თავის ღვთაებრივ მამას!"

ეს ვახტანგ რაზიკაშვილის ღვაწლისა და ერთადერთი წიგნის სერგო კლდიაშვილისეული შეფასებაა.

სამართლიანია და სავსებით საფუძვლიანი უპატიოსნესი ქართველი მწერლის გულისტკივილი: წიგნში „მამაჩემი ვაჟა-ფშაველა" უდიდესი მწერლისა და მამულიშვილის ცხოვრებისეული გზის არაერთი წახნაგია გამრუდებული თუ გაყალბებული, მთხრობელის თვალთახედვასა და გემოვნებას მორგებული და მისადაგებული.

ვახტანგ რაზიკაშვილს, როგორც სერგო კლდიაშვილი შენიშნავს, განათლების უკმარისობამაც შეუშალა ხელი, საკადრისი სიღრმით წარმოეჩინა სასიქადულო მამისა და გენიალური შემოქმედის ხასიათი და ბუნება; ეჩვენებინა მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის ძირეული შტრიხები...

ანკი მეტის მოლოდინი რატომ უნდა გვქონოდა ჟანდარმერიის იმ ნაფიცი მსახურისგან, ვინც საკუთარი ძმა – რაინდული სულის ლევან რაზიკაშვილი – და მიხა ხელაშვილი ყვავ-ყორნების ხელში ჩასაგდებად გაიმეტა...

შეუფერებელი, გვარისა და მოდგმის მომყივნე უღირსი მემკვიდრე – ერთი უმთავრესი „ინგრედიენტი" „კაი ყმისა" და „ალუდა ქეთელაურის" ქუდბედიანი ავტორის უმთენარო, უსიხარულო ცხოვრებისა!

საბრალა

აკაკი შანიძის მთქმელ-ინფორმატორთა შორის იხსენიება ვინმე საბრალა არაბული, მცხოვრები ხევში, სოფელ გერგეტში. ფოლკლორული ჩანაწერების ბოლოში გვარი „რაიბულის" და „რანბულის" ფორმებითაც არის დაფიქსირებული (სხვათა შორის, რაიბულობაზე თუშების ერთ-ერთი თემის ხალხიც ეწერებოდა. მგლოვიარე ქალი მოთქვამს: **„ამა ლექსისა მათქომი ვარ რაიბულის ქალიო, ხელში მიჭირავ ჩხირწინდა, ცრემლით მევსება თვალიო..."**)...

ეს არაბულების ის შტო უნდა იყოს, რომლის წინაპრებს, როგორც მესაზღვრე-მენაპირეებს, თავდაპირველად ხდის ხეობაში სდებიათ ბინა, ხოლო მერე თერგს აღმა ამოჰყოლიან, სამების კალთას შეჰფარებიან და, ასე ვთქვათ, გამოხევებულან...

საბრალა, როგორც ირკვევა, მამაკაცის საკუთარი სახელია (ნინო შიოლაშვილის ნაშრომში „მასალები სოფელ სნოს მოსახლეობის ისტორიისათვის" (1732-1918 წწ.) ნახსენებია ნინიას მეუღლე – ნინო საბრალას ასული, გვარი მითითებული არაა).

რატომ შეარქვეს საბრალა?

იქნებ **„ობლობით ამაიზარდა“**, ტარაღანა დადიოდა, ეცოდებოდათ და იმიტომ...

ანდა მშობლები ჰყავდა ბეჩავები, ოხერ-ტივლები, ღარიბ-ღატაკები და ამის გამო...

ისეთი სახელია, მის შესახებ ცუდობაც რომ გაიგო, გული მაინც თანაგრძნობით მოგეწურება!

„საბრალაში“ ხომ მორჩილის უპრეტენზიობაც იკითხება და ჭეშმარიტი ქრისტიანის სანიმუშო თავმდაბლობაც...

ასეთი კატეგორიის ადამიანებს მიემართება ფშაური სადიდებლის სიტყვები: **„ობოლ-ქვრივი იყოს, საწყალ-საბრალო, მიე ნუგეში, ძალი ჭირთ დათმენისა...“**

ვაჟა-ფშაველას ზღაპარ-პოემის „უიღბლო იღბლიანი“ ძმებში ნაბოლარა მთავარ გმირსაც ხომ საბრალა ჰქვია; გმირს, რომელიც მთელი თავისი დღე და მოსწრება **„გლახაკად“** დადიოდა და **„ჩოხის ძველას“** ატარებდა; უანგაროდ ეხმარებოდა ყანაში მომუშავე უხელკაცო ოჯახებს და როცა გარდაიცვალა, მისი სამარე მადლით **„რწყავდა“** ახლო-მახლო მთებსა და ჭალებს...

საბრალა.

საბრალო...

აი, რანაირი თვითდახასიათებით ეცხადება და ეცნობა მრევლსა და მლოცველს დევების ნატყვევარი **„ლაღი“** იახსარი აკაკი შანიძისთვის ქერჩო (ელიზბარ) გოდერძაულის მიერ 1911 წელს გადაწერილ ერთ ზეპირსიტყვიერ ტექსტში: **„მაგრამ ქვენათით გადმოვხედ საბრალო იახსარიო...“**

ძლევამოსილი ღვთისშვილისთვის, ვისთვისაც მორიგე ღმერთს დევ-კერპების გაჟლეტა განუწესებია, თავმოსაწონებელია არა აღმატებული ეპითეტები და სახოტბო სიტყვები, არამედ საბრალოობა!

ხოლო თედო რაზიკაშვილის ერთ ჩანაწერში „საბრალო“ („საბრალუა“) არა კაცის საკუთარი სახელი, არამედ მისი მსაზღვრელია, მისი უბედობა-უნასიბობის გამომხატველი კნინობითი ფორმა: **„საწყალო, საბრალუაო, უკუღმ გიქროდა ქარიო, მოგწონდა გიორგის ქალი, უკუღმ გადაყრილნ თმანიო!..“**

ასეთივე მხატვრული დატვირთვა ახლავს ცნება „საბრალოს“ ხალხური ლექსის ამ ნაწყვეტში: **„შუაღამის ხანს გამიღეს ლეკებმა ციხის კარია, გამომიყვანეს საბრალო, ნაქები თუშის ქალია...“**

საბრალა არაბული.

თან მებრალება და თანაც მეამაყება არაპირდაპირი წინაპარი, გენეტიკურად რომ მოსდგამდა ხალხური სიტყვის, ხალხური ლექსის ლიღარი და (გინდა, რომ ასე იყოს!) სიდინჯის, სიალნის, სისადავის გადამდებ მაგალითს აძლევდა თემ-სოფელს, შინაურსა და შორეულს.

ყირა

დილიდანვე ავდრობდა ჯუთაში.

ცოტა რომ უშეთა და აიკარა, ჭერხოწვერას და ხდის ზეკარის ჩამოთქორილმა კალთებმა თეთრად გამოანათეს...

ეკალდამათყურედან არსენათ გორზე ამოჩნდა ყირა – შუახნის მოხევე მეცხვარე.

– **მეხმა დამკრა!** – დაიძახა და მალული ცრემლისგან სველ სიტყვებს აცხროებული გულიც თან ამოაყოლა.

ერთიანად გაჟიებული ფაფახი ეხურა; მხარზე ბრეზენტის ნაჭრის მძიმე, მოუხეშავი საწვიმარი მოეგდო; ფეხთ „ვალინკები“ – რეზინის მაღალყელიანი ჩექმები ეცვა; ტანაყრილ, გამყავრებულ სათიბებში სიარუ-

ლისგან წელამდე გალუმპულიყო; შიშისგან ფერწასული მთელი სხეულით ბაბანებდა...

გვარი აღარ მახსოვს, არც ის, ხევის რომელი სოფლიდან იყო, ხოლო მის უცნაურ, არასადაგ სახელს რა დამავიწყებს!..

თანაგრძნობით შეხვდნენ საფეხვნოზე მყოფი შეღმაუბნელები. მიხიელთ ზურაბმა შინ შეიპატიჟა. გაათბო, დააპურა და ჟიპიტაური – ქერის ერთნახადი დაალევინა...

და ჰყვებოდა მეცხვარე, როგორ დაეცა მეხი მის ახლოს და როგორ დაყირავდა შარვნის შუბლის გვერდალ ფერდობზე.

მეხმა „დაჰკრა" და დააყირავა...

თითქოს სახელმაც „წააშველა" ხელი იმაში, რომ ეს მძიმე განსაცდელი სწორედ მას, და არა ვინმე სხვა მეცხვარეს, გამოევლო და გადაეტანა!..

როცა

როცა ტიტული და წოდება, რანგი და რეგალია ბევრად აღემატება მავანის ნამდვილ (და არა მოჩვენებით!) ღირსებას...

როცა სამეცნიერო თუ სახელოვნებო ხარისხი და საფეხური წინ უსწრებს სკოლის მერხიდანვე რაიკომის მდივნობაზე (დღეს – გამგებლობაზე) მეოცნებე უპირისწყლო კარიერისტის პიროვნულ შესაძლებლობებს...

როცა მისი წარდგენის დროს ჩამოთვლილ საქვეყნო „დამსახურებათა" ნუსხის მოსმენისას დარბაზსა თუ აუდიტორიას ირონიული ღიმილის მღელვარე ტალღა გადაუვლის...

როცა ჩვენი ინკოგნიტო პერსონა (იმ სახედრისა არ იყოს, ჯოხზე დამაგრებულ ბალახის კონას რომ ეწვდება და ვერ-კი დასწევია!) ეტო-

ლება და ვერაფრით გათანაბრებია მის მიმართ აღვლენილ სახოტბო ტირადებში ჩამოთვლილი თვისებების რეალურ შინაარსს...

როცა, როცა, როცა...

გეცნობათ?

მიმოიხედავთ და უეჭველად აღმოაჩენთ თქვენ ირგვლივ ასეთ „მამულიშვილებსა“ და „საზოგადო მოღვაწეებს“.

თან: არც ისე ცოტას...

ალბათ ამგვარ სწავლულებს, მუზის მსახურებსა და ინტელექტუალებსაც გულისხმობდა ვაჟა, როცა ჩიოდა: **„ვაი, რომ ცუდი ბევრია, პოვნა ძნელია კარგისა!“.**

ქიჩეეთ ტარიელი

ჯუთაში ნამყოფები თბილისში ვბრუნდებით.

ყვარა, ყანანაზა, ეკალნი და მერე – კარკუჩა.

მარსაგიშვილებისა და ყამარაულების ატკრეცილი სოფლის კარსა და ქუჩას (დასახლების სახელწოდებას ამ ორი ცნების შეერთებით ხსნიან ტოპონიმიკის სპეციალისტები) უკაცურობის უსიამოვნო იერი დასდებია. აღარც ზემოუბნის სახლებიდან მოისმის ხალხის სუნთქვა და ჩქამი...

შორითვე მეცნო: გზების შესაყართან, სნოსწყლის შემაღლებულ ჯებირზე, ქიჩეეთ ტარიელი დგას და ჭყანტიანში გაფანტულ წელგამოუვლელ ბოჩოლებს ათვალიერებს.

ვჩერდები.

ერთურთს ვესალმებით.

– **მიხარია, ტელევიზორში რო გნახავთ-კე!** – გვეუბნება მე და ეთერს და კეთილად უღიმის ცისფერი თვალები...

ახალგაზრდობაში ხელს იოლად ვერვინ მოჰკიდებდა.

არცა-რა ახლა ეტყობა სიბერისა და უჯანობისა.

მომდევნო ამოსვლისთვის მოხეური ხალხური სიტყვიერების ახლახან გამოქვეყნებულ კრებულს – „პირმა დაგლოცასთ ღვთისამა“ – ვპირდები.

ალალად უხარია.

– **ღმერთმა ჴელი მაგიმართასთ!** – გზას გვილოცავს ქუდმოხდილი და მავედრებელი თვალით იცქირება ნაწვიმარი, ნაღვართქაფალი ცისკენ.

წმინდა სამება

„ლომა ხარი და მწყემსი თევდორე“.

ეს არის და ეს.

წარწერა გერგეტის წმინდა სამების ტაძრის კედელზე.


მოსხეპილი და ლაპიდარული, როგორც ხალხური ეპიტაფია!

დახავსებული, მყინვარიდან წამოლოშქრილი ქარწვიმებისაგან ნალოკი, გამდნარი, გალეული.

ოთხიოდე სიტყვის სიფრიფანა საბურველის მიღმა საგულვებელი დიდი და დაუწერელი ისტორია მონუმენტური ღვთის სახლის მშენებლობისა!

კაცისა და ხარის ოფლით მონამული ქვის საზიდი სამარხილე შარა ყანობ-ხურთისიდან ვიდრე გერგეტის მაღლობამდე (საძირკვლის ჩაყრის პატივი კოჭლ ბაჩხიძეს მიეწერება ხალხურ გადმოცემებში).

და ცისა და მიწის შესაყართან ერისა და მრევლის მფარველად აღმართული ხელთუქმნელი ხუროთმოძღვრული ძეგლის მეტყველი დუმილი. უფრო სწორად – დუმილის მეტყველება, უსმენო არსებაშიც სიკე-



თის, სინათლისა და სათნოების სხივს რომ გააღვივებს და აღმოაცენებს...

„ლომა ხარი და...“

ასე სჩვეოდათ საკუთარი ღვაწლის წარმოჩენა: მოკლედ, საქმიანად, უსამკაულოდ.

და დღეს სამების ტაძარში აჟიკჟიკებულ ყოველ სანთელში მათი – ლომა ხარისა და თევდორე მწყემსის (და, კალატოზების, რომელთა საპატივცემულოდ ახლომდებარე წყაროსთვის **„კალატოზის წყარო“** შეურქმევიათ) – საარაკო საქმის მადლი იხილვება და იგულისხმება.

უკვდავი და უბერებელი ეპიგრაფიკული ძეგლი – ზნეობის, თავმდაბლობის, მამულის მსახურებისა და რწმენაში მოწამებრივი სიმტკიცის ჩუმი, უხმაურო, უპრეტენზიო მაგალითი...

„ნარჩომნი“

დავით იდოიძის და-ძმები ხელუქცევარმა ეპიდემიამ იმსხვერპლა. გამოცარიელდა ოდესღაც კაცრიელი ოჯახი.

დავითი გადარჩა – ღვთის საფარველი დაედო თუ რა იყო, თვალსა და ხელსშუა დაუსხლტა უსაფერო სიკვდილს... ნარჩენიაო და შეარქვეს **„ნარჩომა“**. მისი შთამომავლები და გვარ-გენის გამგრძელებლებია ძმები ნუგზარ და ანზორ იდოიძეები, რომელთაც თუშები დღესაც **„ნარჩომაანთ“** ეძახიან...

უშიშარი ვაჟკაცი ყოფილა დავით იდოიძე. ერთხელაც თავისი უახლოესი მეგობრის სისხლისძიების განზრახვით მლივ ლეკებს დასდევნებია და, საბოლოოდ, ამ უკანასკნელთა ტყვიის ანაწერი გამხდარა ქიბდუხში...

ეპიდემიასავით (შავი ჭირივით და სატკივარივით) შეუსმინარ ზურაბ არაგვის ერისთავს ასე მიმართავს ხალხური მელექსე: **„ზურაბ, ნუ დაგვლევ, ღვთის მადლსა, ნარჩომნ ორთ შენის ხმლისანი...“**

იცის, რომ გვართხელია, გათავება და გაქრობა ემუქრება, შესაძლოა, სახლიდან სახელის „საშოვრად“ გარეთ გასული უკან ვეღარც დაბრუნდეს... იცის და თავი მაინც არ ეზოგება საორბედო გზაზე შემდგარ „უწურთნ“ კაი ყმას: **„ომაი კელესაური ქორი მოხკივის მთისაო, აქის მოუშვით, თუშებო, ნარჩომი თქვენის ხმლისაო...“**

იმ ავბედით წლებში და ეპოქებში ამა თუ იმ გვარის თითო-ოროლა კაცი გადაურჩებოდა უკურნებელ სენსა თუ მტრის იარაღს. გავიდოდა დრო და კვლავ შეიფოთლებოდა ჯიშიან მოდგმათა ჯანსაღი, ნაავდრალი ხე...

ვინ იცის, კიდევ რამდენი „ნარჩომი“ გვარია საქართველოში – ზოგი „ურჩო“ ავადობისგან და ზოგიც ტყვიისა თუ **„საფლავის მთხრელი“** ბასრი იარაღისგან სასწაულებრივად გადარჩენილი და მოაქჟამამდე მოსული, მოღწეული!

მოჩხუბარიძის მონატრება

„საქართველოს მოშორება ღმერთმა მაშოროს“.

დიმიტრი ყიფიანი

აღიარებულ ფილოლოგსა და ეთნოლოგს ჟორჟ დიუმეზილს, ვინც ერთხანობა თბილისშიაც ეწეოდა აქტიურსა და დიდად ნაყოფიერ კვლევაძიებით მუშაობას (სწავლობდა კავკასიურ ენებს, მთიელთა ზნე-ჩვეულებებს, ნართების ეპოსს...), გასტონ ბუაჩიძისთვის მიუწერია: **„ქართული ცოტა დამიჟანგდა და ჩემი საყვარელი ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებს ხომ ვერ გამომიგზავნიდით?“**

ენის სილბოსა და სილამაზის შეუცნობლად უცხო მხრის კაცი ასეთ რამეს ვერ იტყოდა, ვერ მოისურვებდა!

წლობით ქარქაშში ჩამწყვდეული სატევარივით რომ არ დაჟანგდეს და მომცდარ ყანასავით არ გამეჩხერდეს, ენასაც სჭირდება **„ჩაღიღინებით“** მალი-მალ ლესვა და თუნდაც დიალექტებში შემორჩენილი ცის მაცხონებელი ნამის პკურება...

ჟორჟ დიუმეზილს, როგორც კავკასიელ ტომთა ადამისჟამინდელი ადათ-წესებისა და მათივე სულიერი საგანძურის მკვლევარსა და გულშემატკივარს, რა გასაკვირია, გამორჩეულად ჰყვარებოდა ალექსანდრე ყაზბეგი.

და, შეატყობდა თუ არა საკუთარ თავს, რომ სიტყვამცირობის საფრთხე უახლოვდებოდა, მოჩხუბარიძის მოთხრობებთან და რომანებთან მიბრუნებით შეეცდებოდა მივიწყებული ლექსიკური „მარაგის“ შევსებასა და გამრავალფეროვნებას...

ალაქანათ ტარიელი

ყველგანმავალი „ნივის“ ელექტროგადამცემი სისტემის ერთი საკვანძო დეტალის საშოვნელად რომ მივემგზავრებოდით ყაზბეგიდან დედაქალაქისკენ და ბაზალეთის შესახვევთან ალაქანათ ტარიელს რომ შევუარეთ სასაუზმეში...

უეჭველად ემახსოვრებათ რაინერ კაუფმანს, ნოდარ გუგუციძეს, რეზო იუკურიძეს.

შევუარეთ და მასპინძელმა ათლიტრიანით თავისი ხელით დაწურული და დაყენებული რქაწითელი შემოდგა მაგიდაზე.

– დეტალი, რასაც თქვენ ეძებთ, სახლში მაქვს, „ზავადსკოია“, ახალთახალი, ოღონდ ერთი პირობით: სანამ ამ ბოცას არ გამოვცლით, აქედან ფეხს ვერ მოიცვლით!..

მოულოდნელი პურობა შოთის, სალათის, გუდის ყველისა და არაგვის დაწინწკლული კალმახის „კონტექსტში“ წარიმართა...

ტარიელ არაბულმა სიტყვა შეასრულა და ბოლო სასმისით ჩვენი გზა-მგზავრობის ანგელოზთა სადიდებელი თქვა...

ბაგიჭალიდან დუშეთში ავედით და „ნივის“ დეფიციტური დეტალი უსაზღაუროდ ანუ საჩუქრად (მასპინძლობის სართად!) მივიღეთ.

დუშეთიდან თბილისამდე რაღა მანძილი რჩებოდა – იმ დროს ძალზე ძნელად საშოვარი ჩეხური ლუდი და ერთი ბლოკი „მარლბორო“ მოვიხელთეთ და იმავე საღამოს, აგრილებულზე, ხევში დავბრუნდით...

მას აქეთ ბევრი რამ მოხდა და შეიცვალა. აჭრილმა, აჩქარებულმა, ბიზნესისა და კომერციის ბასრ ჭანგებში მოქცეულმა დრომ თავისი დამღა დაადო ჩვენ ნაცნობ-ახლობელთა უმრავლესობას.

და რაშიც ეჭვი არასდროს შემპარვია, ესაა: ალაქანათ ტარიელი (დღეს უკვე ხუცესი, ბჭე, ჯვარ-ხატის გამძღო და მოწესე) მსგავს სიტუაციაში ახლაც ისევე მოიქცეოდა, როგორც მაშინ, სამი ათეული წლის წინათ მოიქცა!

გავლენა?

„ცას ბეწვით ღბიან!“ – იტყვიან ხევსურეთში მომცდარ, შეცოტავებულ, გადაშენების პირას მიმდგარ მამიშვილობაზე (resp. პატრონიმია) ანდა გვართხელ მოდგმა-მოდენილობაზე.

ნიჭიერი ხევსური მელექსის მხატვრულ წარმოსახვაშიც უპოვია გაშლა და განზოგადება ამ ორიგინალურ მეტაფორულ ნათქვამს:

ცას ბეწვით ჩამამბული ორ,
ჭერში რო ხკიდავ ქირჭოი...

ბეწვის მეტაფორული დატვირთვა სხვა სინტაგმაშიც, ხატოვანი აზროვნების სხვა კონტექსტშიც იჩენს თავს: **„ბეწვის ხიდი“**.

საკუთარ თვალში დვირესაც რომ ვერ ხედავენ, ხოლო სხვისაში ბეწვსაც იოლად ამჩნევენ, ასეთებსაც ხომ მრავლად ვხვდებით ჩვენი ყოველდღიურობის ფართო ველზე...

ცასა ბეწვითა ეკიდა, ვნახე კაცი, – ხმობს XII საუკუნეში დიმიტრი მეფე...

და ჩნდება სწორი პასუხის მიღების თვალსაზრისით უპერსპექტივო საფიქრალი: იცნობდნენ რომელიღაც მიყრუებული ხეობის ბინადარი ხევსურები რენესანსის ხანის მწიგნობარი მეფის შთამბეჭდავ ვიზიონს თუ დამოუკიდებლად, გარე გავლენის გარეშე „შეიმუშავეს“ ეს უაღრესად მეტყველი, მარჯვედ ჩამოძერწილი პოეტური ფორმულა: **„ცას ბეწვით ღბიან...“**

„ჩემო სამშობლო მხარეო...“

„...კაცის შორს, უცხო ქვეყანაში გარდაცვალება და
დამარხვა ინგილოს დიდ უბედურებად მიაჩნია“.

მოსე ჯანაშვილი

შემზარავი ნატურალისტური სიცხადე...

წესი, რომლის აღსრულება ოჯახის წევრებისა და, საერთოდ, გვარის ღირსებად ითვლებოდა მთაში.

კაცი, რომელიც სხვა ქვეყანაში ანდა საკუთარი სოფლისა თუ კუთხისაგან მოშორებით, თავისსავე სამშობლოში დაიღუპებოდა და უგზოობა-უამინდობის გამო დროებით იქვე მიებარებოდა მიწას, ადრე თუ გვიან, თავისი წინაპრების საგვარეულო სამაროვანზე უნდა გადაესვენებინათ.

სწამდათ, რომ თავისიანებისგან შორს მყოფი გარდაცვლილის სული დღენიადაგ წუხდა, წვალობდა, სიმშვიდეს ვერ პოულობდა და ჭირისუფალთა სიზმრებშიაც ხშირად ჩნდებოდა უმწეო, უკმაყოფილო, დაღონებული სახით.

ცერემონიალი, რომლის დაწყებასა და დასრულებას გულის სიმაგრე და გამბედაობაც ჭირდებოდა და „ცივის“ გაპატიოსნების პრაქტიკული გამოცდილებაც...

სტეფანწმინდა.

1994 წლის აგვისტო.

80 წლის ბრმა მოხევე ლადო ჩოფიკაშვილი (გუგუეთი) იხსენებს, როგორ აკაფა ასო-ასო საფლავიდან ამოღებული კურეტა (ვარლამ) რაინაულის ტიფით გარდაცვლილი ძმის ცხედარი და როგორ ჩაალაგა ხურჯინში, რათა მეორე დღეს მატარებელზე გაეცილებინა ქვემო ალვანელი თუშები...

ეს მოხდა 1946 წლის გაზაფხულზე, ბაჯიგანის მე-2 ფერმაში...

ვიდრე გამხნევების განზრახვით სამ ჭიქაშესმული ლადო უჩვეულო ოპერაციას მორჩებოდა, ნაბდებმოსხმული კურეტა და მისი ბიძაშვილი

განზე გადგნენ, რათა თვალი აერიდებინათ უმძიმესი სახილველისთვის...

(სხვათა შორის, კურეტა რაინაული ჩემი სიყმაწვილის წლებში ჯუთის საზაფხულო იალაღების ბინადარი იყო. სოფელში ახლაც ჰყვებიან მისი უშიშრობისა და მოხერხებულობის ამბებს. ჰყვებიან იმასაც, ბელტში ამოჭრილ ყალიბში რომ ასხამდა სადათვე ჟაკნებს)...

მეორე შემთხვევა: შუღლში მძიმედ დაჭრილი არხოტელი დავით გაბური ბუდე ხევსურეთში გარდაიცვალა. ვინაიდან მთებზე ლუსუმი თოვლი იდო, იქვე, გუდანში დაკრძალეს.

მაისში ქვეითი ჯუთელი ახალგაზრდები საძელის ზეკარით ხევსურეთში გადავიდნენ. გახსნეს სამარე და ამოასვენეს ცხედარი, რომლის დანაწევრება უხორცოსავით უშიშმა და უზიზღარმა გიგიტათ მინდიამ ითავა... გაეშურნენ როშკისთავისკენ და ჯოხებისგან შეკრულ საკაცეზე დამაგრებული თვიანთი დისწულის გვამი ცირცლოვანის ჯერ კიდევ თოვლიანი ფერდობით არხოტში ჩაიტანეს...

და ერთიც: მოგონებებისა და წერილების კრებულში „პირად-პირადი" ნიკა აგიაშვილი გადმოგვცემს ფიროსმანის მეგობრის უშანგი სვანის ნაამბობს, რომელიც მამამის კვირიას ეხება. ზამთრის პირას საჩინოში საშოვარზე ჩასული კვირია სვანი ფილტვების ანთებით გარდაიცვლება. გაზაფხულამდე სამების სასაფლაოზე დამარხავენ, ხოლო გაზაფხულზე ნაწილ-ნაწილ დაჭრიან, ყუთებით ცხენს აჰკიდებენ და მშობლიურ მთებში წაასვენებენ...

დღეს, 2014 წლის 10 აგვისტოს, მირზა გელოვანის თიანეთში („თიანეთობაზე") მივდივარ და ბევრ ჩემნაირთან ერთად მეც იმ დღის მოლოდინში ვარ, როცა უცხო ცის ქვეშ ომის ქარცეცხლში გმირულად დაცემული პოეტისა და მამულიშვილის ნატანჯ სხეულს ვიტებსკის ოლქის ბეშენკოვიჩის რაიონის სოფ. სანიკის საძმო სასაფლაოდან გადმოსვენება და მშობლიური მიწის თბილ წიაღში დავანება ეღირსება.

საოჯახო ზოოპარკი

ღვთის ხელდებული კაცია კაკო ავსაჯანიშვილი...

შეხვალ თუ არა ვარდისუბანში, იქვე, სოფლის განაპირას ცხოვრობს...

შეაღებ რკინის დაბალ ჭიშკარს, შეაბიჯებ ეზოში და გატკეპნილ ბილიკზე მოქოთქოთე ციცრები შემოგეყრებიან.

ცოტასაც გაივლი, გაიმანძილებ მოშრიალე ვერხვებს შორის და „რუხის“ – მორჯულებული და სანახევროდ მოშინაურებული (თუმცა ხალხური პოეზია „უწურთნს“ უწოდებს!) მგლის – გალიას მიადგები.

„რუხის“ მეზობლად შველი ბინადრობს, წამდაუწუმ რომ ფრთხება, ცქვეტს ყურებს და ბუჩქებში ცდილობს თავისი კოხტა ტანისა და კეთილი თავპირის დამალვას.

იქვეა ჯიხვი, უფრო სწორად, კავკასიონის ჯიხვმოზვრისა და ყაბარდო-ბალყარეთის მთებში გავრცელებული ველური თხის ნაჯვარი, ტყვეობაშიც რომ შერჩენია ველური სულიერის საცნაური სიამაყე და აინუნშიც არ აგდებს დაუპატიჟებელი დამთვალიერებლების ცნობისწადილით აღსავსე მზერას.

ზოოპარკის სათავეში, საგანგებოდ გამაგრებული მავთულწნულის ბუნაგში, მურა დათვი ბურტყუნებს. ცნობს მომვლელს და მისი ხელისგულიდან არც კანფეტის მიღებაზე ამბობს უარს...

როგორ გინდა საკვები გააწვდინო, თანაც არაერთგვაროვანი, ამდენ ცხოველს. სხვებს რომ თავი დავანებოთ, მარტო დათვის ყოველდღიური ულუფა ექვს პურს და ნახევარ ვედრო ვაშლს შეადგენს!

და მთელი ამ „მენიუს“ მომარაგებას მარტოდმარტო აუდის 85 წლის კაკო ავსაჯანიშვილი.

ასეთი რამეები მოწესე წმინდანთა „ცხოვრებანში“ წერია!

მკაცრი ბუნების შვილთა ენის მცოდნე მხცოვანი მოხევე იმასაც მოგიყვება, მთიდან თბილისში გამოსაზამთრებლად ჩაყვანილი კვერნა

რომ დაკარგა და გაზაფხულზე ვარდისუბანში ჩასულს ადგილზე, თავის გალიაში დაუხვდა.

ზარნაშოსაც გაიხსენებს, ავსა და აბეზარს...

გაიცანით ლეგენდარული ამოან ავსაჯანიშვილის შორი შთამომავალი და თავად დარწმუნდებით, რომ თავისი გადამდები სიმშვიდით, მოუბრის თანდაყოლილი ჭკვიანი ნიჭით და სიდარბაისლით ის მართლაც ღვთის ხელდებული კაცია.

„ერი“ – „ეროვანი“ – იერი

თენგიზ მირზაშვილი ჩვეული ინტერესით ეძიებდა ძირეულ ფორმებს დაშორებული და რამდენადმე დეფორმირებული ქართული ლექსემების ძირებს, ფონეტიკური ცვლილების მიზეზებს და, რაც მთავარია, მათ მნიშვნელობებს, სიტყვათა სემანტიკურ შინაარსს.

კითხულობდა მხატვრულ ტექსტებს, ეცნობოდა ლექსიკოლოგიურ მონაცემებს, ჩხრეკდა მატიანეებს, ამოწმებდა ხალხურ სიტყვიერებას, აყურადებდა ხალხის ზეპირ მეტყველებას. იკვლევდა, „იძევდა“ და, ყოველთვის თუ არა, ზოგჯერ მაინც მოყვებოდა ხოლმე უტყუარი ალღო-გუმანის მქონე „მებადურის“ მარჯვე ნასროლს წითლად დაწინწკლული კალმახი...

გალაკტიონის ლექსიდან:

შორითშორად ფიქრით ნარვალს,
ჩამავალ მზეს, ჩამავალს...

„ნარვალზე“ საგაზეთო ოპუსის შექმნაში მეც ვთანაავტორობდი (მცირე ნაკვლევის საბოლოო რედაქცია ბატონ ზურაბ კიკნაძეს ეკუთვნის).

გალაკტიონ ტაბიძის ლექსიკისა და პოეტიკის საკითხებს უტრიალებდა, უღრმავდებოდა, არკვევდა და აანალიზებდა; მისი ჯადოქრული პოეზიის არაჩვეულებრივი და, ზოგ შემთხვევაში, ენიგმური მხატვრული სახეების საიდუმლოს უკირკიტებდა, ხსნიდა, შიფრავდა.

ზეპირად იტყოდა „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“ და ტექსტის აბსოლუტური შეგრძნებით წარმართულ დეკლამაციას რომელიმე ტაეპზე შეწყვეტდა, შეჩერდებოდა.

შენის სულმნათისად ასვლა ეროვანი:
ყელი გუმბათისა მაღალეროვანი...

და იმწამს, როგორც თვალსაჩინო პარალელი და დამატებითი დასტური კაი ხანს ნაფიქრისა და შეუმცდარად „ნაგზნებისა“:

– გახსოვს, რანაირად ხატავს ვაჟა „ბახტრიონში“ უშნო, ჩამოგლეჯილ გმირს? –



ეთერ თოთარაიძე და თენგიზ მირზაშვილი

ადვილად, აიცნობოდა
კაცი ფშაურის ერითა...

გალაკტიონის **„ეროვანი“** და ვაჟას **„ერითა“** სიტყვა **„იერიდან“** ნაწარმოები ფორმებია...

ახლახან პირად „ფოლკლორულ ჩანაწერებში“ თათარა არაბულის ავტორობით ცნობილი ლექსის ასეთი სტრიქონები ამოვიკითხე:

დუსურბნის ტალავარი სცვავ,
ერი აქვ ხევსურისაო...

იქვე ინფორმატორის ვინაობაც მიმიწერია: უნცრუა არაბული...

წარმომიდგენია, როგორ გაიხარებდა თენგიზი, ეს ერთი სახიერი ნიმუშიც რომ მიმატებოდა მის მიერ აქცენტირებული ლექსიკური ერთეულის, ტექსტოლოგების ტერმინები რომ მოვიშველიო, ვარიაციულ იკითხვისებს!..

ზომიერების დეფიციტი

„ყველა ხელოვნება შეიძლება ორნაირად ასცდეს გზას: უხამსობითა და ხელოვნურობით“.

ლევ ტოლსტოი

ახალთაობის ქართველ მწერალთა ერთმა ნაწილმა ეროტიკულ ლექსებსა თუ პერსონაჟთა ინტიმურ ურთიერთობებზე ორიენტირებულ პროზის ნიმუშებში თავისი უკომპლექსო მორალური სახის ჩვენების ოპტიმალურ ნორმად სკაბრეზული ლექსიკის მომარჯვება და სექსუალურ თავგადასავლებზე სავსებით ღია, მოშიშვლებული მინიშნებების „მახვილგონივრული“ მხატვრული მეთოდი აირჩია და „დააკანონა“.

აღდგენილია გენდერული ბალანსი: ქალები, თუ არ უსწრებენ, არც არაფრით ჩამორჩებიან მამაკაცებს უაღრესად საჩოთირო პიკანტური პასაჟების შეთხზვასა და ზღვარგადასულ ბილწსიტყვაობაში (ამგვარი რეალობის ფონზე ტკბილხმოვან გალობად მოგეჩვენებათ ქუჩური სლენგი და ჟარგონი).

ფსიქო-სოციოლოგიურ პრობლემათა წყებას ერთიც მიემატა: რა აიძულებს პოსტმოდერნიზმის ეპოქის მწერლებს, თავიანთი სულიერი მდგომარეობისა თუ მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვის ადეკვატური გზები მაინცდამაინც ყურისმომჭრელ ვულგარულ გამოთქმებსა და სენსაციურობის შემცველ უტაქტო, უპატიურ ფრაზეოლოგიაში ეძებონ?

თავშეკავების სავალდებულო „მუხრუჭებისგან“ განძარცვულმა, თავმოყვარეობის ხუნდებისგან თავდახსნილმა და სოფლის სალაყბოზე გამოფენილმა ვნებამ და ხორციელი ლტოლვის სულისკვეთებამ მთელი თავისი ოდინდელი იდუმალება და მიუწვდომლობის ზეგარდმო ხიბლი დაკარგა... დაკარგა და ბანალობად იქცა!

არადა, ასახვა იმისა, რასაც უხამსსიტყვაობის უკიდურესი არსენალის მოშველიებით ცდილობენ და ახერხებენ ეპატაჟის, შოკური ეფექტებისა თუ დამაინტრიგებელი ფანდებისა და ტრიუკების მოყვარული მწერლები, უამისოდაც მშვენივრად შეიძლება...

ეროტიზმის უზღვავ დოზას ითავსებს ოთარ ჭილაძის ერთი, ეთიკისა თუ ესთეტიკის თვალსაზრისით უზადო სტროფი; ითავსებს და მკითხველს ბრწყინვალე მეტაფორული სახის სიღრმისეული წვდომისა და გახსნის შანსსაც უტოვებს:

...არ ეშინია ქალს მამაკაცის,
მოსაჩვენებლად შეკრთება ხოლმე.
არ ეშინია, როგორც ხეობას
არ ეშინია შმაგი მდინარის.

აქვე ავტორგაუჩინარებული ხალხური ლექსიც მოვიხმოთ:

მოხევის ქალო, თინაო,
რა ღმერთმა გაგაჩინაო,
ნეტაი ერთას ღამიას
შენთან მქონიყო ბინაო,
ჩემი ნაბადი დაგეხურა,
შენს მკლავზე დამაძინაო...

აი, სად იგრძნობა დიდ შემოქმედთა ბუნებითი ნიჭიერება, ოსტატობა, ეროტიზმის ესთეტიკის მალულ მექანიზმებთან თანაზიარობა და დიდად დელიკატურ პოეტურ პერცეფციებში ზომიერების დაცვისა და შენარჩუნების უიშვიათესი უნარი!

„ნასამალი“

„– ნასამალიც არა მაგის სიტყვა მართალ!“ – იტყვის უაუგო, უწყინარი კილოთი სიკვდილის მონატრული 90 წლის კასინე გულუხაიძე მეზობლის ობოლ ბალღზე, ვინც კაი ხანს ეჯდა თავსასთუმალთან, უამბობდა იმ მთისას, ამ ბარისას და მთელი თავისი დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი ტონალობის ლექსიკური მარაგის მოშველიებით ცდილობდა საუბარში მის აყოლიებას, გამხნევებას, „გახალისებას“...

ხოლო მე მეტყველების იმ ძირძველ, თანდაყოლილ კულტურაზე ვფიქრობ, გულსაკლავად შეცოტავებული მართლაც ღრმად „თუშურა“ კაცები და ბერდიაცები დღემდე რომ ატარებენ და რასაც, ხვალ თუ არა, ზეგ, მათი წასვლის მერე, პირისაგან მიწისა აღგვა ემუქრება.

და მეტაფორული **„მზისა შუქთა ნასამალიც“** მახსენდება „ვეფხისტყაოსნიდან“ (ავთანდილთან თავის ამბის მბობაში ტარიელი ამ სიტყვებით ახასიათებს მცირეწლოვან ნესტან-დარეჯანს)...

„ნასამალი“ პირველ მაგალითში (თუში ქალის ფრაზაში) მესამედს გულისხმობს, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემის განმარტებაში ახსნილია, როგორც **„სამად ნამრავლი“(„ქალი მზის შუქზე სამჯერ უფრო ლამაზი იყო“).**

ვფიქრობ, რუსთველისეული ტროპის განმარტება გადასახედია და დაზუსტებას საჭიროებს...

„ნასამალი“ ხალხურ მეტყველებასა და კლასიკურ მწერლობაში.

კარგი სიტყვაა – მოხდენილად ნაწარმოები, გამომსახველობითი დიაპაზონის დამტკევი...

კოტორიანთ ქალი

ასეთად დამამახსოვრდა: ჩქარი, ცქაფი, დაუჯდომელი, ნიავივით რომ უვლიდა გარს თავის ბანიან, საბძლიან, კალოიან მიწურს; ჩამოფხავებულ, ლამის ჩახოლებულ ფარღალალა ქოხს... ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებოდა. როგორღაც ცივცივ დადიოდა, თითქოს მიწას არც კი ეხებოდა, ფეხს არ აკარებდა. მთის ქალის ტიპიური განსახიერება იყო; ქალისა, ადრეული სიყმაწვილიდანვე რომ მიაჩვიეს და გაუდობილეს გარჯას; შეაგუეს ცეცხლის კალოზე ტრიალს; შეაჩვიეს ფიზიკური ძალღონის უშურველად ხარჯვასა და შეჭირვების, შიმშილის, ყინვისა და ყველანაირი განსაცდელის უსიტყვოდ მოთმენას, გულში ჩახვევას, მორჩილად ატანას.

კოტორიანთ ქალი – სოფიო ჩოხელი.

ქალი, **„სხეულში ხანი რომ გაუჩერდა“** და აღარ ბერდებოდა...

კოტორიანთ ქალი ბურსაჭირში



ბურსაჭირის ცივ, ცრიატ „რომანტიკაში“ ჩარჩენილი და გამომწყვდეული ხელმარჯვე გუდამაყრელი ბერდედა. ერთსა და იმავე დროს: პირტუქსიც და მომფერებელიც; მკაცრიც და ლმობიერიც; საავდრო ცასავით შავად შერიშხნულიც და ალალი, უქვეტექსტო ღიმილით სახეგახსნილიც...

ბოლო წლებში კვირაობით და თვეობით თავმარტო, თითქმის უმეზობლო, ხმის გამცემ დანატრებული. ის და ბურსაჭირი: ფეხზე მდგარი ორიოდე ბორწნელიანი ქოხის ამარა მყოფნი, ერთად რომ მიათრევდნენ გემოწართმეული, გამოჟამყრუებული, ბარგად და ბალღამად ქცეული ცხოვრების გამცვდარ, გალეულ, ყუაზე დასულ მარხილს... მიათრევდნენ და მაინც იქვე, ერთ ალაგას იდგნენ. ვერსადაც ვერ მიდიოდნენ ამ ტიალი, ქიდექსა და ქვენამთას შორის მოქცეული გრძლადწაღებული ხეობიდან...

ბებოდ ერგებოდა და შვილივით უყვარდა გოდერძი ჩოხელი (მისი სახიერი სახასიათო შტრიხებია „დაჭერილი“ და ამეტყველებული ორ მინიატურულ ნაწარმოებში: „კოტორიანთ ქალის სურათი“ და „კოტორიანთ ქალის საათი“; ეთავისებოდა, ეამაყებოდა და რაც უნდა გაჯიუტებულიყო და ცივ ქვაზე შემდგარიყო, ბოლოს მაინც ჩუმი ჩაბეჯითებით თანხმდებოდა უმტკივნეულოდ მარტივი თუ მთიელი მანდილოსნისთვის ცოტა არ იყოს რთული და საუხერხულო კინოროლების (ვთქვათ: პანღურების ეპიზოდი) შესრულებაზე.

არა, მსახიობურად არ თამაშობდა, არც არაფერს არტისტულად თხზავდა და იგონებდა, თავისთავიდან არ გადიოდა, აკეთებდა იმას, რაც მისი ყოველდღიური რეჟიმისა თუ სადაგი განაწესის არსსა და გულისგულს, ძარღვსა და შინაარსს შეადგენდა...

როგორია, ფილმში ფურდედოს რომ ესიტყვება და ეგურგურება: **„წახვალ, დარდიანი წახვალ, მოხვალ, დარდიანი მოხვალ...“** (გოდერძი ჩოხელმა პირუტყვისადმი მიმართვის ეს სიტყვები რევაზ ინანიშვილის შესანიშნავი მინიატურიდან „მარტოობის სიმღერა“ აიღო და გამოიყენა თავის კინოსცენარში).

იმწამს სხვა არც არავინ ეგულებოდა გვერდით, ახლომახლო, ხელის გაწვდენაზე და, აბა, ვინმესთან ხომ უნდა ესაუბრა და ამოეღვარა გულისგამგლეჯი წუხილი!

ანდა: უსასრულო სიმარტოვით დაღლილი და თავშეწყენილი მსხვილი საბლის მარყუჟს რომ გამონასკვავს, ტაბურეტს მიიმარჯვებს და სამზეოსთან დამშვიდობებას დააპირებს... და ამ დროს ისევ და ისევ უპატრონობისთვის გამეტებული ცურსავსე ფურის ზმუილი რომ შეაცვლევინებს ღვთისთვის არსათნო, არაქრისტიანულ გადაწყვეტილებას... და მიწურის წინკართან უძრავად გაჩერებულ ყულფში გაღმა ფერდობზე შეფენილი კოხტა სოფელი რომ გამოჩნდება და გაილანდება; სოფელი, რომელიც თვითმკვლელის „ამპლუაში“ წარსდგება ნანახითა და განაგონით ისედაც მოხიბლული მაყურებლის თვალსაწიერში.

მთელი მთიანეთის, ამერისაც და იმერისაც, საუკუნო სატკივარს იტევს და ირეკლავს „ადგილის დედის“ – გოდერძი ჩოხელის საკურსო ნამუშევრის – წამში გაელვებული ეს ერთი საკვირველი კადრი!..

და ერთხელაც, იებიან და ენძელებიან მაისის თვეში, გოდერძის რომ წავყევი და იმავე დღეს, სამხრობის ხანს, ბურსაჭირში რომ ავედით ლელა დეიდას (გოდერძის დედის) სანახავად, კოტორიანთ ქალი სოფიოც იქ დაგვიხვდა...

გოდერძიმ ბურსაჭირისკენ მიმავალ ღორღიან გზაზე მაჩვენა ის **„მკერდწამოყუდებული კლდე“**, რომლის ძირშიც 1954 წლის 2 ოქტომბერს ის დაიბადა.

და იქვე ახლოს – ნატბევის ჭალა...

ახალგაღვიძებულ ბუნებას გაზაფხულის ჟრჟოლა და ჟრუანტელი უვლიდა; ხესა და ბალახს ძარღვებში სითბო ეღვრებოდა, ემატებოდა და ეს ორი შაოსანი, მშრომელი, მემთე ქალბატონი უზომოდ შვენოდა და უხდებოდა, ავსებდა და აფერიანებდა იქაურობას...

დღის ბოლოს ძირგამურულ ტაფაზე წამოდუღებული ხაჭოერბოს ყუათი და თითო ჭიქა „ალალაის“ მალამო მოგვყვებოდა ბუბუნაურების სამოსახლოს სანახებიდან კვლავ ჩოხისკენ გამობრუნებულებს... და მღვრიე, უსიამოვნო, გულის მკაწრავი ფიქრი იმაზე, რომ ცოტაც და წაიშლებოდა მთური იდილიის ეს ძვირფასი, სანატრელი, ნამდვილქართული სახეები და სურათები.



გოდერძი ჩოხელი ძველ ჩოხში. XX ს-ის 90-იანი წლები. 23.XI (გიორგობა)

აღიარება

„ხევსურული კილოკავი დავაგონჯე, მაგრამ მეორე გამოცემაში გავასწორე“.

ამას რომ წერდა, თავის „თეთრ საყელოს“ გულისხმობდა მიხეილ ჯავახიშვილი.

მალევე მიხვდა და აღიარა; სერიოზულ მწერლურ ცოდვაში ამხილა თავისთავი!

ხევსურული დიალექტისა თუ კილოკავების მეტნაკლებად მცოდნეთათვის მართლაც ხელოვნურად, გამოგონილად, არაბუნებრივად ჟღერს რომანის პერსონაჟთა შორის გამართული დიალოგები. აგებს ავტორი: წარმოსახვით შექმნილი ყოფითი ნიუანსების რეალობად „გასაღებისა“ და მოთხრობილი ამბების დამაჯერებლად ჩვენების ენიგმურ ძალას კარგავს ნაწარმოები...

ენისადმი ძალადობრივი დამოკიდებულება პოზიტიური ნიშნით არასდროს ასახულა მხატვრულ ნაწარმოებზე!

დღესაც არის ცდები (მეტწილად, წარუმატებელი) და „რეციდივები“ მთის დიალექტთა ენობრივი ფორმების ჭარბი თუ დოზირებული გამოყენებისა როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. და ხანდახან ტრაგიკომიკურ ვითარებამდეც კი მიდის ერთობ თამამი, მკრეხელურ გამბედაობასთან წილნაყარი ექსპერიმენტები. მითუფრო მაშინ, როცა ავტორთა დიდი ამბიციებისა და თვითრეალიზაციის მძლავრი სურვილის მიღმა ასევე დიდი, თვალშისაცემი უნიჭობა იმალება...

შეუნყნარებელია, როცა საკრალურ სივრცეში შეღწევასა და გაშინაურებას ცდილობს მწერალი და მითოსური სიუჟეტების ყოვლად გაღარიბებულ, დამდაბლებულ, ლამის პროფანირებულ ვარიაციებს გვთავაზობს... და ეს ხდება ჯანსაღი დიალექტური მეტყველების უცოდინრობისა და უმოწყალო ექსპლუატაციის თანხლებით (ნაწარმოები,

რომელშიაც ერთმანეთთანაა გაიგივებული **„გუდა“, „გუდანი“** და **„გუდანური“,** მეტი რომ არ ვთქვათ, ამ ცნებათა მნიშვნელობის მცოდნე მკითხველის მოწონებას ნამდვილად ვერ დაიმსახურებს!).

მიხეილ ჯავახიშვილმა თვითონ გამოუტანა ობიექტური მსჯავრი და განაჩენი საკუთარ „დანაშაულს“.

თანამედროვე ქართველი მწერლებიდან (სულ ცოტა სამი მათგანის დასახელება ახლავე შემიძლია) ჯერჯერობით ასეთი რამ არავის გაუკეთებია!

კენჭი. ქვა. ლოდი

სანდრო პაპა (ხუცურაული) მიამბობდა: ერწოში, თრანის სათიბების ბოლოში, დღემდე დევს მრგვალი ქვა, რომელზეც თავის ფიზიკურ ძალ-ღონეს ცდიდა წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ტოლაანთსოფელში მასწავლებლად მივლინებული, პრისტავებთან და ბოქაულებთან გამუდმებულ შეხლა-შემოხლაში მყოფი ვაჟა-ფშაველა.

განსხვავებული კონფიგურაციის ბრტყელ ლოდს ახლაც ნახავთ მაღაროსკარის ზემოთ, კოპალას სალოცავში; იქ, სადაც ფშავ-ხევსურეთის არაგვს ტყიანი ხევწვრილი, ე. წ. „ავთანდილის საქანი“ დასტატნებია. და იქვეა მურდალი დევისთვის დაგდებინებული, კლდის ფხიდან ჩამოშუქებულ მზის სხივებზე მრავალფრად მბზინავი კოპალას ქვა, სანთლების ნამწვი, მური და თავსხმა წვიმები რომ შეშრობია ქარნიავისგან ნალოკ, გალიგვებულ ტანზე.

„საფლავის ქვის მსგავსი“ ეს ბრტყელი ლოდი, როგორც ვაჟა წერს, ამ ალაგას ყოფჩელ გოგოთურს მოუტანია და ისეთი მძიმეა – ორ კაცს გაუჭირდება ამ ქვის გადაბრუნება; მწერალი იქვე ამბობს,



კოპალას ქვა

რომ ჯეილობაში თვითონაც ბევრჯერ ეჯაჯგურებოდა ქვას და ცდილობდა, გოგოთურზე მეტი ღონე გამოეჩინა...

ასეთივე დატვირთვისა თუ დანიშნულების ლოდის არსებობაზე მიუთითებს ხახმატის ხატში ცნობილი ექიმი და ეთნოგრაფი გიორგი თედორაძე.

გიორგი შატბერაშვილისა და მისი ერთ-ერთი კოლორიტული პერსონაჟის ხსოვნის უკვდავქმნის განზრახვით მიუტანიათ და მოუთავსებიათ ერთგულ მკითხველებსა და გულშემატკივრებს გლუვი ლოდი თვალადის შუაგულის მომცრო სკვერში, საავტომობილო გზის პირას...

საინტერესო ისტორიის უტყვად მეტყველი ქვები და ლოდები!..

ციხე-სიმაგრეებისა თუ საცხოვრებელი სახლების მკვრივ კედლებში ჩაშენებული ის ბასრი ქვებიც ვახსენოთ და გავიხსენოთ, რომელთა სწორ ზედაპირზე დაშიფრული დამწერლობის უცნაური ნიშან-სიმბოლოებია ამოკვეთილი... და უწყვეტად მომჩქეფარე ე. წ. „სულის წყაროები“, აგებული არა უხვედრ, არამედ ისეთ ადგილებში, სადაც ბევრი მგზავრი მიმოდის და გემოწმინდა წყლით გულგაგრილებულნი არა მხოლოდ ამგების გარჯასა და მარჯვენას, იმ გარდაცვლილთა სულებსაც ლოცავენ (უნდა ლოცავდნენ!), რომელთა სახელზეც ეს მემორიალური ძეგლებია შექმნილი... და ეპიტაფიისთვის დამახასიათებელი ლაპიდარულობით აღბეჭდილი ლექსნარევი მინაწერები ამ წყაროების ფასადებზე დატანებულ სიპის წყლისფერ დაფებზე...

და კიდევ: საძირკვლის ქვა და ლოდი თავსაკიდური.

და კენჭი, როგორც პოეტური რეცეფციის განსულიერებული ელემენტი, აღაზას რომ ათქმევინებს „სტუმარ მასპინძელში“: **„ქისტეთში ჩემი ერთგული კენჭიც კი არსად არია!..“**

ლოდი. ქვა. კენჭი...

და ძველაღთქმისეული (ეკლესიასტე): ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა...

ქუშეთ გელა

შემღვრეული გუნება გამომიკეთდება ხოლმე, ხევიდან გელა ქუშაშვილი რომ შემეხმიანება. დადებითი აურის მატარებელი ანგელოზიანი კაცია! დაუყოვნებელი, მსუსხავი იუმორის პატრონი; საძმაკაცო ტაბლისა თუ სუფრის წაღმა წამყვანი; ერთობის ტალკვესი და თაოსანი; ალღეშთა და ბროიანთა დამკვალიანებელი, დამწყნარებელი... თავდღიანი მოხევეა და სიტყვაც წრფელი, მოზომილი, გულითადი აქვს... ხევის წარსულის, წანართა ისტორიის საუკეთესო მცოდნეა; ნაკითხი, „ნაწვართი“ და საინტერესო ნარატორი... უპათეტიკო ორატორობის ნიჭიც მიჰმადლებია და უხნიერესი ქართული მწერლობის ავკარგზე საუბრის ესოდენ სასურველი უნარიც... **„ახალი რო არაფერია?!“** – გკითხავს და, სანამ სიტყვას განაგრძობდეს, უკვე იცი, რომ ახალ წიგნებს, წყალივით და ჰაერივით საჭირო გამოცემებს, ყურადღების ღირს პუბლიკაციებს გულისხმობს... და შემთხვევითი არც ისაა, რომ მისი სატელეფონო ზარების ადრესატთა შორის საწინისწინო ადგილზე როსტომ ჩხეიძე დგას... და ორი-სამი დღით თბილისში ჩამოსული სულის სარგო წიგნებით ხელდამშვენებული ბრუნდება სტეფანწმიდაში... გემოვნებით შერჩეული საკითხავით ჭერამდე სავსე საოჯახო ბიბლიოთეკა აქვს. ხევში კიდევ

ხშირია წვიმა, ცრიატი, თოვლი, სუსხი და ამგვარ ამინდებში ადამიანმა წიგნების ცხადსიზმრიან სამყაროში მოგზაურობაზე უკეთესი რა უნდა ინატროს!..

წელან დარეკა.

აღდგომა მომილოცა.

ლეგა ღრუბლებით წაგრაგნილი ციდან ჭირვეული გაზაფხულის ცქრიალა მზემ გამოიხედა.

რეალური და ალეგორიული

გაზეთ „საქართველოში“ (1917 წ. №1) გამოქვეყნებულ ესსეში პატარა სამშობლოს სიკეთეებსა და უპირატესობებზე წერს გერონტი ქიქოძე, კულტურულ-საზოგადოებრივი პროცესების **„მაჯაშისა შემტყვებარი“** ბრწყინვალე მამულიშვილი და სამაგალითო ლიტერატურათმცოდნე.

„მაღალხარისხოვანი ზნეობრივი თვისებები“ პატარა სამშობლოში უფროა შენარჩუნებული, ვიდრე დიდში; პატარა სამშობლოს მკვიდრ კაცს ნაკლებად აწუხებს **„უსაზღვრო და უპიროვნო მასაში“** გათქვეფისა და გაქრობის პერსპექტივა; **„პატრიოტული გრძნობა, ჩვეულებრივ, პატარა ხალხში უფრო ცხოველია, ვიდრე დიდში“...**

მამაპაპეული მიწის ჩაუნაცვლებლობის, შინაობისა თუ სამშობლოობის განცდა (ეს უკვე მოცემული თემის ნაწილობრივ ჩემეული ინტერპრეტაციაა) პირდაპირპროპორციულია მისი ფართის სიმცირისა და სივიწროვისა; თვალუწვდენელ სიშორეებში გადაჭიმული ტერიტორიის მიმართ სულისმიერი სიყვარულის მგზნებარება, როგორც ჩანს, მართლაც ბევრად ნაკლები, ნელთბილი და დაუკონკრეტებელია...

თანამედროვენი იგონებენ, რომ ვახტანგ კოტეტიშვილს გამორჩეულად უყვარდა გარეკახეთში გაგონილი და დაფიქსირებული ერთსტროფიანი ხალხური ლექსი:

გავხედე ყარაიაზე:
ორი ირემი სძოვდაო,
მე დიდი გამოვარჩიე,
თურმე პატარა სჯობდაო.

აქ ნახსენები ტანად პატარა ირემი **„ოდესმე დიდი“** საქართველოს ალეგორიული სახე-ხატია.

„ჯავარი“

ზაურ ჯაბუშანურმა, ლაფანყურელმა მოკაფიავემ და ხალხური პოეზიის მხურვალე, გულითადმა ქომაგმა, ვაკეში, საცურაო აუზის ახლომდებარე საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე, კლუბ-რესტორანი გახსნა და ვახუშტი კოტეტიშვილის რჩევით სახელიც ორიგინალური – „ჯავარი“ – დაარქვა... ძირითადად კულტმასობრივი ღონისძიებებისთვის განკუთვნილი დიდრონი დარბაზის „კურთხევის“ დღე რომ მოახლოვდა, დედაქალაქის რამდენიმე უბანში თენგიზ მირზაშვილის განუმეორებელი ხელწერით შესრულებული ფერადი აფიშები გამოჩნდა:

შვიდ ივლისს, შვიდ საათისთვის
გმასპინძლობთ კლუბი „ჯავარი“,
საჭმელ-სასმელი ოხრად გვაქვ,
მობრძანებაა მთავარი,
ისეთ კაფიას გაჯახებთ,
დაგიცურდებათ ყავარი!..

კაი ბიჭი თუ ხარ, მოიფიქრე და შექმენი ამაზე უკეთესი პიარ-რეკლამა!

ანასტასია

...და რომ ფიქრობდი, პაპა-ბებოსთან განმარტოებას, ჟღურტულს, თამაშსა და გართობას არაფერი ერჩივნა, გამთენიისას, ალბათ, თავნება სიზმრებისაგან შემკრთალი და შეშინებული, **„დედადოო!“** – ისე მდუღარედ ამოტირდება, გულზე უმწეო თანაგრძნობის მწველი, მკაწრავი ნაპერწკლები გადაგივლიან.

„კაცთ ენით გაბოროტვილი...“

ჩეჩვა, რთვა, ქსოვა, ქარგვა, კერვა...

ხევსურ ქალ-დიაცებს ხელსაქმეში უთენდებოდათ ზამთრის დიდი, მარაგიანი ღამეები.

ქმარ-შვილს საკადრისად მოსავდნენ და, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ყოფითი ამბებისგან აწეწილ ნერვებსაც ათირებდნენ, ითოკავდნენ...

„გამომსახველობითი“ საშუალებების სიახლითა და სიუხვით ღარიბ, მაგრამ ვეფხვის ტოტივით ღონივრად მოქნეულ ლექსის სტრიქონებს ეჯიბრებოდა გაზაფხულის ფერადებით დამშვენებული ნაჭრელა; და მოქნილობით ხარის ტყავის განედლებულ თასმას ბაძავდა დროის მღვრიე დინებისთვის წართმეული კიდევ ერთი მღვივანი, მარილიანი ლექსი... სწორფერთა ტკბილად მტკივან გულებს უებრო წამლად ედებოდა და ადნებოდა გზიანი სიტყვა; და მოხდენილი ნაჭრელაც მარჯვედ მოციქულობდა ერთი დროისა და წლოვანების ქალ-ვაჟთა შორის... ღრმაზროვანი ლექსები და ფარაგისა თუ საბეჭურის ორნამენტი თავიანთ იდუმალ ხვეულებში ინახავდნენ ამაყი მოყმისა და მისი მორცხვი ნანდაურის საგონ-საფიქრალს, წუხილს, გულის ნაღველსა და ლიღარს...

და როცა ღალატიანი სოფელი ისევ ჭორ-საძრახის სენსა და სამსალას მიუსევდა ადამიანური ღირსებითა თუ ფიზიკური სილამაზით თანატოლებზე აღმატებულ ასულს, ამ უკანასკნელსაც სხვა რა დარჩენოდა, თუ არა დროებით გვერდზე გადადებული ხელსაქმის გაგრძელება და მოზღვავებული ვარამის ამ გზით მოგერიება: **„გამაოლ წინგარდაზედა, სოფელს მავავლებ თვალსაო, კაცთ ენით გაბოროტვილი ავიღებ საკერავსაო...“**

„კაის დროების“ (ივანე წიკლაური) უკანმოუხედავად დენა, სამედიცინო ენით რომ ვთქვათ, თვითაქიმობის ამ მარტივსა და მრავალგზის აპრობირებულ მეთოდსაც წვიმის შლეიფივით თან მიიყოლებს.

დაძვირდა (ანუ გაიშვიათდა) გამოყენებითი ხალხური ხელოვნების ისეთი რიგისა თუ რანგის ნიმუშები, რომ დაჰკვლევ და მაშინვე ნუგზარ შატაიძის ბრწყინვალე მოთხრობა „წერილი ძმას“ გაგახსენდება.

და ბედნიერია (ვინაიდან წინ დიდი სიამოვნება ელოდება), ვისაც ეს ნაწარმოები ჯერაც არ წაუკითხავს!..

ᲕᲘᲡ ᲨᲔᲕᲩᲘᲕᲚᲝ?

მაღაროსკარი. ნანგრევი სკოლის ორსართულიანი ნაგებობისა, სადაც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ბაჩანა ასწავლიდა ფშაველ ბალღებს; **„ნაშთი ძველი დიდებისა“,** აქამდე რომ მოჰყოლია შნოიანი ხნოვანების გაუცრეცელი ხიბლი და რაღაცნაირი იდუმალება... გვერდზე გაუვლი, შეხედავ, შეათვალიერებ და გული წყრომით, წყენით, უმალამოო სინანულით მოგეწურება... **„აბრეშუმის საბლით მოზომილი“** ჩარგლიდან ცხენით ამგზავრებული ვაჟა ხანგამოშვებით ესტუმრებოდა ხოლმე უმცროს ძმას. ამ მიდამოებს, ასევე არაგვსა და მაღაროულას, ისევ ახსოვთ, და ალბათ, ესმით კიდეც ერთურთისკენ „დაწუხებული“ ძმების


უკომპრომისო, დაუნდობელი, ხმამაღალი კამათი თანადროული ქართული მწერლობის ავკარგის გამო. და მერე დამშვიდება, დაშოშმინება: საგულისგულო „იერიშების“ მშვიდობიანად დასრულება და ფანდურისა და ერთი დოქის თანხლებით სთვლის ღამეების თეთრად თენება...

ხშირფოთლოვანი ფერდობის დასაწყისში სკოლის ახალი შენობა დგას – სტანდარტული, ტიპური, „ტრივიალური“. და მის სწორკუთხა, ჭაობისფერ კედლებს ცხოვრების უკუღმართობისგან გულგაგლილი ობოლივით ამოჰფარებია ბაჩანას ღვაწლით და ამაგით ნასულდგმულარი სკოლის ნაშალი, ნაშთი და ნატამალი...

და ნაწილი თუ გაგრძელდება ამ დანაშაულებრივი ქართული დაუდევრობისა: დიდთონეთის მოხატული ქვებით სავსე სასაფლაოს გადასწვრივ, ეკლესიის მეზობლად, 2014-ის დამლევამდე ფეხზე გაჭირვე-



ბაჩანას სკოლის ნანგრევი ნაგებობა მაღაროსკარში



შენობა, რომელიც დღეს აღარ არსებობს და სადაც 1886-1888 წწ. ვაჟა-ფშაველა მასწავლებლობდა. დიდთონეთი

ბით მდგარი ის შეურაცხყოფილი (ცხენისა და ნახირის სადგომად გადაკეთებული) შენობაც ჩამოიშალა, სადაც ვაჟა ორი წლის (1886-1888) განმავლობაში მასწავლებლობდა. და ვერც ძლიერთა ამა რეგიონისათა მოიცალეს ისტორიული შენობის საშველად და გადასარჩენად.

და მიაქვს ქარსა და ნიაღვარს ჩვენი წარსულის ოქროს ფურცლები.

იკითხე მგლის თავზე წმინდა წერილი.

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი...“

ხდის ხეობაში

„თოფი – მეთოფეს“.
ხალხური

ორ დღეს საწრიაპე წავარნებზე წარუმატებლად მავალთ უიმედობა გვრევდა ხელს და წყრომა გვეძალებოდა, როცა ზემოთ, მზით არათანაბრად განათებულ აჩონჩხილ ქარაფებში, ბედისწერის ძალით გაკენტებული, სანიაოზე ნებიერად გადმომდგარი ხარლაღი შევნიშნეთ.

იმარჯვა ბაბუკთ გაგამ – სიბერის სამანს მიღწეულმა, ჩვენი მამების თაობის ჯუთელმა მონადირემ და ფრთხილი, შეყოვნებული, ქვიშააუჩქამებელი ხოხვით და სიარულით ცის ტატნობიდან წამოეპარა ბუნებრივ სიმაგრეებში თავშეფარებულ უ-ბრალო, უცოდველ ზვარაკს... სასროლ მანძილზე მიუახლოვდა, ჩაიმუხლა, ჩამოთოფა და ვიწრო, უმზისსხივო ღრანტეში ჩამოაგდო მკერდნატყვიარი ნადირი...

მე და ერთი ჩემი თანატოლი არც მუხლის ღონეს ვუჩიოდით და არც მონადირულ ჟინსა თუ აზარტს, მაგრამ მაინც წაგვაჭარბა და გვაჯობა გაგამ, სახელხმიან წინამორბედთა მოუმცდარმა მემკვიდრემ, ვინც, სხვათა შორის, თამბაქოსაც ჩაუქრობლად ეწეოდა და არც ქერის მწარე წვენზე ამბობდა უარს. ფიზიკური შემძლეობის მხრივ უპირატესობა აშკარად ჩვენს მხარეს იყო, თუმცა, შემიძლია ვთქვა, ნადირობის ნამდვილი მასტერკლასი ჩაგვიტარა მარაისძეთა მამიშვილობის „ბერმა პაპამ“.


იმდღევანდელი ნატყვიარები, ალბათ, ახლაც „სწერია“ ხდის ხეობის ტინიან ფიცარკლდეებზე!

წარსულის ნისლს შერეულ ამ ამბის გახსენებაზე შურთხის ჟრუნივით ამოფრთხიალდება ხოლმე დიდი ხნის წინათ დასწავლილი ხალხური ლექსის სტრიქონები: **„ჩაიარის და ჩაკაფის მარიემულისძემაო, ყველამ ეგრე ქნას ვაჟკაცმა, ომმ რაღა იცის გრძელმაო...“**

ზარი თუშეთიდან

შენაქოდან ელდარ ბუქვაიძე მილოცავს ძველით ახალ წელს. მხნე, მხიარული კაცია. საუბარში, მადლს რომ მარილს მოაყრიან ხოლმე, აი, ისე გულიანად ჩაიცინებს და თავის უღრუბლო განწყობილებას შენც გადმოგდებს, გიწილადებს...

დილის ათი საათია. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გაუვალ საცობში ვარ ჩარჩენილი. იჩქარე და იბობოქრე რამდენიც გინდა, სად წახვალ, ხომ ვერ აფრინდები!.. მანქანების ნაკადს თავ-ბოლო არ უჩანს... უბერავს ცივი, გამჭოლი ქარი და... წამით წარმოვიდგენ: თუშეთის ორკომლიანი სოფელი, სადაც ახლა წელსმწვდომი თოვლია და კურუმი სიჩუმე. კურდღლის სწრაფი ნაკვალევი ციდან ჩამოვარდნილი ანდრეზული შიბივით ატყვია უბაჭისკენ აალმაცერებულ ტყისპირა ფერდობს. პირმოღუშულნი დგანან ყორეებმინამქრული, ლამაზაივნიანი, კარებ-



ელდარ ბუქვაიძე. შენაქო. 2014

დაგულული სახლები. მოწყენილია ბეხვნე – შენაქოელთა უკაცისძეო საფეხვნო. მწუხარების ნიშნად მწკლარტე ცირცლისა და არამტირალა ტირიფის ხეებსაც ძირს დაუხრიათ დათოვლილი, ძარღვებში ლოპო-გაყინული ტოტები... უსიგრძეგანო სივრცეში ორადორი „შინადან“ ადის ფიჭვისა და კვარის სურნელოვანი კვამლი და ამ ორ, ერთურთისაგან საისრე მანძილით დაშორებულ შინაში ელდარ და კაკო ბუქვაიძეები ცხოვრობენ. ელდარი – მარტო, კაკო ცოლ-შვილით... ხოლო შენაქოს თავში, შემაღლებულზე, ეკლესია დგას და მოწყალე თვალით დამზერს ბევრისმომსწრე, დამთმენ, გაზაფხულის მომლოდინე სოფელს...



თოვლიანი თუშეთი

წარმოსახვისმიერ განზომილებაში გადავარდნილს ისევ ელდარის ხმა მაფხიზლებს:

– როგორა ხართ, როგორ?!

და რაც ელვისუმალ გამივლის გონებაში, ეს ერთი ცნობილი ქართველი მხატვრის სიტყვებია (ჩუბჩიკას უბადლო მონათხრობიდან), უშუქო და უშეშო ზამთარში თავპირშეფუთნული ხაზის ტელეფონზე რომ აწყნარებდა გურიაში მყოფ ნათესავებს გამომცემლობა „მერნის" გაბოლილი, გამოციებული ოთახიდან:

– ქე ვარ ფაქიზად!

მაგრამ ახლა ამ ტრაგიკომიკური ამბის არც დროა და არც ადგილი. ვიცნობ ელდარის ცნობისმოყვარეობას. ვიცი, რომ უეჭველად მომთხოვს ნაამბობის კომენტარს, დეტალურ განმარტებას და ნამდვილად არ ღირს ხათაბალაში (რა იცი, საიდან გამოჩნდება პატრულის ციმციმებიანი ავტომანქანა!) თავის გაყოფა.

– აბა, თქვენ იცით, გამხნევდით და გაიხარეთ, ღმერთმა მრავალ ახალ წელს დაგასწროთ! – ვამთავრებ მოკლე სატელეფონო საუბარს.

– ვმხნეობთ! ვმხნეობთ! – მესმის თეთრად გადასუდრული კავკასიონის მთებიდან ელდარ ბუქვაიძის მშვიდი, ცხვრის წლის დადგომის იმედიანი განცდით გაჯერებული ხმა.

„ერთ მთის გადაბრუნებით..."

დიკლოს მყუდრო სამაროვანზე მოცვი მწიფს (ასეთი რამ იშვიათია!). აგვისტოს ბოლო დღის უქარო და უღრუბლო მზე თავისი დიდების ზენიტში დგას და მწარედ იკბინება. მალე, დიდი ალბათობით, აუცილებელად გაწვიმდება... დუმს პირამიდას მიმსგავსებული ფიჭვნარიანი მთა. ჩამიჩუმი ჩაკრეფილა გაღმა ფერდობზე შეფენილ კოხტა სოფელში.

სამაროვნის განაპირას მიწაში ღრმად ჩასმულ, ალაგ-ალაგ ატკეჩილ მუქლურჯ სიპს ჯერ კიდევ აჩნია დანის წვერით ირიბი, უსწორმასწორო ნაწერი: **„მარეხ სოლომონის ასული თათარაიძე-ბელადიძისა“.**

და მახსენდება ეთერის ლექსი (ავტორისაგან განსხვავებით, მისი პოეზიის თორმეტამდე ნიმუში ზეპირად მახსოვს):

ემაგ ეკლესიითაჲ
ერთ მთის გადაბრუნებით
ჩემ მამიდა ღმარხავ...
გაზაფ-გაზაფხულობით
იმის მდუმარ სამარეს
ენძელაებ ხქარგავ.

სანდომიანი პირისახის მარეხი იყო ერთ-ერთი უკანასკნელი მომთაბარე ქალი, ვინც ტრავმირებული ხერხემლის მიზეზით თუშეთში, ქმრეულთ სოფელში აღესრულა და იქვე დაიკრძალა (დღესაც ბევრი თუში ბერდიაცი ნატრობს მთაში სიკვდილს და სამუდამოდ იქ დარჩენას, მაგრამ... განგების განაჩენი ვის შეუცვლია!)...

უცნაური დამთხვევა: წლების წინ მე და ეთერს (ნანული აზიკურთან, გიორგი ცოცანიძესთან, ელდარ ნადირაძესთან, ნუგზარ იდოიძესთან, ზაზა ფირალიშვილთან და შოთა უტიაშვილთან ერთად) სწორედ იმ დღეს მოგვიწია დიკლოში მისვლა, რა დღესაც ალვანში ვიქტორ ბელადიძე – მარეხის შვილი, ღირსეული კაცი და საღირალი ცხვარ-ბინის პატრონი – მიაბარეს მიწას.

დედა – მთაში, შვილი – ბარში. ჯობდა კი, იმქვეყნადაც ერთად ყოფილიყვნენ...

ენძელებით ნაქარგიო.

ეს გაზაფხულზე, ხოლო ახლა ზაფხული ილევა; თავდება ნათაკარალი თვე და დიკლოს ღია, მორღვეულ, შეუღობავ სასაფლაოს დაბინდული მოცვის ნაღვლიანი ფერი მორევია.

მარცხი

ხელმარჯვე და გერგილიანი ნატახტარელი „მალიარი“, უშრეტი იუმორისა და თვითირონიის ბუნებითი ნიჭით ას და ათას თავისნაირზე ბევრად აღმატებული გიორგი პაპა უყვება ეთერს (მე მოშორებით, მეორე ოთახში ვზივარ და მის ნაამბობს სიტყვასიტყვით, მიმატება-გამოკლების გარეშე ვიწერ): **„გამოვედი რესტორნიდანა მათლაფაზე ნაცეკვები; გამოვედი ლაცალუციტა... იქვე ერთი კაი, კოხტა გუბე ყოფილიყო. მივედი უკან-უკანა, წავბორძიკდი და თქაფა გამცვივდა... რა გინდა, შე უპატრონო, იმყოფინე და წადი, რაღა, თავის დროზედა!“**

ყურო. ზამთარი. ჯიხვები...

„თოვლი თოვს საჯიხვეშია,
მზევ, რად არ ჩამაშუქდები...“
ხალხური

ზამთარია. გარეთ არათუ ძაღლი, ველის ნადირიც რომ არ გაიგდება, სწორედ ისეთი ზამთარი.

მთიანეთში დიდთოვლობა ვის გააკვირვებს, მაგრამ წელს იმდენად ჩაჩუმქრა თვალსაკიდი, სადმე შავი ლაქა თუ წერტილი რომ შენიშნო, ისიც გიხარია და სახვალიო იმედის ულპოლველ ბოძს ებღაუჭები...

ბარაქიანად თოვდა გუშინ, ხშირ ფიფქებში თავბრუდამხვევად ბრუნავდა და ბარბაცებდა უსაწყისო და უსასრულო სივრცე; ღამითაც გემრიელად იფიფქა, ითოვა და გამთენიისას, როგორც იქნა, აიკრიფა, შეწყდა, გამოიდარა... მეფური სიდარბაისლითა და დასაბამიერი სისპეტაკით ჩამოლაგდნენ მხარი-მხარს გაბმული, თეთრად გადალესილი,

იდუმალებაში დანთქმული, უძველესი ფერხულის მონაწილე ვეება მთები... მყინვარმაც მოიშორა სათოვარი ღრუბლების სალუქი საბურველი და ცათა მიუწვდომელი სიმაღლიდან ჩამოხედა სტეფანწმინდასა და მის ჭაღარა, ჩანაღვლიანებულ შემოგარენს...

ზამთარი, ნაშრომ-ნამაშვრალ მთიელთათვის შვებისა და სიმშვიდის მომგვრელი ზამთარი. აღარც ყინულის საკინძეშეკრული მდინარეების შიშისმომგვრელი ხმაური ისმის და, ცხადია, არც ნინველი ნაკადულების ამო, წყნარი, კაეშნიანი ლიკლიკი არღვევს გარესამყაროსგან დროებით მოწყვეტილი ხევის სრულ, უხინჯო იდილიას...

კაბინეტში, სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსის მეორე სართულზე გვიტარდება ფიზიკის გაკვეთილი. პედაგოგი გივი ჩოფიკაშვილი, მეტსახელად „გლახა“, პირშეუშლელი პრინციპულობითაც გამოირჩევა და მოწაფეთა გულისწადილის ამოცნობის ესოდენ სასურველი უნარითაც; სამართლიანი გაჯავრებაც სჩვევია და უნებლიე შეცდომისა თუ გადაცდომის დიდსულოვნად შენდობა და პატიებაც.

ბიჭებს ამიტომაც გვიყვარს და „ვეძმაკაცებით“.

საგნის რიგიანად ათვისებისთვის საჭირო ტექნიკური აპარატურისა და დანადგარების ნაწილი, უადგილობის გამო, იატაკზე ალაგია, ნაწილი – კედლის გაყოლებაზე გამართულ ხის თაროებზე.

კაბინეტის სამივე ფანჯარა ყუროს უყურებს.

შესვენებაა და საინტერესო სანახაობის მოლოდინში ვართ.

„შტატივზე“ დამონტაჟებულ გრძელ ჭოგრიტს იმდენად ახლოს, ლამის ცხვირწინ მოაქვს თოვლით გადაგლუებული ნახერეთის ფერდობი თუ ფხაწალი კლდეების გალიგვებულ-გაკრიახებული მასივები, რომ მოინდომო, ასე გგონია, ხელით მიწვდები და შეეხები...

და აგერ, ქარისგან თოვლგადახვეტილ, ოდნავ შენისლულ საბალახო სერზე არეულად, წინაუკმოდ, პირთავქვე ჩამოთითოვდებიან სავარაუ-

დოდ ხდის ხეობიდან ამ დილას გადმომფრთხალი ბერხენი ჯიხვები. ტანადები, მუქ ყავისფრები... ერთი მათგანი წამით გაისუსება, წელში გაიმართება, თავს ასწევს, გაუყურჩდება მსუსხავ, ავწალიკა ნიავს, მიდამოს მოათვალიერებს და, რაკი სახიფათოს ვერაფერს ინიშნებს, ჩვეული სიდინჯით გააგრძელებს ხემსის ძებნას, დამზრალი და უგემური, უმაწივრო ბალახის ძოვას...

სუნთქვაშეკრული ტკბები და ნეტარებ ამ ნამდვილი, ნატურალისტური სიცხადის სანახაობით. უფროსებისგან ბევრჯერ გსმენია, ხოლო ახლა უშუალოდ უცქერ ულამაზეს სულიერთა „პრაგმატულ“, თითქოს არაფრით შესაშურ, ერთსახოვან ყოფას... და ის აზარტი და ეგზოტიკა, გამოცდილ მონადირეთა ნაამბობსა და ხალხურ ლექსს რომ სდევდა,



თოვლიანი ყურო (ხედი ვარდისუბნიდან)

თვალსა და ხელსშუა მკრთალდება, იცრიცება, მომნუსხველი მიმზიდველობის ზეგარდმო ძალისგან იცლება და იძარცვება.

შირიმები და ალღოჯ კლდეთა შვერილები... ქუფრი ქარაფები და შიბივით ვიწრო წავარნები... კამკამა წყაროები და ლებიანი ქვასალოკები... ჩამომზვლეული ხევები და თოვლის ზვავები...

ერთი შეხედვით ჯიხვების საწუთრო მეტი არც არაფერია; დაბადება, ზრდა, სიბერე (იმ შემთხვევაში, თუკი მონადირის ტყვიის ანაწერებად არ იქცნენ!) და სიკვდილი.

და ეს ყოველივე – ჩვენი ცოდნითა და წარმოდგენით; ცოდნით, რომელიც ისეთივე ღარიბი და უბადრუკია, როგორც უწრთვნ და უწიგნურ მდაბიოთა სულიერი სამყარო...

ისე, კაცმა რომ თქვას, რაც მაგათ ალპიური ზონის დილა-საღამოები „დაუგემოვნებიათ" და შეურგიათ, რასაც ეგენი დაზამთრებისა თუ ბროიანი გაზაფხულის დადგომის ბუნებრივ სცენებსა და „სპექტაკლებს" შესწრებიან, ამ ყველაფრის ნაივური ხელოვნების ენაზე გარდათქმა და გადატანა რომ შეიძლებოდეს, აბა, მაშინ გენახათ აღფრთოვანებასა და გაკვირვებას გადაჩვეული თანამედროვე სნობების გაოცება.

ამ ბოლო წლების ომებმა და ჭექა-ქუხილმა ჯიხვებსაც აურია ჟამკარი. ხან იქით აწყდებიან და ხანაც – აქეთ. კავკასიონი დიდია და უხერხდებათ შედარებით მშვიდი თავშესაფრის პოვნა. და, ალბათ, მათაც ისევე სურთ და სწყურიათ ხანიერი, გრძელვადიანი სიწყნარე, როგორც ჩვენ, ადამიანებს – მიზეზთ ათასგვარი სიავისა, უკეთურებისა, უსამართლობისა...

ის ზამთარი ხშირად მახსენებს თავს.

და ძალიან მინდა, სამუდამოდ იქ ჩავრჩე და „ჩავიმარხო..."

სითბო და მასწავლებლებისთვის მოსაწონი სიწყნარეა ფიზიკის კაბინეტში, საკლასო ოთახებში, დერეფნებში, საერთოდ, სკოლის მთელ შენობაში.

ჭოგრიტის საწიერში ხანმოთეული, რქაჯანგიანი ჯიხვები ბალახობენ; ჩლიქებით თხრიან თოვლის თხელ საფარს და ველური ჟინით ეურჩებიან შიმშილსა და ყინვა-ყიამეთს.

ყუროს დაკბილულ მწვერვალებსა და ღრანტე ხევებს უმთვარო ღამის ნაფლეთებივით შავი, ხმადაწყევლილი ყორნები დაჰყეფენ...

მოსატკივრე და ჭირისუფალი

„სადარაო და მამუკავ,
დედა ვაცხონე თქვენიო...“

ხალხური

დარიალის ვიწრო ხეობით ზელიმხან გუშმაზუკოვთან (უხორცოსავით მამაც ჩეჩენ აბრეკთან) შესახვედრად და შესაამხანაგებლად მიმავალ, სულმოკლე გუდამაყრელი მწყემსის (მისი გვარ-სახელი ხსენებადაც არ ღირს!) მიერ ურცხვად გაყიდულ ბუჩუკურთელ მამუკა გოგოჭურს (მოურჯულებელ „ყაჩაღს“, წითელი საბჭოთა იმპერიის ემისართა რისხვასა და დაუძინებელ მტერს) ბალთის საგუშაგოზე გააჩერებენ, დაჰკითხავენ, შეამოწმებენ და საბუთებს მოსთხოვენ. დრო არ იცდის. მამუკა ქისტი ეროვნების ერთ-ერთ ოფიცერს ხანჯლის ბასრ, წამახულ წვერზე წამოაგებს (მეორე ვარიანტით – მხარიღლივ გადასხეპს; სხვაგან: გაჰკრავს, გაუსომს და გროვად დაყრის მკვდარს; მოხეურ ლექსში: ნაბადს გვერდზე მოიგდებს, მგლის ფერს დაიდებს და ცხვრის ფარასავით მიფანტ-მოფანტავს ყაზახებს) და ტრიალ, ქარიან მინდორზე გავარდნილსა და ცოტათი გამანძილებულს ტყვიებით დაცხრილავენ. წამებში დასრულდება ელვისებრ დატრიალებული სისხლიანი შეტაკება. ტრაგიკული ამბის დამსწრე ჯარისკაცები გარდაცვლილი ქისტის

„დამკაცრევებას“ შეუდგებიან. ჯავრისაგან განაცრებულები და გულაღრენილები ურჩი ხევსურის სულდანალევისკენ არცკი იცქირებიან... ხოლო სულით აღაზას მონათესავე ქისტი ქალები მამუკას სიმარჯვით მოიხიბლებიან, პირს ცრემლით იბანენ და მოთქვამენ ზარიანად: **„საით მიხოლი, ვაჟკაცო, შე მგზავრო შავეთისაო. ბრალია შენი სიკვდილი, მიწა გიშლიდეს პირსაო...“** და როგორია ამ დროს ხანჯლით განგმირული უდანაშაულო ქისტის მშობელი მამის რეაქცია?.. სულერთია, ისმენ თუ კითხულობ, ტანში გაგცრის, ტაოს დაგაყრის. მემკვიდრედაკარგული მამა გუშაგებს მიმართავს: – თქვენ ამას უპატრონეთ (უთითებს თავისი შვილის ცხედარზე), მე კი იმას მივხედავ (მკვლელის ცხედრისკენ იშვერს ხელს); დაუმარხავს ვერ დავტოვებ, ყვავ-ყორნები დაესევიან, გაანაგაბრებენ, პატრონი არ ჰყავს და ცოდვაა!.. და კიდევ ერთხელ დაგბურძგლავს ტანში; დაგბურძგლავს ვაჟკაცობის მაღმერთებელი ასაკოვანი მაჰმადიანის დიდბუნებოვნებით აღფრთოვანებულს. და უმალ ვეფხვისა და მოყმის სწორუპოვარი ბალადაც გაგახსენდება – სადიდებელი ადამიანის სულის სიმაღლისა, სიფართოვისა, სილამაზისა!

გაზაფხული

„გაზაფხული იყო მაშინა,
ახლად ყოოდენ იანი...“

ვაჟა

გაზაფხული – წელიწადის დილა; გონჯი ღამის გათენების ბადალი!

ზამთარი – ურჯულოსავით ღრჯუ და უჯიათი: მარცხთან, წუხილთან, სიმძიმილთან, სიკვდილთან წილნაყარი...

არყოფნასთან შეპირისპირებაში, არყოფნის განცდისა და გაცნობიერების განასერში ფასობს სიცოცხლე (ვაჟა: **„და შენც, სიკვდილო, ფასი**

გძე სიცოცხლის ნაწყენობითა...“). ასევეა გაზაფხული! ზამთარი რომ არ უსწრებდეს წინ, ასეთი სასურველი, სანატრელი და სასოებასთან დაწყვილებული არ იქნებოდა!..

„ან ხვარ შამწვანდა ჭალები ღელე-ლაშარის ძირსაო?“ – მადლით ნაპოხი მშობლიური ადგილებისკენ „დაწუხების“ ენითუთქმელი გრძნობა, ჩაწნული და ჩაწურული ფშაველი მელექსის ამ უბრალო, ბუნებრივ, სასაუბრო ტონალობაზე მომართულ „უწყინარ“ შეკითხვაში.

გამოამინდების, მკვდრეთით აღდგომის, ირგვლივეთის ხელახლა შობისა და გაცოცხლების დიადი მისტერია ორ, ორადორ „ჩვეულებრივ“ სტრიქონში: **„შამააშრობს გაზაფხული კლდეებს თვირთვილიანებსა“**.

გაზაფხულის მობრძანების, მომძლავრების გულისგულური ნატვრა და მოლოდინი თითქოსდა ტრივიალურ, არაფრით გამორჩეულ ხალხურ ტაეპებში: **„მთა გაშრეს, მიწა გამოჩნდეს, ლურჯამ მოჰკიდოს ნალია“**; **„თოვლმ გადაღრიდას მთა-ნვერთა, ფოთოლ მაისხას ტყემაო...“**

და ამ პეიზაჟურ პასაჟთა მშვენიერების ხილვით მიღებული მტეხიარობის ტკივილი, გულში რომ ვეღარ ეტევა და გარეთ გამოღწევას, გამოჩენას, გადმოღვრას ლამობს...

ვწყინობთ და ვგლოვობთ გაზაფხულის გასაშტერებელ ფერთა და ხმათა (თუნდაც: გაღმა ტყიდან გუგული რომ გამოგვძახის) განმცდელი გულების სამუდამოდ გაჩერებას, გაჩუმებას...

და უქმდება, აზრისა და ლოგიკური შინაარსისაგან იცლება კრთომით ამოთქმული რიტორიკული შეკითხვა: **„გულო, რა მოგივიდა?!“**

ბათირა


„კაი ყმის ნაბინავარში
შეშანი დარჩებიანო..."

ხალხური

მაწმაველ ბათირა არაბულის კაიკაცობა, მადლი მისი მასპინძლობისა და წინდახედული თადარიგიანობა ერთხელ კიდევ ვიხილეთ და ვირწმუნეთ მისი გარდაცვალების წლისთავზე ბარისახოში ასულებმა: თითქმის უთოვლო თებერვლის იმ მშვიდ, უმზეო, შავნაღვლიან დღეს სტუმრად წვეულნი თუ ჭირისუფალნი წლინახევრის წინათ ბათირას ხელით გამოხდილი „ბორბალა" მსხლის წინწნაქარით და ადგილზე მისგანვე დაწურული, ამხნობამდე წაუკანჭავად შენახული ღვინით ამბობდნენ სააქაოდან წასულთა ხსოვნისას და ზედამრჩოთა დღეგრძელობისას...

ძველსა და, იმავდროულად, ახალ ყაიდაზე გაწყობილ სანიმუშო სამგლოვიარო სუფრას ბერდია არაბულის მოწადინებითა და თავკაცობით ნადუღარი სვიანი, დაძირწვერებული ლუდით სავსე საწდეებიც ამშვენებდა და ჯიხვის სამი წყვილი რქაც, რომელთა მიღებისა და „შეფერების" პატივი ბაღათერ არაბულს, ტარიელ ფუტკარაძესა და თქვენს მონა-მორჩილს ხვდათ წილად (ოჯახის დიასახლისმა სანათა წიკლაურმა ამ სახით გამოხატა მადლიერება: ჩვენგან ნაამაგარი ბათირას ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნისთვის თვალისა და ხელის შევლება გარდაცვლილის გაცოცხლებას გაუთანაბრეს სევდიანი საწესჩვეულებო რიტუალის მონაწილეებმა)...

ხოლო ხევსურეთის არაგვის სულფონ ჭალაში, გაქირსლული ტყიანი ფერდობის ფერხთით, ატალახებული გზის შორიახლო, სიპი ქვით კოხტად მოპირკეთებული წყარო მოჩქეფდა, სოფლის ხუცესის მიერ ნაკურთხი და დალოცვილი ბათირას მართალი სულის საოხად და სანუგეშოდ...



მანმაო

განსვენებულთა სახელების ხშირი ხსენებისა და გამარადიულების ეს ძველთუძველესი ჩვეულება თუ საშუალებაც, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ცოცხლობს მთაში...

და ბარისახოდან წამოსულებს (ეთერ თათარაიძე და მაწმაველი ნოდარ არაბულიც ჩვენთან ერთად იყვნენ) წამოგვყვა განცდა, რომ უმზეო ქვეყნის „ახალმოსახლე“ თავისი ნათავედი სასმელით – სურნელოვანი არაყით და მჭრელი, გემოწმინდა ღვინით თვითონ მასპინძლობდა მეგობრებს, ტოლ-სწორებს, მოკეთე-მონაკიდვარს, თანასოფლელებსა და გვარ-საბიძაშვილოს.

წერამწერელნი

პროვიდენციული თვალთახედვა, ბედისწერულობით და განგებისმიერობით რომ ხსნის ყოველივეს, ერთობ რელიეფურადაა გამჟღავნებული ხალხურ სიტყვიერებაში; ასევე, მხატვრულ ლიტერატურაში, მოკიდებული ანტიკური ხანიდან ვიდრე ჩვენ დრომდე.

ბედისწერის იდეა, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ის ვიღაცისგან ან რაღაცისგან მომდინარეობს; რომ ვიღაც წინდაწინ საზღვრავს უსათუოდ მოსახდენს ანდა ამ მოსახდენის შეუქცევადობა რაღაცითაა პირობადებული.

ნარმოდგენები ბედსა და ბედისწერაზე დაიყვანება შემდეგ გაგებამდე: სუბიექტი ბედისა (ბედისწერისა), ობიექტი ბედისა (ბედისწერისა) და ბედისწერა, როგორც ასეთი, მისი შინაარსი; ის, რასაც ბედის სუბიექტი **„დაუწერს“** ბედის ობიექტს.

„სიკვდილნაჯად“ ანუ **„საიქიოს განმცდელ“** ადამიანთა სიტყვით, ნერა-მწერელნი სულეთში სხედან და იქ წერენ შავ ქაღალდებს იმათ სახელზე, ვინც ახლო ხანებში უნდა აღესრულოს...

ხევსურეთში მოპოვებული ფოლკლორული ტექსტების თანახმად, ნერა-მწერელნი სხვა არავინ არიან, თუ არა **„ხთიშვილები“**, ღვთისნასახები, რომელთაც, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებში საზოგადოებრივი ყოფის ამა თუ იმ სფეროს მართვა, მეურვეობა და ზედამხედველობა აქვთ მინდობილი და დავალებული.

თუშების წარმოდგენით, **„ბედ-მწერელთ“** ერთი კაცი და ერთი ქალი ასახიერებენ. ისინი არამარტო ადამიანს უწერენ ბედ-ბოლოს, არამედ წვრილფეხა პირუტყვსაც. თუშებისავე რწმენით, შესაძლებელი ყოფილა ბავშვის **„უმწერლოდ“** დაბადებაც, ე. ი. ისეთი შემთხვევა, როცა სამზეოზე მის მოვლინებაში წერა-მწერელნი არ მონაწილეობენ.

ხევში დამოწმებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ჭირისუფლის სახლის ბანზე მსხდომ მამაკაცებს **„მწერელი“** შავნაბდიანი არსე-

ბის სახით ეცხადება, რომელსაც ხელთ შუბისმაგვარი ჯოხი უპყრია და ამბობს, წლის განმავლობაში ვინ რა მიზეზით მოკვდება სოფელში.

„ბანზე ჯდომის“ მოხეურ წეს-ჩვეულებასთან ხელშესახებ მსგავსებას ავლენს ამიერ საქართველოს სხვა კუთხეებში (თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი...) დადასტურებული, **„სმინაობის“** სახელწოდებით ცნობილი რიტუალური ქმედება, რომელიც **„კდინის კვირას“** სრულდებოდა და მიზნად ისახავდა სოფლის მომავლის გაგება-გამოცნობას.

ადამიანის ხვედრის განმსაზღვრელი წერა-მწერელნი, როგორც წესი, განკაცებულად წარმოსდგებიან შესაბამის ზეპირსიტყვიერ ჩანაწერებში...

წერა-მწერელნი არ წარმოადგენენ თვითკმარი ძალაუფლების მატარებელ ირაციონალურ არსებებს. მათაც ჰყავთ ზემდგომი და „მაკონტროლებელი“ უპიროვნო ძალა ღვთის სახით: წერა, ნაწერობი, მწერალი ღვთისგან მოდიან, უზენაესის ნება-სურვილს მორჩილებენ და ამით თავიანთ უფლებრივ შეზღუდულობას ადასტურებენ.

P. S. აღარ იცი, ვისი ირწმუნო, ბრძნადმოუბარი ხალხისა – ბედისა და ბედისწერის საკუთრეული კონცეპტი რომ შეუმუშავებია და ყველაფერს ღვთისნებითობით ხსნის და განმარტავს – თუ ვაჟა-ფშაველასი, ჩვეული კეთილმოსურნეობით რომ გვმოძღვრავს და ჩაგვაგონებს: **„...იმედი ბევრად სჯობია უაზრო ბედისწერასა...“**

თაველეძა

სამოცდათორმეტს უახლოვდებოდა, თვალისჩინი რომ დაკარგა. ადგილზე დარჩა და დასაყდრდა. დაემშვიდობა ვერცხლის სამკაულების, ყაწიმების, სარიტუალო თას-განძისა და აბჯარ-იარაღის კეთებას. მისნაირი ოსტატი ხევსურეთს ბევრი არ ჰყოლია. უმაღლესი სინჯის ნაღდი



თაველექა არაბული.
ბაბუა ალუდაურის ფოტო

პოეზია სუნთქავდა და კამკამებდა თაველექა არაბულის ყოველ ახალ, წინის-წინათა მჯობნ ნამუშევარში. ზედმიწევნით ფლობდა რკინის წრთობის, „წურვის“, ორნამენტების ამოყვანისა და სევადის საიდუმლოს. წინხადუდან წამოყოლილ მადლს არც ბარში მიუტოვებია... და აი, ერთ დანავსულ დღეს ბინდის ფარდა და ბურანი აეფარა მის წილ სამზერს, სამზეოს, აზრიან ყოფას, სოფელ-ქვეყანას. და ყველაზე მეტად უტყვ მეტალთან ცალფა დიალოგის შეწყვეტასთან შეჩვევა ემწარა და გაუძნელდა. და მაშინ ამოთქვა ლექსი, თავისი ღირსებით მისსავე ნახელკეთილარს რომ ეხმიანებოდა და უახლოვდებოდა:

„დაგიკრავ, ჩემო ჩონგურო, შაყრილს ბევრაის ხისასა, ყური დამიგდე, მსმენელო, გიამბობ ბნელეთისასა. ექვს წელს ბნელაში ნამყოფი შუქს ვერ ვხედავდი მზისასა... თვალში სინათლე მამივა სამოცდათვრამეტ წლისასა, ამ ჩემსა გადანაყარსა შამსწვრალხართა ვინ

სხვისასა?! მადლობა ღმერთსა, რო ვხედავ მთა-ბარსა, დედამიწასა, მადლობა ანგელოზებსა გიორგიობის თვისასა...“

ესეც თაველექას ერთ-ერთი ლექსის „პრელუდია“: **„ლექსის თქმა მწადის ერთისა, ყორანო, მომიბანეო, ამაანათე ჭაუხი, ამოდი, მთ-ვარის ნალეო...“**

დაბრმავებიდან მეექვსე წელს, „უღონკრო“ სიბერის უსიერ ტალანე-ბში ფეხშედგმულს, სრულიად მოულოდნელად, უმკურნალოდ და უოპე-რაციოდ, კვლავ დაუბრუნდა მხედველობა. ჯერ ვაჟიშვილის სილუეტი აესვეტა ვიწრო ფანჯრიდან შემოსულ შუქზე,ხოლო მერე სამყოფლო, სამისდღეშიო ოთახის კედელ-ყურესა და დგამ-ავეჯსაც ჰკიდა თვალი. თითქოს ზღაპარში შეაბიჯა და თვითონაც გამოგონილი სიუჟეტის პერ-სონაჟად იქცა. ამ საკვირველი ამბის შემსწრე მამუკას – თაველექას მემკვიდრეს – გაოგნებისგან გონივრული რეაქციის გამოხატვის უნარი წართმეოდა...

მოხუცმა ისევ მოიხილა მონატრებული საცეცხლური, პრიმიტიული სამჭედლოს დაზგა-დანადგარი, თავისი ნაკეთობანი და ხელსაწყოები... მთების დანახვითაც უწინდებურად იამა, მგლის კვალზე გაყოლის იმე-დი მიეცა, თოფის **„ლიშანსაც“** კიდევ **„გახენა“** და ცოტა ხანს კიდევ იცოცხლა...

მას აქეთ აღარ მითქვამს, რომ მიწიერ ცხოვრებაში სასწაულები არ ხდება და ამგვარი რამეები კეთილ მუცლითმეზღაპრეთა მონაგონია!

უფალმა არ ინება, რომ უებრო ოქრომჭედელთა და **„ვერცხლისმკე-თეთა“** ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი უთვალისჩინოდ გამგ-ზავრებულიყო საიქიოში...

ციკლიდან „სიყმაწვილის სურათები“

„ა, იმ ქედს იქით ქედია,
ქედთან – პატარა სოფელი...“

შაბურა არაბული

გრილი, გალუმპული დილა.

დევთ დედაბერივით უხსოვარი დრო-ჟამის ავად აღროფებული სველი მდინარე. მიდის და მიაქვს სათიბებისთვის წართმეული ატალახებული მიწა. მიამდგვლევს ქვა-ღორღს. გრუხუნით მიაგორებს ლოპრიან ლოდებს. უმზეო დილის მიბჟუტულ სინათლეზე გველის ჭარივით უამურად უელავს ღონიერი ზვირთების დატალღული ზურგი თუ ზედაპირი.



არაბულები: ვარდიკო, მზია, ილო, ავთო, ამირანი, ნოდარი, ზელიმხანი, ბაქრო, ლადო, მზექალი, ჯიმშერი. ჯუთა. 1962



ჯუთა. 2013 წლის მაისი

მთელ ღამეს ცა იქცეოდა, იცრემლებოდა, ფეხად ჩამოდიოდა და არავის უკვირს გაუგონთებული, გარდას გადასული მდინარის დანახვა.

წაღებულია ორივე ხიდი. ჩრდილსა და მზისპირს შორის გაწყვეტილია ყოველგვარი ძაფი, ძარღვი და კომუნიკაცია. გაღმა: ამოლურჯებული ჯეჯილები, სათიბები, სახენცლეები... ხოლო გამოღმა: შეკავებული ღელვით აწრიალებული და შეწუხებული ოცკომლიანი სოფელი. კაცები – „სკოლის კარში“, საფეხვნოდ და სათათბიროდ; ქალ-დიაცები შინიშინ, საკუსნაღბეებსა და საძროხე – ძირისახლებში.

თეთრნაბდიანი მდევრებივით დაუდეგარი ქარსაოტი ნისლის ნაფლეთები დიდრუსა და ჭერხოწვერაზე, ფადუხსა და ყვავილიანაზე, შავქარაფსა და ნახიზნარალში...

რაღაცნაირად ნაპირ-ყურე შემოჭუჭკული, თავის ტანტომაგში ჩაბრუნებული, გარემყარს მოწყვეტილი, გაკენტებული და მიუსაფრობის კალთას მოჭიდებული ჩემი სოფელი.

ამინდისა და ბუნების უეცარი, მოულოდნელი ფერისცვალება.

თანაც როგორი!..

და თავხშირი ბალახის ბურვილიანში სატაცურივით სწორი და ღერომაღალი უცხო ყვავილი, თაფლის სანთლის მოციმციმე ალივით რომ ანთია და ქანაობს აზავთებული და აზეზეურებული მდინარის ყველაზე უფრო ღალატიანი, მლივი, უდუმალი მორევის პირას...

ლეკოთ წიქას რეპერტუარიდან

მოდაში იყო მოკლე, მოტმასნილი, ჩაღილული ქვედაკაბები. და თუნდ ერთი ღილის (იგივე ფოლაქის) შეუხსნელობაც კი მიზიდულობის მაგნიტურ ძალას სძენდა ისედაც „შარმიანი" მანდილოსნების გარეგნულ იერს. მიმოდიოდნენ და თან სდევდათ დაოკებული ვნების ნელი ნიავი. შუ-და-შუ მაცდურ, გამომწვევ ღიმილსაც არ ზოგავდნენ, ალის სიმხურვალე რომ აღეგზნოთ „დაელმებულ" მამაკაცთა მალულ მზერაში... სულო ცოდვილო და... იგივე ხდებოდა მისაღებ გამოცდებზეც, ისედაც გაუსაძლის, ზღვარს იქით გავარვარებულ მხუთავ გარემოში. და რით, თუ არა სახელდახელო კაფიით უნდა შეექციათ თავი სტაჟიან თუ დამწყებ გამომცდელებს; და ვის, თუ არა ამ საქმეში შეუდარებელ ალექსი ჭინჭარაულს უნდა რგებოდა პირველობის პატივი მოცემული სიტუაციის ნატურალისტურად ზუსტსა და ადეკვატურ ასახვაში; ვინმე იად ხმობილი მომხიბლავი დამსწრისა თუ ასისტენტის მოსხეპილ, ექსპრესიულ დახასიათებაში: **„შენზედ ამბობენ, იაო, ჩეხი თუ პოლაკიაო,**

ლამაზად არის გახსნილი, დაბლა რო ფოლაქიაო, რა ვიცი, იმის გარშემო სუ მუდამ რბოლა კიაო...“

როგორც ჩანს (ჯიუტია წერილობითი „მტკიცებულება“!), ყოველთვის არც პატიოსნებით ცნობილი „პრასვეტიტელები“ ყოფილან დაზღვეულნი ზომიერი ეროტიკული „გატაცებებისგან“... და მაინც, იმდენად მაღალია ზემორე დამოწმებული ექსპრომტის პოეტური მუხტი, ყოველგვარი მიწიერი წადილის გათქმა თუ გამჟღავნება უკანა პლანზე იკარგება და გრძნობ, როგორ შეუმჩნევლად გეუფლება მოხდენილი ნასიტყვით მოგვრილი ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება!

ოპტიმისტური

მტრის ხშირი, ჩქარ-ჩქარი, ლამის გაყოველდღიურებული „სტუმრობით“ შეწუხებული (და არა შემკრთალი თუ შეშინებული!) არხოტელი მელექსე მერცხალა მორიგი თავისიანის დაკრძალვის დღეს იტყვის: **„არ გასტყდათ, არხოტივნებო, გატეხით რა იქნებისა, ერთს თუ მაგვიკვლენ, დავმარხავთ, სხვა კიდევ გაიზრდებისა!“**

ბაჩანაც, მცოდნე და მხილველი მთიელ კაი ყმათა უდროო სიკვდილის არაერთი საარაკო ამბისა, დაახლოებით ამასვე „მღერის“ თუ ღიღინებს: **„კაცის გმირული სიკვდილი უფალსაც ეამებაო, დავიხოცებით, რა ვუყოთ, ეხლა სხვა გაიზრდებაო!..“**

და ჩნდება განსჯათა ლოგიკურ ბმაში ბუნებრივად ჩაწერილი კითხვა: მოხმობილი სტროფების ბოლო ტაეპების ლექსიკურ-შინაარსობრივი თანხვედრის სახით მსუბუქ პლაგიატთან გვაქვს საქმე თუ დიდი სულიერი წინამორბედის გავლენის გარეშე ამოთქვა ხევსურმა მელექსემ ის, რაც ამოთქვა; ჩნდება კითხვა, რომლის ერთნიშნა, დასაბუთებულ, დამაკმაყოფილებელ პასუხს ამაოდ დავუწყებთ ძებნას!

დარდის მიზეზი

„მიდის და მიექანება,
ცხოვრება წარმავალია,
გონებას აგიბოჟირებს,
ცრემლით ივსება თვალია“.

გოგიტო

შუაღამის მიღმა, **„მამალყიულზე“** იღვიძებდა და დგებოდა დარდად დამდნარი მოხუცი დედა. **„შეხვეულ“** ნაცარს **„გადაშლიდა“**, გაჩხრეკდა და მინელებულ, მიბნედილ ცეცხლს სულის შებერვით აანაკვერჩხლებდა. ხევსურის ქალი გამოღმა მთიდან ეჯიბრებოდა არაგვს გაღმა მყოფ უცნობ ფშავლის ქალს, რომელიც ლამფის დროულად ანთებაშიც ჯობნიდა და, მისგან განსხვავებით, არც თვალს აძლევდა ძილისა და მოსვენების ნებას. ავკარგიანი დედა წყალგაღმელი ქალის სიმარჯვესა და გამრჯეობას აქებდა; იმის საარაკო სიმხნევეს შენატროდა. ძალიან უნდოდა გაცნობა და გასაუბრება, მაგრამ ღალატიანი არაგვის გაჩქვეფას ვერ ბედავდა. ახოტბებდა და მისი ლოცვით იტკბობდა ენა-პირს...

გამოხდა ხანი. ყველა **„გაღმა გავიდა“** – გაღმელიც და გამოღმელიც. მისაგებელი მიეგოთ და დაიმკვიდრეს საუკუნო სასუფეველი მაღალთა ცათა შინა. ხოლო აქ, ამ ცოდვილ მიწაზე დარჩენილმა გონჯებმა **„ურგო ბალახივით“** იწყეს ერთურთის ცელვა, კარგთა კილვა და ღირსეულთა ცოცხლად მიწაში ჩადება და დასამარება...

აი, გაუქარვებელი დარდის მიზეზი, ულმობლად რომ ხრავს და ხავრავს სწორ ანდეზე აგებული კაცის სულს!..

ეს ბალღობინდელი სურათი, განცდა და სახილველი ლექსად აქვს ამოთქმული გოგიტო არაბულს – 84 წლის უდრეკ, უბერებელ, **„შვილთა სიკვდილის მხილველ“** ჭირმრავალ ხიტალიონს.

ქეთელაურების ქალი

„ლექსს კი არ, სიტყვას ველარ ვგონობ, აისრ ორ გაჴდილ!“ – დაიჩივლებს ჩვენთან საუბარში მარიემ ნანაისძის ასული ქეთელაური, საუკუნეს მიჯრილი ამოდმეტყველი ხევსური ქალი და ისე გამართულად ჩამოაგვირისტებს შენდობის ტრადიციულ ტექსტს, აბეზარი კითხვა აგყვება და აგედევნება: რას ემდურის თავის ასაკს, მაცოდრობასა და მეხსიერებას?!.

და რისი ჩაწერაც იმ წამსა და წუთებში მკვდართათვის საგანგებოდ გაწყობილ ტაბლასთან ეთერ თათარაიძემ მოასწრო და მოახერხა, აი, ესაა: **„...აბა, კარგად იყვენით, იხარეთ, იცოცხლეთ, მრავალ ახალწელ ილოცეთ... ღმერთო, გეძახთ, ღმერთო, გეხვეწებით, ღმერთო, ნუ გაგვაცუდებ შენა საჴსენებლად, შენა საგონებლად. ღმერთო, კაციც შენ გეძახს. ღმერთო, სულიც შენ გებარების... სადაც თქვენ ხართ, ჩემნო დედამთილ-მამამთილნო, თქვენ ანდაბიას, თქვენ სადგომ-სამყოფოიას, თქვენიმც საჴმარი ეს დადგმულ ტაბლა, დაჭვრეთილ ქადა, ანთებულ სანთელ. თქვენიმც საგძალი, თქვენიმც საიაღოი.. თუ რა ვინ გყავისთ მაკეთე, ოჴრის სულმკვდარ, იმათაც მააჴმარას. ნუმცა რა ვინ დაგეწევისთ არამი და ცოდვიან. სანთლითად – საკმლითამც მაგივასთ, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით...“**

მიდიან და მიიკრიფებიან მოტირლები და გარდაცვლილთათვის შენდობის მთქმელები, მელექსეები და მეანდრეზეები, შემლოცველები და **„ხთის სიტყვათა“** მცოდნეები, ცხვარ-ძროხის მომვლელები და ხელსაქმის მესაიდუმლეები, მოწესეები, მერჯულეები და პირისწყალნი ბრმა, ცოდვაბრალიანი წუთისოფლისა...

წავიდა მარიემ ქეთელაური; მისი ორი ვაჟიც – გამიხარდი და ელგუჯა – საუკუნო გზასავალს გაუდგნენ... მატულობს მოურჩენელი

ტკივილი. მწვავდება მარილმოყრილი იარა, რომელიც მოსვენებას არც მომავალში მოგცემს და, ცხადად თუ სიზმრად, ათასმეერთედ მოგანატრებს ზნეობრიობისა და ურთიერთსიყვარულის მყარ საყრდენებზე მდგარ წინანდელ ჯუთას!

მძიმია

ურძნის ჯოხს მოიანდევებდა, მოიმარჯვებდა და ჭერშემჭვარტლული ძირისახლიდან მოკლე, უღონო ნაბიჯებით გარეთ, ზღავიან ეზოში გამოვიდოდა; წინგარდამდე სიპი ქვით აყვანილი უსწორმასწორო კიბის პირველ საფეხურზე ბატკნის მოწითალო ტყავს დაიგებდა, დაჯდებოდა და ხელის გაწვდენაზე მცოცავ, საკვების მაძებარ „პატარუა“ ჩიტებს დაჰკვლევდა, დააცქერდებოდა...

საკვირველად ჩუმი, გაუჩუჩავი, გარინდებული ჯდომა იცოდა. ჭრელი, ჭიოტა და ჟანგისფერი ფრთოსნები მხრებსა და შავ, ნიკაპთან განასკვულ თავშალზე ასხდებოდნენ. არ უფრთხოდნენ, შიში არაფრისა ჰქონდათ. ფრთებს ტანზე მიიკრავდნენ, ნიავისგან აწეწილ ბუმბულს შეიშნოვებდნენ, მყუდროდ მოკალათდებოდნენ და დაბლა ჩამონაცვლებას ანდა დილის გაცრილ, კამკამა სივრცეში შეფრთხიალებას სულაც არ ჩქარობდნენ. თბილი ქვეყნებიდან გაზაფხულზე მოფრენილ მძლევრებთან და უბრალო, სოფლის ჩვეულებრივ ჩიტებთან რაღაც ხოგაის მინდისებრი მისტიკური სიახლოვე იგრძნობოდა ხანმოთეული არხოტელი ქალისა და ბუნების უწყინარ, უმშვენიერეს შვილთა თბილ ურთიერთობაში... მძიმია ხოგაის მინდის თემიდან გახლდათ ჯუთაში გამოთხოვილი. და, ამის გათვალისწინებით, შესაძლოა დიდად გასაკვირიც არა იყო რა მისი ყოველდღიურობის „რუტინულ“ რიტმსა და სტაბილურად უცვლელ განაწესში...

უმწეო სულიერი არსებების ფოფინი რომ დაღლიდა და შეაღონებდა, იქვე, წივააკრულ კედლის ძირში თავისთვის მიმჯდარ – მიყუჩებულ შვილიშვილს გასძახებდა: – **ზურაბო, მოდი, ჩიტებ მამაშორენ**!.. (შვილიშვილს, რომელსაც სინამდვილეში ზეზვა ჰქვია, თავისი უდროოდ დაღუპული შვილის სახელს – ზურაბს ეძახდა).

ბებრული სიბრძნით დამძიმებული, ბევრი ღირსებითა და ღვთით მიმადლებული ჭკუა-გონებით გამორჩეული ბერდიშვილთა მამიშვილობის ტანჯული მანდილოსანი ყოველი სიტყვითა თუ საქციელით ამართლებდა თავის უცნაურ, არასადაგ ხევსურულ სახელს-მძიმია.



მძიმია და შუქია

მოხეური რობაი

არ გამკვირვებია, „მოხეური რობაის“ ავტორი კახა გოდერძიშვილი რომ აღმოჩნდა. კახას მამამ ზაურ გოდერძიშვილმა თავი მსმენელსა და მაყურებელს ნაივურობისა და უზადო ნიჭიერების ნიშნით აღბეჭდილი ფოლკლორული საღამოებიდან დაამახსოვრა. მისი რამდენიმე უმწვავესი იუმორისტული ლექსი დღესაც ზურგის ქარის თანხლებით ხმიანობს და მოგზაურობს ხევში...

მამის ხალასი ნიჭი მემკვიდრეობით გადაეცა შვილს. თუმცა თავს საგულდაგულოდ ჩქმალავს და იუჩინარებს, ერთხელაც გატყდება დუმილის ყინული, უბრობის ნავსი და უეჭველად დავაჭაშნიკებთ კახა გოდერძიშვილის შემოქმედებითი შრომის შედეგებს...

ოპტიმისტური განწყობის მიზეზია მისი „მოხეური რობაი“, მკითხველის ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, ელვარე სარითმო სიტყვების ევფონიით რომ იქცევს და იზიდავს: **„როგორც მერვე საოცრება – კედელს ერობაი ება. ვწერ რობაის, მწარედ ვფიქრობ: რაი მერობაიება“.**

„ერობა“ – სოფლის მამკაცთა საკრებულო. იგივეა, რაც ხევსურული **„ფეხონი“**.

უკომპრომისო მსაჯულნი



თარუა ბალიაური

„ვაჟკაცა შენისთანაი არ დღიანდების ჩვენშია, არცა რას ლოგინს დავუგებთ, დავაწვენთ ჩალამტვერშია, გვერდზე ძონძ-მანძებს მივუყრით ქალაის მაგიერშია...“

სწორფრობის დღემდე ამოუხსნელ წეს-ჩვეულებათა უმკაცრეს იმპერატივებზე აღზრდილი ხევსური ქალის ლექსითი მსჯავრი და განაჩენი უღირსებო ვაჟისადმი, რომლის მსგავსნი მაშინაც საკმარისად იყვნენ და, სავალალოდ, არც დღევანდელობა განიცდის მათნაირების სიცოტავეს.

„დაფასება“ და „პატივი“ დამხვდურთა მხრიდან, რასაც ნელთბილი, უგერგილო „ვაჟკაცა“ იმსახურებს, სხვა არაფერია, თუ არა მისთვის სათემოდ თავის მოჭრა და **„ცოცხლად დამარხვა“**. გარდა იმისა, რომ პოეტური აზროვნების კურთხეული ნიჭით ნათობდნენ, იმდენად სწორი, უალტერნატივო გადაწყვეტილების გამოტანაც შეეძლოთ, „გასაჩივრებას“ რომ აღარ ექვემდებარებოდა და რომლის ობიექტურობაში დაეჭვება თვით ნაფიც მსაჯულებსაც კი გაუჭირდებოდათ!..

პროფესიონალი პოეტი და ხალხური მელექსე

ის, რაც ნასწავლ, წიგნიერ, **„სკოლაგამოვლილ“** (აკაკი შანიძე) პოეტს პლაგიატად ეთვლება, ხალხური ავტორ-მელექსისთვის, არცთუ იშვიათად, პოზიტივი და დიდი ღირსებაა. ლექსის სახისმეტყველებითი მხარე სწავლა-განათლებას ნაზიარებ შემოქმედთა შემთხვევაში სიახლითა და ორიგინალობით ფასდება, ხოლო ხალხურში-წინამორბედ მელექსეთათვის ორგანიული ტროპული სახეების გათავისებით და მოხდენილი გამოყენებით. **„სილაში ვარდის“** განმეორება მკაცრად აკრძალულია უჩინარი ცენზორის მიერ, ხოლო **„კლდის ფხაზე თეთრი ყვავილის“** საკუთარ ლექსში „გადარგვასა“ და გახარებას მაინცდამაინც საუხერხულო თუ საუთანხმოო ამბად არ თვლიან ბარდების, აედებისა და მენესტრელების სულიერად მონათესავე ქართველი შაირმესიტყვენი.

აი, ორ-ორი სტრიქონი სრულიად სხვადასხვა ზეპირსიტყვიერი ნიმუშებიდან: **„გახუა ხიტალიონი ბასრის ხმალია ფხიანი“; „ჭეშოს აბალოს დავითი ბასრის ხმალია ფხიანი“.**

რუსუდან დედოფალმა ჯაბალ-ხანის შემონათვალზე: **„ჩანაყა საყურ-ბეჭედი, ზალტისა იქნეს ხმანიო“;** ჩიღოს წისქვილიდან ლეკების

მოტაცებული ნანა თორღვაის ქალი ჰყვება: **„ჩავნაყენ საყურ-ბეჭედნი, იმით ჩავნიშნენ გზანიო“.**

ცხოვრების მძიმე უღელში შებმული ლექსის ლირიკული გმირი იტყვის: **„დარდმა გული გამიგალა ცხენის ფეხზე ნალივითა“;** „ერეკლე მეფის ცოლი საამაყო ქმრის სიკვდილის გამო მოთქვამს: **„ეს ჩემი გული რასა ჰგავს?-ცხენთა ნაგალი ნალია“.**

ნადიბაიძესო, – გვიზუსტებს მელექსე, – **„ზოგნი კი დაუხოცია, ზოგნი წასვლიყვნენ ჭირითა“**. დედიძმების გაჯავრებულმა ბაღათერა ჯაბუშანურმა: **„ზოგნი ჭრნა, ზოგი ჩაკაფნა, ზოგნი ნაუვლენ ჭირითა“.**

ობოლო, მარტყოფს ნამყოფოო: **„ღელეს მამიდას მაუხველ გაცინებულის პირითა“;** ტვინით ქოჩორგადაპოხილი ბაღათერა: **„გადაუჩინდა დედასა გაცინებულის პირითა...“**

სად იმერეთის და სად არხოტის მთა და, მაინც: **„იმერეთის მთას გადადის აქლემთა ნატოტარიო, წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა, დამდგარა ნაგუბარიო“; „გეტყობის, არხოტის მთაო, ლურჯაის ნატოტარები, დაუწვიმავის ღრუბელთა, დამდგარა ნაგუბარები“.**

და ა. შ. და ა. შ.

აქედან დასკვნა: მაგარია მელექსე, რომელიც საფიცრად აქცევს ტრადიციას,იცავს, ინახავს და მთელი თავისი არსებით წინამავალ მათქვამთა ნაცად, მოუმცდარ გზა-კვალზე დგას; მაგარია პოეტი, ვინც თვალით „გადაღეჭილი“ ტრივიალური გარემოს ახლებური ხედვის უნარით გამოირჩევა და სხვათაგან **„უხმარი ხმით“** (გაბრიელ ჯაბუშანური) იმკვიდრებს ადგილს პოეზიის დიდ სამისნოში!

ვიცნობდი და მისაუბრია გაიოზ იმედაშვილთან, აღიარებულ რუსთველოლოგთან, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევართან, ღრმა სიბერემდე რომ შეინარჩუნა შესაშური მეხსიერება, კახური პირდაპირობა, პრინციპულობა და მეცნიერული შრომის მაღალი კულტურა (ლიტერატურის ინსტიტუტში რამდენიმე წელიწადს, ვიდრე მის გარდაცვალებამდე, ერთდროულად მოგვიწია სამსახური)...

ვიცნობდი და მისაუბრია გაიოზის ძმასთან, შალვა იმედაშვილთან, სულიერი არისტოკრატიზმის ყველა არსებითი ნიშნის მატარებელ უღირსეულეს პიროვნებასთან, ხშირად რომ ჩნდებოდა და ჩერდებოდა



ყანანაზა

ხოლმე ვაკის სტუდქალაქის მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე ზურა გომურაშვილის ფოტოსალონთან და ისეთ ამბებს იხსენებდა სახელოვანი მამის – იოსებ იმედაშვილის – ცხოვრებიდან და მისი საახლობლოდან, დღემდე სინანული მომყვება და მძიძგნის: რატომ არ ვიწერდი, რატომ არ ვინიშნავდი, რატომ ყველა დეტალს არ ვინახავდი სამომავლოდ!.

სხვათა შორის, ზემოხსენებული სალონის წინ ბატონ შალვასთან ერთად შევხვედრივარ ასაკშიაც უმშვენიერეს ქალბატონს მარიკა ჯაფარიძეს, ვინც წინა საუკუნის 40-იან წლებში „საბლიტგამში“ მუშაობდა და ერთ დღესაც ლადო ასათიანის პირველი პოეტური კრებულის (რომელიც გამოსვლისთანავე აიკრძალა და განადგურდა) ცოცხლად გადარჩენილი თუ არა ერთადერთი, ერთ-ერთი მაინც, ეგზემპლიარი მოიტანა სახლიდან და გადაგვაფურცვლინა.

იოსებ იმედაშვილი – „ბახტრიონის“ პირველგამომცემელი, მიხეილ ჯავახიშვილის **„ქართულის ნათლია“** – იგონებს, როგორ მიიყვანა სასკოლო ასაკის ნაჭკვიანებული ვაჟიშვილები (გაიოზი მაშინ 9 წლისა იყო) უნივერსიტეტის შენობაში განთავსებულ წმინდა ნინოს სამხედრო ლაზარეთში მწოლიარე ვაჟა-ფშაველას მოსანახულებლად და როგორ ჩაიკრა და ჩაკოცნა პოეტმა ისინი.

და ეს ყოველივე რაღაცნაირად ერთმანეთს ებმის, ექსოვება და ხანდახან ისეთი განცდაც მეუფლება, რაკი ძმები იმედაშვილებისთვის ხელის ჩამორთმევისა და გამარჯობის თქმის პატივი მქონია, თითქოს ვაჟა-ფშაველასაც პირადად შევხვედრივარ, შევხებივარ, დავსაუბრებივარ (და ამ განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს და ადღიანებს გულქან რაზიკაშვილთან უშუალო ნაცნობობა და სიახლოვე)...

სტუდენტობის წლებში ერთი თამამი სიზმარი ვნახე: მე სატვირთო ავტომანქანის „სტუპენკაზე“ ვდგავარ, ვაჟა კაბინაში, მძღოლის გვერდით ზის და ჯუთისკენ მივდივართ; ყამარაულების ნასოფლარ ყანანაზის კლდოვანი მიდამოების ველური მშვენებით ვტკბებით და წყნარად ვბაასობთ.

რაკი დიდი ხნის წინანდელი სიზმარი გავამხილე,იმის იმედიც მაქვს, ქვეყნიერების დამწერ-დამსახავი დიდსულოვნად შემინდობს ძილში ჩადენილ ამ უწყინარ, უნებლიე კადნიერებას!

როგელი?

„ჭიუხი“ და არა **„ჭაუხი“**.

სხვათა შორის, კლდის მასივის (**„შიშველი, წვეტიანი კლდის“** – ქეგლ) სახელწოდების სწორი ფორმა გვხვდება ანა კალანდაძისა და ოთარ ჭილაძის ლექსებში: **„კვლავ და კვლავ სცვივათ ლოდნი ჭიუხებს, სინდიურისძის ისრით ნაპობნი“; „შორს კი ძეგლივით იდგა ჭიუხი და იყო მშვიდი, ვით ღმერთის სახლი“.**

ხევსურული ხალხური პოეზიაც **„ჭიუხის“** მხარეს იხრება: **„ჭიუხის კუჭულაზედა სინდიურისძე წევსაო“; „კიდევაც ვნახავ ჭიუხთა, არ მინდა მაწევარია“.**

„ალუდა ქეთელაურიც“ გავიხსენოთ: **„მეება ჭიუხიანსა, სადაც იმედას ქავია“.** შესაძლოა არსებობს ამ სიტყვის სემანტიკური შინარაასის ამხსნელი ეტიმოლოგიაც. მე არ ვიცნობ. არ ვიცი, მოხვდა თუ არა ალპინისტებისთვის სანუკვარი (და საბედისწეროც!) ეს ცნება ენათმეცნიერული ინტერესების არეალში...

სიტყვის პარალელური ფორმებიდან უპირატესობით უნდა სარგებლობდეს ის ერთეული, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველებაშია დამკვიდრებული და დადასტურებული. ჯუთლების და ბუდე ხევსურეთის ძველთუძველესი სოფლების მკვიდრნიც არა **„ჭაუხს“** ანდა **„ჭაოხს“**, არამედ **„ჭიუხს“** წარმოთქვამენ და წერენ...

დღის განმავლობაში, ალიონიდან ვიდრე შებინდებამდე, ბევრი უცხოელი თუ ჩვენი თანამემამულე მოხიბლულა ჭიუხის წამდაუწუმი ფე-



ჯუთის ჭიუხი

რისცვალებით: წუთის წინ რკინისფრად რომ ელვარებს მისი მტკიცედ ნაჭედი და ნაქანდაკარი ტანი, ცოტა ხანში ნისლის ისეთი ფთილებითა და ნაფთევებით შეიმოსება ხოლმე, მხატვრის ფუნჯის მარჯვე მონასმად მოგეჩვენებათ...

კარგია ბუნების ნაქმნთა ფერების სიბევრე და მრავალსახეობა. რაც შეეხება მათი სახელდების სიჭრელესა და ნაირ-ნაირობას, ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა (მითუფრო დიალექტური და კილოკავური მონაცემების გათვალისწინებით), თუმცა უმჯობესია, ნაწერსა თუ ზეპირ საუბრებში პრიორიტეტი ძირეულ, აპრობირებულ, ადგილობრივთაგან „სანქცირებულ“ ფორმებს ენიჭებოდეს.

ცოდნა, ნიჭი, გამოცდილება

სპორტული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში უკვე ჩავლილი თუ მიმდინარე მოვლენების მშრალი მიმოხილვის ნაცვლად-თხრობის ექსპრესიულობითა და ზომიერი მხატვრულობით დაყურსული უაღრესად ღრმა, საინტერესო წერილები.... ლექსიკური მარაგის მივიწყებული ნაწილი თუ სპეციფიკური ცნებები და ტერმინები, რომელთაც დღევანდელ მეტყველებაში ვეღარ მოისმენთ, ყურს ვეღარ დაიამებთ, ვერც სოფლად და ვერც ქალაქად; თემისა თუ საგნის ძირისძირეული წვდომა და იშვიათი უნარი იმისა, მკითხველს, დიდძალი ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, ესთეტიკური ტკბობაც განაცდევინოს; ტექსტის მტკიცე, ცოცხალი და, ამასთან, ემოციური ქსოვილი; თხრობის ძაფისა და ძარღვის „ფინიშამდე" უხარვეზოდ მიტანა; კომპოზიციური მთლიანობის ბოლომდე შენარჩუნება; ფრაზის დაურვება და ფლობა სასიტყვეთის იმ სანუკვარი საიდუმლოსი, რაც, ალბათ, ზეგარდმო ძალებისგან ეძლევა ადამიანთაგან ძალიან ცოტას... და ეს ყოველივე, თანდაყოლილი ნიჭიერების გარდა, შედეგია მუდამდღიური შრომის გზით მიღწეული მაღალი პროფესიონალიზმისა...

ნოდარ ებრალიძე და **დავით ჭელიძე** – საკუთარი სტილისა და ხელწერის ორი ჩვენი თანამედროვე, ორი ჩინებული მოღვაწე, რომელთა ესეები, ქრონიკები, ნარკვევები და რეპორტაჟები ისევე სულხარბად იკითხება, როგორც კალამკურთხეული მწერლების ნაფიქრ-ნააზრევი და მოუწყინარი მონათხრობი...

დარდო სიხარულიძე

წაკითხული თავდაპირველად უწყინარ, უმნიშვნელო კორექტურად ჩავთავალე: ალბათ **„დარდოს“** ნაცვლად **„დარო“** უნდა ეწეროს-მეთქი. გურული ხალხური პოეზიის პოპულარული ნიმუშის – „სიმონა დოლიძე“ – მთქმელადაც იგივე გვარ-სახელი რომ განმეორდა, მივხვდი, **„დარდო“** ქალის საკუთარი სახელია: **დარდო სიხარულიძე.** 1934 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლეისუბანში ორი ლექსი ჩაუწერია მისგან ქსენია სიხარულიძეს... იშვიათია ადამიანის გვარ-სახელის ასეთი მოხდენილი დაწყვილება. თითქოს ერთმანეთს ეტოქებიან და, იმავდროულად, კიდეც ავსებენ და „ანეიტრალებენ“... ზედმეტი ხომ არც სილაღე ვარგა და არ მოჟამულობა. სასურველია მათ შორის ზომიერი, შუალედური მდგომარეობა მოინახოს (თუმცა ყველაფერი განგების ნებაზეა დამოკიდებული!)... ბევრი წონასწორობადარღვეული გვარ-სახელი ვიცით, – ერთმანეთთან მიმართებაში გონჯი, დისონანსური და ყოვლად შეუსაბამო. ერთი რომ ალთასაა და მეორე-ბალთას. ანდა:ერთი (ვთქვათ, სახელი) ვარსკვალავებს რომ ეთამაშება, მეორე (ე. ი. გვარი) ქვე-ქვე მიეზიდება მის მატარებელს... საწუთროს სიჭრელისა და ორგემაგე ბუნების ანარეკლია ასეთი გვარ-სახელები. ქებისა და საუკუნო ხსენების ღირსია ნათლია დარდო სიხარულიძისა!

უნუგეშო პროგნოზი

„ჩვენი ციხე-გალავნების ნანგრევებში კვლავ ისმის გარდასულ ხმათა მრისხანე გუგუნი და გადათელილ საფლავის ქვებზე შენახულია უძვირფასესი ფრაგმენტები“.

ვახტანგ კოტეტიშვილი

ხალხური ეპიტაფიით ჩემი დაინტერესების შესახებ რომ შეიტყო, გოგიტო არაბულმა იმწამს ზენამხრის (ნასოფლარი თიანეთში – ა. ა.) უძველესი სამაროვნის ერთ-ერთ ქვაზე ამოკითხული და დაზეპირებული სამგლოვიარო ლექსი გაიხსენა:

მეცხვარე ვიყავ შირაქში
ამ თურქიაანთ გვარია,
ივანე სოლომონის ძეს
ბუნება მქონდა წყნარია.
მტერი დამეცა, დამკუწა,
გულზე დამარტყა ხმალია,
ველარ ვიცოცხლე სწორამდე,
შინ მამიტანეს მკვდარია.

სულ ცოტა, სამ-სამი გოგიტოსნაირი მემატიანე და ღამისმთეველი მაინც რომ ჰყავდეს საქართველოს ყველა კუთხე-ყურწუმს, ეროვნული ფესვისა და თვითშეგნების შენარჩუნება-გადარჩენის ბევრად მეტი შანსი და შესაძლებლობა იარსებებდა!

ორწლიან ფოლკლორულ ფესტივალში ჟიურის წევრის სტატუსით მონაწილეობამ დამანახა, რანაირი ტემპით ფიტავს, აღარიბებს და აუდაბურებს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის მზაკვრული პროცესი იმ ნიადაგს, რომლის წიაღში ჯერ კიდევ ძგერს და ბორგავს შობითვე შემოქმედი ქართველი კაცის **„გული გონიერი“...**

ერთი დღის ქრონიკა

12 სექტემბერი. 2015 წელი.

თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში მივაკვლიეთ ვაჟა-ფშაველას მიძღვნითი პოეტური ნიმუშის დღემდე უცნობ ავტოგრაფს.

ლევან რაზიკაშვილის ცხრა პირად წერილს (ადრესატები: „ძვირფასი შინაურები", მაგრანეთში გათხოვილი მისი და – თამარ რაზიკაშვილი); მოგონებებს ვაჟაზე, რომელთა დიდი ნაწილი მუზეუმის ყოფილ დირექტორს, ან გარდაცვლილ ილო ბეჟანიშვილს შეუგროვებია. მზია ჯიმშიტაშვილისა და მიშა მგელიაშვილის მეგზურობით მოვძებნეთ და გადავიღეთ ხუთი შენობა (ფიცხელაურების, აკობაშვილების, კახიშვილების, ჯიმშიტაშვილებისა და გოჯიაშვილების), სადაც ჩარგლიდან თიანეთში გადასული ვაჟა-ფშაველა ჩერდებოდა და ღამეებს ათენებდა..სხვათა შორის, რაიონული ცენტრის შეუაგულში მდებარე კახიშვილების (ახლა სისაურებს ეკუთვნით) სახლში ერთხანს ვაჟას უფროსი ძმა, ვექილი გიორგი რაზიკაშვილი ცხოვრობდა...

დავაზუსტეთ იხინჭობის სახალხო დღეობაზე გადაღებულ ფოტოსურათზე ვაჟას თანმხლები რამდენიმე პირის ვინაობა (მათ შორის არიან: ვასო მათურელი, შალიკო ფიცხელაური, გედეონ გელოვანი...). სიძველეთა საცავში ვნახეთ ვაჟას ნიღაბი (ავტ. ნიკო ნიკოლაძე), ვერცხლის სადგამიანი თლილი ჭიქა, რომლითაც ვაჟას ღვინის დალევა ჰყვარებია; დოქი, მცირე ზომის საკანფეტე კასრი, რუსული წარწერით: „Москва"; დაძენძილი, ალაგ-ალაგ დამდნარი და დაჩრჩილული აბრეშუმის ცხვირსახოცი; თიანელი ნათლულისთვის ეკატერინე გოჯიაშვილისთვის ნაჩუქარი ხის ოთხკუთხა ვარცლი...

ილიკო ფიცხელაურის აშენებული ძველებური ყაიდის საცხოვრებელი სახლის ეზოში გვაჩვენეს შუაზე გახლეჩილი სამარის ლოდის მსგავსი წყაროს ქვა, რომლის ზედაპირზე საგულისხმო წარწერაა ამოკვეთილი:

„წყარო არს ყოღიას გაკეთებული ივანე კოტორაშვილისა 1880 სა წელსა“. ქვა, როგორც ფიცხელაურების სიძემ გია ერქომაიშვილმა განგვიმარტა, გზების მშენებელს, ვაჟას მეგობარს, ილიკოს ვაჟს შალიკო ფიცხელაურს მოუტანია ამ სახლში. სად იყო კოტორაშვილის წყარო, აღარვის ახსოვს. ამავე ოჯახშია დაცული 1904 წელს **„ე. ფ.“**-ს მიერ მოქსოვილი, სავარაუდოდ, ვაჟა-ფშაველას თვალ და ხელშენავლები უძვირფასესი ქართული ფარდაგი(რა ფერებია, რა ორნამენტები!)...და უსინათლო, უსათნოესი ელენე ფიცხელაური, ვაჟას ქალიშვილის თამარის(ნათლობის სახელი ლელა დამარქვაო, – ამბობს) და როდამ ქუმსიაშვილის ნათლული...



ჯიმშიტაშვილების სახლი თიანეთში

და ამ ყველაფრის ნახვა, დამახსოვრება, განცდა და გაცნობიერება ერთი დღის განმავლობაში!

მწირი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ცნობებისა თუ შედარებით ვრცელი ამბებისა და კომენტარების მოსმენა და ჩაწერა.

მაგრამ მთავარი (და ძალზე საინტერესო) სამუშაო წინაა... წარმოუდგენლად ტევადი გამოდგება ხოლმე წელწყვეტით გათენებული ზოგიერთი ღრუბლიანი დღე!

და ამგვარ დღეს ერთი ღრმად მისტიკური შინაარსისა და შეფერილობის ეპითეტი შეჰფერის: **„დავლათიანი“**.

სალექსო ამინდი

უტბუნია, უტბუნი რო დაბინდული, დაცხავებული, ძირგავარდნილი ცა ფეხად ჩამოდის მიწაზე. მოწყენილი მიწურების ატლაპებული, დატკეპნილი ბანები წყალს ვეღარ აკავებენ. საქისტეთოდან ასას ხეობაში მგლისფერი ნისლი შემოსულა და შინაც ლამის ისე წვიმს, როგორც გარეთ...

ამღელი მერცხალა წიკლაური ჭერხოს შუაგულში დაგდებულ, დაჩვრეტილ, სანახევროდ დაჩოლფოტებულ ყუნჭზე ზის, შიშველი ფეხები ტბორში უდგას, ხელში ვერხვის ხის ფანდური უჭირავს, უკრავს, ლარებს აწკარუნებს და **„თავისპირისას“** ლექსობს – ხმამაღლა ესიტყვება გმირ წინაპართა მიმქრალ, მისულფერებულ ლანდებს.

არგონებულთ ჭერხოში შესული შეშფოთებული მეზობელი ეუბნება: მეორმოსვლა ახლოვდება, სახლკარიანად წაგიღებს ღვარი, რა გამღერებსო!...

-სალექსო ამინდი-ას, სალექსო! – პასუხობს დინჯი, დისკომფორტული გარემოსადმი სრულიად არაადეკვატური, წარმოსახვით სინამდვილეში გადაბარგებული მერცხალა და აინუნში არ აგდებს კეთილმოსურნე მეზობლის წრფელ წუხილს...

P. S. მერცხალას ვაჟიშვილი გახლდათ წინასწარმეცანი ობოლა წიკლაური, საოცარი ლექსის „დევების ქორწილის“ ავტორი, **„საკვირაო ბორტვზე“** პირქვე ჩაწოლილი **„მჭვივან“** სისხლად რომ იცლებოდა ზაფხულის არდადეგებზე დედაქალაქიდან არხოტში გადასული და ფილტვების მძიმე დაავადებით მალევე, ცხრამეტი წლისა რომ გარდაიცვალა...

თვით მერცხალაც (მისი წიგნის სახელია მინდია) ჩინებული მათქვამი იყო, ავტორი უკიდეგანოდ ოპტიმისტური ლექსისა **„გამაგრდით, არხოტივნებო!..“**

საუბრის ფორმა

მომწონს (თავდაპირველად მეხამუშებოდა) ტელეარხ „კავკასიაზე“ დათო აქუბარდიას უშუალო, შინაურული, „შენობითი“ ურთიერთობა რესპოდენტებთან – მიუხედავად მათი ჩინისა, ცენზისა, ტიტულისა, სოციალური მდგომარეობისა თუ „ცნობადობის“ ხარისხისა. დიალოგი ყოველთვის ღიაა, შეუნიღბავი, ქვეტექსტებისაგან თავისუფალი. ესაა მისი სტილი, თანამოსაუბრეებთან ურთიერთობის მანერა , მისი არჩევანი... და მახსენდება ამ რამდენიმე წლის წინათ ტელეეკრანიდან (სამწუხაროდ, მთქმელის ვინაობა მიმავიწყდა) წარმოთქმული უაღრესად დამაფიქრებელი, ღირსსახსოვარი ფრაზა: **„შენობით მელაპარაკე და თქვენობით მომექეცი!“...**

ტელეშოუებსა თუ დისკუსიებში, არცთუ იშვიათად, აღმატებითი ეპითეტებითა და „ბატონოთი“ მიმართავენ ხოლმე ერთმანეთს და, იმავდროულად, არც სულიერი მდაბიოობისთვის ასერიგად ნიშანდობლივ სალანძღავ სიტყვათა ნიაღვარს ზოგავენ და იშურებენ თავიანთი პოზიციების „ასპროცენტიანი სისწორის“ საჩვენებლად და განსამტკიცებლად.

დათო აქუბარდია მართალი და პირდაპირი, შემტევი და შეუპოვარი კაცია. ამასთანავე, უგზოუკვლოდ განათლებული...

მახსენდება, როგორ „აუხირდა“ და გაუძალიანდა 90-იან წლებში ერთ თავმომწონე მოხევეს, რომელიც ყაზბეგის ბენზინგასამართ სადგურზე („ზაპრავკაზე“) თავისი „უპირატესობის“ დემონსტრირებას ცდილობდა. ორივეს ვიცნობდი და მოვახერხე მოდავეთა დაშოშმინება... დათო ფენომენალური მეხსიერების პატრონია და ალბათ ემახსოვრება ეს მცირე ინციდენტი.

ბევრი „მოღვაწისა“ თუ „მამულიშვილის“ ყალბ, ფასადურ, მოჩვენებით ზრდილობას ბევრად სჯობს საზოგადოებისათვის მტკივნეულ საკითხებზე უინილბინილო, უბრალო ადამიანური ენით საუბარი.

კარგია: **„შენობით მელაპარაკე და თქვენობით მომექეცი“!**

ხრაკუნა

იშვიათად შემხვედრია ასეთი კოლორიტული პიროვნება!

თვითნაბადი თამადა. ქართული და უცხოენოვანი კლასიკური პოეზიის ნამდვილი გურმანი.

რა დამავიწყებს: მთელი გულით გვიმასპინძლა რესტორან „ხერგილში“ ჯანრი კაშიას, გურამ ბენაშვილს და თქვენს მონა-მორჩილს.

7 ნოემბერს (წელი ზუსტად აღარ მახსოვს) ჩავედით თელავში. მეორე დღეს ყვარელში უნდა ვყოფილიყავით ილიაობაზე. პურობის მერე სასტუმროში დავაპირეთ დაბინავება. ვინ გაგიშვა! ღამე მისი ცოლის დის, იმჟამად თელავის გამგებლის მედეა მეზვრიშვილის სახლში გავათიეთ...

და როგორ მენიშნა და მესიამოვნა, გურამ რჩეულიშვილის დღიურებსა და ჩანაწერებშიც მხოლოდ და მხოლოდ დადებით კონტექსტში რომ „გადავეყარე“ ამ უჩვეულოდ ნიგნიერ, წერა-კითხვაში ნაწვართ, მწერლობაში ზედმიწევნით დაგზაკვალიანებულ პიროვნებას.

„...ხოშიანად ამიტაცა თელავმა, ჯიმი დაითესა – გაჭორეს, ხრაკუნამ (კუხნის ლომმა) იკისრა პურმარილი“; „ხაშზე წავედი, დამპატიჟეს ხრაკუნამ და ავადმყოფმა კაცმა-ბიჭმა“; „ვეძახით ხრაკუნას, ვპატიჟებთ“; „თეატრში შემოდის კუხნის ლომი ხრაკუნა“; „ვჯდები ხრაკუნასთან“; „ხრაკუნასავით ვინუგეშე თავი...“ (კოლეგის მიერ ირონიული ტონალობით **„კუხნის ლომად“** მოხსენიებულმა პარლამენტარმა სამოსი ლამის ტანზე შემოიხიოს, იმდენად დამამცირებელია მისთვის ტროპული ხასიათის ეს უწყინარი სინტაგმა... რაც შეეხება გურამ რჩეულიშვილს, ის ამ სიტყვებს ძმაკაცური გაგებით და უსაზღვრო სიყვარულით წერს უღალატო თანამეინახეზე, ვინც, თუკი ამას მოისმენდა ანდა წაიკითხავდა, დარწმუნებული ვარ, გულიანად გადაიხარხარებდა).

და ისიც უბურუსოდ მახსოვს, იმ არასაიდუმლო სერობაზე როგორი ტკივილით, მონატრებითა და მასთან მარადიული სულიერი სიახლოვის სურვილით ამბობდა ხრაკუნა გურამ რჩეულიშვილის შესანდობარს, უფრო სწორად, მისი ხსოვნის სადღეგრძელოს.

„რა ყოფილა გურია!“

გასთველხმელებული ოქტომბრის 22.2015.

მზიანი დილის, ასე, 10 საათი, შეიძლება ცოტა მეტიც.

ლანჩხუთში გველოდებიან, თეატრის შენობაში. წინის წინა დღეს, ოზურგეთში ყოფნისას, ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის „ფორმატში“ ლანჩხუთის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელს, ქ-ნ მაია ჭანტურიას დავპირდით, რომ ბათუმიდან დაბრუნებულები აუცილებლად ვეწვეოდით და მათ ფონდებში დაცულ ხალხური ხელოვნების ნიმუშებს (მატერიალურსაც და არამატერიალურსაც-როგორც ახლა ეძახიან) გავეცნობოდით.

ეს თავისთავად... დავათვალიერეთ, გავეცანით და ბევრი რამ გავიგეთ. ხოლო მანამდე...

ტროტუარზე მომავალ ორ შუახნის მამაკაცს რომ მივუახლოვდით, სვლა შევანელე და შევაჩერე ავტომანქანა. მარჯვენა კარის მინა სანახევროდ ჩავწიე, მშვიდობის დილა ვუსურვე. მაგრამ რა! წესიერად „გამარჯობის“ თქმაც არ გვაცალა ჩქარმა გურულმა: **„ნენა, ამათ ვის ვხედავ, რომ იცოდეთ, რაფერ გამახარეთ, სამასი ლექსი ვიცი ზეპირად, დევიწყო?.. სოსო ვარ, კვაჭაძე, მათემატიკას ვასწავლი სკოლაში, ვგიჟდები პოეზიაზე, წიგნი არაა ჩემი წოუკითხავი. რავარი პატივი მცეს თუშებმა, თუ იცით?** (ეთერს მიანიშნა,ვიცი რომ თუში ხარო). **რამდენ ხინკალს შეჭამო-მკითხეს. ოცდაათს-მეთქი, – გამოვიდე თავი. იმფერი დიდი ხინკლები მოახვიეს, ორს რომ მოვრჩი, მესამეს, აი, ასე, ხელით ვაწვებოდი... აბა, თუ იცი, რა ქვია რუსულად თუშის გოგონასო. „ტუშონკა“. – ვუპასუხე იმწამს. მაშ ბერძენი ქალიშვილი „გრეჩიხა“ იქნებაო...“**

ეპიკურ სტილში სათქმელი სიტყვა წამებში ჩაწნეხა, ჩაატია; გზა მიგვასწავლა, აბა, სულ სიკეთით გევლოთო! – დაგვემშვიდობა და მოფოთლილ ტროტუარს გაუყვა დარდიმანდი და ენაკვიმატი სოსო კვაჭაძე...

მერე, დანაპირები რომ ავასრულეთ, მუზეუმის თანამშრომლების თანხლებით ბ-ნი ზაზა ურუშაძე – მუნიციპალიტეტის გამგებელი მოვწყვიტეთ ოციოდე წუთით სადაგი სამუშაო დღის ჩვეულ, რუტინულ განრიგს. გურულების ხალისიანი ხასიათის ამსახველი იუმორისტული ამბების მშვენიერი კრებული „გურიაში გურულად“ შეუდგენია და გამოუცია. გვისახსოვრა და ახალთახალი ამბავიც გვიამბო: მიღებაზე ერთი ადგილობრივი ქალბატონი შემოვიდა და შემომჩივლა-რაცხა გამოსხივებაა ჩემ სახლში, დიდი ენერგიაა დაგროვილი, ღვინით სავსე ოცლიტრიანი „შტოფები“ დამიხეთქაო... სოლიდარობა გამოვიჩინე და ვანუგეშე: ეგ არაფერი, არ ინერვიულო, მე სახლის სახურავი გადამიხადა-მეთქი... წამიყვანე და მაჩვენე შენი სახლიო. დროებით იქ აღარ ვცხოვრობ, როცა დავბრუნდები, მაშინ გაჩვენებ-თქო...

მართლაც, **„რა ყოფილა გურია!“**

და თუკი დიადი ფოლკლორული შემოქმედების მოსმენისა და დათვალიერების დღეებში ანაკლიისა თუ წყალტუბოს სასტუმროში, ავტომანქანაში ანდა სულფონ სუფრასთან ბ-ნ ჯემალ ჭკუასელთანაც მოგიწევს შეხვედრა და საუბარი, დროებით ქარაგმიანი, ცრიატისფერი ყოფიერების მთელი სიმწარე გადაგავიწყდება და იგრძნობ, როგორი შემმუსრავი ძალა აქვს იუმორისგან სულგაუმიჯნავი კაცის „უბრალო“ ნაამბობს, ესთეტიკური ფასეულობის კატეგორიაში რომ აჰყავს თვით ყველაზე მძიმე, საჩოთირო სკაბრეზიც კი!...

P. S. გიორგობისთვის დამდეგი. ფესტივალის მორიგი ტური ქუთაისის ოპერის თეატრში ტარდება. დღის ბოლომდე გრძელდება ცეცხლოვანი ცეკვები და დილის ნიავივით საამური ტკბილხმოვანი იმერული სიმღერები. კომპეტენტური ჟიური (ფრიდონ სულაბერიძე, რეზო ჭანიშვილი, ჯემალ ჭკუასელი, თეა კასაბური, გიორგი დონაძე, უჩა დვალიშვილი) დიდად სასარგებლო რჩევებსა და კეთილმოსურნეობით შენიშვნებს აძლევს ანსამბლებსა თუ ინდივიდუალურ შემსრულებლებს. და ამ დროს

ბ-ნი ჯემალ ჭკუასელი მიკროფონში აფრთხილებს კულისებიდან სცენაზე გამოსულ მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელს: **„მაიზერ, შენ ჩემი მოწაფე ხარ, იცი, რომ ძალიან მიყვარხარ, წითელ ჩოხებში ბევრი ოქროსფერი ფარჩა გაქვთ და მეშინია, არ გაფარჩაკდეთ!..“**

დასაკარგავად გამეტებული

ვლადიკავკაზის ქართული სკოლა – დროებით იქ მცხოვრებ ქართველ ინტელიგენტთა შეკრების ადგილი, სულის საქცევი, უმნიშვნელოვანესი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა... სკოლის ახლოს ეკლესია, სადაც მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი მომავალი მეუღლე გაიცნო და ჯვარიც იქვე დაიწერა...

მაინც რა ქარმა „გადაყარა“ საქართველოს შვილები ჩრდილოკავკასიელ ოსთა დედაქალაქში! შვილები და თანაც რა შვილები: ნიკოს ძმა იასონ ლორთქიფანიძე; ლუარსაბ ბოცვაძე; ლევანის მამა პარმენ გოთუა; შალვა დადიანის მეუღლე ელო ანდრონიკაშვილი; ქირურგი მოსე კალანდარიშვილი; მღვდელი გიორგი ნათაძე...

დღეს ეს სკოლა საცოდავ დღეშია. ერთი-ორი გულშემატკივრის მონდომება და ენთუზიაზმი საკითხის მოსაგვარებლად ძალზე ცოტაა, უკმარია. დროა, თუკი კიდევ შეიძლება შველა და გადარჩენა, საქართველოს ხელისუფლებამ სახელმწიფოებრივად იაზროვნოს, იზრუნოს და სანამ საბოლოოდ არ წაშლილა ქართველთა იქ ყოფნის კვალი და ნიშანწყალი, პრაგმატული ნაბიჯები გადადგას მრავლისმომსწრე ისტორიული შენობის შესანარჩუნებლად.

„მემრე კვირია ჯუთელი“

„კვირია ჯუთელი“ – ეს ბიძაჩემია, მამის ძმა. მთასიქითლებმა მოკლეს სრულიად ახალგაზრდა...

ერთხელ თბილისში არსენ მეკოკიშვილისთვის დაუჭიდებიათ და უძლევია სახელგანთქმული ფალავანი. ამ ამბავს გაკვირვებით ჰყვებოდნენ თვითმხილველები. მამაცი ყოფილა და თავმოყვარეობას უფრთხილდებოდა. ჭიდაობაზე, ვინც გინდა მდგარიყო მის წინ, უარს როგორ იტყოდა. უკანდახევა არ სჩვეოდა. შერცხვენას ვაჟკაცური სიკვდილი ერჩივნა... **„თავ მაჰკალ სიამაყითა, მე არ მედების ბრალია!..“** ამ სიტყვებით მთრეხელი მიმართავს თავისი ისრის უნებლიე მსხვერპლს, წერაატანილ აჩხოტის ბატონს შიოლა ღუდუშაურს. იგივეს თქმა კვირიასთვისაც შეეძლო მის **„მეხელეს“** ანუ სასიკვდილოდ გამმეტებელს.



ალექსი ჭინჭარაული, მინდია არაბული, ვახუშტი კოტეტიშვილი, ეთერ თათარაიძე, მაყვალა გოდერძიშვილი, ჯუთა. 1981

კაცთკითხული შუამავლები, მათ შორის ძმები ალექსი და მიხა ჭინჭარაულები, დავით გოგოჭური, საღირათ გიგია და სხვები, ოცდაათი წლის განმავლობაში, ყოველ ზაფხულს, მოდიოდნენ ჯუთაში და **„მამკლავ-მამკვდროვის“** რიგს აყენებდნენ ჩვენს ოჯახში. მათი მოსვლის ბოლო, **„თავის გათავების“** შემთხვევაც გუშინდელივით შემორჩა ხსოვნას: მოიყვანეს საკლავი, მოიტანეს ვერცხლეული და სპილენძის ქვაბები... მკვლელის მოგვარე და ახლობელი, დარბაისელი ხევსური ვალიკო („ჩორნა“) გოგოჭური მუხლისკვერებით შემოვიდა „ბალკონში“ და დამხვდურთა თავაზიანი თხოვნითა და ნებართვით როდის-როდის წამოდგა ფეხზე... მოხდა შერიგება; ჩატარდა მძიმე, ოღონდ რაღაცით ღირსეული, ამაღლებული რჯულ-სამართლებრივი რიტუალი. ჩემმა მამ-ბიძებმა და სოფლის უფროსებმა თავინთი სათქმელი თქვეს. არც შუაკაცებს დაუკლიათ ცდა და მონდომება **„საარდარაო“** საქმის კეთილად დასრულებისთვის...

„კვირია ჯუთელი“. ასე იხსენიებს ბიძაჩემს ერთ ლექსში სწორუპოვარი ხევსური „მათქვამი“ ივანე წიკლაური (მამუკათ ივანე). ამავე ლექსში სხვა რჩეული, არა მხოლოდ ხევსურეთში განთქმული ვაჟკაცების სხარტ დახასიათებასაც ვეცნობით:

...ვინ იყვა დუნიაზედა
დავით გაბურის ფერია,
ახიელ იყო ბადაი,
ვაჟ მეტა უდარდელია.
თომაი ბალიაური,
ჯარების აფიცერია,
მემრე კვირია ჯუთელი,
ეგიც სხვათ მაკლეს მგელია...

„მგელი“ იმ რიგის უცვეთი ეპითეტია საგმირო ხალხურ პოეზიაში, ნებისმიერი ვაჟკაცის შესამკობად რომ ვერ იმეტებენ და არ ხარჯავენ მართალი, ავკარგიანი მელექსეები...

.....

1997 წლის შუაგულ ზამთარში, სტუდენტობისას, ბისოდან გუდანში რომ ვბრუნდებოდით მე და ვასილ მაღლაფერიძე, გზაზე შექეიფიანებული, ჭორმეშავიდან შინისაკენ ქვეითად მიმავალი მამუკა ქეთელაური შემოგვხვდა. ვიდრე მოგვიახლოვდებოდა, მისი ომახიანი სიმღერა გვესმოდა. გაღმა-გამოღმიდან თოვლით დამძიმებული მთები უბანებდნენ. ივანე წიკლაურის ზემომოტანილ ლექსს მღეროდა... მესიამოვნა და მადლიერებით ავივსე, ბიძაჩემის სახელი რომ გავარჩიე სიმღერის სიტყვებში...

ჭორმეშავში სტუმრად ნამყოფი, ნაქეიფარი კაცი უგზო გზით ბისოსკენ მიდიოდა და გულს ცალპირული სიმღერით ირთობდა და იხალისებდა... დღევანდელ ხევსურეთში მსგავსი „სცენები" სიზმარში-ღა თუ გაგელანდებათ!...

მართალი და მიუმხრობელი

„სულის უგზოობის" გამო წუხდა ვახტანგ კოტეტიშვილი – რენესანსული ყაიდის მეცნიერი და უშიშარი მამულიშვილი, 44 წლისას რომ მოუსწრაფეს სიცოცხლე, მაგრამ ქედი მაინც ვერ მოახრევინეს, ვერ გატეხეს, ვერ დაადუმეს...

გრძნობდა და გუმანობდა ყოველივე უცხოურით ბრმა გატაცების საბედისწერო საშიშროებას; ხედავდა ავისმაუწყებელ სიმპტომებს, დღითი-დღე რომ მატულობდა და ძლიერდებოდა; ხედავდა, ხვდებოდა და **„აზროვნების სიმხდალესთან"** და **„ინტელექტუალურ სილაჩრესთან"** (მისეული შესიტყვებებია – ა. ა.) შეურიგალი წამითაც არ მალავდა, არ აარაფრებდა სდღეღამისო სატკივარს: **„ევროპამ შეგვშალა და ალბათ**

წაგვშლის კიდეც, თუ ასე გაგრძელდა“.

და მის ამგვარ თვალსაზრისს, მოცემულობის ასეთ რეალისტურ, შეუსხვაფერებელ ხედვას მხარს უბამდა და უმაგრებდა ვაჟა – უსაიმედოესი მეკავშირე და სათაყვანებელი სულიერი წინაპარი: **„ჩვენი სუყველა გაცუდდა, გაქონილია ქონითა; საუცხოვოა უცხოსი, შეკრული ვარდის კონითა, ვინ გავა, ვნახავთ ბოლოს ჟამს, მდინარეს ამა ფონითა...“**



ვახტანგ კოტეტიშვილი
თანამშრომლებთან ერთად

„დავვიწყებივარ სიკვდილსა...“

„როცა ადამიანი სიკვდილს ნატრობს ან სასიკვდილოდ იმეტებს თავს, ბუნებრივია, რომ ამისათვის მას თვით სიკვდილზე უფრო მძიმე მიზეზი უნდა ჰქონდეს“.

გურამ ბარნოვი

მძიმე ცხოვრებით დაღლილი, თავმობეზრებული, დარდით ნაგვემი და გულგაგლილი (მოვუსმინოთ ხალხური ლექსის ლირიკულ სუბიექტს: **„დარდმა გული გამიგალა ცხენის ფეხზე ნალივითა“...**) ადამიანი ერთადერთ ლოგიკურ, გონივრულ, უალტერნატივო გამოსავალს



კასინე გულუხაიძე

დროულ, დაუგვიანებელ აღსასრულში ხედავს; დღენიადაგ უსახურ, უსაფერო სიკვდილს ნატრობს, ელოდება, დამცინავად ეპაექრება და კვლავ ძველებურად გათენებით, ახალი დღის დადგომით მწარედ გაწბილებული ორპირი საწუთროს სამდურავს, ბრმა ბედისწერის აუგს, დამბადებლის დაუფარავ საყვედურს ამბობს...

გვინახავს სიკვდილის მხმობელი მოხუცები (ქალიც და კაციც), რომელთა გულახდილობაში თუნდაც წამიერი დაეჭვება მათი შეგნებული შეურაცხყოფის ტოლფასი და ჩვენი უღირსი უნდობის დადასტურება იქნებოდა...

90 წლის ქაისხეველი ქალი მარო მწითური-ინაშვილისა „ეთნოგრაფიული ჩანაწერების“ ავტორს ჯულიეტა რუხაძეს უამბობს: **„დედა მყავდა, 140 წელიწადი გაუხდებოდა იანვარში. დედაჩემმა ეგრე მითხრა, კრუხი რომ წიწილებ დაუწყებს ჩეკასო, თავით დაიდგი საწერ კალამიო, მაშინ ჩაგწერამს უფალი, თუ არ კვდები, ღმერთს თუ დავიწყებული ყევხარო“.**

ჩანაწერმა ხელქმნილი ტარიელის მოთქმითი აღსარება თუ აღიარება გამახსენა, ასმათისა და ავთანდილის მორიგი შეხვედრის ეპიზოდში რომ გაიხმიანებს: **„დავვიწყებივარ სიკვდილსა, ნახეთ ნაქმარი ბედისა“...** და ამავე აზრობრივ განზომილებაში პრევენციული ხასიათის კატეგორიულ გაფრთხილებად ჟღერს და აღიქმება კვლავ რუსთველისეული სენტენცია: **„სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა გონიერსა“.**

ხოლო ღვთისგან და სიკვდილისგან „სამუდამოდ“ სააქაოს ყოფნა-მისჯილი თუში ბერდედა, საუკუნეს ცხრა მცხრალი წელიწადიღა რომ

აშორებს, თავისი გაერთფერებული, უნუგეშოდ უცვლელი ყოფის სიავეს ასე გამოთქვამს: **„იაქ თუ დავრჩებ, აღარწა ჩემ საშველ, რა დავაშავ ისთა, რო სიკვდილმაც დამივიწყ!...“**

სიკვდილის შიშის შეცნობის, ხოლო შემდგომ თანდათანობითი ძლევისა და დამარცხების გრძელი გზა, რაც გინდ წელთა სიმრავლის პირისპირ იდგეს ღვთის ხატად შექმნილი მოაზროვნე არსება, ელინურ სტოიციზმთან წილნაყარი გაუდრეკელი სულების გავლით აღწევს ფინიშამდე, თავის ბოლო პუნქტამდე ანუ დასასრულამდე.

დედულეთის ალვები

ქიდექის ქედიდან მგზავრის თვალს ბანიან და წითელსახურავიან სახლებს შორის ხევსურული ქათიბივით ჭრელი სათიბებისა და თავმძიმე, დაპურებული ყანების სიმფონიაში, ხშირი ტყით დაბურული სამგლე და სადათვე მთის ფონზე, უპირველეს ყოვლისა, ორი მაღალი, ისარივით ტანსწორი, ფოთლებში სიყვითლეშეპარული ალვის ხე ხვდებოდა და ამახსოვრდებოდა...

ბაკურხევი.

გორული და საკერპო: სოფლის გაღმა-გამოღმა უბნები. ჩემი დედულეთი; ისეთი, მთელ მიწა-მყარზე, მშობლიური სოფლის შემდეგ, ბადალი და საპირწონე რომ არ ებადა, არ მოეპოვებოდა!... და ბრგე, უჩვეულო ფიზიკური აღნაგობის ბიძა-ბაძია ფიცხელაური, მერჯულე და მუდამ ხელმომართული შეუდარებელი მონადირე...

გავიდა ხანი და საკერპოს ალვებმაც მითოსში გადასული ხმალას ალვის ხის ხვედრი ირგუნეს.

შეიმღვრა და შეილახა ხასხასა ფერების ზღაპრული პალიტრა. **„მთიბელთა“** და **„წუხრეულათ“** ვინ ჩივის, კარისპირულ მამულებში-ღა თუ ისმის სევდიანი სივილი სამიოდე გამოწკეპილი ცელისა...



დათო ფიცხელაური, ქარიელი, ამირან არაბული, ბაძია. ბაკურხევი. 1976. ოთარ ფუტკარაძის ფოტო

ხოლო ხსოვნის ჩაწყვდიადებულ სახატეში დღესაც თაფლის უსუფთავეს სანთლებად ანთია და ციმციმებს განსხეულებული ლოცვა-ვედრების დარად ცისკენ აწვდილი ის წყვილი, ერთურთის სწორფერი ალვა...

სამუკა

ზაფხულის თაკარა მზეს თივის დიდრონი, ხრიოკისფერი ზვინის ჩრდილში ვემალები და მუხლზე გადაშლილ მწვანეყდიან რვეულში ძეძეურთელი (რატომღაც მგონია, რომ ნამოსახლარად ქცეული ლამაზი სამოსახლოს სახელწოდების სწორი ფორმაა არა **„ძეძეურთა“**, არამედ **„ზეზეურთა“**) სამუკა ჭინჭარაულის ნაუბარს ვიწერ.

სამუკა ჭინჭარაული



„ღრუბელში რო მთვარის შუქ, ეეგრ მიჩინს თვალთ. დღეს ნაუბარ ხვალ დამცილდების, ხვალ ნაუბარ – ზეგ... რა ამბავ იქნების, პირაღმავ წამავა ხალხ, ქვე არ ვიც... აღარცვინ ჭორმეშავა დამჩალ, ორ კვამლი, სუყველა პირჩაღმისკე გაიქც... კაცო, რა ღგონავ იქ, ის მაკვირვებს!.. დავიდოდ გუდან, ხელოსან ვიყვიდ ბეღლისკარ, ეხლა ვეღარ დაოლ... არ გადავსახლდებოდ ბარში, იქ ვის მავჴელავ, არავინ მყავ. სადაც ვინ სულთ ამახყრის, აიმაში უნდა ჩაიმარხას. დედაი და შვილებ აქ მიმარხავ, მიაც აიმეებსთან უნდა დავწვ. აღარც მთაში ვინ მყავ, აღარც ბარში. მორჩ. წავიდ ჩემ სახლ-კარ... წელგაუთაოი ორ დამჩალ, მამა რო მამიკლეს ღულელთ... გუდანით გამამჴდარნი ორთ. წინავ აქ საბოსლო გვქონივ... ას წელს გაცილებულ ვიქნებ. ვითაით, ქვე არ ვიც... ყმაწვილ რო მატობს, აიმოდნად ყოფილამ აკლდების ბებერს...“



ლევან ბაბუხადია, ნოდარ გრიგალაშვილი, გადუა ჭინჭარაული. 1978

სამუკა რომ გარდაიცვალა, მთიელთა ძველი წესისამებრ, ჭრელ ფარდაგში გახვეული მიაბარეს კაცთა ძვალხორცით გაუმაძღარ მშობლიურ მიწას. სამარის კართან დასვენებული **„თვალვით“** დაიტირა ბერი ბაადურის ბოლო დიდმა ხევისბერმა გადუა ჭინჭარაულმა...

მხოლოდ მისი, მისეული

ყელქცეულში მივდივართ.

დეიდა მარიამს და ბატონ ოთარს მივყვები სოფელში (რაღაც წასაღებია, რაღაც – წამოსაღები).

მაშხალასავით ბრდღვიალებს ქართლის მყოვანი, განედლებული გაზაფხული.

მოსახლეობა ბაღ-ვენახებში გამოსულა. უქარო, მზიანი დღეა და საგარეო სამუშაოს ეშურებიან.

წამის-წამ იცვლება საამური, ერთურთის მჯობნი სურათები. გულში დუდუნებს მზით აჩქროლებული, გამთბარი, წინა ღამის წვიმანაპკურები ბუნება. მეურნე კაცის გუნება-განწყობილებაც გაღვიძებული გარემოს შესატყვისია...

ფხვენისში ზაურ წაქაძეს შევუვლით. მასპინძელი და ოთარ ჩხეიძე ცოტახანს სახლის ეზოში ისაუბრებენ. რაღაცაზე შეთანხმდებიან და გზას გავაგრძელებთ...


სიამოვნებს ბატონ ოთარს, ღია ცის ქვეშ გამოსულ გამრჯე, ღონიერ, მკლავმაგარ მეზობლებს რომ ხედავს; სიამოვნებს და მათი მისამართით საქებარ სიტყვებს ამბობს...

გვერდი-გვერდ ვსხედვართ.

მძღოლი ვარ და წინ ვიყურები.

და დღემდე ნიშანდობლივ ჟესტად ჩამრჩა ამაგდარი მწერლის ერთი უბრალო, მარტივი მოძრაობა: მუხლისთავებზე დალაგებულ ხელებს ერთმანეთს მიუახლოვებს და მაჯებში მოწყვეტით დაიქნევს, თითქოს ბოლო დღეების კატორღული ჯაფით მიღებული დაღლილობისაგან გათავისუფლებას ცდილობდეს.

გარდა სულიერი და გონებრივი დაძაბულობისა, ფიზიკურადაც საკმაოდ დიდი დატვირთვის გადატანა უწევს და დედაქალაქის



ოთარ ჩხეიძე

მძიმე რეჟიმიდან თუნდაც ერთდღიანი გასვლა დაკარგული თუ დახარჯული ენერგიის აღდგენის საუკეთესო საშუალებაა.

ტვირთს რომ ჩამოიხსნი და შვებით ამოისუნთქავ...

დღის განანესი პროფესიული საქმიდან სოფლურ საზრუნავზე გადართვასა და გადანაცვლებას რომ გავალდებულებს... და გაუცნობიერებლად, გათავისებული ჩვევის ძალით რომ იტარებ მსუბუქი ფიზიკური ვარჯიშის კურსს...

მწერლური გამოცდილება არ მყოფნის, ზუსტად დავახასიათო (აღვწერო, წარმოვსახო) ოთარ ჩხეიძის ხელების იმდღევანდელი მდგომარეობა.

და იქნებ ესეც მისი განუმეორებელი ხელწერის ნაწილი იყო; ხელწერისა, რომელსაც ჩვენს უმრავალფეროვნეს მწერლობაში ანალოგი არ მოეძევება.

მედლის მეორე მხარე

„მე დავწერდი წიგნს სატანაზე, რომელიც
ერთ დროს ღვთის შვილი იყო".

პერ ლაგერკვისტი

რახანია მრავალთაგან ერთი ასეთი ჩანაფიქრიც მაწვალებს და მაწრიალებს: „სახელგანთქმულ" ტირანთა და მიზანთროპთა, დესპოტთა და მწვალებელთა, ფაშისტური რეჟიმების მესაძირკვლე დიქტატორთა და უდანაშაულო ხალხის სისხლისმსმელთა, ჯალათთა და მანქურთიზმით შეპყრობილ პერსონათა ბიოგრაფიებში გამოჭიატებული ადამიანური თვისებები, ღირსებები, კაცთმოყვარული იმპულსები, სიკეთის ნამცეცა ნიშნები და მიმტევებლური მომენტები...

წარმოუდგენელია, ღმერთმა ისეთი ადამიანის შექმნა ინებოს, ვისი არსებაც (სული, სხეული და სამშვინველი) ერთიანად იქნება მოცული და დაპყრობილი მხოლოდ შავბნელი ჟინით, უკეთური ვნებებითა და ინტერესებით!.. სინათლის წერტილის პოვნა ხომ ლუსკუმ ღამეშიცაა შესაძლებელი!.. როცა უაღვირო, უფლებებშეუზღუდავი პირის სიტყვა, საქმე და ცხოვრების წესი ეგზომ ნეგატიურია, რომ მის განასერში მთლიანად იკარგება ადამიანობის პოზიტიური ნიშან-თვისებები, ჩვენ თვალწინ შემზარავი სიცხადით წამოტივტივდება აბრისი ავხორცი მხეცის მსგავსი უგრძნობი არსებისა...

საქართველოს დამპყრობთა (თუ დაპყრობის მსურველთა) შორის: ჯალალ-ედინი, თემურ-ლენგი, ჩინგიზ ხანი, შაჰ-აბასი....

გვარით და მოდგმით ქართველთაგან: იოსებ ჯუღაშვილი, სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, ლავრენტი ბერია... ბერბიჭაშვილი და **„ძმანი მისნი“**, ზურაბ არაგვის ერისთავი, ყორღანაშვილი...

ჩვენს ქვეყანაზე თვალდადგმული მეზობელი სახელმწიფოს მეთაურთაგან: ვლადიმერ პუტინი... და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი!

ზოგიერთი მათგანი ხომ პოეტიც იყო და ვარდის გაფურჩქნულ კოკორს უმღეროდა... ხოლო სხვა საავტომობილო გზებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს აშენებდა საქართველოში.

გადიოდა დრო და მონსტრთა გლობალური ბოროტმოქმედების კასკადში უკვალოდ ითქვიფებოდა მათ მიერვე აღსრულებული დიდი თუ მცირე მასშტაბის კეთილშობილური საქმეები...

ერთი სიტყვით, **„სამკალი ფრიად არს“** და, ალბათ, მუშაკნიც გამოჩნდებიან.

ქრესტომათიის შედგენაც შეიძლება: შედგენა კრებულისა, რომელშიც თავს მოიყრიდა ბედისაგან საავკაცოდ გამეტებულ ძლევამოსილ ისტორიულ პირთა ცხოვრებისა და თავგადასავლის შთამბეჭდავი შტრიხები, ნაწყვეტები, ეპიზოდები... დღეს, ღირებულებათა საყოველ-

თაო აღრევისა და კაცობის (resp. სიკეთის) კრიტერიუმთა საფუძვლიანი გადაფასების პირობებში, ცოტა არ იყოს, „უცნაურად", არაორდინარულად ჟღერს ჩინებული ქართველი მწერლისა და სცენარისტის შემდეგი თვალსაზრისი: **„...ჩემი მახლობლისნაირ ადამიანს, რომელსაც, ვინ მოთვლის, რამდენი საშინელება ჩაუდენია, სიკეთე არ უნდა დაუვიწყო, რადგან დამაფიქრებელია ასეთი ადამიანის მიერ რისკის ფასად გაწეული სიკეთე. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს სიკეთის გარეშე არსებობა არ შეუძლია"** (ზაირა არსენიშვილი).

ფეხის დადება

ჩემეული პარაფრაზი ბუბიკა ჭინჭარაულის ნაამბობისა: ქეიფია შატილში, ჩვენს ქვითკირში. არდოტელი ნიკო მურღუევია თამადა და დროსტარების „დირიჟორი". ჯღარა-ჯღური გააქვს იარაღს. მხარიღლივ დაკიდებული ყაწიმიანი ხმლები უხდებათ წვერდაწამებულ ვაჟებს. **„აეხლა ჩემ რიგი!"** – ამბობს ნიკო (ცეკვას გულისხმობს). გადმოვა შუა ქაზდარში. გვერდზე გრილოსავით გაუვლის ტანწერწეტი ძილუკა. ჩამოუვლის ნიკო. გაშლის მხარ-მკლავს. არგონებულში ძილუკა ფეხს დაუდებს. ნიკო ზღართანს მოადენს. არ იწყენს. კაი ხანს წევს გულაღმა, გაღიმებული. წამოდგება სიცილით... ქალ-დედროვანში მიმალულ ძილუკას ბუბიკას მამა გამოეკიდება, ვითომ გულმოსული და ყასიდად ჯავრობს (მასპინძლობის მოვალეობა აკისრია და ყველაფერზე ის აგებს პასუხს): **„უყურეთა ქალს, რა მიყვ!..."**

„სიყვარულსა მალვა უნდა“

დღიურში, რომელიც ავტორის პირად გრძნობებს, კონკრეტულად, ულამაზეს მზია ჩაჩავას მიმართ მოულოდნელად გაჩენილ წამლეკავ სიყვარულს ეხება, გურამ რჩეულიშვილს ჩაუწერია: **„რუსთაველს უთქვამს: „სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაქურდალსა“**.

მწერალი, როგორც ჩანს, იმდენადაა დარწმუნებული ამ სტრიქონების რუსთველურობაში, რომ, ცოტა არ იყოს, კორექტულობას მოკლებული ფორმით ერთ სათავისო ჩანაწერშიც იმეორებს ამ თემისა თუ სათქმელის შემოკლებულ და შესხვაფერებულ შინაარსს: **„რუსთაველის ყოფა ავატირე – „მალვა უნდა“**.

რუსთაველს უთქვამსო...

არადა, ეს ლექსი ხალხურია. მისი ერთ-ერთი ვარიანტი მოუპოვებია ანდრია კობაიძეს (**„კალმისწვერას“**) ხევსა თუ მთიულეთში (მის კრებულში „რაღა ბევრი მოგახსენოთ“ ლექსების საერთო სათაურად გატანილია განმარტებითი დანიშნულების შემდეგი შენიშვნა: **„ხალხური ლექსები ხევ-მთიულეთს შეკრეფილი“**).

ზეპირსიტყვიერი ნიმუში ორადორ თქვსმეტმარცვლიან ტაეპს მოიცავს: **„სიყვარულსა მალვა უნდა, როგორც ცხენსა ნაპარევსა, გაიგებენ, გლოვნა უნდა, როგორც გულის საყვარელსა“.**

ტექსტი უმნიშვნელო ვარიაციული სახესხვაობითაა დაბეჭდილი ჯერ კიდევ 1887 წელს გამოქვეყნებულ „ფშაურ ლექსებში“ (შემკრები დავით ხიზანაშვილი).

და თუკი მაინცდამაინც „ვეფხისტყაოსანში“ დავუწყებთ ძებნას სპეტაკი და ხანიერი სიყვარულის საგულდაგულო მალვის კატეგორიულ მოთხოვნას, მორალის იმ ნორმას, რომელიც ტრფიალის გასაიდუმლოებას ითვალისწინებს, პროლოგის შემდეგ სტრიქონებზე უნდა შევჩერდეთ: **„მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“; „არს პირველი**



მიჯნურობა არ-დაჩენა, ჭირთა მალვა;“ „ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს“.

მაგრამ თქმა (და, მითუფრო, მტკიცება) იმისა, რომ **„სიყვარულსა მალვა უნდა“** რუსთველს ეკუთვნის, უსაფუძვლოა, ვინაიდან ეს ტაეპი პოემაში არ გვხვდება.

შეიძლება ვივარაუდოთ: მწიგნობრული სტილი და შაირის საზომია მიზეზი იმისა, რომ ხალხური ლექსი რუსთველისეულად იქნა აღქმული.

მსგავს პრეცედენტებს მრავლად იცნობს ფოლკლორულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორია...

და ბოლოს: ამ ოცდაათი თუ ცოტა უფრო მეტი ხნის წინათ ლიტერატურის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის, ბ-ნ სარგის ცაიშვილის კაბინეტში (ბატონი ბორის დარჩიაც იქ იმყოფებოდა) შევესწარი ასეთ ამბავს: ახალგაზრდა კაცი, ფილოლოგი თუ ისტორიკოსი, რომლის გარეგნობა ახლაც თვალწინ მიდგას, მაგრამ გვარ-სახელი დღესაც არ

ვიცი, ცნობილ რუსთველოლოგს არწმუნებდა, რომ სტრიქონი **„სიყვარულსა მალვა უნდა“** რუსთველისაა... ბატონმა სარგისმა უთხრა (თან წიგნი გაუწოდა): მომიძებნე, სად წერია და ასპირანტურაში გიშუამდგომლებო...

არარსებულს როგორ მოუძებნიდა!

„...და ლაშაროგა თუშური“

ლაშარში ვართ. ხმელგორზე არა – ჩიღოს ზემოთ, თუშეთის ლაშარში.

გოდერძი ჩოხელი ისეთ გუნება-განწყობაზეა, არ გამიკვირდება, თავის ცქაფ ცასწავალასავით აფრინდეს, ამაღლდეს და ცის უნაკლო, უხარვეზო ლაჟვარდში გაუჩინარდეს...

ზედ ფრიალოს პირას სიპით ნაგებ ჯვარ-ხატს ვუახლოვდებით. ადგილზე გვხვდება 60 წლის თუში დეკანოზი მელიტო ხოსიკურიძე. დღეობამდე ერთი კვირით ადრე ბარიდან „საწმიდრად“ ამოსული მართოდმარტოა (მეუდაბნოე ბერივით) და აქვე, საქარე გორაზე, გორგი თილისძის მიერ ორი საუკუნის წინათ დაარსებული სალოცავის „დარბაზში“ ათენ-აღამებს... კულტმსახურებაში ჩაკრეფილ ოცდახუთ წელიწადს იხსენებს და ბედის მადლიერია, საუფლო დღეების თავკაცობა და წინამძღოლობა რომ ხვდა წილად...

და ვიდრე ხატისკარ მეზღვნე-მეხვეწური მოდგებოდეს, მზარდი ცნობისწადილით ვყურობთ და ვკრეფთ ხელ-მხარ განათლული მასპინძლის ყოველ სიტყვას.

„მეცხვარე ვიყავი. მძინარს თეთრცხენიანი კაცი მაღვიძებდა. ხან ხელს დამარტყამდა, ხან – მათრახს. წამოვხტებოდი. გავიხედ–



გოდერძი ჩოხელი და ეთერ თათარაიძე. დაწო. 1980

გამოვიხედავდი. გაქრებოდა, დაიკარგებოდა კვალი. არ ვაცხადებდი. მეგონა, მეჩვენებაო. ორ-სამ წელს ეგრე ვიტანჯე. იმ კაცმა მითხრის ცხადშიც და სიზმარშიც: თუ არ მემსახურები, დებს დაგიხოცავო. ჯერ ერთი და მომიკვდა, მერე – მეორე. ორივე თვრამეტი წლისა. 1942-ში ავად გავხდი, დავბრმავდი. თვალებზე წყალი მომდიოდა. თუ ქუთუთოებს ხელით არ ავწევდი, ვერაფერს ვხედავდი. რო შევწუხდი, დამაწყებინა მკითხაობა. ყველას სიმართლეს ველაპარაკებოდი. ხატი ჩამაგონებდა. ჩემზე ამბობდნენ, გიჟიაო. ოთხი თვის წვერმოშვებული მოვედი აქ, ლაშარში. იმ წელს, 1945-ში, ბევრი ადამიანი აქადაგა. დაიკლა ას სულზე მეტი, ათი მოზვერი, დანარჩენი ჭედილა. მთავრობა დამადგა, ეს ხალხი შენ დააგიჟეო. რა უნდა მეთქვა, მე არაფერ

შუაში ვიყავი... ერთი წლის მერე ალვანიდან ისევ მთაში ამოვედი. გუდანთაში, დედიძმის სოფელში, შევაფარე თავი. ოთხი წელიწადი დავლიე. ხუთი წელი რომ გავიდა, მაშინ მითხრა თეთრცხენიანმა: – თავისუფალი ხარ ეხლა, შვილოო. მალე დავქორწინდი... ხატის დაჭერილი ვიყავ და მცდიდა, ქურდობა – ბოროტებას ჩავიდენდი თუ არა...

აქ, სადაც ჩვენ ვართ, ადრე საომარი ადგილი იყო. ერთხელაც ლეკებისა და ქისტების ლაშქარი შემოვიდა. თუშებმა ცოცხლად ერთიც აღარ გაუშვეს, ერთიანად ამოჟლიტეს. თავისი დროშები აქ დატოვეს. მოვიდნენ სოფლებიდან ჩვენი წინაპრები. მოიყვანეს საკლავი. ხატ-ღმერთს შესთხოვეს, ჭირი და უბედურება აგვაშორეთო... ეხლა რომ საკლავს ვკლავთ, ეს იმ დახოცილი ხალხის ცოდვის მოსანანიებლად და ჩვენი მადლის გასამრავლებლად იკვლის. თავისთავს ვაზღვევთ დანაშაულისგან.

გორგი თილისძემ უკანაფშავის ლაშარიდან წამოიღო ხატი და ბროლის ქვა. ფშავლებთან რომ ბრძოლა ჰქონდა, მაშინ. ხომ გახსოვთ ფშავლების საყვედური: „შენ აქ არ მოგესვლებოდა, დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალია, დასწვი-დასდაგე ხოშარა, ცამდის აუშვი ალია, ნაკვეთაურის ციხესა შენ შეხსენ რკინის კარია...“

აქ სულ პირველად ხევისბრობდა ასტორ თათარაიძე, დანოელი. სამი წლისა (!) მოვიდა და მლოცველებმა ამ მიდამოებში იპოვეს... მერე – საგით ელანიძე, ჩიღოელი.

დეკანოზს რომ ძმა მოუკვდეს, გინდაც და, ახლოს ვერ მივა, მიცვალებულს თვალს ვერ დასცემს. გული ტირილის ნებას არ მისცემს. ენას ჩაუკეტავს, თვალებსაც აუხვევს...“

ლაშარის ვრცელ, ოდნავ დაცერებულ მინდორზე ხართაშვების ხანს მოდის და მატულობს მლოცველი. მოდიან დათითოებულები, ქვეითად

და ცხენებით. ჭრელ ხურჯინებში ბატკნებს და სიარულგაუსარავ ბალღებს ამოუყვიათ თავები... საკურთხევლიდან მოისმის დეკანოზის სამწყალობნო სიტყვები, ზანზალაკების გალობა, სამსხვერპლო პირუტყვის ზმუილი, ბღავილი და მედღეობეთა სამხიარულო ხმები... მალე სათემო და საგვარეულო „სეგმენტებში“ ცეცხლები დაინთება, გაღვივდება და საწესო სიმღერას **„დღესამ დღეობა ვისია“** ფანდური და გარმონი აუბამენ მხარს.

მე და გოდერძი უკვე ზომიერად **„მოფშავლებულები“**, უფრო სწორად, **„მოთუშულები“** ვართ და ბუნებრივად ვეწერებით ზაფხულის უმთავრეს საღვთისმსახურო რიტუალში.

წინ მადლმოსილი, ნაღვერდლიანი, სულთქმის ციხესავით მაღალი და იდუმალი ღამეა...



გოდერძი ჩოხელი დანოელ ქალ-ბაღღებთან. 1980

შორი, შორი ზამთარი

„თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს,
ყელებ შაკრულა მთებისა...“

ვაჟა

წეროების დაწალიკებული მწკრივი განწირული კივილით მიიკვლევს უამინდობისგან წაშლილ, წართმეულ, უჩინარ გზას თოვლის ხატულა ფიფქების უვრცეს ასპარეზად ქცეულ აბარბაცებულ სივრცეში. მაღლა აიხედავ და თავბრუ გეხვევა, წონასწორობას კარგავ, ფიფქებთან ერთად იწყებ მოძრაობას, ტორტმანს. ორ ნაბიჯში არაფერი ჩანს. ხმელი წივის ნამწვის სუნი და მღვრიე ბოლი იწეწება უნცრუათ ორსართულიანი მიწურის ვიწრო, უსაოტო ეზოში... სოფელს ცის ფერი დავიწყებია.



ბებია, ბაბუა და შაბურა

კვირაზე მეტია, რაც განუწყვეტლივ, გადაუღებლად თოვს და თუკი სადმე კიდევ არსებობს ბზარი და ნაპრალი, ხვრელი და ღრმული, იმასაც საგულდაგულოდ ავსებს, ჩუმქრავს, აგლუვებს... ქეროზები ბზეს, თივის ნაფშვენსა და ნაგაბარს ესევიან. მალი-მალ ფრთხებიან და ჟივჟივით მიფრინავენ მეზობლის საბძლის მიმართულებით...

სოფელს ახალმოსახლე ჰყავს: გასულ სთველთ ზეისტეჩოდან გადმოსული ადუათ ჩაჩაურის ხუთსულიანი ოჯახი. უნცრუა მათი ახლო ბიძაშვილია, მათი მამიშვილობის კაცი და შეღმა და გაღმა უბნებში ცხოვრება ხელს სულაც არ უშლით სახლიკაცებს, ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც მოინახულონ ერთმანეთი.

ბნელი საძროხედან, რომელიც ძირისახლის სამყოფლო ოთახს ლასტის ღნიოში, დაბრეცილი „კედლით" ემიჯნება, პირუტყვის მშვიდი ფშვინვა და ბაგაში ჩაყრილი ჩალა-თივის შრიალისა თუ შმაშუნის მინელებული ხმა ისმის...

საკუთარი სახლებიდან საფეხვნო გორამდე ჩვენც, უბნის თანატოლები, წეროებივით ძნელად მივკვალავთ ბილიკებს და ვინაიდან გარეთ, პირახსნილი ცის ქვეშ, დიდხანს დგომა შეუძლებელია, თავს უნცრუათ სახლის შედარებით მშრალ, ქარბუქისგან დაცულ დერეფანს ვაფარებთ...

მტყობიე

სიკვდილის მაცნე ახალგაზრდას, ვინც ცხენით ანდა ქვეითად მიდიოდა ხოლმე მთის გადაღმა მცხოვრებ ჭირისპატრონის მძახლებთან, მოყვრებთან, მოკეთეებთან და სამწუხარო ამბავს ატყობინებდა, ხევსურეთში **„მტყობიეს"** ეძახოდნენ.



ბაბალათ მინდიას დოღი. ტაბლა კარკუჩაში. 1961

პაპაჩემი – ბაბალათ მინდია რომ გარდაიცვალა (საკუთარ სახლში თავმოყრილ სტუმრებს ორთქლამდინარი ხინკლიანი ხონჩით ხელში ჩამოუარა, ჟიპიტაურის დალევა დააძალა, სასმისები დააცლევინა, თავი უცებ შეუძლოდ იგრძნო, რკინის „კრაოტზე“ არსენას გვერდით ჩამოჯდა, ბეჭებით ფარდაგიან კედელს მიეყრდნო და, შემიძლია ვთქვა, ნანატრი ნეტარებით დალია სული... ისიც კარგად მახსოვს, როგორ განმუხტა და ჩააჩუმა ამ მოულოდნელმა ამბავმა გილათ აკიას და ვაჟიათ გაბრიელის საგულისო შარი), ჯუთიდან როშკაში, ბლოში და ბაკურხევში გაიგზავნა თითო მტყობიე. დაკრძალვის დღეს სამივე სოფლიდან მოვიდნენ ცხენოსანი „მამკითხავ“-მოსამძიმრენი.

ნახევარი (და უფრო მეტიც) დღის სავალზე სხვაგვარად ხმის მიწვდენა ვერ ხერხდებოდა. მაშინ მთის სოფლებში არც რაცია იყო და

არც ხაზის სატელეფონო კავშირი. ვერბალური თუ ვიზუალური ფიჭური კომუნიკაციების სიკეთე ხომ ჩანაფიქრშიაც არ არსებობდა!..

გავიდა წლები და ტექნიკურ პროგრესს ჩვენი უძველესი დიალექტების ბევრი ლექსიკური ერთეული შეაშრა და შეეწირა; დღითიდღე იკარგება აღსანიშნგამქრალი ცნებები და ტერმინები, რომელთა წიაღ ადგილობრივ მკვიდრთა ავტონომიური ყოფის არსებითი ასპექტები მოიაზრება. მათ შორისაა **„მტყობიე“** – ეთნოგრაფიული შეფერილობის სხარტი სიტყვა; მათ შორისვეა **„მანევარი“** – პირი, ვისაც დღეობების, სადაგი სტუმრიანობისა თუ საჭირლხინო ამბების დროს თანასოფლელების **„წევა“** (მონვევა, მოპატიჟება) ევალებოდა.

მანევრის დანიშნულებაც ცივილიზაციის სიკეთემ ჩაანაცვლა: აკრეფ მობილურის ნომრებს და რამდენიმე წუთში მთელ სოფელს „მოივლი“ და მოუძახებ!..

„მტყობიე“. „მანევარი“.

თანდათან ვიწროვდება ამდაგვარ სიტყვათ მიმოქცევის ველი.

მხოლოდღა ლექსიკონებში – სულიერი საუნჯით სავსე ამ ზღაპრულ ზარდახშებში – უკავიათ მკვიდრი, უძრავი ადგილი...

როგორც ოქრო ქვიშაში

„უიღბლო იღბლიანი“ – შედევრთა შორის უნუგეშოდ მიყუჟული, მიკარგული, „მიჩუმათებული“ პოემა ვაჟა-ფშაველასი. და თავმარტო სტროფი ამ უიღბლო, საშუალო თუ კიდევ უფრო დაბალი მხატვრული დონისა და ღირსების ზღაპარ-პოემიდან:

ან – კი რა? ყველას მიგველის
ღია სამარის კარია,

ოქროს კუბო და ფიჭვისა
მიწისთვის თანაბარია...

სტროფი, რომელიც არ გახლავთ ერთადერთი ბედნიერი გამონაკლისი ვაჟას მეორეხარისხოვან ეპიკურ ქმნილებებში. მსგავსი სისადავითა და ხატოვანებით აღბეჭდილი პოეტური გამონათებებით საერთოდაც მდიდარია წუხილით ბედნიერი (**„მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული...“**) გენიოსის ნათელხილვათა უძირო, უკიდეგანო სამყარო.

ისევ სიტყვაზე

„ყოველს ენას ბევრნაირი თავისი
დასაკუთრებული ხასიათი აქვს...“

დიმიტრი ყიფიანი

სიტყვების სიხარული: როცა ერთურთის გვერდით (მიჯრით, მიყოლებით) შინაურულად, ლაღად, ხალვათად გრძნობენ თავს; როცა კი არ ემტრობათ და ეზედმეტებათ, პირიქით – უყვართ და ეთანიებათ ერთმანეთი... ცალი (ცალფა) სიტყვა კენტი მგზავრივით მოწყენილია, მარტუღელივით ღონენაკლულია და, ალბათ, საბრალოც! მას ჟანგბადივით სჭირდება თავისი ფარდი და სადარი, გვერდში მდგომი, მხრის დამამშვენებელი სიტყვა, სიბეჩავის შეგრძნებამ და, აქედან, კოსმიურმა სევდამ რომ არ მოუთავოს ხელი... ლექსემათა გრძელი, ვრცელი, უსასრულო მწკრივი. სიტყვები – შუაცეცხლის ჯაჭვის რგოლები; წინადადება–სულიწმიდისა და ადამიანის ერთობლივი ნებით შექმნილი ჯაჭვი... ზოგი შესაქმისეული შთაგონებით ნაქსოვი; ზოგიც – ძაბუნი, მყიფე, მორღვეული, ღვთის წყალობა რომ აკლია, აი, ისეთი... სილბო ქსოვილისა და

სიმტკიცე ნაჭედისა – როგორც **„ვინმე მესხი მელექსე“** იტყოდა... სანიმუშო, საანდრეზო. მაგრამ ასეთი ცოტაა, ძალიან ცოტა!.. და გიხარია, დაუთვლელ ქვიშაში (აკაკის პოეტური სტრიქონების ალუზია) მარგალიტის მარცვალიც რომ გამობზინდება ხოლმე. ხშირად ერთი, ერთადერთი ჯიშიანი სიტყვის გაგონება გიამს და, რა გასაკვირია, შინაგანი შვების შუქს გფენდეს სიცოცხლეშივე უკვდავებასთან წილნაყარი მწერლების ყოველი ახალი მხატვრული ნაწარმოები. თუნდაც: ერთსტროფიანი ლექსი – შედევრი; ორაბზაციანი მინიატურა... იმგვარი, მთელ ხილულ თუ უხილავ სამყაროს **(„თავის ხატ-ღმერთიანად“** – ვაჟა) რომ იტევს და იუნჯებს...

სიტყვა: ყოფიერების სახლის სანერგე.

სიტყვა: სულის სამშობლოს ანი და ჰოე...

გულქანი

ახლაც უფლის აუწონელი წყალობა მგონია, მე და ეთერს გულქან რაზიკაშვილის გაცნობისა და, მერე და მერე, ოჯახის წევრივით თანდათანობით გაშინაურების სიკეთე რომ გვერგო წილად.

ჯერ მე გავიცანი, მერე – ეთერმა.

მეგზურისა და თანამყოლის „სტატუსით“ ჩემზე ორი წლით უმცროს ფილოლოგებს ექსკურსიაზე წავყევი ფშავში. ღამე შუაფხოში, ახლა თეკლე ბადრიშვილი რომ ცხოვრობს, აი, იმ მიდამოებში, ტყიანი დაფერდების ძირას გავათენეთ... ბევრი დეტალი დრომ წაიღო, წაშალა. რაც მაშინ მოვიხილეთ, მოვისმინეთ და განვიცადეთ, ჩემზე უკეთ, დარწმუნებული ვარ, მედეა და დათო ჯაიანებს, ნონა თამასხანოვს, ნანა თავართქილაძეს, ნანა მინდორაშვილსა და სხვებს ემახსოვრებათ...

გულქან რაზიკაშვილი



მეორე დღეს, შემოდგომის ძალნაკლული მზე ზენიტს რომ მიუახლოვდა, უკან გამობრუნებულებმა ჩარგლისკენ შევუხვიეთ. ვაჟას „მწირული“ ქოხი არც ერთს არ გვქონდა ნანახი და ამ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდით! მახსოვს ვაშლისა და მსხლის ტოტებდამძიმებული, მსხმოიარე ხეები, ზოგი მათგანი თვით ვაჟა-ფშაველას ხელით დარგული, მოვლილი და გახარებული... ბებერი კაკლები (დღესაც დგანან); ეზოში, წყაროს გვერდით, წითლად მღვივანი ასკილის გაბურდული ბუჩქი; ჩაჩუმებული ჭიჭახევა და გაბმით ერთურთს მიყოლებული დარიანი დღეებისგან „მორჯულებული“, მოთვინიერებული ჩარგლურა...

გულქან რაზიკაშვილი დაბლითა ეზოს ღობისპირა კაკლის ჩეროში იჯდა და, როგორც ყოველთვის, ჭრელ ფშაურ წინდებს „შიბავდა“.

გვარი რომ ვუთხარი, ჩვენ შორის მოკლე დიალოგი გაიბა:

– ამირანო, ხევსური ხარა?

– ჰო, ხევსური ვარ.

– მაშ ხევსურს ბურნუთიან ცხვირ არ გაგიკვირდება, კიდევაც მოვსწევ ეემ საათშია, კიდევაც გავილამაზებ ცხვირსა!..

მებურნუთე ქალების მეტი ვინ მყავდა ნანახი ჯუთასა თუ ხევსურეთის სხვა სოფლებში. გულქანის ნათქვამში ჩემთვის ახალი და, მითუფრო, მოულოდნელი, არაფერი ყოფილა.

და ჩვენი იმდღევანდელი საუბრის ფრაგმენტები სიტყვასიტყვით მივანდე და მივაბარე უბის ყავისფერყდიანი წიგნაკის უჯრედებიან ფურცლებს...

გავიდა წლები.

ერთ დღესაც ეთერი იმ ჩემს ჩანაწერებს წააწყდა და ვიდრე ჩარგალში არ წავიყვანე გულქანთან შესახვედრად, საშველი და მოსვენება არ მომცა. და იმ დღიდან სულიერი ერთობის, თანაზიარობისა და ლამის ნათესაური სიახლოვის ბილიკი გაიკვალა ჩვენსა და გულქან რაზიკაშვილს შორის. უდროობა თუ უდარობა წინ ველარ გვეღობებოდა. ვერც მოუცლელობა და ულევი საოჯახო საზრუნავი გვიშლიდა ხელს. ავდიოდით და ხანდახან რამდენიმე ღამესაც ვრჩებოდით ჩარგალში... და ფშაური ნაჭრელას ორნამენტებივით გაება და გადაექსოვა ერთურთს ვაჟა-ფშაველას ტკბილმწარე ცხოვრების უცრუო, უტყუარი, თავიდან ვიდრე ბოლო წერტილამდე სანდო ქრონიკები. შეიქმნა წიგნი „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი“, რომელმაც 1990 წელს პარიზში ქართულ-ევროპული ინსტიტუტის მიერ დაარსებულ კონკურსზე ილია ჭავჭავაძის სახელობის ლიტერატურული პრემია დაიმსახურა...

* * *

მიზეზი გულის ფართქალისა და ფორიაქისა: ხელით ეხები და ესაუბრები ადამიანს, ვისაც ცა-დედამიწის სწორი მამის ხმა და მიმოხრა ახსოვს; ადამიანს, თაფლის კელაპტრად რომ უნთია საკვირველმოქმედი მშობლის სახება და ახლაც, ამ წამს მასთან ახლოს ყოფნას ნატრობს;

უსმენ და ესაუბრები სასოვეთთავივით თეთრად ჩამოთოილ დროვნილ ქალბატონს (რაღაცით რომ არც შეჰფერის ეს სნობური ეპითეტი თუ მსაზღვრელი სიტყვა!), კინოკადრების ვიზუალური სიცხადით რომ ჩარჩენია საღ მეხსიერებაში შავი ღრუბლის ლეგიონებთან მეომარი მამის სახის ნაკვთები, ხასიათი, გაფოთება, თავშეკავებული ღიმილი და სამარადისო იდუმალებით გალიცლიცებული ის „ბედნიერი“ წუთები, როცა განმარტოებული უხეშად ნაჩორკნ, სრულიად არაკომფორტულ სამუშაო მაგიდას მიუჯდებოდა და თავისი ნიჭისა და შემოქმედებითი შთაგონების მწვერვალებიდან ღმერთთან ლაპარაკობდა...

გულქან რაზიკაშვილის მონათხრობში თავისი პირვანდელი მშვენებითა და სიალალმართლით სუნთქავდა და იშმუშნებოდა ფშავი; იხატებოდა ფშაველთა მიამიტურობამდე „მარტივი“ ყოფისა და უშუალო, უეშმაკო ურთიერთობების დაუვიწყარი სურათები. წარსულის



ეთერ თათარაიძე და გულქან რაზიკაშვილი

მკვრივი ნისლიდან გამოდიოდნენ მართას, თედოს, ბაჩანას, სანდროსა და გიორგის აჩრდილები; გამოდიოდნენ და მამაპაპეულ კერაზე, მშობლიურ ეზოკარსა და კალოზე მართავდნენ საიდუმლო სერობებს... ხოლო საუფროსო, სამამაცო, კრძალვით მისაახლებელ შუაგულურ ადგილას მოჩანდა ლუკა, ვისთვისაც ფხოვის თავკაცობა და წინამძღოლობა განეწესებინათ მშობელ ჯამაათსა და თავლაშარისჯვარს...

ყოველ ასვლაზე აგვქონდა ტკბილეული, სოსისი და ლიქიორი (სხვა რამეც, რაც უყვარდა და თავს არასდროს გადასდიოდა). გვიძებნია და აგვიტანია ნავთიც, ვინაიდან არაგვის ხეობაში ხშირად ითიშებოდა ელექტროობა და ლამპის შუქზე უწევდა დაჟამკრება, დაწყებული ხელსაქმის გაგრძელება და დასრულება.

ბოლო ხანებში, წელთა სიმრავლით დაღლილი და წელში მოხრილი, ჯოხის არგნებით დაიარებოდა. შორიდან, ძალიან შორიდან, დროთა სიბევრიდან და სიღრმიდან იცქირებოდნენ გულქანის ჭრელი, სიმწვანედაკრული თვალები. არაფერი გამოეპარებოდა. თანდაყოლილი ალღოთი არჩევდა ყალბსა და ნამდვილს, სუფთას და რიოშს...

და სწორედ იმ დროს, ძველ ნაწისქვილართან, მურყნიან ჭალაში ფურისულები რომ ამოშუქდებიან და მზისპირის ფერდობის ხეხილებს ჩირთი მოეძალებათ, გული გამალებით იწევს ჩარგლისკენ...

დევნილი

არნივის დარიალებულმა შურთხმა (გარეული ინდაური, საჯიხვეების ბინადარი ჭროღა ფრინველი) იმ ჯანღსა და თოვაში ჩვენი სახლის დერეფანს შემოაფარა თავი.

ყურთასმენიდან, რა დროა გასული და, დღემდე არ გამსვლია ფრთოსანთა ზვიადი მეფის ღონიერი ფრთების საშიში შხუილი...

დევნილმა იმარჯვა და თვითგადარჩენის უტყუარი ინსტიქტის კარნახით სათივე გოდრებს შორის, გომურის ყრუ ყორის ყურეში შეიბუდა. ცდაგაცუდებულმა მხარკვერიანმა ჩამოქუფრული ქარაფებისკენ გასწია...

ხის ნიჩბით ბანს ვთოვლავდი და ეს ჩქარი, ნერვიული, უაღრესად დაძაბული სცენა ჩემს თვალწინ „გათამაშდა".

დაუპატიჟებელი, უზუსტეს ტროპულ დახასიათებაში ბესიკ ხარანაულს რომ დავესესხო – **„ქვამარილისფერი"** სტუმარი დაპირქვავებულ გოდორში გამოვამწყვდიეთ. მტკივან, ბუმბულგაცლილ მხარზე გარკვევით აჩნდა მტაცებლის ნაბრჭყალარი... ორ-სამ დღეში, რაკი არც წყლისთვის და არც პურის ნახორისა თუ საკენკისთვის პირი არ დაუკარებია, თავისუფლება ვაჩუქეთ, ვუწყალობეთ და გაფრენის ნება მივეცით. ელდისაგან აცხროებული სულიერის სიბრალულმა გადაფარა უგემრიელესი წვნიანისა თუ ჩახოხბილის რეალური პერსპექტივა...

იმ წელს, რატომღაც ასე დამამახსოვრდა, არნახულად ცივი და დიდთოვლიანი ზამთარი იდგა ჯუთაში.

ვაქირში

ვაქირის გაზაფხული.

ჯაგნარიან ხრიოკებს ბროწეულის ბრდღვიალა ყვავილის ცივი ცეცხლი ნაჰკიდებია.

დაყანთრებული საყდრის წინკარში წელში ოდნავ მოხრილი, წვერმოშვებული მამაკაცი გვხვდება და სულ ცოტა ხანში გაქერქილი ჯოხის ბჯენით გვმეგზურობს ისტორიული სოფლის (რად ღირს თუნდაც იმის გახსენება, რომ აქაური იყო იოანე ბატონიშვილის „კალმასობის" მთავარი გმირი იოანე ხელაშვილი!) სანატრელ, საინტერესო წარსულში.

მიუხედავი, მოუვლელი, ღვთის წყალობის ანაბარა დარჩენილი ძეგლების ბედსა და მომავალზე ვსაუბრობთ. საფლავის ძველ ქვებს ვასუფთავებთ, ვათვალიერებთ, ვაკვირდებით და ალაგ–ალაგ ამომტვრეული ლაპიდარული წარწერების აღდგენასა და ამოკითხვას ვცდილობთ. და, რასაკვირველია, არც მრევლნაკლული სამლოცველოს სადა, უორნამენტო ფასადზე ამოკვეთილი ასომთავრულის მწკრივი გვრჩება უყურადღებოდ...

– გელა ქოქიაშვილი ჩვენებურია. მთელი საქართველო აქვს მოვლილი და გადაღებული. ტელევიზორშიც ხშირად გამოდის. აქაურობიდან რად აიკვეთა ფეხი. გადაეცით, რომ სააღდგომოდ ველოდებით და ჩამოვიდეს...

არ მიკვირს ჩვენი კეთილი მეგზურის, გვარად მოსაშვილის, ალალ სიტყვებს შუა გამოჟონილი საყვედურის კილო; არც ის, ძველთუძველესი ქრისტიანული ძეგლების თავგადაკლული ქომაგისა და გულშემატკივრის ახლობლობით გამოწვეული თავმომწონეობაც რომ აშკარად იგრძნობა მის ნაუბარში.

ვისაც „ერთსულოვნების“ ეთერში ჟურნალისტ გელა ქოქიაშვილის დოკუმენტურ გადაცემათა ციკლისთვის – „მოგზაურობა სამშობლოში“ – უსმენია და უყურებია (დაუვიწყარი და შთამბეჭდავია თეთრიწყაროსა და დმანისის საკულტო-არქიტექტურული საგანძურის შესახებ გაკეთებული მისეული კომენტარები და საქმიანი, კვალიფიციური საუბრები), დამეთანხმება, რომ ჯილდოებსა და პრესტიჟულ პრემიებს თუ არა, უშურველი მადლიერების გამოხატვას მაინც უეჭველად იმსახურებს ჩვენგან, ავკარგარეული თანამედროვეებისგან, ეს ამაგდარი, მაძიებელი, კეთილშობილი პიროვნება...

ვაქირელებისაც მესმის (ხშირად კერძო კაცი ხომ მთელი სოფლისა თუ რეგიონის სათქმელს ახმიანებს ხოლმე) და მგონია, რომ გელა მშობლიური წყალ-ჭალის ხმებისთვისაც მოიცლის; აუცილებლად მოიცლის!

თუში ქალების საუბრიდან

(ფრაგმენტები)


კასინე: ვერა ვიც, ჲეს რაგვერთა სიცოცხლეი, რო არაიც არ მტკივა-დ არც ვკვდებ!

რუსუდანი: ნუ გეშინის, თავის დრო მოგივ, ჲაქ არას დარშჩებ.

კასინე: დავრჩი-დ ეგე!

რუსუდანი: საბედა რო მოკვდ, ის თამრო ჲასთა თავთან ეჯდ, ჩახედავდა-დ...

კასინე: წუხრ, სიზმარში, საბედაანთას იყვნეს თამროიც, ბაბეიც, ნათელაიც... ჩხუბობდეს, ჩხუბობდეს რო, ვერა ვიც!...



დანო. თუშეთი

რუსუდანი: **აუ, ქა, ჲეს რაგვერთა სიზმარ გინახავ!**

კასინე: **გზაიმ მომციან** (მამპაპის სალოცავებს გულისხმობს). **არაიც არ დამიშავებავავ, – ვიყვიდი-დ დავაშავ თუ რაი-დ მით თუ ვიტანჯებ... საბედაი-დ თებრო რა ბედნიერად დი'ჴოცნეს, უთქმელად... ჲეგ უნდა დ'ინატროს კაცმ, სხვა არაფერ!..**

მერე რადიკალურად იცვლება თემატიკა, მზერის რაკურსი, კვლავ სააქაოსკენ იზამენ პირს, მობრუნდებიან და გაჯავრებულები საუბრობენ ახალგაზრდა დედაზე, **„გონთით გადასულმა“** და კაბის კალთაზე ეშმაკებასეულმა ურცხვად რომ მიყარა და მიატოვა თავისი სასკოლო ასაკის შვილები.

კასინე: **დიდიდაებს ვერ სთმობს ადამიანი-დ ბალღებ რაგვერ გადაყარ!**

რუსუდანი: **ეეე, ვერ მოქცეულ კარგ. ჲეგ რა ჩუ'დენავ, რაიმ გულ აქვ. ანამ ჭამაზე რაგვერ დაჯდებ, ანამ რაგვერ წვება-დ იძინებს!..**

კასინე გულუხაიძე (მისი გაცნობისთანავე რომ დაიმსხვრა ჩემში სტერეოტიპი სიდედრისა!) – ლეკების რისხვად მოვლენილი ლოკალური გმირის შეთე გულუხაიძის პირდაპირი შთამომავალი; სოფელ ქუმელაურთაში, მისსავე ქვითკირში, 1925 წელს დაბადებული ბერდიაცი.

რუსუდან თილიძე – გორგი თილიძის (ხალხური: **„გორგის ციხეზედ აკრავის თორმეტ მარჯვენა მტრისაო“...**) სახელოვანი გვარის 84 წლის ქალი.

კასინეს სმენის, მეხსიერებისა და მხედველობის მხრივ დიდად არაფერი დასტყობია; ფეხზე დგომისა და გადაადგილების ღონე აღარ შესწევს და, ეს ათი დღეა, ლოგინსაა მიანაბრებული.

რუსუდანი ჯერხნობით მხნეობს და ქვემო უბნიდან მონდავის მოსანახულებლადაა ამოსული.

ორივე ბასრი ქვის ნატეხივით მაგარი, საკირის ცეცხლის სიმხურვალეში ნაწრთობი, „უდერა“ ტკივილნაწვნევი ქალია. მშვიდად, უშიშ-



პირიქითის ხეობა, თუშეთი

რად, აუფორიაქებლად მოელიან საამსოფლო დღეთა „გათავებას“. ნატრობენ და ვერ აუხსნიათ, რად აგვიანებს, რა ღობე-ყორეს ედება და რად არ ჩანს ის, ვის სიაშიც (ე. თათარაიძე: **„ჩვენ უბანსაც უარ-ჩუარ მიქელ-გაბრიელის სიამ“**) უკლებლივ ყველა ჩვენგანის ვინაობა გარკვევით, მკაფიოდ, პედანტური სიზუსტითაა ჩაწერილი და „ჩაგვირისტებული“.

P. S. დღეს 1 თებერვალია. წელი – 2015.

„მე ახლა მივხვდი...“

აკაკი წერეთელმა ენა დაუწუნა **„მარგალიტების მთესველ“** ვაჟა-ფშაველას (კონკრეტულად: ფშაური კილოს მოჭარბებული გამოყენება უსაყვედურა). მწუნობარ ლექსში არის ასეთი სტრიქონი: **„მე ახლა მივხვდი ყოლიფერს.“**

ერთ-ერთი გამოცემის მესვეურებმა იგრძნეს საჯაყი უხერხულობა და „უმნიშვნელო“ ტექსტოლოგური პროცედურა ჩაატარეს: აკაკის ლექსში იმერული **„ყოლიფერი“** ლიტერატურული **„ყველაფრით“** ჩაანაცვლეს...

ვაჟას, როგორც მისი ქალიშვილი გულქან რაზიკაშვილი იგონებს, დიდად არ უნაღვლია სათაყვანებელი მგოსნის უმკაცრესი შეფასება: ბრალს სდებდა სწორედ იმაში, რითიც თავი ეწონებოდა (ცნობილია ის განსაკუთრებული პატივისცემა, რასაც ვაჟა იჩენდა თავის წინამორბედთა თუ თანადროულ შემოქმედთა მიმართ. ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა გალაკტიონის ერთი ჩანაწერი: **„...აკაკის არაფერი სწამდა ვაჟა-ფშაველასი. გაკვირვებას ეძლეოდა, როდესაც ხედავდა ვაჟა-ფშაველას ტრიუმფს. სამაგიეროდ, ვაჟა მუხლს იყრიდა აკაკის წინ და სრულიად არ აწუხებდა მას აკაკის შეხედულება...“**)...

საჩოთირო იმერიზმის ვარიაციული ცალები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაშიც დასტურდება: **„ცოლი ყოვლისფრით პატიოსანი ქალია...“ „ერთი სიტყვით, ყოვლისფრით შემკულია...“ „ყოვლისფერი, მიხრა-მოხრა, ლაპარაკი, ხმა...“ „ძნელია ეს ყოვლისფერი, ჩვენო მკითხველო...“**

ილია სანიმუშო ქართულით შესრულებულ თავის პუბლიცისტურ წერილებში სწორედ იმ დიალექტურ ფორმას მიმართავს, რომელიც აკაკისთვის, როგორც იმერეთის წარმომადგენლისთვის, უფრო ბუნებრივი და „მისატევებელი“ უნდა იყოს (ორიოდე თვალსაჩინი ნიმუში აკაკის კრიტიკულ-პუბლიცისტური ოპუსებიდან: **„და, მართლაც, უფულო ანტრეპრენიორი იძულებული გახდება ყოლიფერი აიტანოს, ყოლი-**

ფერი დაუთმოს ჭირვეულ არტისტებს“... „გარდასული ყოლიფერი მივიწყებულია...“

სარეველასავით მოდებული ამ დიალექტური ფორმის ნებითი თუ უნებლიე „ლეგიტიმაციის“ კიდევ ერთი შემთხვევა: **„...მაგრამ ეს ყოლიფერი გაკვრით არის აქ თქმული...“** (ნიკო ნიკოლაძე).

ვთქვათ პირდაპირ: ყოვლად მიუღებელია თვითნებური ჩარევა და ჩასწორება (თუნდაც უაღრესად კეთილშობილური მოსაზრებით) ისეთი რანგისა და ავტორიტეტის მქონე მწერლის ტექსტებში, როგორიც აკაკი წერეთელი გახლავთ. ენისა და ლიტერატურის მიუკერძოებელი მკვლევარი აუცილებლად უნდა აფიქსირებდეს და აძლევდეს შეფასებას ანალოგიურ მოვლენებს.

მართებულად იქცევიან ილიას გამომცემლები, უცვლელად რომ ტოვებენ მის **„ყოლიფერს“**.

მართებულად მოიქცნენ აკაკის ტომეულების ბოლოდროინდელი გამომცემლებიც, სიტყვა **„ყველაფრის“** ავტოგრაფული ფორმა რომ დააბრუნეს მის ლექსში „ვაჟა-ფშაველას“.

„სამკლავმაგრო“ სათიბები

„უბისთავი და ღულისთავი –
ორნივე სამკლავმაგრონია...“
ხალხური

ვინ იტყოდა ამას, თუ არა ჯანიანი მთიბელი, ვისთვისაც სამეურნეო საქმიანობის ეს სფერო ისევე ზედმიწევნით ნაცნობი, ნაცადი და გაშინაგანებულია, როგორც საკუთარი სუნთქვა და ხელ-ფეხის ყოველდღიური მოძრაობა.

მთაში განასხვავებენ ნემსა და ფოთლოვან ბალახს: პირველი სათიბად ძნელია, ოფლის დამდენი, ხოლო მეორეს მაინცდამაინც დიდი ღონე და სიმარჯვე არ ესაჭიროება...

„ცელის ტარზედა ელღვეოდა“, – იტყვიან მთიბელზე, რომელიც ყოველი სვის(ხევს. **„ღვერა“**) ბოლოში ისვენებს და თვალი ერთთავად მზისკენ უჭირავს, როდის ჩავა, რათა დაიუქმოს და შინას მიაშუროს...

„სამკლავმაგრო“ სათიბი ხვედრია კაი ყმისა, **„წკმუტუნით“** რომ ჩასცილდებიან ცელის ნალევის დატუქსვილნი **„ქოჩნი“**, შიგადაშიგ



„მზე ძალობს აგვისტოს სათიბშია,
მხრის ჩრდილით გვაგრილებენ ორბები...“

შაბურა არაბული

გვრინსაც რომ დასძახებს და **„ნამხრევმშვენიერი“** სამხრობის ხანს იალაღების საცხვრე ზოლს მიუახლოვდება...

უბისთავი ფშავის მთაა, ღულისთავი-ხევსურეთისა.

ამ მთების მთიბელი ჯალაბობისთვისაც საიმედოა და სოფლისთვისაც: თუ გაჭირდა, მჭლე ხარივით კი არ ჩადგება ხნულში, ცელს დადებს, ხმალს გაფერავს და ავ მუსაიფს გამართავს მისი ღირსებისა და ვაჟკაცობის შელახვის მოსურნე გადამთიელთან.

ბიჭური – მოყმის დედის სულიერი ძმა

თეკლე ბადრიშვილი, – დიდი ფშაველი ხევისბრის ბიჭურ ბადრიშვილის სიტყვაშეუშლელი ქალიშვილი, – უამბობს ეთერ ერაძეს („კვირის პალიტრა“, 14.09.2015): **– ძმის, ღვთისოს, სიკვდილამდე ვიყავ ბედნიერი. ჩემ გულში იმის წილი სამუდამოდ არის დაბნელებული. უბისთავში, კარატის სალოცავთან, მომიკვდა (ამბობენ, ეხლა იქ გზა კეთდებაო. თუ ვიცოცხლე, უნდა ავიდე და ვილოცო)... ღვთისოს და პატარძეულელ მწყემსს შაქრო მესტვირიშვილს იქ ცხვარი ჰყავდათ... ქოხში შესულიყვნენ. ქოხს მეხი დასცემოდა და ორივე მოეკლა... მამამ ჩემი ძმის ცხედარი ჩვენებურებს გამოატანა, – მიმიხედეთო. თვითონ ადგა და შაქროს ცხედარს გაჰყვა პატარძეულში: დედამისი რომ არ მოკვდეს, როცა შინ შვილს მიუსვენებენ, იქ უნდა ვიყოო... აი, ასეთი მამა მყავდა!..**

P. S. ბიჭურისნაირი წინაპრების შემძლე ქედი, შეგნება და მაღალი ზნეობა აკავებდა გვიანობამდე საქართველოს **„ცა-ფირუზს“**, რომ არ ჩამოქცეულიყო, არ ჩამოლეწილიყო და უწმინდურ ტალახსა თუ **„საწუთროს ფეხით ნალახ“** (დავით გურამიშვილი) მიწამტვერში არ ათქვეფილიყო... ახლა? დღეს? – **„საკითხავი აი, ეს არის!“**

„ზიგული“

დაიბადა შუაფხოში, 1942 წელს. დაამთავრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატი. 22 წლისა დაოჯახდა. მისი ქმარი – მიხეილ პაპიაშვილი – ნარმოშობით ახადელი გახლდათ. „ზიგულის“ ხევსური დედა მზექალა ხორნაული მოტაცებით ჰყავდა მამამისს მოყვანილი. ავკარგიანი ქალი იყო მზექალა:როცა ვანო ხორნაული ცოლს გაშორდა, მზექალამ ითავა მცირეწლოვანი ძმების-გიგის, გოდერძის და სპარტაკის-დაზრდა...არც დაობლებული მაზლიშვილებისთვის დაუკლია და დაუმადლებია სითბო და სიყვარული... მეუღლე „სამამულო“ ომში დაკარგა. ფრონტზე რომ წაიყვანეს, ცოლი სამი თვის ფეხმძიმე დატოვა. გოგონა გაჩნდა და დედამ ბაბალე დაარქვა. უგზოუკვლოდ დაკარგულ ქმარს შუაფხოში სამარის მიწა მოუზომა და ხატის ხუცესს აკურთხებინა. მალე ერთადერთი ძმაც მოუკვდა – 24 წლის ხვთისო ხორნაული. კანალხევიდან ზამთრის გაკრიახულ გზაზე მარხილით მიდიოდა და მაღაროსკარამდე ვერ ჩააღწია:კოპალას ქვასთან, არაგვის პირას, დალია სული... მზექალაც გარდაიცვალა და ქმრის სიმბოლური საფლავის გვერდით შუაფხოს მიწაში დაიმარხა...

ფშავიდან ქვემოქედში გათხოვილ „ზიგულს“ (თიკუნი ბაბალე ქოჩაშვილისა) სიკვდილის დღემდე ახსოვდა და ენატრებოდა **„ბაღდადივით“** ძვირფასი **„ტიალი“ მთა: „...ბევრჯერ ვინატრი ჩემთვისა მთის წყაროს, ხევის ჩხრიალსა, დიდ ბუერაის ფოთოლსა, კენკეშას მუდამ რძიანსა, გუგულის კაბას ლამაზსა, ურგანას დიდგულიანსა. ხან ჟოლ-შალშვობა წასვლასა, ყვავილებს დილის ცვრიანსა, ფურისულასა ლამაზსა, ირმისტუჩასა წყლიანსა. რარიგა გულით ვინატრებ წერთხალას მჟავე წვნიანსა, შუბყა-დუცობა სიარულს, ჩადუნას ბუსუსიანსა...“**

ტიპიური ფშაველი ქალის ცხოვრება ხვდა წილად(მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული): ხან თუ იცინოდა, უფრო

ხშირად **„ტირილნი მაერეოდნენ“** და ცაც საავდროდ აბოჟირდებოდა ხოლმე. სიხარულს მუდამ ტკივილი და მწუხარება ჭარბობდა...

ბაბალე ქოჩაშვილთან ხანმოკლე შეხვედრის ბოლო კადრი: სიმინდის დაცერებულ ყანას თოხნიდა ქვემოქედში. ქვიან, ხირხატ მიწას ვაჟკაცივით ებრძოდა და თავის არეში ჩაბუდებულ გაუსაძლის, არაადამიანურ ტკივილებს ითმენდა. უკურნებელი სენი შეჰყროდა და დღიდან დღემდე სანთელივით ილეოდა ერთთავად ფშავის ყინჩ წყალჭალაზე მოფიქრალი შუაფხოელი ქალი...



ზიგული – ბაბალე ქოჩაშვილი

ეცნობი მთიელი მელექსეების თუნდაც ძალზე ძუნწ ბიოგრაფიულ შტრიხებს და აღარ გიჩნდება უაზრო, უადგილო კითხვა: რატომ ლივლივებენ ცრემლის უშრეტ ტბასა და ტბორში მათი მართალი პოეტური სიტყვის ნედლი საძირეები...

რიცხვების მაგია

რიცხვითი სიდიდეებიდან თავისი მისტიკური შინაარსით, რეალისტური განზომილებით, რელიგიურ-სარწმუნოებრივი ასპექტითა თუ, გნებავთ, სიმბოლური მნიშვნელობით (ის ხომ კოსმიურ ჰარმონიას განასახიერებს), გამორჩეული და გამოცალკევებულია 12 (თორმეტი).

წიგნში „ვაჟკაცობისას ამბობენ“ მამუკა ქალუნდაურის მიერ ხმლით განგმირულ ზურაბ არაგვის ერისთავის თორმეტ მეომართან დაკავშირებით მომეცა შემთხვევა, საგანგებო ყურადღება დამეთმო ამ რაღაცით უჩვეულო, გამონაკლისური მოვლენისთვის და იქვე, ვრცელ სქოლიოში, რამდენიმე ნიშანდობლივი მაგალითიც დამემოწმებინა ბიბლიიდან, ხალხური პოეზიიდან, საერო და სასულიერო მწერლობიდან... მერე და მერე, ძებნა-ძიებაში, იმდენი მასალა დაგროვდა, თვით ისეთი საზღაპრო და საკრალური ციფრებიც კი, როგორებიცაა 3 (სამი), 7 (შვიდი) და 9 (ცხრა), რაღაცნაირად გამკრთალდნენ და გაუფერულდნენ ესოდენ აქტიურ თორმეტთან მიმართებაში...



ჯუთელი ქალ-დედროვანი. XX ს-ის 10-იანი წლები

გავიხსენოთ(გავიცნოთ) ზემოდასახელებულ ნაშრომში მოუხმობელი პოეტური ფოლკლორის კიდევ ოთხიოდე ნიმუში: **„თორმეტთ შუაში დაჰბრუნდი, როგორც კალოში ჴარიო“; „ანდაქში ჩამოსულიყო თორმეტი ფარა ცხვარია“; „თორმეტი ულვაშკოკორი მე მოვკალ ქალმა იამა“; „ქალაქს მძლივ წავაღებინე თორმეტ უღელა ჴარსაო...“**

რაღა მაინცდამაინც თორმეტი და არა, ვთქვათ, თოთხმეტი ფარა ცხვარი ანდა ამდენივე **„უღელა ხარი?“**

კონკრეტული რიცხვითი ერთეულის ხშირი ხსენების კანონზომიერების ახსნაში ვერც მინიმალური მათემატიკური ცოდნა მშველის და, მითუფრო, ვერც მისნობის და მარჩიელობის თითქმის ნულოვანი უნარი...

და, აგერ ეს 120 (ასოცი) რაღაა, ადამიანთა ასაკის ზედა ზღვრად რომ დადებულა და დაწესებულა ხალხური სიტყვიერებისა თუ ეთნოგრაფიული რეალიების შემკრებთა ზედმიწევნით მშრალ შენიშვნებსა და მეხსიერებახალას ინფორმატორთა უეჭვო, სანდო ნარატივებში?..

„...გალავნის შიგნით ას-ოცი წლის ბრმა, თოვლივით გათეთრებული წვერ-ულვაშით გიორგი კოჭლაშვილი დგას და ლოცვით წარსულს იგონებს...“ ეს ხდება ფშავში, უძილაურთის მთის მწვერვალზე, კოპალას დღეობაზე, რომელსაც ექიმი გიორგი თედორაძეც ესწრება და ნანახსა და გაგონილს იქვე აფიქსირებს...

„ასოც წლისა მოკვდ ერთ შაოანთ ბებო. თვალებსაც იგრ უჩინდ, რაგვერც სარკეი-დ ჭკვა-გონიც ისთა ხქონდ, აი, რაგვერც იახლ შენ“, – აწერინებს წლების წინათ კასინე გულუხაიძე ზამთრის არდადეგებზე თბილისიდან შინ (ზემო ალვანში) ჩასულ ეთერ თათარაიძეს...

თორმეტი ათწლეულის ჰარმონიიდან ოდნავი გადახვევა: 1934 წელს გუდამაყრის სოფელ ზანდუკში ელენე ვირსალაძეს ხალხური ლექსი „მასვინარეთ მასვლა იქნა“ 120 წელს გადაცილებული გიორგი (ლეგა) პაპის ძე წიკლაურისაგან ჩაუწერია...

მახსენდება 120 წლის თორღა (ამ ფორმითაა ამოკვეთილი კაცის საკუთარი სახელი) აფციაურის სამარის ქვა წინამხარში(გუდამაყრის ხეობა), **„შუბისნვრად“** ჩადგმული კოხტა ქედის თავზე, ეკლესიის ეზოში; ქვა, რომლის გვერდებს ლაპიდარული სამგლოვიარო ლექსი და მოხუცის შთამბეჭდავი გამოსახულება ამშვენებს...

და კიდევ ერთი 120 წლის მამაკაცის (თუ არ ვცდები, გვარად ქავთარაძის) ფოტოსურათი, დაბეჭდილი სერგი მაკალათიას მონოგრაფიაში „მთიულეთი“...

თორმეტი და ასოცი...

შემთხვევითობაა თუ მართლა არსებობს რამეგვარი ლოგიკა ამ ორი „ენიგმური“ რიცხვის ასეთ ინტენსიურ თამაშსა და მიმოქცევაში? და ეს კითხვაც იმ პასუხგაუცემელ (ანდა სათანადო სისრულით გაუშუქებელ) საკითხთა გრძელი რიგიდანაა, რომელთა ახსნას ჩემ გონებრივ შესაძლებლობათა დასაზღვრული სივრცე არ ითვალისწინებს.

ლენვა და „ბერტყვა“

„მოყინულ კალოზე შვრიას ლეწავდნენ...“ ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატის“ ამ ფრაზამ შორს დარჩენილი სიყმაწვილის მზრალი დღეების ეს სადაგი სურათები განმიახლა და გამომიხმო წარსულის უძირო წყვდიადიდან: ფერგაცრეცილ ცაზე სვენებ-სვენებით ამოსულა სულიერ-უსულოთა უშურველად მანუგეშებელი მზე. ხმელ, გათოშილ ბალახზე თვირთვილი ბზინავს. სამარხილე შარაგზაზე დამდგარ გუბეებს ღამღამობით ყინულის მჭახე, სიფრიფანა ფენა ფარავს. ალაგ-ალაგ გათიბულ მზვარეში ბალანაშლილი ბერწობაა მიმოფანტული. საშემოდგომო სამუშაოების დროულად დამთავრებაში ერთურთის მჯობინობის ჟინი დაუფლებია გამრჯე, ფეხჩაუხრელ სოფელს. ქერი

გალეწილია და საპურე გოდრებში დაბინავებული. ჯერი სვილის (იგივე ჭვავი) დაჟამკრებაზე მიმდგარა. მოსუფთავებული კალოს ცალ მხარეს გაწყობილ მსხვილ ძელებზე სიპის ბრტყელი ქვებია დახრით დაყუდებული. სვილის სერკვიც იქვე, ბზიან საჩადლში დგას. მალე მშობლები (ეს საბალღო საქმე არაა!) სერკვს „მოხდიან“, ე. ი. წვიმა-წყლისგან დამცავ ჩაჩს გადააცლიან და მძიმე-მძიმედ შეუდგებიან „ბერტყვას“. სიპზე დაშხვეპილ ძნას საღი, მოგრძო მარცვალი სცვივა და ძირს გროვდება, ხვავდება... კალოზე ჩაშლილი ქერი, როგორც წესი, ცხენებისა და ხარების ფეხით ილეწება, ხოლო სვილი – სიპზე „იბერტყება“ კაცის ხელით...

ქერ-სვილის ლურჯი ყანები ნიავზე რომ ილასტებოდა, ეს თაკარა ზაფხულში იყო. ახლა ატკრეცილი, გამიზეზებული სთველია და სიცოცხლის ჭკნობის მელანქოლიური მელოდია რეკვიემივით ეფინება გაყვითლებულ მთა-ბარს...



ზამთრისპირი

გული გიკვდება: სისხლსავსე სოფლური ყოფის ისეთი სახიერი შტრიხებია ნაშლილი და სამუდამოდ დავიწყებული, ინტერნეტსივრცეში ანდა წიგნებში-ღა რომ მიაგნებენ და ამოიკითხავენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები.

.....

გრილი დილა.

სვილის სერკვი „მბერტყავებს“ ელოდება.

სოფლის კარიკურთ მოყვანილი პურეულისგან მწარე (თანაც წარმოუდგენლად ტკბილი!) წინწანაქარი და სვიანი სადღეობო ლუდი მზადდება!..

არა ურაპატრიოტული

„და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე
შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი“.

ოთარ ჭილაძე

თეზამში სრული სიმარტოვისა და შინაარსიანი ყოფითი სიმარტივისთვის ხელსაყრელი ისეთი მყარი, შუმი სიმყუდროვეა, ქვეყნიერების არც ერთ გრძედსა და განედში, კუთხეში, სოფელში, აულსა თუ ხუტორში რომ არ გეგულება!

ეს-ესაა მზე ჩავიდა, ჩაეფარა დასავლეთის ფერნაცვალ, მიშემოდგომებულ მთებს. დამშვიდდა, დაშოშმინდა ნასიცხი, უწყლობით დაშაშრული მიწა. მორღვეული ღობის შიგნით აღმართულ იფნის ორ ბებერ, უზარმაზარ ხეს სასაღამოე რინდი შეჰპარვია. ჩაყუჩებულან ღელის გასწვრივ ჩარიგებული ნახევრად ველური ხეხილები...

ცურსავსე, ეჟვანშებმულმა (ხშირტყიანებში რომ ადვილად მიაგნოს პატრონმა) ფურებმა ფიჩხის ლაწამტვრევით გამოჩქვიფეს თეზმურას ჭყანტიანი ტოტი და აღმართ ორღობეში მიეფარნენ თვალს.

ღამე ღონეს იკრებს. თანდათანობით ღრმავდება და ღვინდება. ხეთა კენწეროებში სავსე, პირბადრი მთვარე მოგორავს; ცათა უსასრულობიდან დამზერს ტყიან სერებს და დროდადრო გახამებული ღრუბლის თხელი, თეთრი ლეჩაქით იმალავს ჭორფლიან სახეს...

გაღმა უბანში (გამოღმელები გამოჯავრებით „ჯუნგლებს“ რომ ეძახიან) ღამის უჩინარი ფრინველი მოთქვამს. რა ჰქვია ამ ფრთოსანს, არ იცი. ზარნაშო? მიკიოტი? – ოჰოჰოო! – გამოგძახის და თავის „დაშიფრულ“ კილოკავში მთელი ცისქვეშეთის ბალღამს, დარდსა და სატკივარს იტევს. რა აწუხებს, რა აღონებს, – რატომ ვერ ჩუმდება და წყნარდება, მიდი და გაიგე!..

ამწამს აქაურობა გეთავისება, მოგწონს, გეტკბობა, გესაკუთრება და გგონია, რომ ესაა „სამყაროს ჭიპი“, მაგრამ გაგონდება იდილიის ის წარუვალი წამებიც, გასულ ზაფხულს „ზეთაზე“, ქვიშხეთში, ნიკორწმინდის ცაცხვებიან ეზოში, მარტვილის კანიონებსა თუ ხობის მონასტრის შემოგარენში რომ განიცადე და წარმოდგენა გეცვლება, გისხვარიგდება...

მართლაც: **„საქართველოო, ლამაზო!..“**

წიგნი დღეს, წიგნი – ასწლეულების მერე

„პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაჲ არს. ღმერთმან მზე და მთვარე ხორცთა ჩვენთა სახმარად დაჰბადნა, ხოლო წიგნნი – სულთა ჩვენთა განმანათლებლად მოგვმადლნა“.

გავა ასწლეულები და მარადისობის კონტექსტში, აბსტრაქციის სფეროსა და განზომილებაში დავით ჯიბისძის – XI ს.-ის ნაკლებცნობილი ქართველი მოღვაწის – ამ დამაფიქრებელ სიტყვებს ჭეშმარიტების „შარმი“ თუ შარავანდი არ მოაკლდება, თუმცა ერთი ხდომილების,

ერთი სამწუხარო „ნახტომის“ პერსპექტივაც არ უნდა გამოვრიცხოთ: შესაძლოა ზეკომპიუტერული ეპოქების მკვიდრთათვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელიც კი აღმოჩნდეს კაცთა ცხოვრებაში წიგნების ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ ყოველი ამდაგვარი რიტორიკა.

მზისა და მთვარის დანიშნულების პრაგმატულ შინაარსთან შედარებით წიგნი ხომ კარგად გამოცდილი ის უსასრულო გზაა, ღვთიური სიბრძნისა და სულიერი სრულქმნის ტაძრისკენ რომ მიჰყავს ადამიანი!.. ხოლო არცთუ მთლად უსაფუძვლო პროგნოზის აცხადება და განამდვილება, შეიძლება ითქვას, დასაბამი იქნება დიდების მწვერვალიდან კაცობრიობის **„თავ-თავქვე“** (ვაჟა) თანდათანობითი სვლის დამღუპველი, შეუქცევადი პროცესისა...

მაშინ და ახლა

„...გლოვა შინაგანია, გლოვა განცდაა, გლოვას
გამოჰხატავს ადამიანის შეძრწუნებული სული“.

ოთარ ჩხეიძე

დღემდე ჯიუტად თანამდევი, აქამდე განუმქრეველი განცდა: ჩემ სიყმაწვილეში იშვიათი იყო ადამიანების სიკვდილი! სოფელში რომ ვინმე გარდაიცვლებოდა და ხმა გავრცელდებოდა, ისეთი ამბავი ატყდებოდა, იფიქრებდი, საყრდენებგამოცლილი ცის თაღი ჩამოიქცაო. ხვნის დროს, დილაც რომ ყოფილიყო,უღელში შებმულ ხარებს აუშვებდნენ; თიბვაში ცელს დადებდენ, „დაასვენებდნენ“. მიცვალებულს დაუქმებით სცემდნენ პატივს. აფასებდნენ, სამზეოზე ყოფნის დარჩენილ დროს „ულამაზებდნენ“. მთელი სოფელი, ბალღიანად და ქალ-კაციანად, იქ იყო, ჭირისუფლის სახლში, ზოგი უჩუმრად, გულში ჩაბრუნებული ცრემლით,



ცასთან ახლოს

ზოგი კიდევ ხმამაღლა მოთქვამდა, გლოვობდა და გულატირებული ემშვიდობებოდა სამუდამოდ დადუმებულ ადამიანს...

საკვირველი ნიჭის **„გლოვის მგოსანთა“** იმპროვიზაციასა და ვაიუშველებელს, არცთუ იშვიათად, ქარ-წვიმისა თუ სათოვარის მოხშირებით თანაუგრძნობდა და ბანს აძლევდა დამწუხრებული ბუნებაც...

დამზაფვრელია დეჰუმანიზაციის მოლიპულ შარაზე შემდგარი დღევანდელობა: ღობის ჩხირად ქცეულა სხვათა ჭირი. ისე შემოგვეჩვია და გაგვიშინაურდა, შემოგვეთბო და გაგვითამამდა ნაადრევი, არაბუნებითი სიკვდილი, ცრემლიც გაშრა, დაიშრიტა და მდუღარე, არასაგამჩვენეო შეცხადებისა თუ ზარიანი დატირების მწვე, დაუძლეველი წადილიც.

შიშიათ თამაშა

ბალღობიდან ამყვა ცხენის ურჩი, მოურჩენელი სიყვარული. სულ მეჩვენებოდა და, მჯეროდა კიდეც, რომ ცხენს ადამიანის ენა ეყურებოდა; დაუყოვნებლივ ასდევდა მის ნებას და ცდილობდა, ესიამოვნებინა; გაეგო მხედრისა თუ უბრალო მგზავრის გულისწადილი და ტოლ-სნორებთან შეჯიბრში თავიც ესახელებინა და პატრონიც... სხვა შინაური ცხოველებისგან ერთგულების უზღვავი დოზით გამოურჩევია გამჩენს. ტყუილად ხომ არ იტყოდა უტყვთა და მეტყველთა ავანჩავანის ძირისძირეულად მცოდნე ვაჟა-ფშაველა: **„ლურჯავ, შენც გრძნობა გქონია, როგორც კაცს, ადამიანსა...“**

ჰოდა, რაც უფრო მიყვარდა, მით მეტად (ამას მერე მივხვდი, დიდობაში) ვტანჯავდი და ვასავათებდი მტვრიან თუ ტალახიან გზებზე ჭენებით. და ცხენის მიზეზით ხიფათსაც არაერთხელ გადავყრივარ: მარჯვენა ხელის ბერა თითის ტკივილი დღემდე მახსენებს თავს, ხოლო მუცლის არეში, ზედ მზის წნულთან, ვასკას – ჩვენი ოჯახის ნაიალაღარი, გაყალაღნებული ცხენის – წყალობით იაგო საბაურის ექვსი ნაკერის კვალი ახლაც მატყვია...

ცხენს, მითუფრო სხვისას, დიდად უფრთხილდებოდნენ და ზოგავდნენ მთაში. სინდისთან მწყრალად ყოფნას საყვედურობდნენ კაცს, რომელიც წელში გამწყვეტი სიმძიმის საპალნეს აჰკიდებდა მებარგულსა თუ სადოღე ცხენს.

მთასიქითური სამგზავროობისთვის, როცა **„საპირიქითოდ გაიხსნებოდნენ თოვლით შაკრულნი მთანი“** (ვაჟა), მეზობლისგან საფერხის თხოვება სამუდამოდ უნდა გხსომებოდა და ხელისგამმართავი ოჯახისთვის შენც სიკეთით, თიბვა-მკაში წაშველებითა თუ სხვა სახის პატივისცემით გადაგეხადა...

და საუკუნესაც რომ ავემგზავრო, არასდროს დამავიწყდება მამაჩემის გაცეცხლება, ხოლო მერე, როცა სიფიცხემ გაუარა და დაწყნარდა, დასამახსოვრებელი დარიგება: – რომ არ შეიმჩნიონ და არც არაფერი თქვან, იცოდე, შიშიათ კარზე ცხენის სათხოვნელად აღარ მიგვესვლება. დაოთხილი ცხენით სოფელში შემოსვლა არაა კაი საქციელი!..

დედულეთში ოთხდღიანი სტუმრობიდან ორი ღონიერი უღელტეხილის – ქიდექისა და ქვენამთის – გავლით დედაჩემთან ერთად ჯუთაში ვბრუნდებოდი. გამოჩნდა თუ არა სანუკვარი სოფლის ხასხასა არე-მიდამო, შიშიათ თამაშას მათრახი ვაგემე და ჭენებით გავიარე დედრუსსწორი, ჩხატაის აღმა და სათბილოვანა. ამ დროს ბანზე მჯდომი მამაჩემი დურბინდში ხედავდა ჩემს „ვაჟკაცობას"... ბევრი არ უბობოქრია. მხოლოდ რამდენიმე სასაყვედურო სიტყვა მითხრა. მერე ცხენს უნაგირი მოხადა, ძუა-ფაფარი ჩამოუშალა და წყლის დასალევად სარუეზე ჩაიყვანა...

.....

თითქოს მანამდე არგაგონილი გამოუსწორებელი დანაშაული ჩამედინოს, ის დღე რომ გამახსენდება (და უკვე მერამდენედ!), სინდისის ქენჯნა გამკენწლავს და ამაწრიალებს...

ახმეტური ნოვაციები

პანკისის ხეობის მხრიდან ახმეტაში რომ შეხვალ, ორმხრივ მოძრაობას შორის მოქცეულ მტკავლისტოლა წრეხაზში აღმართულ რკინის მომრგვალებულ კონსტრუქციას დაინახავ, „დამშვენებულს" შემდეგი წარწერით: **„პანევეჟისის მოედანი".**

იქვე, ორ ნაბიჯში, ბახტრიონის დასახვევში დგას სავაჭრო დანიშნულების „ინოვაციური“ შენობა, რომლის ფასადს დიდი ასოებით აწერია: **„საფშავლო ხაჭო-ერბო“...**

დაინტერესებულმა პირმა, თუკი არ დაიზარებს და რაიონული ცენტრის შუაგულისკენ გადაინაცვლებს, შეიძლება ამგვარი წარწერაც აღმოაჩინოს: **„დათვი ხეზე როგორ გავა, იავნანინაო“...**

კონკრეტული ეპოქისა თუ სახელდებითი დასახლების (ასევე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის) კულტურული დონე, ინტელექტი და გონსაწიერი საოცარი სიცხადით იკითხება ხოლმე ერთურთის სიახლოვეს განთავსებულ ანალოგიურ წარწერებში!..

საგა სტუდენტური

ანდრო ბუაჩიძის ვრცელი წერილი შერმადინ ქალდანზე. უფრო სწორად: რეკვიემი – გახსენება. არც ერთი უადგილო, უფუნქციო, ყურით „მოთრეული“ სიტყვა. აზრის ბუნებრივი მდინარება. სანიმუშო სისადავე და სევდა – ღრმა, უსასრულო, მოურჩენელი!..

ქარავანი, რომელიც მუდმივად, გაბმით, დღე და ღამ მოძრაობს, იცვლის „დისლოკაციის“ ადგილს, გადაადგილდება; ქარავანი, ნაღდ შემოქმედთ, პოეტური სულით ანთებულთაც რომ მიითვლის და შემთხვევით მათ მარაქაში მოხვედრილ გრაფომანებსაც (კითხვისას უდაბნოს ალუზიაც უნებურად იბადება, უდაბნოსი, რომელიც სიმბოლოა უწყლობისა, უნაყოფობისა, ბერწი სიცოცხლისა)...

შერმადინ ქალდანი – გამორჩეული ხმის, ხედვისა და ხელწერის პოეტი, არაორდინარული პიროვნება, ბოჰემური პერსონა; ტიპი, გარეგნობით გულზე მიხაკმიბნეულ ტიციან ტაბიძესაც რომ ამსგავსებდნენ

(და არცთუ უსაფუძვლოდ) მისი მეგობრები და თანამეინახენი...

ანდრო ბუაჩიძის წერილი-გახსენება: სიჭაბუკის აღმავალ დღეთა პულსაციის ზუსტი დეტალები, სტუდენტურ ურთიერთობათა დაუვიწყარი ნიუანსები, სახინკლეების ოხშივარი და ქაფქაფა ლუდი, ფსიქოლოგიურად უტყუარი სახასიათო შტრიხები. და ეს ყოველივე: ნაჩვენები ტკბილ-მწარე დროჟამის ერთიან კონტექსტში...



შერმადინ ქალდანი

ასე რომ წერო, უნდა გტკიოდეს, სული სუფთა უნდა გქონდეს. სხვანაირად მეგობრის მეტყველ პორტრეტს ვერ ჩამოძერწავ, ვერ ჩამოაქანდაკებ: ნაწერს სიყალბის ნაკვალევი თეთრ ფურცელზე ნესტისგან გაჩენილ ყვითელ ლაქასავით დააჩნდება...

ქარავანი – უძრაობას, დამდორებას, დაყოვნებასა და ერთ ადგილზე დასაყდრებას სიკვდილი რომ ურჩევნია!..

ხანდახან მეც იმ მბორგავი ქარავნის წევრი თუ ნაწილი გახლდით. ამიტომაც ბევრი რამ მეცნო და მენიშნა ანდრო ბუაჩიძის ამ თბილ, ემოციურ ოპუსში...

პირადი და მარადიული

„ლექსო, გაჰკვეთე უკუნი, გულს გრძნობად გაეყარეო, შენ მაინც დარჩი ამ ქვეყნად, მე ხომ ვერ გავიხარეო... რად გაჩნდი ქვეყანაზე- და ცრუ ხალხის ენავ, მწარეო!..“

ავტორი: ოთარ ლიქოკელი.

ვინ იცნობს?..

რა ღველფი და ღადარი ბუგავს მის მზერას, გულსა და გონებას, ესეც არ ვიცით...

ამოთქვა ნაწილი ჯავრისა და ვარამისა. ბევრი, ალბათ, ისევ ამოსაღერღი დარჩა. დაგვანახა დარდის მორევის მკრთალი კონტური და გვერდზე გადგა, განგვეშორა, კვლავ პირად საფიქრალს გაენდო და გაუმარტოვდა...

რამდენი ასეთი (მეტნაკლებად ღირებული) ლექსი თუ სტრიქონი დევს და დუმს მათი „უსწავლელი“ ავტორების მეხსიერებაში, რვეულებში, გაცრეცილ უბის წიგნაკებში, თვითონაც რომ არ იციან, ბოლომდე ვერ ნვდებიან და სრულად ვერ აცნობიერებენ მათ ძალას, ხიბლს, სამომავლო მნიშვნელობას...

და ბევრი თუ არაფერი, ეს ხომ მაინც ვიცით, რომ, თუკი ბოლომდე ცივილიზაციის მძევლობა არ გვიწერია, სულის მაცოცხლებელი ფრთაჭრელი ლექსი, ადრე თუ გვიან, უეჭველად გაჰკვეთს უკუნის კალთას, ყურს დაუამებს წუთისოფლის უნიშანგეზო მგზავრს, ვისთვისაც ჯერ კიდევ იარსებებს ის დიდი მადლი, რასაც ხალხური სიტყვა, ხალხური ყუვი და საქცევი, ხალხური პოეტური მეტყველება ჰქვია.

მთაზე გადამავალი შუქი

ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ სოსიკო მერკვილაძისეულ ჩანაწერში (მთხრობელი ჯოყოლა არაბული, სოფ. ჩირდილი, თიანეთის მაზრა; „აკაკის კრებული“, 1897, № 3) ავთანდილს დევი (დიახ, დევი!) უამბობს ხელქმნილი ტარიელის შესახებ: **„ერთმა პირქუშმა მოყმემა ცხენ-ხეთქით ჩამომიარა... ღიმნი ქმნა, კბილი გამოჩნდა, მთას შუქმა გადაიარა...“**

იმავე საუკუნის დამლევს თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავში მოპოვებული უმშვენიერესი ხალხური ლექსი: **„მათურის ძირას წისქვილნი მარილის გულებს სცრიანო, შიგ ქალნი სხედან ლამაზნი, ვაჟკაცის გულსა ჰგლიანო, წამოვლენ, ხელ-პირს იბანენ, შუქნი მთათ გადადიანო“...**

რომელია უწინარესი, რუსთაველის პოემის კოლორიტული ფრაგმენტის ხევსურული ვერსია თუ ფშაური ნარმომავლობის საქალვაჟო პოეტური ქმნილება? ორ ავტორ-მთქმელთაგან რომელმა იხილა პირველმა **„მთაზე გადავლილი შუქი?“** იხილა და მოხდენილ ტროპულ სახედ ჩამოქნა ტრივიალური ცხოვრებისეული ამბავი...


ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, აშკარაა გავლენისა თუ ფოლკლორული „სესხების“ კვალი; ისიც აშკარაა, როგორ, რა დოზით და ხარისხით შეიძლება გაისისხლხორცოს წინა თაობების სახელოვან მელექსეთა სვრელში ჩამდგარმა ახალბედა მელექსემ სახეობრივი აზროვნების კონკრეტული ნიმუშები და თავისი „ნათქვამის“ საყრდენ ღერძად აქციოს ისინი... აქციოს და, გამომდინარე ზეპირსიტყვიერი შემოქმედების სპეციფიკიდან, არანაირ უხერხულობას არ გრძნობდეს წინამორბედ მესიტყვეთა პოეტურ კარმიდამოში დაუკითხავად „შეპარვის“ გამო!

ნიკორი

ხევიდან ჯუთისკენ ქევქევით მიმავალ შექეიფიანებულ ცხენოსნებს შუა გზაზე შემოაღამდათ. „ჯაჯთაღმაში“, ნადარბაზევს ზემოთ, ორი ნაბორძიკებული ცხენ-მხედარი ერთურთს შეეჯახა. სამარხილე გზიდან გადავარდნილმა ჩვენმა ნიკორმა გრძელ წყლისპირა ჭალაში დალია სული. საბედისწერო წამს ცხენიდან გადმოხტომა მოასწრო და უვნებლად გადარჩა ბიძაჩემი – გიგიტათ ნათელისძე...

ვიქნებოდი, ასე, ოთხი-ხუთი წლისა...

სისხამზე შინიდან გარეთ გამოსულმა (არ მავიწყდება, როგორი ნეტარი, სამოთხისსადარი უხარვეზო დილა იდგა!) ბანზე დავინახე ქვაღორღიან ფერდობზე ხეთქებისგან გვარიანად შელახული უნაგირი – მინით მოსვრილი ყაჯრითა და თოქალთოთი, მოქნილი ტყავის სამკერდულ-საძუეთი და მოსართავებით, აღვირით, სევადიანი ვერცხლის ულამაზესი სამკაულებით.



სწორფერნი

იდო უძრავად, როგორც უტყვი და, ამასთან, უტყუარი დასტური წუხანდელი ტრაგედიისა...

აღარსად ჩანდა ჩემი უსაყვარლესი ნიკორი – კოხტა, ტანფეხ დაკვალთული, ჭკვიანი, პატრონის გუნება-განწყობის უშეცდომოდ შემცნობი მგრძნობიარე ცხენი...

ზაფხულის გრილ, მშვიდ, უავდრო დილას სიცოცხლის მარადიულობის მაუწყებელ საგალობლად ეფინა უსუფთავეს სივრცეში ლაღად მოსრიალე მერცხლებისა და ბუდეებს შეყუჟული მათი უმწეო ბარტყების დაუსრულებელი ჭიკჭიკი...

და ბიძაშვილის გაუფრთხილებლობის გამო გულმოსული მამაჩემის დანახვაზე დედის მშვიდი, დამზავებლური რეაქცია: – **რაიღ ეშველების, ვეღარცაით გავაცოცხლებთ, ეგი, რაიც ას!...**

ჯერ კიდევ როდის...

არსებობს ზღვარი, ზღურბლი, მთიელთა წეს-რჯულის ტერმინოლოგიით – **„სამრისხველო სამანი“**, რომლის დამლახავისა და დამრღვევის მიმართ მიმტევებლობისა თუ ტოლერანტობის ნებისმიერი გამოვლინება სიბრიყვისა და უთავმოყვარეობის, ანტიეროვნული კანონებისადმი მონური მორჩილებისა და დანაშაულებრივი დუმილის დასტურად აღიქმება...

გრიგოლ ორბელიანი სწერს სოფიოს – ყაფლან ორბელიანის მეუღლეს: **„... ჩვენს ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგიერ, ჩამოეთესლნენ პოლოზოვები, აბოვიანცები! ფიტარეთი! ჩვენის მამ-პაპების სასაფლავო უფალს თაიროვს გაუხდია ცხვრების ფარეხად!! ჩემის სიბერის უკანასკნელ დღეთა მიმწარებს ესე განუშორებელი ფიქრი ჩვენის ოჯახისათვის“** (ი. მეუნარგია, თხზ., I, თბ., 2010, გვ. 169).

სისხლიანი კავკასიური საგის მონაწილე რომანტიკოსი პოეტი-გენერალი **„საფლავს სიმწარით რომ ჩადიოდა“**, ამ ფაქტში, ასაკისმიერ უიმედობასთან და ეროვნულ სატკივართან **(„დაემხო ჩემი სამშობლო...“)** ერთად, ეჭვი არაა, ლომის წილი ედო შელახული საგვარეულო საძვალისა და შეურაცხყოფილი ფიტარეთის (და, ალბათ, კუმისის წმინდა სამების ეკლესიისაც) სავალალო, გულისგამხეთქ სანახაობებს...

პრინციპული პიროვნული პოზიცია

ავტომანქანების შემკეთებელთა ის კატეგორია, ვისი თავმდაბლობით, კეთილშობილებითა და შემნდობი, შემბრალებელი ბუნებით ალბათ ბევრ ჩვენგანს უსარგებლია, თავის პროტესტსა და უკმაყოფილებას არაერთგვაროვნად გამოხატავდა(და გამოხატავს დღესაც)... მთავარია, კარგად დააკვირდე პიკანტური ფოტოსურათებით აჭრელებულ მათი სახელოსნოების კარსა და კედლებს; დააკვირდე და იპოვო უწესრიგო, წაქცეული წარწერები, ამ პიროვნებათა შინაგან ამბოხთან ერთად მძიმე სოციალური ყოფის იუმორისტულ ხედვასაც რომ ამჟღავნებენ და ათვალსაჩინოებენ...

უბის წიგნაკში პირველწყაროდან კაიხნის წინანდელ გადმონაწერს გადავაწყდი. ადგილი: ბარჯისხევსა და ბაკურციხეს შორის მდებარე გზისპირა ავტოსახელოსნო. კედელზე გაკრული,სქელ მუყაოზე გაკეთებული მოკლე განცხადება იუწყება: **„მანქანის შემოწმება 3 ლარი. მუქთაზე, ნისიაზე, ძმობაზე, მეგობრობაზე, გავივლი-გამოვივლიზე არ ვმუშაობ. გრიგოლა“.**

ღმერთო, შეეწიე და ემფარველე გრიგოლას გულისტკივილის გამგებთა და გამზიარებელთ!...

ბერიკები

გასულ ზამთარს გომბორის უღელტეხილით რამდენჯერმე მომიწია ალვანებში ჩასვლა: მისულფერებული სნეულები, პანაშვიდები, ხარჯები და გასვენებები... კარგსა და საამოს ხომ იშვიათად გაიგონებს კაცის ყური!..

გომბორის მხარეს, აქეთა ფერდობის გზაზე, ტერფამდე თოვლსა და ასე თუ ისე გასაძლის ყინვაში ბერიკების დანახვამ რაღაცნაირად გამახალისა და გუნება გამომიკეთა. გავესაუბრე და არც შესაწევარი დამნანებია.

რამდენიმე ჯანიანი ჯეილი და ორი მოფამფალებული კაცი ატარებდა რიტუალს, რომელიც ათასწლეულებს ითვლის და მრავალმხრივ ინტერესს აღძრავს როგორც რიგით მაყურებლებში, ასევე თეატრალური ხელოვნების ხალხური საწყისების საკითხებზე მომუშავე კვალიფიციურ მკვლევარებში.

ცხვრის ტყავის გაქუცულ ქურქებში, ნაბდის ქუდებში, გამურულ ნიღბებსა და მამაპაპურ ქალამნებში გამოწყობილი მესახიობენი დოლ-გარმონის თანხლებით ასრულებდნენ უხსოვარ წინაპართა მიერ შემუშავებულ უძველეს წეს-ჩვეულებას...

შემდეგ ჯერზეც, ასე, ორ-სამ კვირაში, იგივე რომ განმეორდა, არკეთილად მენიშნა, აღარ მესიამოვნა და უბრად ავუარე გვერდი უშნოდ მობარბაცე ფეხარეულ „მელოდარებს“.

მესამედაც (სიდედრის გარდაცვალების გამო კვლავ კახეთისკენ პირნაქცევმა) ისევ იქ, იმავე ადგილას რომ ვიხილე მოწყალების მომლოდინე „გმირები“, სვლა შევანელე, მანქანის მინა ჩავწიე და ვუსაყვედურე, რომ უკვე სამარცხვინო იყო, რასაც ისინი აკეთებდნენ.

– რატომ? აბა, გააჩერე! – გამომეკიდა ერთი...რა აზრი ჰქონდა საუბარს ადამიანებთან, ვისაც შემოსავლის (თუნდაც მიზერულის) უწყვეტ

წყაროდ უქცევია არქაული პლასტებით ესოდენ მდიდარი ეთნოკულტურული ფასეულობა...

ორთვიანი ბერიკაობა, თანაც ყოველდღიურ რეჟიმში, მე არ მსმენია (მოხეური გაგებით რომ ვთქვათ, მართლა ბერიკები!)...

საკითხავია, რა მაგალითს, ტრადიციასა და გზა-კვალს უტოვებენ ისინი თავიანთ შთამომავლობას.

მსგავს ცხოვრებისეულ ამბებს სწავლულთა ენაზე **„პროფანაცია“** (იდეის, მოვლენის და ა. შ. შებღალვა, შეურაცხყოფა, დამახინჯება) ჰქვია.

ერთხელ, ალაზნის პირას

შემოდგომაა. კორდები დილაობით თვირთვილს რომ იკიდებენ, აი, ის დრო... თუშებთან მწყემსად გამწესებული კახელი მიტო შირაქისკენ მიდის, მიღიღინებს. ცხვარ-ბინით მიუყვება ალაზნის ყუჩ, წატუსვილ ნაპირებს. ზედ მდინარის კბოდესთან, გატიტვლებული ჭადრის ძირში, ხახვისა და ნივრის ფოჩების გორა დგას... თავისიანებისკენ დაწუხებული მიტო ფეხს წაჰკრავს, წააწიაქებს და თავმომწონედ ჩაილაპარაკებს:- ეე, ჩვენ ბიჭებ პური უჭამია!

უთანაბრონი

თუში მეცხვარე შირაქიდან ცხენ-ურმით ეშურება მშობლიური ალვანებისკენ. მოუკირწყლავი, ოღროჩოღრო გზა კახეთის მსუყე სოფლებზე უდევს. გაგანია, გახურებული რთველია, ჩამტკბარი და ჩაბადაგებული. მგზავრს ნაპარსის და ნაწველ-ნადღვების ფულით გაძეძგილი უხეში ტი-



ვენახში

ლოს ტომსიკა მხარიღლივ ჰკიდია. ქარვისფერი რქაწითლით დატვირთულ, ვენახიდან გამოსულ ურემთან ჩერდება და შემხვედრს ეკითხება:-რა ღირს შენი ყურძენი? ნაბდის ქუდშეცერებული კახელი მევენახე დამცინავი ღიმილით უყურებს მზედაკრულ, გაუპარსავ, ჩამოფარხაულ თუშს: – რისი მყიდველი ხარ, წადი, გზას ბარაქა დაატანე!...

მოსაღამოვებულზე შინ მშვიდობით მისული, ეშმაკური ღიმილით შუბლგახსნილი, შარაზე გამოსული თუში თანაუბნელებს უყვება:-ჯერ კი ვიფიქრე,მოდი, ეს ყურძნით სავსე ურემი თავის ცხენ-პატრონიანად ვიყიდოო. მერე ვთქვი,ერთი ამათი დედაც, ესენი სადღა ვათრიოო და წამოვედი, გზას ბარაქა დავატანე...

„როგორც მთა ჩამოთოილი“

თვითირონიის სანუკვარი ნიჭით გახლდათ გამორჩეული ბატარკაც ბექაური, ნარმოშობით გუდამაყრელი მელექსე, მცხოვრები კასპის რაიონის სოფელ გარგალში. არც ფილოსოფიური ლირიკისთვის დამახასიათებელი ტრაგიკული ტონალობა ყოფილა უცხო მისი პოეზიისთვის (**„შამამეპარა სიბერე, მამხარა კირკალივითა, ცალას თოლას-ღა ვაბუუტებ მიბინდულ ცისკარივითა...“**), მაგრამ ყველაფერს მაინც იმ ლექსმა წააჭარბა, რომელშიც ლიტაო ჯოხივით გალოკილი ავტორის „სანატრელი“ ყოფა-ცხოვრებაა ასახული: **„ბატარკაცი ვარ გარგლელი, დამიდის ჭუკის ბოინი, სუ გავაძოვე ყანები, მეზობლებს ვუყავ ოინი, სამას-ოთხას ფრთას გავზრდიდი, რო არ მიხოცდეს ყოილი... ცოლიც ლამაზი ქალი მყავ, ხორხიდან გამოთხოილი, ისეთი ლამაზი არის, როგორც მთა ჩამოთოილი...“**

ქალის სილამაზის შედარება „ჩამოთოილ მთასთან“ (სინამდვილეში, შავი და შეუხედავი პირისახის ცოლი ჰყოლია ბატარკაცს!) რაღაცით შორდება ფოლკლორის პოეტიკის კანონიკურ საზღვრებს. ეს ისეთი ხატია, თან თვალს რომ გჭრის და თანაც ჯადოსნური ძალით გიპყრობს, გიზიდავს. უჩვეულოდ ჩვეულებრივი მხატვრული შედარება სითბოსაც გულისხმობს და სიცივესაც, ჩამოთეთრებული მთიდან რომ მოდის და მოიღვრება. და ამ „დამხაცველ“ სახილველთან გაიგივებული უბრალო ხორხელი (სხვათა შორის, ხორხი ვაჟას მეორე ცოლის თამარ დიდებაშვილის მშობლიური სოფელია) ქალის „სილამაზე!...“

და ბოლო, ლექსის დამამთავრებელი სტრიქონი სხვა საფიქრალსაც აჩენს:ხაზგასმული მხატვრული სახე არათუ ლექსიკის, ასო-ნიშანთა დონეზე ემთხვევა ტაეპს, თავდაპირველად ჟურნალ „პრომეთეში“ (1918) დაბეჭდილ ვაჟა-ფშაველას უთარიღო ლექსში – „ბუნების გლოვა“ – რომ გვხვდება: **„ნისლისგან ნაცრემლ მდელოზედ ამოიხეთქავს ყოი-**

ლი, ტურფა, სხვადასხვა ფერისა, ჯადოსნურადა ქსოვილი, შორით კი მოსჩანს თეთრადა, როგორც მთა ჩამოთოილი"...

ვაჟას და ბატარკაც ბექაურის პოეტურ ნიმუშთა სათქმელი და თემატიკა სრულიად სხვადასხვაა, პოლარულად საპირისპიროც კი, რაც ნაწილობრივ მაინც გამორიცხავს ცალმხრივი „გადამღერებისა" და ეპიგონობის საუხერხულო ფაქტის დაშვების შესაძლებლობას....

ვაჟა-ფშაველას **„ბუნების გლოვის"** კიდევ ორ სტრიქონს **(„რომ სახელს ვერ ჰკლავს გმირისას"** და **„სჯობია მოკვდეს სიკვდილი")** ეძებნება საინტერესო სახლოვე და პარალელები ხალხური პოეზიის შედარებით გვიანდელ ნიმუშებში, მაგრამ ეს უკვე სხვა საუბრის თემაა...

ბევრ ამგვარ საიდუმლოს ინახავს **„ინტელიგენტური მწერლობითი პოეზიისა"** (ვაჟა) და ზეპირსიტყვიერების შემოქმედებითი ურთიერთმიმართება, რაც,ბუნებრივია, არა ასეთ ზედაპირულ მინიშნებას, სერიოზულ, საგულდაგულო, ჩაძირისძირებულ დაკვირვებასა და კვლევას საჭიროებს.

ჰერენსის ხეობელი ჩვენებურები

„მე ჯორზე გადაკიდული ხურჯინის ერთ-ერთ თვალში ვიჯექი. მეორეში ჩემი ძმა იჯდა. დაზაფრული ვიყავი, რადგან ჩემ ქვემოთ სიცარიელე იყო..."

თითქოს თუშეთში ხარ, დაბებკილი ბილიკით ალაზნის დინების საპირისპირო მიმართულებით მიიჩქარი, მოულოდნელად ნესტიანი კლდის წინწამოწეულ მუხლთან ჩერდები, ორიოდე მოკლე ნაბიჯით ზემოთკენ ინაცვლებ, ჩამონაფხვრებულ ფერდობზე ფეხის მოსაკიდს ეძებ, წონასწორობას ინარჩუნებ და ღიმილით ესალმები ცხენოსან კაც-დიაცებსა

და უმოძრაობით დაბუჟებულ ბალღებს, ჭრელი ხურჯინის თვლებიდან რომ ამოუყვიათ თმაგაწეწილი თავები...

„სოფელში ექიმი არ გვყავდა, მამა კი ყველა ბალახს იცნობდა... ტრადიციული მედიცინა ყველა ხეობაში მოქმედებდა და არა მარტო ჩვენსაში...“

ეს საფარმაცევტო პასაჟიც ჩვენი მთიანეთისკენ მიგაქცევინებს თვალ-ყურს, გაგიცოცხლებს ნახევარი საუკუნის წინანდელ ამბებს, როცა საექთნო თუ საფერშლო პუნქტებიც იშვიათობას წარმოადგენდა



დიშნის ყოფა-ცხოვრების სადგი სურათი

და ბანიანი, ლასტის ღნიოში ღობით განწვალული სახლების წინკარისა თუ დერეფნის უმზეურ ბოძებზე გამოსაშრობად ეკიდა პიტნისა და ქონდრის, თავშავასა და ცხრაძარღვას, კვლიისა და ვირისტერფას, ჟოლოსა და მოცვის, ძახველისა და გვირილის, ცირცლისა და მოცხარის, კრაზანისა და ჩაღანდრის მსხვილი, ბარაქიანი კონები....

„შინ მხოლოდ ადგილობრივი კილოკავოთ უნდა გველაპარაკა... ჩვენი კილოკავის დაკარგვა თვითგამოხატვის საშუალებისა და ტრადიციის დაკარგვაზე მეტია. ეს ეთიკის დაკარგვაა...“

არათუ ერთმანეთთან, ოჯახურ და შიდასოფლურ გარემოში,"ქალაქელ" სტუმართანაც თავთავიანთ დიალექტსა და კოლოკავზე ლაპარაკობდნენ ფშავსა და ხევსურეთში, ხევსა და თუშეთში, მთიულეთსა და გუდამაყარში...ძველთუძველესი ტრადიციების სიმტკიცეს, სიჯანსაღესა და გამძლეობას ადგილობრივი მეტყველების შეუმღვრეველი ნაკადიც კვებავდა. შესაბამისად, შეურყვნელი და შეურყეველი იყო ეთიკაც...

გლეხები „დილასისხამზე დგებიან მთის ფერდობების გასათიბად...“

ცისპირი იძვროდა თუ არა, მთელი სოფლის მამაკაცობა მზად იყო „მთაში“ („სახენცლეებსა“ და საცხვრე იალაღებს შორის მდებარე ბალახიან ფერდობებზე) წასასვლელად. ცა წითლად იწვოდა თუ წვიმდა, სულერთი იყო, შინ არვინ რჩებოდა. წინა წუხრას გამზადებულ სასაგზლე გუდებს აიკიდებდნენ, გრდემლ-კვერსა და სალესს ტყავის აბგაში ჩაალაგებდნენ, ცელს მხარზე გაიდებდნენ და ძაღლების ყეფა-ღავღავით ძილგამკრათალ სოფლის სანახებს ჩქარი ნაბიჯებით მოიტოვებდნენ უკან... და დაბინდებამდე ელავდნენ მთაში მჭრელი, წყლისფერი, მარჯვედ გაწყობილი ირანული ცელები...

„კენკროვან ხილს ვაგროვებდით, დღეში ათ კილომდე ველურ ჟოლოსა და წითელ მოცვს ვკრეფდით...“

ეს იყო ზაფხულის არდადეგების მიწურულის უტკბესი რიტუალი, რომელიც დღესაც გრძელდება და შემოდგომის ისედაც მწიფე, მზიან დღეებს გარეული ხილის განუმეორებელი სურნელითა და არომატით ავსებს... ფხისა და ტყისგვერდის დეკიან ფერდობებს შესეულ ყმაწვილებს დიდ რამედ გვიჩნდა მოცვის წვენით მელნისფრად შეღებილი ტუჩები, ხელები და ერთმანეთს ალპიური ზონის უგემრიელესი ნაყოფით ქილების ავსებაში ვეჯიბრებოდით. ქვიშიან ჭალებსა თუ ღარტაფებში მოკრეფილი ჟოლოთი გაცამცმულ საწყლე ვედროებს თავმომწონედ მივიქნევდით ხოლმე სოფლისკენ მიმავალ მტვრიან შარაგზაზე. შედეგიანი შრომით კმაყოფილები ვერც დაღლას ვგრძნობდით და ვერც შიმშილს... დიდრონ ქვაბებში შაქრიანად წამოდუღებული კენკრა მალე ზღაპრულ მურაბად იქცეოდა და საკუჭნაოში ინახებოდა ზამთრის თეთრი დღე-ღამეების გასაფერადებლად, გაციებისა და ათასგვარი ტკივილის საშველად და სამკურნალოდ.

„შუა მაისისთვის სოფელი ცარიელდებოდა. ყველა საძოვარზე ადიოდა თვენახევრით ან ორი თვით...“

მთიან აჭარაში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, ფშავში, თუშეთსა და გუდამაყარში მომთაბარეობის წლიური ციკლი დღემდე არსებობს. მინიდან სიმწვანე რომ ამოიხედავს და ლეგა ხეობები სიცოცხლის ელფერს დაიდებენ, ძირითადი სამოსახლოებიდან მწვერვალების სიახლოვეს მდებარე იალაღებზე მიდიან მეძროხე ქალები, მეცხვარეები და ნანველ-ნადღვების ღალითა და ბარაქით გვიან შემოდგომაზე ბრუნდებიან ოჯახებში.

„ჩხირებითაც ქსოვდნენ ყოველ შესაძლებელ მომენტში: სიარულის დროს, ძროხების მოვლისას, საღამოხანს...“

მხედველობით მეხსიერებაში მკვეთრი კონტურებით იღვიძებს თენგიზ მირზაშვილის ერთი ადრინდელი ფერწერული ტილო: თუშეთი. ქა-

რაგოზმოკიდებული ფიქლით გადახურული ჟანგისფერი სახლები. ციხის ნაშალი. სისხამ დილას ხაგირში თავმოყრილი ტანთხელი ქალები, რომელთაც ეს-ესაა ნამნისლიან საძოვარზე გაუდენიათ მეწველი ფურები. დრო უქმად რომ არ დაკარგონ, წინდების ქსოვით დგანან მწვანე მინდორში და წინა დღეების ჭორ-მართლის მოყოლით ართობენ და ამხიარულებენ ერთმანეთს...

პირწმინდად ქართული ყოფის რეალიებად რომ თვლიდი ნაცრისფერი ქვამარილის ნაყვას, საბძლის ჭერში დაკიდებულ ფიცარზე ყველის დალაგებას, ნაღვერდალში მთელ-მთელი კარტოფილის შეწვას, დამჟავებულ რძეს – **„სიჭაბუკის ელექსირს“**, ცხვრის ნეკნების შესანახად ჩამოშრობას და ა. შ. თურმე მთლად ასეც არ ყოფილა! ყოველივე ამის და, რაც ზემოციტირებულ ფრაგმენტებშია ნათქვამი, იმის შესახებაც, წიგნში „ღიმილის მტვერი“ მოგვითხრობს მარი მეტრაიე, ფრანგული შვეიცარიის ჰერენსის ხეობაში (ყველაზე არქაული კილოკავის ცოცხალ საცავში) მცხოვრები გლეხის ქალი, ვინც **„ქსოვის ხელობას კვლავ დაუბრუნა თავისი უტილიტარული მიზნები. მან ქსოვა ერთდროულად აქცია ხელოვნებად და პურის ფულის მომტან საშუალებად...“**

უხეში გლეხური ცხოვრებით, წეს-ჩვეულებებით, ლეგენდებით, სამუშაო დღის განაწესით, ქალთა უუფლებო მდგომარეობით, დარგობრივი ღვთაებებითა თუ სიკვდილით თურმე რა საოცრად ჰგვანებია ერთმანეთს საფრანგეთის მთიანეთი და ქართველ მთიელთა საარსებო სივრცე!..

„ღიმილის მტვრის“ დათო აკრიანისეული თარგმანი, შესრულებული, თუ არ ვცდები, უკანაფშავში, სახელდობრ, მათურის მთებში, სადაც ის ზაფხულობით ადის და თვეობით იქ რჩება, შხაპუნა წვიმასავით დაუკითხავად მოსული იმ მღელვარე განცდით გავსებს, რასაც სიყმაწვილის წლების წმინდა წიაღში დაბრუნება ჰქვია...



ქმოდის გორზე. დროშით მხარზე – ფშაველი ხევისბერი ბენინა ბალიაური

P. S. თავფურცელს მარი მეტრაიეს წიგნის იმ ეგზემპლარისა, რომელიც მარიამ წიკლაურმა უსახსოვრა ეთერ თათარაიძეს, აწერია: **„ეთერო. ეს ჩემი სამაგიდო წიგნია და რაღაცით გულქანის მონათხრობს ჰგავს. მიხარია, რომ ამდენი საერთო აქვთ მადლიან ადამიანებს დედამიწაზე“.**

სარჩევი

წინათქმა 3
„ჩვენ ვიტყვით...“ 9
საფერი დობილ-ძმობილნი 13
კუჭისთავის კიდური 16
თუშეთის მთებში 18
„ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა...“ 20
ბესარიონ გაბური 21
ფერთამეტყველებისა 23
ანდრეზი 24
ტანჯვის ღამე 25
არხოტელების საუბრიდან 26
„ვერ ვნახე, დაკარგულიყო“ 29
ილო ფხოველის ნაამბობიდან 31
შარუმათ გაბრიელი 34
ცხადი და იდუმალი 35
აუღებელი სიმაღლე 37
ხევსურის მუქარა 38
დიდი კულტურის ნაკვალევი 39
ძილსა და ღვიძილს შორის 41
მარადისობის სახიერი სურათები 43
პესიმისტური 49
არხოტის ხეობაში 51

ნარიყალადან 53
სიმძიმე 54
ზვიადი 55
გამოსარჩლება 57
თვალმოშიშობის მიზეზი 59
„ღვინჯუა“ და სხვა 61
„ბარტერი“ 64
მადლი 66
სტუმარ-მასპინძლობისა 67
აკაკი შანიძე 69
პარალელი 72
გიგი 73
სიმწრის ცრემლი 74
მონატრება 76
სიკვდილიც ბედენაა 78
ხატიონი და თამარი 78
ძვრა 80
რჩევა ბარათის ადრესატს 82
ხადელა 83
კაცური საუბრის ფორმა 84
პროექტ „ნიჭიერის“ მესვეურთა საყურადღებოდ 85
ქალი და შვილი 88
„ყარყატი“ 88
ასეც ხდება 90
დანოს შემონათვალი 92
სად არის ის რქები? 93
ასაბია 94
ქვის კაცები 95
შემოწმებაზე 96
დილა იყო უმზეო, ავდრიანი 97
ბეთლემი 99

„ნეტავი შენა, წერილო...“ 101
თავკიდური 103
მოლოდინის რეჟიმი 104
ესეც ხომ საკითხავია 105
ხედვის სუბიექტური რაკურსი? 106
მოზარე 107
„ქალი თუ გინდა ლამაზი...“ 109
სამხსნელო 111
მზადება 112
ცოდვიანნი 113
ბარძიმ ამილახვარი 113
ვაჟას კუბოს ფიცარი 115
შეუმცდარი შემფასებელი 116
საბრალა 117
ყირა 119
როცა 120
ქიჩეეთ ტარიელი 121
წმინდა სამება 122
„ნარჩომნი“ 124
მოჩხუბარიძის მონატრება 125
ალაქანათ ტარიელი 126
გავლენა? 127
„ჩემო სამშობლო მხარეო...“ 128
საოჯახო ზოოპარკი 130
„ერი“ – „ეროვანი“ – იერი 131
ზომიერების დეფიციტი 133
„ნასამალი“ 135
კოტორიანთ ქალი 136
აღიარება 140
კენჭი. ქვა. ლოდი 141
ქუშეთ გელა 143

რეალური და ალეგორიული 144
„ჯავარი“ 145
ანასტასია 146
„კაცთ ენით გაბოროტვილი...“ 146
ვის შევჩივლო? 147
ხდის ხეობაში 150
ზარი თუშეთიდან 151
„ერთ მთის გადაბრუნებით...“ 153
მარცხი 155
ყურო. ზამთარი. ჯიხვები... 155
მოსატკივრე და ჭირისუფალი 159
გაზაფხული 160
ბათირა 162
წერამწერელნი 164
თაველექა 165
ციკლიდან „სიყმანვილის სურათები“ 168
ლეკოთ წიქას რეპერტუარიდან 170
ოპტიმისტური 171
დარდის მიზეზი 172
ქეთელაურების ქალი 173
მძიმია 174
მოხეური რობაი 175
უკომპრომისო მსაჯულნი 176
პროფესიონალი პოეტი და ხალხური მელექსე 177
ასე მგონია 179
რომელი? 181
ცოდნა, ნიჭი, გამოცდილება 183
დარდო სიხარულიძე 184
უნუგეშო პროგნოზი 185
ერთი დღის ქრონიკა 186
სალექსო ამინდი 188

საუბრის ფორმა 189
ხრაკუნა 190
„რა ყოფილა გურია!“ 191
დასკარგავად გამეტებული 193
„მემრე კვირია ჯუთელი“ 194
მართალი და მიუმხრობელი 196
„დავვიწყებივარ სიკვდილსა...“ 197
დედულეთის ალვები 199
სამუკა 200
მხოლოდ მისი, მისეული 202
მედლის მეორე მხარე 204
ფეხის დადება 206
„სიყვარულსა მალვა უნდა“ 207
„...და ლაშარობა თუშური“ 209
შორი, შორი ზამთარი 213
მტყობიე 214
როგორც ოქრო ქვიშაში 216
ისევ სიტყვაზე 217
გულქანი 218
დევნილი 222
ვაქირში 223
თუში ქალების საუბრიდან 225
„მე ახლა მივხვდი...“ 228
„სამკლავმაგრო“ სათიბები 229
ბიჭური – მოყმის დედის სულიერი ძმა 231
„ზიგული“ 232
რიცხვების მაგია 233
ლეწვა და „ბერტყვა“ 236
არა ურაპატრიოტული 238
წიგნი დღეს, წიგნი – ასწლეულების მერე 239
მაშინ და ახლა 240

შიშიათ თამაშა 242
ახმეტური ნოვაციები 243
საგა სტუდენტური 244
პირადი და მარადიული 246
მთაზე გადამავალი შუქი 247
ნიკორი 248
ჯერ კიდევ როდის... 249
პრინციპული პიროვნული პოზიცია 250
ბერიკები 251
ერთხელ, ალაზნის პირას 252
უთანაბრონი 252
„როგორც მთა ჩამოთოილი“ 254
ჰერენსის ხეობელი ჩვენებურები 255